ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თემურ თოდუა

# ძველი კოლხეთი და გარე სამყარო

## (ძვ.წ. II — ახ.წ. VI სს.)

თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

*ნაშრომში, ძველი მსოფლიოს ისტორიის საუნივერსიტეტო სილაბუსის შესაბამისად, წარმოდგენილია კოლხეთისა და პონტოს სამეფოს, აგრეთვე რომაულ-ბიზანტიურ სამყაროსთან დასავლეთ საქართველოს მრავალმხრივ ურთიერთობათა პერიპეტიები. განხილულია კოლხეთისა და პონტოს სამეფოს პოლიტიკურ ურთიერთობათა გენეზისი, მითრიდატე ევპატორის აგრესია კოლხეთში, ამ აქციისადმი კოლხთა რეაგირების საკითხები; ნაჩვენებია რომისა და ბიზანტიის პონტო-კავკასიის თავდაცვითი სისტემების ფორმირების ეტაპები, მისი ხასიათი და დანიშნულება, კოლხეთის რომაული და ადგილობრივი დასახლებების სტატუსი, კოლხეთში რომაულ-ბიზანტიური ნაწარმის გავრცელების გზები და ქრონოლოგიური ჯგუფები, კოლხეთის როლი და მნიშვნელობა რომაულ-ბიზანტიური სამყაროს სისტემაში. წიგნი განკუთვნილია მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და ძველი ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.*


რედაქტორი: ასოცირებული პროფესორი *თედო დუნდუა*

ექსპერტი: სრული პროფესორი *ლევან გორდეზიანი*

რეცენზენტები: სრული პროფესორი *გურამ გრიგოლია*
ასოცირებული პროფესორი *ზვიად კვიციანი*



© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008



ISBN 978-9941-13-037-3

# სარჩევი

შესავალი ........................................................................................ 7

I. კოლხეთი და პონტოს სამეფო .......................................................... 9

1. პონტოს სამეფოსა და კოლხეთის ურთიერთობა ძვ.წ. II ს-ის 90-20 წწ-ში ........................................................ 9

2. მითრიდატე ევპატორის აგრესია კოლხეთში 15

3. კოლხეთი მითრიდატე ევპატორის სამეფოს სისტემაში ... 24

4. პოლემონიდების სამეფო და კოლხეთი .................................. 37

II. რომი და კოლხეთი ........................................................................ 51

1. რომაული სამხედრო შენაერთები კოლხეთში .................... 51

2. კოლხეთის ზღვისპირეთის რომაული გარნიზონების ეთნიკური ატრიბუციისათვის ................................................ 71

3. ლეგიონერის სტელა სებასტოპოლისიდან .......................... 80

4. კოლხეთის ზღვისპირეთის რომაული გამაგრების სისტემა .................................................................. 87

5. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კოლხური და რომაული დასახლებების სტატუსი ...................................... 100

6. რომაული ნაწარმი კოლხეთში 120

7. ოქროს და ვერცხლის „ფალერები" კოლხეთიდან ............. 138

8. სერაპისის ქანდაკება გონიო-აფსაროსიდან 144

9. რომანიზაცია და კოლხეთის კულტურული მემკვიდრეობა ............................................................................ 151

III. კოლხეთი ბიზანტიური სამყაროს სისტემაში (V-VI სს.) ......... 174
განმარტებითი ლექსიკონი ........................................ 189
ქრონოლოგიური ნუსხა ........................................ 197
პონტოს მეფეები ........................................ 197
რომისა და ბიზანტიის იმპერატორები ........................................ 198
ძირითადი ლიტერატურა ........................................ 202
შემოკლებათა განმარტება ........................................ 205
ტაბულების აღწერილობა ........................................ 206
საძიებლები ........................................ 220
ა) პირთა ........................................ 220
ბ) გეოგრაფიულ სახელთა ........................................ 224

# შესავალი

ძვ.წ. II – ახ.წ. VI სს-ში კოლხეთისა და გარე სამყაროს კონტაქტების შესწავლა ფრიად მნიშვნელოვანია არა მარტო ძველი საქართველოს, არამედ რომაულ-ბიზანტიური სამყაროს ისტორიისთვისაც. ძვ.წ. II – ახ.წ. VI სს-ში კოლხეთი ჩართული იყო ჯერ პონტოს სამეფოს, ხოლო შემდეგ რომაულ-ბიზანტიური სამყაროს სისტემაში. ეს პროცესები მეტ-ნაკლები ინტენსივობით აისახა კოლხეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. თავის მხრივ, კოლხეთი პონტოს სამეფოს, ასევე რომისა და ბიზანტიის იმპერიების გეოპოლიტიკურ სივრცეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, განსაკუთრებით მითრიდატე ევპატორის „შავიზღვისპირული იმპერიის" ჩამოყალიბებაში, რომისა და ბიზანტიის იმპერიების პონტო-კავკასიის თავდაცვითი სისტემის ფორმირებაში. შესაბამისად, აღნიშნული ეპოქის კოლხეთის, როგორც პონტოს სამეფოსა და რომაულ-ბიზანტიური სამყაროს სასაზღვრო რეგიონის, სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურის საკითხების შესწავლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ნაშრომში, წერილობითი წყაროების, ეპიგრაფიკული, არქეოლოგიური მონაცემებისა და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე, განხილულია კოლხეთისა და პონტოს სამეფოს, აგრეთვე რომაულ-ბიზანტიურ სამყაროსთან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მრავალმხრივ ურთიერთობათა პერიპეტიები, რომლებიც, არსებითად, აღნიშნული იმპერიების შიდა

კონტაქტებია და ამ სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესები კოლხეთს გლობალურად არ შეხებია. სახელმძღვანელოში სკრუპულოზურადაა გაშუქებული კოლხეთისა და პონტოს სამეფოს პოლიტიკურ ურთიერთობათა გენეზისი, მითრიდატე ევპატორის აგრესია კოლხეთში და ამ აქციისადმი კოლხთა რეაგირების საკითხები; რომისა და ბიზანტიის პონტო-კავკასიის თავდაცვითი სისტემის ფორმირების ეტაპები, მისი ხასიათი და დანიშნულება; კოლხეთის რომაული და ადგილობრივი დასახლებების სტატუსი, კოლხეთში რომაულ-ბიზანტიური ნაწარმის გავრცელების მექანიზმები, სანარმოო ცენტრები და ქრონოლოგიური ჯგუფები, კოლხეთის კულტურული მემკვიდრეობა და რომანიზაციის ასპექტები.

# I. კოლხეთი და პონტოს სამეფო

## 1. პონტოს სამეფოსა და კოლხეთის ურთიერთობა ძვ.წ. II ს-ის 90-20 წწ-ში

პონტოს სამეფოსა და კოლხეთის ურთიერთობის ისტორიაში შეიძლება სამი პერიოდი გამოიყოს: პირველი – ძვ.წ. II ს-ის 90-20 წწ., როდესაც ეს ურთიერთობანი მხოლოდ სავაჭრო-ეკონომიკური ხასიათისა იყო, მეორე – ძვ.წ. II ს-ის ბოლო ათწლეულიდან და ძვ.წ. I ს-ის 60-იან წლებამდე. ამ პერიოდში კოლხეთი პონტოს სამეფოს პროვინციაა. დაბოლოს, მესამე – ძვ.წ. I ს-ის 30-იანი წლებიდან ახ.წ. 64 წლამდე, კოლხეთი კვლავ პონტოს, ამჯერად პოლემონიდების პონტოს სამეფოს შემადგენელი ნაწილი ხდება.

ძველ ავტორებს ოდნავი მინიშნებაც კი არა აქვთ პონტოს პირველი მეფეების ეპოქის კოლხეთ-პონტოს კონტაქტების შესახებ. ეს გასაგებიცაა, რადგანაც მითრიდატიდების მმართველობის პირველ ხანებში პონტოს სამეფო პატარა სახელმწიფო იყო, რომელსაც არ ჰქონდა ზღვაზე გასასვლელიც კი და, შესაბამისად, ის მცირე აზიისა და შავიზღვისპირეთის ისტორიაში უმნიშვნელო როლს ასრულებდა. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ფარნაკე I-მა პონტოს სამეფოს შემოუერთა სინოპე და მისი აპოიკიები, ხალიბებით, მოსინიკებით, ტიბარენებით დასახლებული შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ტერიტორია, პონტოს სამეფო აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო მოვლენებში. ის არეგულირებს ურთიერთობებს შავიზღვისპირეთის ქვეყნებთან და პონტოს აღმოსავლეთი საზღვარი უშუალოდ კოლხეთს უახლოვდება. სწორედ ამ დროიდან უნდა დაწყებულიყო უშუალო კონტაქტები პონტოს სამეფოსა და კოლხეთს შორის, თუმცა, წერილობით წყაროებში ამის შესახებ რაიმე

ცნობები არ მოიპოვება. ერთადერთი და ისიც საკმაოდ ბუნდოვანი ცნობა დაცულია პოლიბიოსის ნაშრომში, სადაც გადმოცემულია ძვ.წ. 179 წ-ის საზავო ხელშეკრულების ტექსტი ფარნაკე I-ისა და მისი მოწინააღმდეგე მცირე აზიის სამეფოებს (ბითვინიის, კაპადოკიის, პაფლაგონიისა და პერგამონის) შორის, რომელიც კოლხეთ-პონტოს საწყისი კონტაქტების მოწმობად შეიძლება გამოდგეს.

აღნიშნულ ტექსტში ზავის გარანტად დასახელებულია „აზიის მმართველი – არტაქსი, დიდი არმენიის მმართველი და აკუსილოხი, ხოლო ევროპის მმართველებიდან – გატალე, სარმატთა მეფე" (პოლიბიოსი, XXV, 2, 12-13). არტაქსი – ეს არმენიის ცნობილი მეფე არტაშეს I-ია, ხოლო თუ ვინ არის აკუსილოხი, ცნობილი არ არის; პოლიბიოსი რატომღაც არ უთითებს არც მისი ტიტულის და არც იმის შესახებ, თუ რომელი აზიური სახელმწიფოს მმართველი იყო იგი.

რამდენადაც აღნიშნული ეპოქის მცირე აზიის ქვეყნების ყველა მმართველი ცნობილია და აკუსილოხი დიდი არმენიისა და ტანაისის ტერიტორიის მფლობელ მეფეთა შორისაა მოხსენიებული, საფიქრებელია, რომ მისი სამფლობელო კავკასიაში ყოფილიყო. ამ ფაქტის კონსტატაციად მოხმობილია დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ΒΑΣΙΛΕΟΣ ΑΚΟΥ-ის სტატერი. სპეციალისტთა აზრით, „აკუ" არის „აკუსილოხის" შემოკლებული ფორმა (Немировский, 1980, გვ. 154-156; შდრ., დუნდუა, 1993, გვ. 40).

მართლაც, აკუსილოხი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მცირე აზიის რომელიმე ქვეყნის, თუნდაც მცირე ანდა დიდი არმენიის მმართველი, რამდენადაც ყველა ამ სახელმწიფოს მმართველთა სახელები საზავო ხელშეკრულების ტექსტშია მოხსენიებული. უნდა გამოირიცხოს აგრეთვე პართია და სირიაც, რადგანაც ამ ქვეყნების მეფეთა სახელებიც კარგადაა ცნობილი. აქედან გამომდინარე, რჩება კავკასიის ერთ-ერთი სახელმწიფო. ეს ქვეყანა შესაძლოა კოლხეთი ყოფილიყო, იმდენად, რამდენადაც იბერია და ალბანია არცთუ ისე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მცირე აზიისა და შავიზღვისპირეთის პოლიტიკურ ურთიერთობაში. ამასთანავე, ისინი ტერიტორიულადაც დაშორებულნი იყვნენ ცნობილი მოვლენების არეა-

ლიდან. ამიტომაც საეჭვოა, რომ ისინი მცირე აზიის დინასტთა შორის მოლაპარაკებათა გარანტები ყოფილიყვნენ. რაც შეეხება კოლხეთის სამეფოს, ის, როგორც შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი სახელმწიფო, არ შეიძლებოდა განზე დარჩენილიყო იმ მოვლენათაგან, რომლებიც შავიზღვისპირეთს ეხებოდა; სავსებით გასაგები და ნათელია, რომ კოლხეთი დაინტერესებული იყო მშვიდობის შენარჩუნებით იმ რეგიონში, რომლის მრავალ ცენტრთანაც ის სავაჭრო ურთიერთობებით იყო დაკავშირებული. ამიტომ, მისი ერთ-ერთი მეფის გარანტად გამოჩენა 179 წ. საზავო ხელშეკრულებაში სავსებით გასაგები და გამართლებულია.

ამრიგად, არსებობს საკმაო საფუძველი იმ ვარაუდისათვის, რომ 179 წ. საზავო ხელშეკრულებაში მოხსენიებული აკუსილოხი კოლხეთის მეფე იყო. თუ ეს ასეა, მაშინ პოლიბიოსის ცნობა პირველი მინიშნებაა კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური კავშირისა შავიზღვისპირეთის სახელმწიფოებთან და მათ შორის პონტოს სამეფოსთანაც. შეიძლება დასახელდეს საზავო ხელშეკრულებაში კოლხეთის სამეფოს მონაწილეობის მიზეზებიც.

პირველი მიზეზი აღნიშნული ეპოქის შავიზღვისპირეთის პოლიტიკური სიტუაციაა: როგორც ცნობილია, კოლხეთის სამეფო შავი ზღვის აუზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული იყო, რომელსაც მთელი აღმოსავლეთი სანაპირო ეკავა; რარიგ დასუსტებულიც არ უნდა ყოფილიყო აქ ცენტრალური ხელისუფლება, მაინც შეუძლებელი იყო მისი ინტერესების გაუთვალისწინებლობა შავიზღვისპირეთის პოლიტიკური პრობლემების გადაჭრისას. მას სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები აღნიშნული რეგიონის მრავალ ქალაქთან ჰქონდა.

მეორეც, ამ ხელშეკრულების გაფორმებისას ორივე მეომარი მხარე ესწრაფოდა ისეთი სახელმწიფოებისა და ბერძნული ქალაქების მხარდაჭერას, რომელთაც ომის მიმდინარეობისას ნეიტრალური პოზიცია ეკავათ. მათ გარანტის როლი უნდა შეესრულებინათ. ამ ხელშეკრულების ძირითადი გარანტი და მედიატორი რომი იყო. მაგრამ, ფარნაკე I დაინტერესებული იყო, საზავო ხელშეკრულებაში მონაწილეობა მიეღოთ იმ ქვეყნების მმართველებს და ქალაქებს,

რომლებთანაც მას მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. ფარნაკე I-ის მიმართ ლოიალურად განწყობილ შავიზღვისპირეთის ქალაქებს შორის კოლხეთიც უნდა ყოფილიყო. მეორე მხრივ, ფარნაკეს მოწინააღმდეგე მხარეც თანახმა იქნებოდა, ეს ერთეულები მოლაპარაკებაში ჩართულიყო, რადგანაც, ომის დროს ისინი ნეიტრალიტეტს იცავდნენ და დაინტერესებულნი იყვნენ, რათა შავიზღვისპირეთში მშვიდობა ყოფილიყო შენარჩუნებული. ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ კოლხეთის სამეფოსაც იგივე პოზიცია ჰქონოდა – კოლხეთი შავი ზღვის აუზში მშვიდობის შენარჩუნებით სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული. როგორც დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ანალიზი ცხადყოფს, კოლხეთს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა არა მხოლოდ პონტოს სამეფოს ქალაქებთან (სინოპე, ამისო), არამედ ეგეოსის ზღვის ზოგიერთ საქალაქო ცენტრთანაც.

ეჭვს არ იწვევს, რომ ძვ.წ. 183-179 წწ. საომარმა მოქმედებებმა დაარღვიეს ეს სავაჭრო კავშირები და უარყოფითი ზეგავლენა კოლხეთის ეკონომიკაზე იქონიეს; ამიტომ, კოლხეთის სამეფო ამ რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებისათვის ისწრაფოდა.

მეომარ მხარეთა შორის საზავო ხელშეკრულებაში მონაწილეობა კოლხეთისთვის სხვა მხრივაც ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო. ჩვენს ყურადღებას იპყრობს საზავო ხელშეკრულებაში სარმატთა მეფის – გატალეს მონაწილეობა. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში გატალე ხერსონესის მოკავშირედ ფიგურირებს. ხერსონესის სახით მას სკვითების წინააღმდეგ ერთგული მოკავშირე ეგულებოდა. მაგრამ გატალეს მონაწილეობა საზავო ხელშეკრულებაში კოლხეთისთვისაც ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო სარმატთაგან მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

როგორც ცნობილია, სარმატთა გააქტიურება ძვ.წ. II საუკუნიდან იწყება. ჩვენ არ მოგვეპოვება პირდაპირი მტკიცებულება კოლხეთის მიმართ სარმატთა მტრული დამოკიდებულების შესახებ. თუმცა, ამ ფაქტის არაპირდაპირ მოწმობად შეიძლება გამოდგეს ძვ.წ. V ს-ით დათარიღებული ვერცხლის ფიალა წარწერით: „აპოლონ წინამძღოლისა ვარ, რომელიც ფასისშია". ეს ფიალა აღმოჩენილია

ყუბანის ერთ-ერთ ყორღანში. სპეციალისტების აზრით, ეს წმინდა ჭურჭელი, რომელიც თავდაპირველად ფასისის აპოლონის ტაძარს ეკუთვნოდა, ნაღებულია აპოლონის ტაძრიდან სარმატთა ერთ-ერთი თავდასხმისას კოლხეთში და შემდგომში, როგორც განსაკუთრებული ღირებულების ნივთი, სარმატთა ერთ-ერთ ბელადს სამარხში ჩაატანეს. მართალია, ყორღანი ძვ.წ. I ს-ით თარიღდება, მაგრამ სარმატთა თავდასხმები შეიძლებოდა, უფრო ადრე მომხდარიყო და რომ ეს არ იყო სარმატთა ერთჯერადი ლაშქრობა შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროებზე (არგონავტიკა, III, 352, 358). ყოველ შემთხვევაში, სარმატთა განსაკუთრებული აქტიურობის პერიოდში, საფრთხე მათი მხრიდან სრულიად რეალური იყო და მეფე გატალეს მონაწილეობას საზავო ხელშეკრულებაში სარმატთა თავდასხმებისაგან კოლხეთის სამეფოს უსაფრთხოების დაცვა უნდა უზრუნველეყო.

კოლხეთის სამეფოს მონაწილეობა 179 წ. საზავო ხელშეკრულებაში გარკვეული ვადით მაინც უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოებას მცირე აზიის სახელმწიფოებისაგან, სახელდობრ, მცირე არმენიის ან იმავე პონტოს სამეფოსაგან, რომელთა გაძლიერება კოლხეთისთვის გარკვეულ საფრთხეს ქმნიდა. მეორე მხრივ, კოლხეთის სამეფოს მონაწილეობას ამ სამშვიდობო ხელშეკრულებაში მისთვის ხელი უნდა შეეწყო მითრიდატიდების სამეფოსთან დაახლოებაში, რითაც ის დაინტერესებული იყო, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ კოლხეთს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ჰქონდა პონტოს სამეფოს ქალაქებთან – სინოპესა და ამისოსთან.

ერთი სიტყვით, არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ კოლხეთის სამეფო ჯერ კიდევ ფარნაკე I-ის ზეობისას, ამა თუ იმ სახით, მაინც ჩართული იყო იმ პოლიტიკურ პერიპეტიებში, რომლებიც შავიზღვისპირეთში მიმდინარეობდა. მას ასევე გარკვეული პოლიტიკური კონტაქტები პონტოს სამეფოსთანაც ჰქონდა.

სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება რაიმე ცნობები ამ ფაქტების კონსტატაციისთვის, მაგრამ, მაინც მათი არსებობის ილუსტრაციაა კოლხეთის სამეფოს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები სინოპესთან.

არქეოლოგიური მასალები მოწმობს, რომ სინოპესა და კოლხეთის სამეფოს სავაჭრო კავშირები განსაკუთრებით ინტენსიური ძვ.წ. II საუკუნეში ხდება. ძვ.წ. III-I სს-ის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ნაწარმთა შორის სინოპური პროდუქცია (ამფორები, მონტარიუმები, კრამიტები და ა.შ.) დომინირებს. ისინი გვხვდება როგორც სანაპირო ზოლის ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში, ასევე კოლხეთის შიდა რეგიონებშიც. კოლხეთის სამეფოს სავაჭრო ურთიერთობანი აკავშირებდა ამისოსთან, რომელიც ასევე პონტოს სამეფოს ქალაქი იყო.

როგორც ცნობილია, ძვ.წ. IV საუკუნიდან კოლხეთი სინოპეს ინტერესის სფეროში შედიოდა და ამ ქალაქის ეკონომიკურ სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ეს კავშირები ფარნაკე I-ის დროსაც გაგრძელდა. ეს გასაგებიცაა, პონტოს მეფე დაინტერესებული უნდა ყოფილიყო კოლხეთიდან ხე-ტყის, სელის, ცვილის, კანაფის, ლითონების გატანით. გარდა ამისა, ამ კავშირის სტიმულირებით ფარნაკე კოლხეთზე პონტოს ეკონომიკური გავლენის გავრცელებას ცდილობდა.

ამრიგად, კოლხეთისა და პონტოს სამეფოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ფარნაკე I-სა და მისი შთამომავლების – მითრიდატე IV-სა და მითრიდატე V-ს ზეობის პერიოდში ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ეს კავშირები კოლხეთის ტრადიციული პარტნიორების – ამისოსა და სინოპეს მეშვეობით ხორციელდებოდა. ამგვარი კონტაქტები კი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში პონტოს სამეფოს ეკონომიკურ გავლენას აძლიერებდა. თუ ძვ.წ. 179 წ. საზავო ხელშეკრულებაში კოლხეთის მონაწილეობის ფაქტს ვაღიარებთ, მაშინ ეჭვს არც ის იწვევს, რომ პონტოსა და კოლხეთის სამეფოებს შორის პოლიტიკური კონტაქტები ჯერ კიდევ ფარნაკე I-ის დროს უნდა ყოფილიყო.

# 2. მითრიდატე ევპატორის აგრესია კოლხეთში

მითრიდატე VI ევპატორი პონტოს სამეფოს ტახტზე ძვ.წ. 120 წელს ავიდა, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ იგი თავისი სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებას შეუდგა. მისი აგრესიული ქმედებების პირველი მსხვერპლი მცირე არმენია და კოლხეთის სამეფო გახდა. ნარატიულ წყაროებში (აპიანე, სტრაბონი, პლუტარქე, იუსტინე) საკმაო ცნობები მოიპოვება პაფლაგონიაში, კაპადოკიაში, მცირე არმენიაში, კოლხეთსა და ბოსფორში მითრიდატე VI-ის აგრესიის შესახებ. თუმცა, ამ აქციათა ზუსტი თარიღის დადგენა თითქმის შეუძლებელია, რაც მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ერთ-ერთი რთული საკითხია მითრიდატეს მიერ კოლხეთის სამეფოს ანექსიის თარიღი, აგრეთვე მცირე არმენიის, კოლხეთისა და ბოსფორის სამეფოს პონტოსთან მიერთების თანმიმდევრობის პრობლემა.

ბოსფორის სამეფოს პონტოსთან შეერთება საკმაოდ ზუსტად – ძვ.წ 107 წლით თარიღდება (Жебелев, 1938, გვ. 49-71; Гайдукевич, 1949, გვ. 298). რაც შეეხება კოლხეთის ანექსიას, მის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ზოგიერთი მკვლევარი ამ აქციას ძვ.წ. II-I სს-ის მიჯნით ან ძვ.წ. I ს-ის დასაწყისით განსაზღვრავს (Меликишвили, 1959, გვ. 305; სანიკიძე, 1956, გვ. 28). სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, მითრიდატემ, პირველ რიგში, მცირე არმენია და კოლხეთის სამეფო დაიპყრო, ხოლო შემდეგ – ბოსფორი (Meyer, 1879, გვ. 87; Niese, 1887, გვ. 559). ეს მოსაზრებები გამომდინარეობს ძირითადად იმ ლოგიკური მსჯელობიდან, რომ მითრიდატეს ჯერ თავისი უშუალო მეზობლები – მცირე არმენია და კოლხეთი უნდა დაეპყრო, ხოლო შემდეგ – მოშორებით მდებარე ბოსფორის სამეფო.

ამგვარი მოსაზრების საილუსტრაციოდ მკვლევრებს, პირველ რიგში, სტრაბონის შემდეგი ცნობა მოჰყავთ: კოლხეთი დაპყრობილი იქნა მაშინ, როდესაც „მითრიდატეს ძალაუფლება მნიშვნელოვ-

ნად გაძლიერდა" (სტრაბონი, XI, 2, 18). მათი მოსაზრებით, პონტოს სამეფო ჯერ კიდევ დიოფანტეს მიერ ყირიმზე გალაშქრებამდე გაძლიერდა. სწორედ ამ გაძლიერებისა და საერთაშორისო ავტორიტეტის გაზრდის ფაქტმა უკარნახა ხერსონესსა და ბოსფორს სკვითების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება მითრიდატესთვის ეთხოვათ. პონტო მაშინ უკვე რეალური ძალა იყო, რომელსაც შეეძლო ბერძნული სამყარო ბარბაროსთა თავდასხმებისაგან დაეცვა. მითრიდატეს ავტორიტეტის ზრდა განპირობებული იყო იმით, რომ მან თავისი სამფლობელოს საზღვრები მეზობელი ქვეყნების, მათ შორის კოლხეთის სამეფოს მიერთების ხარჯზე გააფართოვა. მკვლევართა განმარტებით, მითრიდატემ კოლხეთი დაიპყრო ჩრდილო შავიზღვისპირეთში დიოფანტეს გალაშქრებამდე ანუ ძვ.წ. 111 ან 110 წ. (Лордкипанидзе, 1970, გვ. 17).

ამ მოსაზრების დამატებით საბუთად მკვლევრებს მოჰყავთ ასევე დიოსკურიის სპილენძის მონეტებიც, რომლებიც მითრიდატე VI-ს მმართველობის პერიოდშია მოჭრილი. ეს მონეტები დიოსკურიაში იჭრებოდა მაშინ, როდესაც მითრიდატე VI-მ, რომაელთაგან დევნილმა, ძვ.წ. 66 წ. ზამთარი ამ ქალაქში გაატარა. მკვლევართა მტკიცებით, დიოსკურიის ანალოგიური ტიპის მონეტები, მითრიდატეს მეფობის პირველ წლებში, პაფლაგონიასა და კაპადოკიაშიც იჭრებოდა. გ. ლორთქიფანიძე აღნიშნულ მონეტებს ძვ.წ. 111-110 წწ-ით განსაზღვრავს. ამავე წლით ათარიღებს პონტოს სამეფოს შემადგენლობაში კოლხეთის ზღვისპირეთის ჩართვასაც (Лордкипанидзе, 1970, გვ. 18-19).

არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, თითქოსდა პონტოს სამეფომ ჯერ ბოსფორი შეიერთა, ხოლო შემდეგ – კოლხეთი (Немировский, 1978, გვ. 63-70; McGing, 1985, გვ. 45-47). ამ მოსაზრების ძირითადი არგუმენტია დიოფანტესადმი მიძღვნილი დეკრეტი, სადაც დაწვრილებითაა მოთხრობილი დიოფანტეს ბოსფორზე გალაშქრებისა და სავმაკის წინამძღოლობით აჯანყებული სკვითების ბრძოლის შესახებ. აღნიშნულ დეკრეტში ნათქვამია, რომ როდესაც სკვითებმა სავმაკის მეთაურობით მეფე

პერისადე მოკლეს, მათ დიოფანტეს წინააღმდეგ გაილაშქრეს; შემდგომში მოთხრობილია დიოფანტეს ბრძოლის და მისი გამარჯვების შესახებ. Ευπραντα αυτον-ში მკვლევრებმა არსებითი სახელის – αυτον-ის მაგივრად სავმაკის სახელი ჩასვეს, ხოლო ზმნა – ευπραντα ითარგმნა, როგორც „მონის გამოკვება“. აქედან გამომდინარე, სავმაკი პერისადეს მონად „მონათლეს“, ხოლო თვით აჯანყება მონათა აჯანყებად მიიჩნიეს (Жебелев, 1938, გვ. 64).

ზოგიერთი სპეციალისტი მხარს უჭერს ამ მოსაზრებას, მაგრამ სხვები ამგვარ შეხედულებას უარყოფდნენ. ზოგიერთმა მკვლევარმა არ გაიზიარა ευπραντα-ის ამგვარი ახსნა („მონის გამოკვება“) და, საერთოდ, ეჭვქვეშ დააყენა სავმაკის მონათა ფენისადმი მიკუთვნების საკითხიც (Колобова, 1949, გვ. 11).

ზოგიერთი მკვლევრის აზრით კი, დეკრეტში მოხსენიებულია არა ერთი, არამედ ორი მონაწილე პირი – დიოფანტე და მითრიდატე ევპატორი, თანაც, არსებითი სახელის αυτον-ის ადგილას მკვლევრები მითრიდატეს გულისხმობენ. აქედან გამომდინარე, მათი აზრით, პერისადეს აღზრდილი უნდა ყოფილიყო არა ვინმე სხვა პირი, არამედ მითრიდატე. ამგვარ კონცეფციას თუ გავიზიარებთ, მაშინ მითრიდატე ჯერ კიდევ ბავშვობაში იძულებული გამხდარა, სინოპედან გაქცეულიყო. მან თავშესაფარი პანტიკაპეონში – ბოსფორის მმართველებთან პოვა და ის პერისადემ იშვილა. სინოპეში დაბრუნებამდე მას ბოსფორზე ფაქტობრივი ძალაუფლება გადაეცა. პონტოში გაძლიერებისა და სკვითების წინააღმდეგ ჯარების გაგზავნისას, მითრიდატე მოქმედებდა, როგორც უშუალოდ დაინტერესებული პირი – პერისადეს მემკვიდრე. აქედან გამომდინარე, პონტოს სამეფო ტახტზე ასვლისთანავე, მითრიდატემ ზომები მიიღო მისთვის კანონით მინიჭებული მემკვიდრეობითი უფლებების რეალიზაციისათვის – ბოსფორის სამეფოს მიერთებისათვის. ასე რომ, დიოფანტე მოქმედებდა პერისადეს „აღზრდილი“ ახალგაზრდა მეფის და არა როგორც ყოვლისშემძლე მმართველის სახელით.

ამრიგად, უკანასკნელ ხანებში გამოიკვეთა ორი მოსაზრება: პირველის თანახმად, მითრიდატემ კოლხეთი ძვ.წ. 111-110 წწ-ში,

ბოსფორის მიერთებამდე დაიპყრო; მეორის თანახმად, ეს აქცია ბოსფორის მოვლენების, ანუ ძვ.წ. 107 წ-ის შემდეგ განხორციელდა. რომელია ამ ორიდან უფრო მისაღები მოსაზრება?

სტრაბონის ცნობა, რომ მითრიდატემ კოლხეთი მისი „ძალაუფლების მნიშვნელოვნად გაძლიერების" შემდეგ დაიპყრო, სხვადასხვანაირად შეიძლება გავიაზროთ. სტრაბონს ამ შემთხვევაში შესაძლოა მხედველობაში ჰქონოდა მითრიდატეს გაძლიერება, როდესაც იგი დედამისს და მის მომხრეებს გაემიჯნა. მცირე არმენიის შემოერთების შემდეგ კი საბოლოოდ განიმტკიცა ძალაუფლება. ანდა, საფიქრებელია, სტრაბონს მიაჩნდა, რომ პონტოს მეფე ჩრდილო შავიზღვისპირეთის ანექსიის შემდეგ „მნიშვნელოვნად გაძლიერდა", რამაც იგი ევქსინის პონტოს აუზის ყოვლისშემძლე მმართველი გახადა. ორივე ეს მოსაზრება სავსებით მისაღები და დასაშვებია, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჩვენ უფრო მეორე განმარტებისკენ ვიხრებით. ყოველ შემთხვევაში, სტრაბონის ეს ცნობა არ შეიძლება იყოს მყარი საბუთი პონტოსთან ბოსფორისა და კოლხეთის შეერთების თანმიმდევრობის საკითხის დადგენისათვის. ამ შემთხვევაში სანდო წყაროდ ნუმიზმატიკური მონაცემები შეიძლება გამოდგეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მკვლევართა ერთმა ნაწილმა, დიოსკურიის სპილენძის მონეტების დათარიღების (ძვ.წ. 111-110 წწ.) საფუძველზე, ივარაუდა, რომ კოლხეთი პონტოს სამეფოს უფრო ადრე შეუერთდა, ვიდრე ბოსფორი. მაგრამ ცნობილმა ნუმიზმატმა კ. გოლენკომ ეს მონეტები ძვ.წ. 105-90 წწ. დაათარიღა. კ. გოლენკოს ამგვარი დათარიღების საფუძველს აღნიშნული მონეტების რევერსზე გამოსახული კვერთხი და ზედწერილი: ΔΙΟΣΚΟΥΡΙΑΔΟΣ წარმოადგენს. კ. გოლენკოს განმარტებით, კვერთხის გამოსახულება სამხრეთპონტოურ ქალაქებში პირველად 105-90 წწ-ის მონეტებზე ჩნდება, ხოლო ბოსფორში (პანტიკაპეონი, გორგიპია) – ძვ.წ. 100-90 წწ-ის დრაქმებზე. გარდა ამისა, კ. გოლენკომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ სამხრეთპონტოური ქალაქების ძვ.წ. 111-105 წწ-ის მონეტებზე, ხოლო ბოსფორის ძვ.წ. 100-90 წწ-ის სერიის მონეტებზე ჩანს დიფერენტები და მონოგრამები, რომლებიც დიოსკურიადის მონეტებზე არ ფიქსირდება. ყოველივე ამის საფუძველზე, კ. გო-

ლენკო ასკვნის, რომ დიოსკურიადის მონეტები ძვ.წ. 105-90 წწ-ით უნდა დათარიღდეს (Голенко, 1977, გვ. 59-61). აქედან გამომდინარე, მითრიდატე ევპატორის მიერ კოლხეთის ანექსია ამავე ძვ.წ. 105-90 წწ-ით უნდა განისაზღვროს. ნიშანდობლივია, რომ თვით პონტოს სამეფოს მონეტების ცირკულაცია კოლხეთში სწორედ ძვ.წ. 105 წლიდან იწყება.

ამგვარად, ნუმიზმატიკური მონაცემებით ირკვევა, რომ პონტოს სამეფოს ჯერ ბოსფორი შეუერთდა, ხოლო შემდეგ – კოლხეთი. ასეთი დასკვნა შავიზღვისპირეთში არსებული ზოგადპოლიტიკური სიტუაციითაც დასტურდება. ბოსფორსა და თავრიდაში განვითარებული მოვლენები დაუყოვნებლივ ჩარევას მოითხოვდა. გახშირდა სკვითების თავდასხმები ოლვიასა და ხერსონესზე. ბოსფორზე სარმატების მხრიდან ზეწოლა გაძლიერდა. ყოველივე ეს მეფე პერისადესაგან მეტ დათმობას მოითხოვდა. მოხუცი, უშვილო პერისადეს სამეფო სასახლეში არსებობდა სკვითების დაჯგუფება, რომელთაც ბოსფორზე პრეტენზია ჰქონდათ. ბერძნულად ორგანიზებულმა სკვითთა არმიამ შეტევა დაიწყო ხერსონესზე იმ მოტივით, რომ ელინებს ზღვაში ჩაძირავდა. ერთი სიტყვით, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა; ეს სიტუაცია ბოსფორის სამეფოსა და ელინურ პოლისებს სრულ განადგურებას უქადდა.

აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ასეთი რთული სიტუაცია არ ფიქსირდება. ყოველ შემთხვევაში, ცნობები იმის შესახებ, რომ კოლხეთს რაიმე რეალური შიდა ძალები ემუქრებოდა, ჩვენ არ მოგვეპოვება. ამიტომ, პონტოს ახალგაზრდა მეფის წინაშე ბოსფორის საქმეებში სასწრაფოდ ჩარევის აუცილებლობა დადგა. კოლხეთის საკითხი კი მოგვიანებით გადაწყდებოდა. მითრიდატე VI-ს დაუყოვნებელი ჩარევა ჩრდილო შავიზღვისპირეთის საქმეებში ხერსონესელებმა მოითხოვეს. პერისადეს მიერ მითრიდატე VI-ის შვილად აყვანის ფაქტი გასაგებს ხდის, რომ მას უნდა ეჩქარა, ვინაიდან სამეფოში არსებული სკვითთა დაჯგუფება მზად იყო, ძალაუფლება ხელში აეღო. ეს კი მითრიდატეს ბოსფორში ძალაუფლების განმტკიცებაში ხელს შეუშლიდა. ასე რომ, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში თავისი ჯარების გაგზავნით მითრიდატეს ორი

ამოცანა ერთდროულად უნდა გადაეჭრა: 1. ხერსონესის მისადგომებთან გაენადგურებინა სკვითები და თავრიდის ელინური მოსახლეობის მხარდაჭერა მოეპოვებინა; 2. ბოსფორი სარმატთა შემოტევებისგან დაეცვა, გაენადგურებინა სკვითთა რეაქციულად განწყობილი დაჯგუფება, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა პანტიკაპეონში ძალაუფლება ხელთ ეგდო და ბოსფორი პონტოს სამეფოს სისტემაში ჩაერთო. ეს საკითხები ძვ.წ. 107 წელს დიოფანტეს ძალისხმევით გადაწყდა. ამ აქციის წარმატებით დაგვირგვინების შემდეგ მითრიდატეს უკვე შეეძლო ყურადღება კოლხეთზე გადაეტანა.

ამრიგად, აღნიშნულიდან გამომდინარე, შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ მითრიდატეს მიერ შავიზღვისპირეთის ქვეყნების დაპყრობის თანმიმდევრობა: 1. მცირე არმენია; 2. ბოსფორი და თავრიდა; 3. კოლხეთი.

ახლა ჩვენ წინაშე დგება საკითხი: რა გზით უნდა მომხდარიყო პონტოს სამეფოსთან კოლხეთის შეერთება. წერილობით წყაროებში ეს მოვლენა სხვადასხვანაირადაა შეფასებული. სტრაბონი საკმაოდ გაურკვევლად აღნიშნავს, რომ „ქვეყანა მის ხელში გადავიდა" (სტრაბონი, XI, 2, 18), კოლხეთი „მან შეუერთა პონტოს" (სტრაბონი, XII, 3, 1), მითრიდატე „გახდა კოლხეთის ბატონი" (სტრაბონი, XII, 3, 28). ამ ცნობების საფუძველზე, ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ კოლხეთი პონტოს სამეფოს მშვიდობიანი გზით შეუერთდა. თ. რეინაკისა და ალ. დუგანის მოსაზრებით, კოლხეთის დაპყრობა მითრიდატე ევპატორისთვის „ბავშვური თამაში" იყო (Reinach, 1890, გვ. 77; Duggan, 1959, გვ. 35).

არსებობს საწინააღმდეგო მონაცემებიც. მემნონი წერს, რომ პონტოს მეფემ „ფასისის ირგვლივ არსებული ტერიტორიები ომის გზით დაიმორჩილა" (მემნონი, 30). აპიანე გადმოგვცემს: „მითრიდატე მამის სამეფოს ფლობს, მან დაიმორჩილა მრავალი ხალხი და მათ შორის მეომარი კოლხები" (აპიანე, მითრიდატეს ომები, 101). კონტექსტი აშკარად მიუთითებს კოლხეთის არამშვიდობიანი გზით მიერთების შესახებ. სხვა საკითხია, რომ სკეპტუხიებად დაქუცმაცებულ კოლხეთს არ შეეძლო მითრიდატესთვის ხანგრძლივი წინააღმდეგობა

გაეწია.

ალსანიშნავია ისიც, რომ კოლხეთის მიერთების შემდეგ ქვეყნის მართვის უფლება პონტოს მეფისნაცვალს გადაეცა. ასე რომ, კოლხეთში შეიცვალა მეფის ხელისუფლება და ის „სატრაპია“ გახდა. საეჭვოა, ეს მშვიდობიანი გზით მომხდარიყო. ურთიერთსაწინააღმდეგო წყაროებიდან საერთო დასკვნის გამოტანას დ. შელოვი შეეცადა. პომპეუს ტროგუსის ბუნდოვან ცნობაზე დაყრდნობით, თითქოს „მითრიდატეს კოლხეთი მემკვიდრეობით გადაეცა“ (იუსტინე, XXXVIII, 7, 10), დ. შელოვი ვარაუდობს, რომ „მითრიდატემ კოლხეთის სამეფო დაიპყრო რაღაც ფორმალური გზით, მაგალითად, რაღაც სამემკვიდრეო დოკუმენტით, იმისივე მსგავსით, როგორიც მას ბოსფორზე ჰქონდა" (Шелов, 1980, გვ. 30-31). მართალია, ქვემოთ იგი ალნიშნავს, რომ ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მიაჩნია, რომ ქვეყნის სრული დამორჩილება მოითხოვდა ბრძოლას კოლხეთის სამეფოს იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც არ ეთანახმებოდნენ, რომ ქვეყნის გამგებლობა პონტოს მეფეს გადასცემოდა (Шелов, 1980, გვ. 30-31).

ეს მოსაზრება „სამუშაო ჰიპოთეზადაც“ არ გამოდგება. ჯერ ერთი, იუსტინეს მიერ გადამუშავებული პომპეუს ტროგუსის აღნიშნული ცნობა საკმაოდ გაუგებარია. აქ საუბარია მითრიდატეს მემკვიდრეობით უფლებებსა და რაღაც წყალობაზე. მეორე, პომპეუს ტროგუსისეული ცნობა სხვა ნერილობითი წყაროებით არ დასტურდება.

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით კი, კოლხეთში არსებობდნენ როგორც პროპონტოური, ასევე ანტიპონტოური ძალები. პროპონტოური პოზიცია ეკავა, მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, დიოსკურიას, რის გამოც მას თითქოსდა ავტონომია მიენიჭა და ეს უფლება საკუთარი მონეტის მოჭრაში გამოიხატა. მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზეც, რომ ფასისსა და ტრაპეზუნტში მონეტები არ იჭრებოდა, რაც, მათი აზრით, გამოცანად რჩება. ამ გამოცანის ახსნასაც თავადვე ცდილობენ: „შესაძლოა, ამ ქალაქებს მითრიდატეს მიმართ მტრულად განწყობილი ელემენტე-

ბი ფლობდნენ, ბერძნული ქალაქების მოსახლეობისაგან განსხვავებით, რომლებიც მითრიდატეში ელინურობის მფარველს ხედავდნენ. ასეა თუ ისე, აქ სახეზეა პოლისური ტრადიციების აღორძინების ფაქტი. როგორც მონეტის ზედწერილიდან ჩანს, ის დიოსკურიის მოქალაქეებს ეკუთვნოდა" (Лордкипанидзе, 1970, გვ. 19).

პოზიცია სავსებით ნათელია: დიოსკურია ბერძნული პოლისია, ელინური მოსახლეობა მითრიდატეს ემხრობოდა, მაშინ, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა პონტოს მეფის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი; ხოლო, რამდენადაც ფასისი და ტრაპეზუნტი ადგილობრივი ელემენტებით იყო დასახლებული, ეს ქალაქები მითრიდატეს არ ემხრობოდნენ და ამიტომაც მათ ავტონომია ვერ მიიღეს (Лордкипанидзе, 1970, გვ. 25).

ზოგიერთ მკვლევარს კი სპილენძის მონეტების მოჭრა არა „პოლისური ტრადიციის რესტავრაციად", არამედ მეფის ადმინისტრაციის მხრიდან ქალაქის გაკონტროლების ფაქტად მიაჩნია (Ломоури, 1979, გვ. 148). მართლაც, კოლხეთის ანექსიის შემდეგ პონტოს მმართველის რეზიდენცია, ანუ მითრიდატე VI-ის ხელისუფლების ცენტრი დიოსკურია გახდა, რამეთუ ის გეოგრაფიულად ბოსფორთან ახლოს იმყოფებოდა და ამიტომაც მან მონეტის მოჭრის პრეროგატივა მიიღო (Ломоури, 1979, გვ. 174). მოსაზრება, რომ დიოსკურია ბერძნულ ქალაქად საერთოდ არ ითვლებოდა, არცთუ ისე დამაჯერებლად გვეჩვენება. ჩვენს ხელთ არსებული წყაროებიდან გამომდინარე, თავად მონეტის მოჭრის ფაქტიც, შესაძლოა, გარკვეული პოლისური ტრადიციების რესტავრაციაზე მიუთითებდეს. დიოსკურიის პოლისურ ხასიათს შესაძლოა, მოწმობდეს ეშერაში აღმოჩენილი დამღიანი ამფორები (ΔΙΟΣ/ΚΟΥ), რომელიც ადრეელინისტური ეპოქით თარიღდება. მაგრამ, სანამ საკმაო რაოდენობის არქეოლოგიური მონაცემები არ გვექნება, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ დიოსკურია აღნიშნულ ეპოქაში რაღაც განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდა და ის თითქოს ელინური პოლისი იყო.

საფიქრებელია, რომ კოლხებს შორის უნდა ყოფილიყვნენ მეფის

მხარდამჭერი სოციალური ფენები და პოლიტიკური დაჯგუფებები. როგორც ადგილობრივი, ისე ბერძენი კომერსანტები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ალბათ, მხარს უჭერდნენ მითრიდატეს აგრესიას კოლხეთში, ვინაიდან ის კოლხეთ-პონტოს ურთიერთობათა განმტკიცების წინაპირობა იყო. მეტიც – კოლხეთის სამეფოს დამორჩილება მითრიდატეს მმართველობისადმი დადებით შედეგს გამოიწვევდა. ადგილობრივი სავაჭრო ფენის წარმომადგენლები შეძლებდნენ პონტოსთან მჭიდრო სავაჭრო კონტაქტები დაემყარებინათ. ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოლხეთის დაპყრობისას მითრიდატე VI-ს მოსახლეობის ამ ფენების მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონოდა. რაც შეეხება პონტოს ექსპანსიისადმი სხვა ფენების განწყობილებას, მასზე მსჯელობა ძნელია, იმდენად, რამდენადაც რაიმე ინფორმაციას არ ვფლობთ. მიწათმფლობელი არისტოკრატია, ისევე როგორც მცირე შეძლების სოციალური ფენები, ქვეყნის პონტოს სამეფოსთან შეერთებით არ უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი. როგორც უკვე აღინიშნა, სტრაბონის ცნობით, კოლხეთის სამეფო ხელისუფლება მყარი არ იყო და ქვეყანა დაყოფილი იყო რამდენიმე ეთნოტერიტორიულ ოლქად, რომლებსაც ადგილობრივი არისტოკრატია განაგებდა. ეს უკანასკნელი, სამეფო ხელისუფლების დასუსტების პირობებში, თავს უკეთესად იგრძნობდა. ამიტომ მისთვის ხელსაყრელი არ იქნებოდა ისეთ ცენტრალიზებულ, დესპოტურ სამეფოსთან შეერთება, როგორიც პონტო იყო.

თუმცა, აღნიშნული სულაც არ ნიშნავს, რომ მიწათმოქმედი არისტოკრატია პონტოს სამეფოს სასტიკი წინააღმდეგი იყო. შესაძლოა, მათი გარკვეული ნაწილი მონაწილეობდა კიდეც სავაჭრო ოპერაციებში და მისთვის პონტოსთან კავშირი ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო. გარკვეული როლი, ალბათ, პირადმა ინტერესებმაც შეასრულა.

ასეა თუ ისე, კოლხეთი მითრიდატემ დაიპყრო და აშკარაა, რომ იგი დიდ წინააღმდეგობას არ წაწყდომია. როგორც ჩანს, პროპონტურმა დაჯგუფებებმა, სამეფო ხელისუფლების დაუძლურებამ, მითრიდატეს დასახული ამოცანის შესრულება შეუმსუბუქეს და ქვეყნის სწრაფი დაპყრობა განაპირობეს.

# 3. კოლხეთი მითრიდატე ევპატორის სამეფოს სისტემაში

მითრიდატე VI-ს მიერ კოლხეთის სამეფოს ანექსია ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში ახალი ეტაპის დასაწყისი იყო. ძვ.წ. II საუკუნის ბოლოს კოლხეთმა, როგორც დამოუკიდებელმა სამეფომ, სახელმწიფოებრიობა დაკარგა და პონტოს სამეფოს დაექვემდებარა.

მითრიდატე VI-მ კოლხეთი თავისი მრავალეროვანი სამფლობელოს სისტემაში ჩართო. სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა პონტოს სამეფოს სისტემაში კოლხეთის სტატუსის შესახებ. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, კოლხეთი პონტოს სამეფოს სატრაპია იყო (Reinach, 1890, გვ. 78; Castagna, 1938, გვ. 113), მეორენი მას ვასალურ ქვეყნად მოიაზრებენ (ჯანაშია, 1949, გვ. 175-176).

ზოგიერთი მკვლევარი კოლხეთის ამ პერიოდის ისტორიაში ორ ეტაპს გამოყოფს: პირველი, როდესაც კოლხეთი იყო პონტოს სატრაპია და მას „მეფის მეგობრები" მართავდნენ. ეს პერიოდი, მათი აზრით, მითრიდატეს მიერ კოლხეთის დაპყრობიდან ძვ.წ. 85-83 წლებამდე გრძელდებოდა; მეორე ეტაპი, როდესაც კოლხეთი ვასალური სახელმწიფო გახდა, რომლის მეფედაც დაინიშნა პონტოს ერთ-ერთი ვაჟიშვილი – მითრიდატე ფილოპატორ-ფილადელფოსი (Лордкипанидзе, 1970, გვ. 22).

ზოგიერთი მკვლევარი კი მითრიდატეს კოლხეთში ბატონობის სამ ეტაპსაც გამოყოფს. მესამე ეტაპად მოიაზრებენ მითრიდატე უმცროსის სიკვდილით დასჯის ფაქტს, როდესაც კოლხეთში აღდგა პირვანდელი მდგომარეობა და მას კვლავ პონტოს მეფისნაცვლები მართავდნენ.

აპიანეს ცნობის მიხედვით, ძვ.წ. 83 წელს კოლხეთში აჯანყებამ იფეთქა. კოლხები მოითხოვდნენ, რომ მითრიდატეს მეფედ თავის ერთ-ერთი შვილი დაენიშნა; მითრიდატემ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა და კოლხეთის მეფე მითრიდატე ფილოპატორ-ფილადელფოსი გახდა. კოლხები დამშვიდდნენ. თუმცა, მითრიდატე დაეჭვდა შვილის ზრახვებში, რომ მას მთელი ძალაუფლების ხელში

ჩაგდება სურდა, თავისთან დაიბარა და მალე იგი სიკვდილითაც დასაჯა (აპიანე, მითრიდატეს ომები, 64). ამრიგად, აპიანეს მიხედვით, კოლხეთს გარკვეული პერიოდის განმავლობაში მეფის სტატუსით მითრიდატეს ერთ-ერთი ვაჟიშვილი მართავდა.

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, პონტოს სამეფოს შემადგენლობაში კოლხეთი ვასალური სახელმწიფო არასოდეს ყოფილა. ის ყოველთვის პონტოს მეფის გამგებლობაში რჩებოდა. ასეთი მოსაზრების სუსტი მხარე ისაა, თუ როდის გულისხმობს აპიანე „βασιλεα"-ში – მეფის ხელისუფლებას და როდის – მეფისნაცვლისას (Шелов, 1980, გვ. 37). ყურადღებას ამახვილებენ ასევე იმ ფაქტზეც, რომ აპიანე იმავე ტერმინით – „βασιλεα" – განსაზღვრავს მითრიდატე VI-ს მეორე შვილის – მახარეს ხელისუფლებას და აღნიშნავენ, რომ ბოსფორის შემორიგების შემდეგ მითრიდატემ „მისცა მათ მეფედ თავის ერთ-ერთი ვაჟიშვილი, მახარე", მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელს მეფის ტიტული არ ჰქონდა.

ამ საკითხის გარკვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, სტრაბონის ერთ ცნობას, რომლის თანახმადაც მითრიდატე ყოველთვის აგზავნიდა კოლხეთის მმართველად თავის ერთ-ერთ მეგობარს (სტრაბონი, XI, 2, 18). საეჭვოა, რომ ეს ფრაზა აღვიქვათ იმ აზრით, თითქოს სტრაბონს მხედველობაში ჰქონდეს კოლხეთში პონტოს ბატონობის მხოლოდ საწყისი პერიოდი. როგორც ჩანს, სტრაბონი, წერდა რა თავის „გეოგრაფიას" ავგუსტუსის დროს ანუ პონტოს სამეფოს დამარცხების შემდეგ, ახასიათებს კოლხეთის პოლიტიკურ სტატუსს მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ის პონტოს სამეფოს სისტემაში იყო ჩართული. სარწმუნოა, რომ, სტრაბონის აზრით, მითრიდატე უმცროსი იყო არა მეფე, არამედ კოლხეთის „მმართველი ან მეფისნაცვალი".

იმ მკვლევრებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ძვ.წ. 85-83 წლებში კოლხეთში დროებით აღდგენილ იქნა მეფის ხელისუფლება, არგუმენტად სპილენძის ანონიმური მონეტები მოჰყავთ. მათი აზრით, ეს მონეტები ძვ.წ. I საუკუნეში მოიჭრა, მაშინ, როდესაც უცხოური მონეტების ცირკულაცია პონტოს სამეფოში შეწყდა და აქ მხოლოდ

საქალაქო სპილენძის მონეტები იჭრებოდა; ეს გარემოება მათ საშუალებას აძლევს, რომ ვანში აღმოჩენილი მონეტები კოლხეთში მოჭრილად ივარაუდონ. მათი მოჭრის თარიღად მითრიდატე უმცროსის მმართველობის პერიოდს უთითებენ და ვარაუდობენ, რომ ეს იყო კოლხეთის მეფის სეპარატისტული განწყობილების ერთ-ერთი გამოვლინება, რასაც იგი ემსხვერპლა (დუნდუა, 1974, გვ. 32-33).

ვანში აღმოჩენილი სპილენძის მონეტების ემისია მითრიდატე უმცროსის დროით რომც განისაზღვროს, ეს მაინც არ გამოდგება მტკიცებულებად, რომ მითრიდატე რეალურად იყო კოლხეთის მეფე და აქ დროებით მეფის ხელისუფლება აღდგენილ იქნა. საქმე ისაა, რომ ეს მონეტები ანონიმურია. ეს კი, ცხადია, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მითრიდატე ფილოპატორი კოლხეთს მამის – პონტოს მეფის – მითრიდატე VI-ის სახელით მართავდა. როგორც ცნობილია, სპილენძის ანონიმური მონეტები პონტოს სამეფოში მითრიდატე VI-მდე პონტოს მეფისნაცვლების მიერ იჭრებოდა.

მითრიდატე VI-მ მეფისნაცვლებს ეს უფლება ჩამოართვა და მონეტათა მოჭრის პრეროგატივა ქალაქებს გადაეცათ. ამავე დროს, ამ მონეტებზე თვით ქალაქის სახელი იყო მითითებული. მითრიდატე უმცროსმა თვითნებურად მიითვისა მონეტათა მოჭრის უფლება, რამაც, სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, მამის უკმაყოფილება გამოიწვია. ნებისმიერ შემთხვევაში, იგი არა როგორც მეფე, არამედ როგორც მეფისნაცვალი ჩანს.

და მაინც, ძალზე გვიმძიმს იმ მოსაზრების გაზიარება, რომ თითქოსდა მითრიდატე კოლხეთის ისეთივე სატრაპი იყო, როგორც მისი წინამორბედი მმართველები, რომლებიც პონტოს მეფის „მეგობართაგან" ინიშნებოდნენ. მოკლე და არცთუ ისე სარწმუნო აპიანეს ცნობა მაინც გვაძლევს რაღაც ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას. აპიანეს ცნობიდან ჩანს, რომ კოლხები იმ მოტივით აჯანყდნენ, რომ კოლხეთის სამეფო ტახტი მითრიდატეს უშუალო შთამომავალს გადასცემოდა. როგორც კი ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა, კოლხები მაშინვე დამშვიდდნენ. ის მოსაზრება, რომ კოლხების უკმაყოფილება გამოწვეული იყო თითქოს პონტოს ადმინისტრაციის რაღაც კონკრეტული ქმედებებით (Шелов, 1980, გვ. 39), არადამაჯერებლად

გვეჩვენება. ცხადია, კოლხების აჯანყების მიზეზი იყო რაღაც უფრო სხვა და მნიშვნელოვანი, შესაძლოა, ქვეყანაში მონარქიული ტრადიციების შენარჩუნება.

ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კოლხეთში განვითარებული მოვლენები „პონტოს წინააღმდეგ კოლხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად“ ჩაითვალოს. ის ფაქტი, რომ კოლხები მოითხოვდნენ მეფედ მითრიდატეს ერთ-ერთი შთამომავალი დანიშნულიყო, უკვე თავისთავად მოწმობს, რომ ისინი იბრძოდნენ არა თავისი დამოუკიდებლობისათვის, არამედ ცდილობდნენ, თუნდაც იმავე პონტოს მეფის ეგიდით ფორმალურად მაინც თავიანთი სამეფო ხელისუფლება აღედგინათ. ნიშანდობლივია, რომ კოლხთა აჯანყება ბოსფორისა და მცირე აზიის რიგი ქალაქების აჯანყებების სინქრონულად მოხდა. ცხადია, რომ კოლხებისთვის ხელსაყრელი მომენტი შეიქმნა, ფორმალური დამოუკიდებლობა მაინც მოეპოვებინათ. მითრიდატე კი, აღმოჩნდა რა ბოსფორის დაკარგვის საშიშროების წინაშე, იძულებული შეიქნა გარკვეულ დათმობაზე წასულიყო.

სხვათა შორის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აქვე შევეხოთ ბოსფორში მიმდინარე პროცესების საკითხსაც. როგორც უკვე აღინიშნა, პონტო-რომის პირველ და მეორე ომს შორის ბოსფორი აჯანყდა. მეორე ომის დამთავრებისას, კოლხების დამშვიდების შემდეგ, მითრიდატემ, აპიანეს სიტყვით, „დაიმორჩილა ბოსფორი და მისცა მათ მეფედ თავის ერთ-ერთი ვაჟიშვილი – მახარე" (აპიანე, მითრიდატეს ომები, 67). როგორც ვხედავთ, აპიანე აქაც მიუთითებს მითრიდატეს შვილის ბოსფორის მეფედ დანიშვნის შესახებ. ზოგიერთი მკვლევრის მტკიცებით, მახარე იყო მეფისნაცვალი ბოსფორში და „უეჭველია, მეფის ტიტული არ ჰქონდა“ (Шелов, 1980, გვ. 58-59). ასეთი მტკიცების საფუძველია ის გარემოება, რომ „ობოლები“ ბოსფორში მახარეს მმართველობის დროს ცირკულირებდა ისევე, როგორც აღნიშნული სპილენძის ანონიმური მონეტები კოლხეთში მითრიდატე უმცროსის მმართველობის დროს (Шелов, 1980, გვ. 38).

თუმცა, მიგვაჩნია, რომ საკითხი არცთუ ისე იოლი გადასაწყვეტია და აპიანეს ცნობის რეალურობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. აპი-

ანე ტერმინში „βασιλευ" მეფის და არა მეფისნაცვლის ან სატრაპის ხელისუფლებას გულისხმობს, მაგრამ, ამ ტერმინს იგი ორივე შემთხვევაში მითრიდატე ევპატორის შვილებთან დაკავშირებით იყენებს. ამასთანავე, ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ აღნიშნული ფრაზის შემდეგ აპიანე წერს: „მეფემ, ირწმუნა რა შვილის ღალატი... სიკვდილით დასაჯა იგი" (აპიანე, მითრიდატეს ომები, 64). აქ საუბარია მეფე მითრიდატე VI-ზე და ის მოხსენიებულია იმავე ტიტულით – „βασιλευs". ძნელი დასაშვებია, რომ ერთ პასაჟში ტერმინი „βασιλευs" ორი განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენებოდეს. ყოველივე ეს გვაძლევს იმ ვარაუდის დაშვების საშუალებას, რომ მითრიდატე უმცროსმა და მახარემ ფორმალურად მეფის ტიტული მიიღეს, რეალურად კი ისინი მამას – მითრიდატე VI-ს ემორჩილებოდნენ. ვიმეორებთ, ორივე შემთხვევაში საუბარია მეფის ვაჟიშვილებზე, როდესაც მეფისნაცვლებად ცალკეულ პროვინციებში უბრალოდ მეფის ღირსეული „მეგობართაგანნი" ინიშნებოდნენ. ისინი υπαρχοs ან διοικητὴs ინოდებოდნენ, ხოლო როდესაც ამ თანამდებობაზე მეფის შვილები ინიშნებოდნენ, „მეფის" ტიტულს ატარებდნენ (βασιλευs). საფიქრებელია, რომ ანალოგიური ვითარება კოლხეთსა და ბოსფორშიც ყოფილიყო, თუმცა, ორივე მეფე, მამამისის, პონტოს მეფის მორჩილნი, სამეფო ხელისუფლების ყველა პრეროგატივას როდი ფლობდა. მათ მონეტების მოჭრის უფლება არ ჰქონდათ. ამ ორი მეფის ბედი სხვადასხვანაირად წარიმართა: მახარე, რომელიც მამის მორჩილი იყო, ძვ.წ. 71-70 წლებამდე ბოსფორის მმართველად დარჩა, მითრიდატე უმცროსი კი სინოპეში გამოიძახეს და სიკვდილით დასაჯეს.

ზოგიერთი მკვლევარი არ ეთანხმება აპიანეს, რომ მითრიდატე უმცროსის დასჯა დაკავშირებული იყო კოლხეთში არსებულ ვითარებასთან და მიაჩნიათ, რომ ეს გამოწვეული იყო უფრო სხვა მიზეზებით, კერძოდ კი, სეპარატისტული ქმედებით, რომლის ერთ-ერთი გამოვლინება ანონიმური სპილენძის მონეტების მოჭრა იყო (დუნდუა, 1974, გვ. 155). ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მითრიდატე უმცროსი მამას არ დაემორჩილა, მასთან არ გამოცხადდა და მით-

რიდატე ევპატორი იძულებული გახდა, სამხედრო აქცია ჩაეტარებინა ურჩი შვილის წინააღმდეგ, რომლის დროსაც ამ უკანასკნელის რეზიდენცია ვანში დანგრეულ იქნა (დუნდუა, ლორთქიფანიძე, 1977, გვ. 199). ამგვარ მოსაზრებას რეალური საფუძველი არ გააჩნია. აპიანე, საუბრობს რა მითრიდატე ევპატორის კოლხებთან ბრძოლის შესახებ, აშკარად გულისხმობს, რომ ეს ბრძოლა მითრიდატე უმცროსის გამეფებამდე შედგა. როდესაც კოლხეთის მეფედ დაინიშნა მითრიდატე VI-ს ვაჟიშვილი, კოლხები დამშვიდდნენ.

ასევე ძნელია იმ მოსაზრების გაზიარებაც, თითქოს მითრიდატე ევპატორის რისხვა შვილის მიერ საკუთარი მონეტების მოჭრას გამოეწვია. ამ დროისათვის ხომ ანონიმური მონეტა მახარეს სახელით ბოსფორშიც იჭრებოდა და ამ ქმედებას რაიმე რეპრესიები მის წინააღმდეგ არ გამოუწვევია. სავარაუდოა, რომ მითრიდატე უმცროსის დაუმორჩილებლობა სხვა სახით გამოიხატა. არც ისაა გამორიცხული, რომ აპიანე მართალი იყო, როდესაც წერდა: მითრიდატე VI-მ ეჭვი აიღო, რომ მისი ვაჟიშვილი კოლხებს პონტოს მეფის წინააღმდეგ აჯანყებისათვის ამხედრებდა. სამეფოში არსებულმა რთულმა საშინაო ვითარებამ აიძულა მითრიდატე VI, კოლხებთან გარკვეულ დათმობაზე წასულიყო და იქ სამეფო ტახტზე თავისი შვილი წარეგზავნა. მაგრამ, მოგვიანებით, როდესაც საშიშროებამ გაიარა და რომთან მეორე ომი წარმატებით დამთავრდა, მან გადაწყვიტა, გასწორებოდა ურჩ შვილს, რომელიც ძალაუფლებისკენ მიისწრაფოდა.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა ფაქტმა: არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ეშერაში, სხვა მონეტებთან ერთად, აღმოჩნდა სპილენძის ანონიმური მონეტების იდენტური ერთი მონეტა, თუმცა ის ვერცხლისაა. უკანასკნელ ხანებში ანალოგიურ მონეტათა აღმოჩენები ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე გახშირდა. წებელდაში დაფიქსირდა სამი ვერცხლის ანონიმური მონეტა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვერცხლისა და ოქროს მონეტების მოჭრა მხოლოდ პონტოს მეფის პრეროგატივა იყო და არა ქალაქების თუ პროვინციების მმართველებისა.

თუმცა, ეს ვერცხლის მონეტები პონტოს მეფის მოჭრილი არ უნდა იყოს. თუ სპილენძის ანონიმური მონეტები მითრიდატე უმ-

ცროსის მიერ იჭრებოდა, მაშინ ეს ვერცხლის მონეტებიც მისი მოჭრილი უნდა იყოს. ვფიქრობთ, ამითაც უნდა გამოხატულიყო მითრიდატე უმცროსის სეპარატისტული ზრახვები. როგორც ჩანს, იგი შეეცადა მამისეული ნორმები დაერღვია და ვერცხლის მონეტების მოჭრა დაეწყო. ის ფაქტი, რომ ვანში არ არის ნაპოვნი ვერცხლის არც ერთი მონეტა და რომ ჯერჯერობით მხოლოდ მათი რამდენიმე ეგზემპლარია ცნობილი, იმის მოწმობაა, რომ ეს ცდა, ალბათ, უშედეგო აღმოჩნდა და იგი მაშინვე სიკვდილით დასაჯეს.

ამრიგად, მითრიდატე უმცროსის კოლხეთში მმართველობა არცთუ ისე ხანგრძლივი აღმოჩნდა, მაგრამ ჩვენ მაინც მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ეტაპის ცალკე გამოყოფა მითრიდატეს ბატონობის დროინდელ კოლხეთის ისტორიაში. მართალია, მითრიდატე უმცროსის მმართველობის დროს კოლხეთში სამეფო ხელისუფლება არ აღდგენილა, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კოლხეთში ამ დროს არაფერი შეცვლილა და მხოლოდ ერთი მმართველი მეორეთი შეიცვალა. აშკარაა, რომ მითრიდატე უმცროსი ისეთივე მმართველი არ იყო, როგორც მისი წინამორბედები, რომლებიც მეფის „მეგობართა" წრიდან ინიშნებოდნენ. იგი, თუმცა ფორმალურად, მაგრამ მაინც მეფის ტიტულს ატარებდა და კოლხეთის პოლიტიკური სტატუსი მის დროს რამდენადმე განსხვავებული იყო. თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, კონკრეტულად რაში მდგომარეობდა ეს ცვლილებები. რა თქმა უნდა, კოლხეთი ამ დროსაც პონტოს სამეფოს შემადგენლობაში რჩებოდა.

შემთხვევითად არ მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ აპიანე მითრიდატე უმცროსის კოლხეთში გამეფებას და კოლხების აჯანყებას ერთმანეთთან აკავშირებს; საეჭვოა, მართებული იყოს ის დებულებაც, რომ თითქოს კოლხეთმა ერთგულება მითრიდატესადმი ბოლომდე შეინარჩუნა (Шелов, 1980, გვ. 39); ეს საკმაოდ რთული საკითხია და მისი გადაწყვეტა ერთობ ძნელია. აღსანიშნავია, რომ კოლხების აჯანყების ფაქტი, რომლის ჩახშობაც მითრიდატე VI-ს იარაღის ძალით მოუხდა, იმის მოწმობაა, რომ კოლხეთში ანტიპონტოური ძალები იყვნენ. თავიდანვე იყო თუ არა მათთან დაკავშირებული მითრიდატე უმცროსი, ძნელი სათქმელია. მაგრამ, აილო თუ არა ძალა-

უფლება ხელში, მათ მაშინვე დაუკავშირდა და მისი სეპარატისტული ზრახვებისთვის შეიძლება მასტიმულირებელი ყოფილიყო ეს ანტიპონტოური ძალები, რომლებიც მისი დახმარებით ცდილობდნენ თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას. მაშასადამე, ჩვენ არ გამოვრიცხავთ კოლხეთში ისეთი საზოგადოებრივი დაჯგუფებების არსებობას, რომლებიც, შესაძლებელია არცთუ ისე ძლიერად, მალულად, მაგრამ მაინც ცდილობდნენ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

მითრიდატე VI-ის დროის კოლხეთში არსებული პოლიტიკური ვითარების განხილვისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია, კოლხეთის მმართველის, კერძოდ, მითრიდატე უმცროსის რეზიდენციის საკითხზეც შევჩერდეთ. ზოგიერთ მკვლევართა აზრით, მითრიდატე უმცროსის რეზიდენცია ვანში უნდა ყოფილიყო, რომელიც პირველად მითრიდატე VI-ს მიერ იქნა დანგრეული, როდესაც მან სამხედრო ძალის გამოყენებით აჯანყებული შვილი დაიმორჩილა (დუნდუა, 1974, გვ. 157). ვანში აღმოჩენილი ძვ.წ. I საუკუნის სამხედრო ხასიათის ნაგებობები (ყაზარმები, საომარი საწყობები და ა.შ.) შესაძლოა მოწმობდეს კიდეც, რომ ვანი იყო მითრიდატე VI-ს ერთ-ერთ ძირითადი საყრდენი პუნქტი კოლხეთში და, სავსებით შესაძლებელია, აქ პონტოს სამხედრო შენაერთები მდგარიყვნენ. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ვანი მითრიდატე ევპატორის ვაჟიშვილის რეზიდენცია იყო. მართალია, ასეთი დაშვების არგუმენტად მკვლევრებს მოჰყავთ ის ფაქტი, რომ აღნიშნული ანონიმური მონეტები მხოლოდ ვანშია აღმოჩენილი. მაგრამ, ჯერ ერთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზუსტად ასეთივე, ოღონდ ვერცხლის მონეტები დაფიქსირებულია ეშერასა და ნებელდაში. გარდა ამისა, მონეტების აღმოჩენა ამა თუ იმ ადგილას არ არის უტყუარი დადასტურება იმისა, რომ ეს მონეტები სწორედ იმ ადგილზეა მოჭრილი, სადაც ისინი აღმოჩნდნენ.

მართალია, სპეციალისტებს მოჰყავთ კიდევ ერთი არგუმენტი იმის საილუსტრაციოდ, რომ ვანი მითრიდატე VI-სა და მის ურჩ შვილს შორის კოლიზიების დროს დაინგრა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ომი კოლხებთან მითრიდატე VI-მ ჯერ კიდევ მითრიდატე უმ-

ცროსის გამეფებამდე გამართა. მკვლევრებს არც ვანის ნაქალაქარის ნახანძრალ ფენაში, ძვ.წ. 84 წლით დათარიღებული არიობარზანეს ორი დრაქმის აღმოჩენაც რაიმე მტკიცების საფუძველს არ აძლევს, რადგან აღნიშნული დრაქმები შესაძლოა ნახანძრალ ფენაში მოგვიანებით მოხვედრილიყო.

ერთი სიტყვით, მოსაზრება ვანში პონტოს გარნიზონის არსებობის შესახებ სარწმუნოდ გვეჩვენება, მაგრამ ვერ გავიზიარებთ იმ ჰიპოთეზას, რომ ეს ქალაქი მითრიდატე ევპატორის რეზიდენცია იყო. ჩვენი აზრით, პონტოს მეფის რეზიდენცია დიოსკურია უნდა ყოფილიყო, რომელიც კოლხეთში თავიდანვე პონტოს ხელისუფლების მთავარ საყრდენ პუნქტს წარმოადგენდა. რაც შეეხება ვანის დანგრევას, ქალაქი არაერთხელ იქნა დანგრეული. პირველი ნგრევა ძვ.წ. II საუკუნეში მითრიდატე VI-ს მიერ კოლხეთის ანექსიის დროს მოხდა. მიუხედავად ამისა, მითრიდატეს ლაშქრობას განსაკუთრებული ზიანი ვანისთვის არ მიუყენებია. ქალაქის დანგრეული ცალკეული უბნები მაშინვე აღდგა, მეტიც – ძვ.წ. II-I საუკუნეების მიჯნაზე ვანში ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობდა. თუმცა, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ძვ.წ. I საუკუნის შუა წლებში, დროის მცირე მონაკვეთში, ქალაქი ორჯერ ჩანს დანგრეული – პირველად ფარნაკე II-ის (დაახლოებით ძვ.წ. 49 წელს), ხოლო შემდეგ – მითრიდატე პერგამონელის (ძვ.წ. 47 წ.) მიერ. ამ ორჯერადი ნგრევის კვალი არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება. პირველი თავდასხმის დროს დანგრეულ იქნა ქალაქის კარიბჭე და ტაძარი მოზაიკური იატაკით, აგრეთვე საფეხურიანი საკურთხეველი. ყველგან ჩანს ძლიერი ხანძრის კვალი: დამწვარი კრამიტები და დანახშირებული ხის ძელები. შემდგომში ცხოვრება ცენტრალურ ტერასაზე გრძელდებოდა, მაგრამ, სულ მალე ქალაქი კვლავ გამანადგურებელი თავდასხმის და ნგრევის მსხვერპლი გახდა, რის შედეგადაც მან არსებობა შეწყვიტა. აღსანიშნავია, რომ ფარნაკე II-ის და მითრიდატე პერგამონელის ლაშქრობების პერიოდშია დანგრეული პონტოს ხელისუფლების მეორე პუნქტი კოლხეთში – ეშერა.

ამრიგად, ძვ.წ. 85-83 წლებში კოლხეთის სტატუსი დროის მცირე მონაკვეთში შეიცვალა და ის მეფის „მეგობართა წრიდან"

მართული პროვინციიდან ფორმალურად ვასალურ სახელმწიფოდ გადაიქცა.

რა ხდება აქ მითრიდატე უმცროსის გაწვევის და დასჯის შემდეგ, ზუსტად არ არის ცნობილი. ლოგიკური იქნებოდა გვევარაუდა, რომ კოლხეთში, შესაძლოა, წინანდელი ვითარება აღდგენილიყო, ე.ი. ის კვლავ სატრაპია გახდა, რომელიც პონტოს მეფისნაცვლის მიერ იმართებოდა.

თუმცა, მემნონთან დაცულია ერთი ცნობა, რომელიც ზოგიერთ მკვლევარს განსხვავებული მოსაზრებისკენ უბიძგებს. კერძოდ, მემნონი წერს, რომ ძვ.წ. 70 წელს, როდესაც ლუკულუსის ჯარებმა ალყა შემოარტყეს სინოპეს, მითრიდატეს ვაჟმა მახარემ, რომელიც იმ დროისათვის კოლხეთში იმყოფებოდა და ალყაშემორტყმულ სინოპელთათვის პროვიანტს ამზადებდა, უღალატა მამას, გაგზავნა ელჩი ლუკულუსთან მეგობრობის და კავშირის წინადადებით, ხოლო შემდეგ – სინოპესათვის მომზადებული პროვიანტი ლუკულუსს გაუგზავნა (მემნონი, 53-54). ამ ცნობის საფუძველზე, თ. რეინაკი ვარაუდობს, რომ ამ მოვლენამდე არც ისე დიდი ხნით ადრე, დაახლოებით ძვ.წ. 71 წელს, მახარემ კოლხეთი დაიპყრო (Reinach, 1890, გვ. 355). ამავე აზრს ენ. მინზიც ეთანხმება, თუმცა მცირე განსხვავებით: მას მიაჩნია, რომ მახარემ კოლხეთი მანამდე ჩაიგდო ხელში, სანამ მამას უღალატებდა და ის თავის სამფლობელოს მიუერთა (Minns, 1913, გვ. 587). თუმცა, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მახარე კოლხეთში სინოპელებისათვის გასაგზავნი პროვიანტისთვის ჩავიდა (Инадзе, 1958, გვ. 234; Лордкипанидзе, 1970, გვ. 94).

ზოგიერთ მკვლევარს სარწმუნოდ მიაჩნია, რომ მახარემ, რაღაც გარემოებების წყალობით, კოლხეთის მართვის უფლება მოიპოვა და ქვეყანას განაგებდა, უკიდურეს შემთხვევაში, იმ პერიოდისთვის მაინც, რომელსაც მემნონის ცნობები ეკუთვნის. მათ უსაფუძვლოდ მიაჩნიათ ის მოსაზრებაც, რომ ჩრდილოეთ შავისლვისპირეთის მმართველი, საკუთარი სამფლობელოს საზღვრებიდან გადასულიყო სხვა მეფისნაცვლის კუთვნილ კოლხეთში, რათა მას პროვიანტით სინოპელთა მომარაგება უზრუნველეყო.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით კი ბოსფორი და კოლხეთი, გარკვეული დროით, მახარეს მფლობელობაში გაერთიანდნენ. მართლაც, ის ფაქტი, რომ მახარე ლუკულუსს ოქროს გვირგვინს უგზავნის და მასთან „მეგობრულ კავშირს" ამყარებს, იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ მახარე ამ შემთხვევაში მოქმედებდა არა როგორც კერძო პირი, არამედ როგორც ქვეყნის მმართველი. ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას ასევე სინოპეს დაცვის მეთაურების – კლეოხარესა და სელევკოსის ქმედებაც, რომლებმაც მახარეს ღალატამდე ცოტა ხნით ადრე მახარესთან კოლხეთში ხომალდები გააგზავნეს. თუ მახარე კოლხეთში დროებით და შემთხვევით იმყოფებოდა, საეჭვოა, რომ მათ ასეთი ქმედება ჩაედინათ.

ასე რომ, ბოსფორი და კოლხეთი, დროის გარკვეულ მონაკვეთში ერთიან ადმინისტრაციულ ერთეულს შეადგენდა და მას მახარე განაგებდა. როდის შედგა ეს გაერთიანება და როდემდე გაგრძელდა ის, ჩვენთვის უცნობია.

ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებით კი ძალაუფლება კოლხეთის სამეფოზე მახარეს მას შემდეგ გადაეცა, რაც მითრიდატე უმცროსი სიკვდილით დასაჯეს. რამდენადაც ბოსფორის მართვის უფლება მახარეს ძვ.წ. 80 წელს გადაეცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბოსფორისა და კოლხეთის გაერთიანება ძვ.წ. 70-იანი წლების დასაწყისში უნდა მომხდარიყო. იმ ფაქტს, რომ ძვ.წ. 70 წელს მახარე კოლხეთს მართავდა, როგორც აღინიშნა, მემნონის ცნობები ადასტურებს. თუ როდემდე გაგრძელდა მისი მმართველობა, ძნელი დასადგენია.

როგორც ცნობილია, ლუკულუსისგან დამარცხებული მითრიდატე ევპატორი არმენიაში გაიქცა და ტიგრან II-სთან ერთად რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებდა. ძვ.წ. 69 წელს გაერთიანებულმა ძალებმა ტიგრანაკერტთან სერიოზული მარცხი განიცადეს. ამ დროისათვის რომაელებს დაემორჩილა პონტოს ზღვისპირა ქალაქები: ძვ.წ. 71 წელს დაეცა ამისო, 70 წლის ზაფხულში რომაელებმა ირაკლიონი და სინოპე დაიკავეს, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე – ამასია. მთელი ამ დროის განმავლობაში, ისე რომ მამა არ განერისხებინა, მახარეს შეეძლო კოლხეთში დარჩენილიყო. ძვ.წ. 69

წლის შემოდგომაზე, ზამთრის მოახლოების გამო, ლუკულუსი იძულებული გახდა, არმენიის ცენტრალური რეგიონი დაეტოვებინა და უკან, სამხრეთით, მესოპოტამიისკენ დაეხია. შემდგომში, ლუკულუსი, ფაქტობრივად, უმოქმედოდ იყო, რითაც მითრიდატე VI-მ და ტიგრან II-მ ისარგებლეს და თავიანთი ხელისუფლება რომაელთა მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე აღადგინეს. მითრიდატე VI-მ პონტოს სამეფოს მთელი ტერიტორია აღადგინა.

ამ დროისათვის მამის მოღალატე მახარეს დასჯის რეალური საფრთხეც დაემუქრა. მითრიდატე VI-ს, აღიდგინა რა საკუთარი უფლებები პონტოს სამეფოზე, რა თქმა უნდა, არ შეეძლო მოღალატე შვილის კოლხეთში დატოვება და მახარეს მამის რისხვისაგან თავი უნდა დაეცვა. სავარაუდოა, ამ დროისათვის მახარემ კოლხეთის სამეფო დატოვა და თავი ბოსფორს შეაფარა. აქ მას მამის მსახვრალი ხელი ვერ მისწვდებოდა. ყოველ შემთხვევაში, როდესაც ძვ.წ. 66 წელს პომპეუსის მიერ დამარცხებული მითრიდატე გაიქცა ჯერ კოლხეთში, ხოლო შემდეგ ბოსფორში, აქ მყოფმა მახარემ სიცოცხლე ან თვითმკვლელობით დაასრულა (აპიანე, მითრიდატეს ომები, 102), ან მეფის ბრძანებით მოკლეს (დონ კასიუსი, XXXVI, 50, 1-2).

ჩვენთვის უცნობია, თუ ვინ გახდა კოლხეთის მმართველი მახარეს გარდაცვალების შემდეგ. სტრაბონი გადმოგვცემს, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში კოლხეთის მმართველი მისი დედის ბიძა მამის მხრიდან – მოაფერნე იყო (სტრაბონი, XI, 2, 18). მკვლევართა ვარაუდით, მოაფერნე ქვეყანას მითრიდატე უმცროსის გარდაცვალების შემდეგ მართავდა (Reinach, 1890, გვ. 301). თუმცა, სტრაბონის ერთი ცნობა საპირისპიროს მეტყველებს: „დორილაოსის შემდეგ მითრიდატეს ნათესავები დედის მხრიდან დიდი ხნის განმავლობაში შერცხვენილ, დამცირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და მოაფერნემ საპატიო მდგომარეობას საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ მიაღწია, მაშინ, როდესაც სამეფოს დაცემა უკვე მოახლოებული იყო და მან და მისმა ნათესავებმა მეფის ხვედრი გაიზიარეს. როგორც ჩანს, მოაფერნე კოლხეთის მმართველი გაცილებით გვიან უნდა ყოფილიყო, რადგანაც დორილაოსს მეფის რისხვა პირველი მითრიდატული ომის შემდეგ დაატყდა" (სტრაბონი, XII, 3, 33).

ამ ომის დასასრულს იგი არხელაოსთან ერთად საბერძნეთში მითრიდატე VI-ს არმიას მეთაურობდა.

როგორც აღინიშნა, კონფლიქტი მითრიდატე ევპატორსა და კოლხებს შორის უკვე პირველი მითრიდატული ომის დასრულებისთანავე გაჩაღდა. ამიტომ, გამორიცხულია, რომ მოაფერნე ამ დროს კოლხეთის მმართველი გამხდარიყო, მით უმეტეს, მშვიდობა მასსა და პონტოს მეფეს შორის არცთუ ისე დიდი ხნის წინ დამყარდა. სტრაბონი ხომ პირდაპირ წერს: „დიდი ხნის შემდეგ მოაფერნემ კვლავ მიაღწია საპატიო მდგომარეობას". ამ ცნობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მოაფერნე კოლხეთის მმართველი პონტოს სამეფოს არსებობის უკანასკნელ წლებში უნდა ყოფილიყო; ხოლო სტრაბონის ის ცნობა, რომ „მოაფერნემ მეფის ხვედრი გაიზიარა", ალბათ, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მაშინ, როდესაც მითრიდატე კოლხეთის გავლით ბოსფორში გაიქცა, მოაფერნე მას კვალდაკვალ მიჰყვა და, ალბათ, გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა.

ამრიგად, მითრიდატე VI-ს ბატონობის პერიოდში კოლხეთის ისტორიაში შეიძლება შემდეგი ეტაპები გამოიყოს:

1. კოლხეთის ანექსიიდან (ძვ.წ. 105-90წწ.) მითრიდატე ფილოპატორ-ფილადელფოსის გამეფებამდე (ძვ.წ. 85-სა და 83 წლებს შორის). ამ ეტაპზე კოლხეთს მეფის „მეგობართა" წრიდან მითრიდატეს ნაცვლები მართავდნენ.

2. ძვ.წ. 85-83 წლებიდან დაახლოებით 80 წლამდე, როდესაც კოლხეთს, მეფის ტიტულის ფორმალურად მატარებელი, მაგრამ მამის – პონტოს მეფის – მორჩილი მითრიდატე უმცროსი განაგებდა.

3. კოლხეთიდან მითრიდატე უმცროსის გაწვევის შემდეგ, როდესაც კოლხეთი ბოსფორს შეუერთდა და მას ბოსფორის „მეფე" (რეალურად – მეფისნაცვალი) მახარე განაგებს. ეს ეტაპი, სავარაუდოდ, ძვ.წ. 68-67 წლებამდე გრძელდებოდა, როდესაც მახარე იძულებული გახდა ბოსფორში გაქცეულიყო.

4. მახარეს გაქცევის შემდგომი ეტაპი, როდესაც კოლხეთში აღდგა პირვანდელი მდგომარეობა და მის მმართველებად კვლავ მითრიდატეს „მეგობრები" ინიშნებიან. ამჯერად ასეთ მმართველად წარმოგვიდგება მოაფერნე, რომელიც ამ მოვალეობას საკმაოდ მცი-

რე ხნით ასრულებდა: იგი ბოსფორში მითრიდატესთან ერთად გარბის. სავარაუდოა, რომ როდესაც პომპეუსი კოლხეთში გამოჩნდა, მოაფერნე და პონტოს ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლები, მით უმეტეს, პონტოელთა ჯარები, კოლხეთში უკვე აღარ იყვნენ, ვინაიდან პომპეუსი კოლხეთში არავითარ წინააღმდეგობას არ წაწყდომია. შესაძლოა, ამითაც იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ პომპეუსს აქ თავისი შენაერთები არ დაუტოვებია და ქვეყანაში არც რაიმე რეორგანიზაცია გაუტარებია. როგორც აპიანე გვაცნობებს, პომპეუსმა მალე კოლხეთი დატოვა და მის მმართველად ვინმე არისტარქე დანიშნა. არისტარქეს მმართველობა კოლხეთში არცთუ ისე ხანგრძლივი აღმოჩნდა. ძვ.წ. 49 წლიდან კოლხეთი ფარნაკე II-ის მმართველობას დაემორჩილა, თუმცა მანაც ქვეყნის ხანგრძლივი დროით მართვა ვერ შეძლო. ძვ.წ. 47 წელს ფარნაკე II-მ გაიუს იულიუს ცეზართან ბრძოლაში მარცხი განიცადა და მისი ყველა სამფლობელო, მათ შორის კოლხეთიც, ბოსფორის მეფის – მითრიდატე პერგამონელის ხელში გადავიდა. მისი მმართველობაც კოლხეთში ასევე ხანმოკლე აღმოჩნდა. იმავე – ძვ.წ. 47 წელს იგი ასანდრესთან ბრძოლაში დაიღუპა. თუ ვინ მართავდა კოლხეთს მითრიდატე პერგამონელის შემდეგ, წერილობითი წყაროები დუმს. მოგვიანებით, კოლხეთი კვლავ პონტოს, ამჯერად პოლემონიდების პონტოს სამეფოს პროვინცია ხდება.

## 4. პოლემონიდების სამეფო და კოლხეთი

პოლემონიდების ეპოქის კოლხეთისა და პონტოს სამეფოს ურთიერთობის ისტორია, პირველწყაროების სიმცირის გამო, შედარებით არასაკმარისადაა შესწავლილი, ვიდრე ამ ორი ქვეყნის კონტაქტები მითრიდატე ევპატორის პერიოდში.

ძვ.წ. 65 წელს, პომპეუსის ლეგიონერების გამანადგურებელი დარტყმის შედეგად, პონტოს სამეფომ, ფაქტობრივად, შეწყვიტა არსებობა. პომპეუსმა იგი ცალკეულ ნაწილებად დააქუცმაცა: პონ-

ტოს სამეფოს დასავლეთი რეგიონები და ბითვინია პონტო-ბითვინიის პროვინციაში გააერთიანა, ხოლო მითრიდატეს სამფლობელოს აღმოსავლეთი რეგიონები, რომაელთა ქვეშევრდომ „დინასტებს" გაუნაწილა.

პომპეუსისეული მმართველობის ამ სისტემამ პონტოში დიდხანს ვერ იარსება. მალე, ძვ.წ. 41 წელს, აღნიშნული სისტემა მარკუს ანტონიუსმა, გარკვეული პოლიტიკური მიზეზებით, გაუქმებულად გამოაცხადა და აზიის ზოგიერთ გაუქმებულ სამეფოსთან ერთად პონტოს სამეფოც აღადგინა. რესტავრირებული პონტოს სამეფოს მეფედ ანტონიუსმა დანიშნა კილიკიის ყოფილი მმართველი პოლემონი (დონ კასიუსი, XLIX, 25), რომელსაც რომაელებმა სულ მალე კოლხეთიც დაუქვემდებარეს: ჩვენთვის უცნობია, თუ როდის უნდა შესულიყო კოლხეთი პოლემონის პონტოს სამეფოს შემადგენლობაში. ანტიკური ავტორები – პლუტარქე, დიონ კასიუსი, აპიანე და სხვა ამაზე არაფერს ამბობენ, ხოლო ძველი ბერძენი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი სტრაბონი, რომელთანაც ერთადერთი ცნობაა დაცული ამ დროის კოლხეთ-პონტოს ურთიერთობაზე, შენიშნავს: „უკანასკნელად პოლემონს ჰქონდა კოლხიდა" (სტრაბონი, XI, 2, 18). ამიტომაც, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას, მკვლევრები მაშინდელი პოლიტიკური სიტუაციიდან გამოდიან. მათი აზრით, „კოლხეთი პონტოს სამეფოს სისტემაში უნდა შესულიყო არა ანტონიუსის დროს, არამედ ოქტივიანე ავგუსტუსის მმართველობის პერიოდში, ვინაიდან აღმოსავლეთში ანტონიუსის მერყევი მდგომარეობისა და პართიასთან მუდმივი ომის პირობებში, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა კოლხეთის პონტოსთან შეერთებისა. სხვა მხრივ, ამგვარი ღონისძიება სწორედ ოქტავიანე ავგუსტუსის აღმოსავლურ პოლიტიკას შეესაბამებოდა" (Инадзе, 1968, გვ. 240).

მართალია, ეს ღონისძიება სინამდვილეში ოქტავიანე ავგუსტუსის აღმოსავლურ პოლიტიკას ეთანხმებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ანტონიუსის მდგომარეობა აღმოსავლეთში ამ დროს არცთუ ისე მერყევი იყო. ანტონიუსი დაუბრკოლებლად განაგებდა აზიის საქმეებს, საკუთარი შეხედულებისამებრ ცვლიდა მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ რუკას. ყოველი ეს ღონისძიება აღმოსავ-

ლეთის საზღვრების გამაგრების მიზნით ტარდებოდა. ამ აქციების გატარება ანტონიუსისათვის რეალური თუ იყო, მაშინ მას ხელი არ უნდა შეშლოდა კოლხეთის საკითხის გადაწყვეტაში. საეჭვოა, რომ მას უყურადღებოდ დაეტოვებინა კოლხეთი, რომელიც მითრიდატე პერგამონელის დაღუპვის შემდეგ მმართველის გარეშე დარჩა, რაც უცილობლად ქვეყნის დაკარგვის საფრთხეს ქმნიდა. ანტონიუსი „უპატრონოდ" არ დატოვებდა ქვეყანას იმიტომაც, რომ იბერიაში ფეხის მომაგრება შეუძლებელი იყო კოლხეთში რომის ზეგავლენის სრული ბატონობის გარეშე. საეჭვოა, რომ კოლხეთის პოლემონისათვის გადაცემა ამ უკანასკნელის ტახტზე ასვლისთანავე მომხდარიყო, ვინაიდან პოლემონის მეფედ კურთხევისთანავე დაიწყო ხანგრძლივი ომი პართებთან, რომელიც ძვ. წ. 35 წლამდე გაგრძელდა. ამიტომაც ამ დროს ანტონიუსს არ ჰქონდა შესაძლებლობა კოლხეთის საკითხი გადაეწყვიტა. „კოლხეთის საკითხის" გადაჭრაში ანტონიუსისათვის ხელი უნდა შეეშალა, აგრეთვე, იმ გარემოებასაც, რომ ძვ.წ-ის 36 წელს რომი-პართიის ომში რომაელების მხარეზე მებრძოლი პოლემონი ანტონიუსის ტაქტიკური შეცდომის გამო ტყვედ ჩავარდა (პლუტარქე, ანტონიუსი, 38) და იგი თითქმის ერთი წლით პართელთა მოკავშირე მიდიელთა ტყვეობაში იმყოფებოდა. ცხადია, პოლემონის გარეშე ანტონიუსი არ შეეცდებოდა „კოლხეთის საკითხის" მოგვარებას. ამიტომაც, უფრო სავარაუდოა, რომ კოლხეთის პონტოსთან შეერთება ძვ.წ. 35 თუ 34 წელს მომხდარიყო, რადგანაც, როგორც ცნობილია, ძვ.წ. 35 წელს პოლემონი განთავისუფლდა ტყვეობიდან, ხოლო ანტონიუსის მდგომარეობაც აღმოსავლეთში სასიკეთოდ შეიცვალა.

ძვ.წ. 25 წელს დამთავრდა ომი პართიასთან. ძვ.წ. 34 წლის გაზაფხულზე ანტონიუსმა წარმატებით ილაშქრა არმენიაში. შემდგომ ანტონიუსმა სასტიკად დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგე – სექსტუს პომპეუსი, რის შემდეგაც მან უკვე „მოიცალა" აღმოსავლეთისათვის. მომდევნო ძვ.წ. 34 წელს იგი შეუდგა აზიის საქმეების მოგვარებას: მან სიკვდილით დასაჯა კაპადოკიის მეფე არიარატე, ხოლო მისი სამეფო არქელაოსს გადასცა. ანტონიუსისა და კლეოპატრას შვილი – ალექსანდრე ჰელიოსი არმენიის, მიდიისა და პართიის

მეფედ აკურთხა, ხოლო ანტონიუსის უმცროსი შვილი ფინიკიის, სირიისა და კილიკიის მეფე გახდა. პონტოს საჭეთმპყრობელი პოლემონი კი ანტონიუსმა მცირე არმენიის მეფედაც გამოაცხადა. გამორიცხული არ არის, რომ კოლხეთიც ამ დროს გადაეცა ანტონიუსს საგამგებლოდ პოლემონისათვის. ასეა თუ ისე, ერთი კი ცხადია: ანტონიუსის მმართველობის დროიდან კოლხეთ-პონტოს ურთიერთობის ისტორიაში ახალი, რიგით III პერიოდი იწყება, რომელიც თითქმის მეოთხედი საუკუნე გაგრძელდა და საბოლოოდ კოლხეთისთვის მძიმე შედეგით დამთავრდა.

სამწუხაროდ, ჩვენ არავითარი ხელშესახები მასალა არ მოგვეპოვება ამ აქციისადმი კოლხთა რეაგირებაზე. მაგრამ კოლხეთის იმდროინდელი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე შესაძლებელია ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა. ცნობილია, რომ კოლხეთში ცენტრალური ხელისუფლება დიდი ხანია უკვე არ არსებობდა (სტრაბონი, XI, 2, 18) და ქვეყანა ცალკეულ ნაწილებად იყო დაქუცმაცებული. საეჭვოა, რომ ასეთ ვითარებაში კოლხებს პოლემონისათვის რაიმე წინააღმდეგობა გაეწიათ. კოლხებს პონტოელებისთვის წინააღმდეგობა რომ გაეწიათ, ეს, ბოსფორის მსგავსად, წერილობით და არქეოლოგიურ მასალებში უთუოდ აისახებოდა.

ძვ.წ. 31 წელს, აქციუმთან ბრძოლაში ანტონიუსის დამარცხების შემდეგ, აღმოსავლეთის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი ოქტავიანე ავგუსტუსი გახდა. ახალგაზრდა იმპერიის სამხედრო პოტენციალის ამოწურვის გამო, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა შეეცვალა. ამიტომ ოქტავიანე ავგუსტუსი იძულებული ხდება დაკმაყოფილდეს აღმოსავლეთის საზღვრებზე ანტონიუსის მიერ შექმნილი, ფორმალურად რომზე დამოკიდებული ბუფერული სამეფოების სისტემით, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი პონტოს სამეფოს ეკავა.

რომაელებმა პონტოს სამეფოს ტახტზე ისევ დატოვეს პოლემონ I, რომელიც აქციუმის ბრძოლის შემდეგ ავგუსტუსის მხარეს გადავიდა, თანაც ეს ისე დიპლომატიურად გააკეთა, რომ ანტონიუსისგან ბოძებული ყველა სამფლობელო და მათ შორის კოლხეთიც

შეინარჩუნა. მაგრამ, საეჭვოა, რომ პონტოს სამეფოს შემადგენლობაში კოლხეთის დარჩენა მხოლოდ პოლემონის „დიპლომატიურ ნიჭს" მიეწეროს, ან თუნდაც ეს აქტი მას რომისაგან დამოუკიდებლად განეხორციელებინოს. მართალია, პოლემონი მხოლოდ ფორმალურად იყო დამოკიდებული რომაელებზე და ამასთანავე იგი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს მეფეს წარმოადგენდა, რასაც რომი გარკვეულ ანგარიშსაც კი უწევდა, მაგრამ რომის სანქციის გარეშე, მას დამოუკიდებელი მოქმედების საშუალება არ ჰქონდა. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ პოლემონის მიერ ოქტავიანე ავგუსტუსისადმი მიძღვნილ წარწერებში იგი მას ღმერთს უწოდებდა და თავის სამეფო ტიტულსაც კი არ იხსენიებდა.

როგორც აღინიშნა, ავგუსტუსის ეპოქისათვის რომის სამხედრო რესურსები თითქმის ამოწურული იყო. აღმოსავლეთში მას მხოლოდ ოთხი ლეგიონი ჰყავდა დისლოცირებული (ტაციტუსი, IV, 5); ცხადია, ამ ძალებით იგი ვერ შეძლებდა მახლობელ აღმოსავლეთში არა მარტო დაპყრობითი ომები ეწარმოებინა, არამედ ისეთი პატარა ქვეყანა დაეცვა, როგორიც კოლხეთი იყო, მით უმეტეს, როცა კოლხეთის მოსახლეობაში არ არსებობდა ისეთი ფენები, რომლებიც შეიძლებოდა რომისთვის საკმარისი დასაყრდენი ყოფილიყო. ცხადია, ყოველივე ეს ხელს უშლიდა კოლხეთის რომის პროვინციად გადაქცევას და ამიტომაც რომი იძულებული გახდა კოლხეთის „პატრონობა" დაეკისრებინა პოლემონ I-სათვის, რომელსაც ამასთანავე ბოსფორის დამორჩილებაც დაევალა. რომაელების დახმარებით პოლემონმა ეს ამოცანაც წარმატებით გადაჭრა. იგი ძვ.წ. 14 წელს ბოსფორის მეფედ ეკურთხა, მაგრამ პოლემონის მეფობა ბოსფორში ხანგრძლივი არ აღმოჩნდა, ვინაიდან ძვ.წ. 8 წელს ასპურგიანებთან ბრძოლაში დაიღუპა (სტრაბონი, XII, 3, 29).

პოლემონის შემდეგ პონტოს სამეფოს მმართველი გახდა მისი მეუღლე პითოდორისი, რომელიც „ჭკვიანი ქალი იყო და შემძლე საქმეთა გამგებლობისა" (სტრაბონი, XII, 3, 29), მაგრამ პითოდორისმა ვერ შეძლო პოლემონისეული სამფლობელოების მთლიანად შენარჩუნება. ბოსფორის ადგილობრივ ტომებთან ურთიერთობის გამწვავების თავიდან აცილების მიზნით, რომმა ამჯობინა ბოსფორის

მეფედ ასანდროხი დაენიშნა, ხოლო პითოდორისს მეუღლისეული სამფლობელოები გადაეცა. სტრაბონის ცნობით, აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთიც აგრეთვე მის გამგებლობაში რჩებოდა. „უკანასკნელად პოლემონს ჰქონდა კოლხიდა, ხოლო როდესაც ის გარდაიცვალა, მისი მეუღლე პითოდორისი ფლობდა, მეფობდა კოლხებზე, ტრაპეზუნტზე, ფარნაკიაზე და ზემოთ მცხოვრებ ბარბაროსებზე" (სტრაბონი, XI, 2, 18). პითოდორისი მიღწეულს არ დასჯერებია. მალე თავისი მეორე მეუღლის – არქელაოსის მფლობელობაში მყოფი აზიის ზოგიერთი ქვეყანა პონტოს სამეფოს დაუქვემდებარა (სტრაბონი, XII, 3, 29-31), რითაც მან საკმაოდ გაზარდა თავისი სამფლობელოების საზღვრები მცირე აზიაში. როგორც ჩანს, ამ აქციისთვის ავგუსტუსს მისთვის ხელი არ შეუშლია. პირიქით, რომი ხელს უწყობდა პონტოს გაძლიერებას, ვინაიდან ეს იმ დროისათვის სრულიად შეესაბამებოდა რომის პოლიტიკას, რომლის მიზანს აღმოსავლეთის საზღვრების უსაფრთხოება წარმოადგენდა, მაგრამ ამგვარი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ავგუსტუსის გარდაცვალების შემდეგ, ტიბერიუსის მმართველობის პერიოდში რომის აღმოსავლურმა პოლიტიკამ ტრანსფორმაცია განიცადა. ტიბერიუსმა უარყო ავგუსტუსისეული პოლიტიკა აღმოსავლეთში და ე.წ. ბუფერული სახელმწიფოების ლიკვიდაციის გზას დაადგა. მან კაპადოკიის, კილიკიისა და კომაგენის სამეფოები გააუქმა და ისინი ინკორპორირებულად გამოაცხადა რომის იმპერიის შემადგენლობაში, როგორც პროვინცია კაპადოკია (ტაციტუსი, ანალები, 11, 42).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თითქოსდა ტიბერიუსმა აღმოსავლეთის სხვა სამეფოებთან ერთად პონტოს სამეფოც ანულირებულად გამოაცხადა. მართალია, პონტოს მცირეაზიური სამფლობელოები ჩამოერთვა, მაგრამ რომაელთა მიერ პონტოს ანექსია წერილობითი წყაროებით არ დასტურდება. კიდევ მეტი, ახ. წ. 18 წელს ტიბერიუსმა დიდი არმენიის მეფედ პოლემონ I-ის ძე ზენონი დანიშნა, რაც აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ამ დროსაც პონტო-რომის ურთიერთობა წინანდებურად მშვიდობიანი იყო. ამდენად, ტიბერიუსის მმართველობის პერიოდში პონტოს სამეფოს სტატუსი, ისევე როგორც კოლხეთისა, არ შეც-

ვლილა და იგივე რჩებოდა.

ტიბერიუსის მომდევნო იმპერატორის – კალიგულას დროს (37-41 წწ.) რომის იმპერიის პოლიტიკის მეთოდები აღმოსავლეთში მკვეთრად შეიცვალა. კალიგულამ ტიბერიუსის მიერ ლიკვიდირებული სამეფოების აღდგენას მიჰყო ხელი. ახ. წ. 38 წელს აღდგენილ იქნა კომაგენის სამეფო. აგრიპა გამოცხადდა იუდეას მეფედ და მის სამფლობელოს ტეტრარქოს ფილიპეს მიწები შეუერთეს. შეიქმნა ახალი, დამოუკიდებელი სამეფოც – იუდეას არაბეთი, რომლის მეფე სოემი გახდა (დიონ კასიუსი, LIX, 12, 2). თრაკიის მეფეებმა კოტისმა და რემეტალკოსმა მცირე სომხეთი მიიღეს, ხოლო პონტოს მეფეს – პოლემონ II-ს (49-63წწ.) ერთ დროს პითოდორისის მფლობელობაში მყოფი და შემდეგ ტიბერიუსის მიერ ანექსირებული მცირე აზიის ზოგიერთი რეგიონი დაუბრუნდა. მასვე ახ.წ. 38 წელს ბოსფორიც გადაეცა, მაგრამ პოლემონ II-მ ბოსფორი დიდხანს ვერ შეინარჩუნა, ვინაიდან ამ აქციას ბოსფორელები უკმაყოფილონი შეხვდნენ. ამიტომაც რომაელები იძულებულნი გახდნენ შეეცვალათ თავიანთი გადაწყვეტილება და ახ.წ. 41 წელს ბოსფორი სამეფო ტახტის კანონიერ მემკვიდრეს – მითრიდატე III-ს დაუბრუნეს. პოლემონ II-ს კი, სამაგიეროდ, კილიკიის მიწები გადაეცა.

ანტიკური ავტორები არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რჩებოდა თუ არა კოლხეთი პოლემონ II-ის დროსაც პონტოს სამეფოს შემადგენლობაში. მხოლოდ დიონ კასიუსთან არის დაცული ასეთი ხასიათის ცნობა: „ამ დროს (39 წელს) გაიუს კალიგულამ სენატის გადაწყვეტილებით უბოძა სოემს იტურების არაბების ოლქი, კოტისს – მცირე არმენია, რემეტალკოსს – კოტისის სამფლობელო, პოლემონ პოლემონის ძეს[1] – მამისეული სამფლობელო" (დიონ კასიუსი, LIX, 12, 2). ცხადია, რომაელების მიერ პოლემონისათვის გადაცემულ „მამისეულ სამფლობელოში" კოლხეთიც უნდა იგულისხმებოდეს, ვინაიდან ის ხომ პოლემონ I-ის დროს პონტოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ის გარემოე-

[1] აქ დიონ კასიუსი ცდება: პოლემონ II პოლემონ I-ის შვილი კი არა, შვილიშვილი იყო.

ბაც, რომ კოლხეთს, რომელსაც რომისათვის ასრებითი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რომაელები უყურადღებოდ არ დატოვებდნენ. ასეთი მდგომარეობის ქვეყანაში რომაული ზეგავლენის შენარჩუნებას, აღმოსავლეთში რომაელთა სუსტი ზეგავლენის გამო, ეჭვგარეშეა, რომი მხოლოდ შავიზღვისპირეთის ძლიერი სახელმწიფოს – პონტოს სამეფოს მეშვეობით შეძლებდა. ვფიქრობთ, პოლემონ II-ის დროსაც კოლხეთის სტატუსი არ შეცვლილა და ის წინანდებურად პონტოს სამეფოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

კოლხეთის ამგვარი მდგომარეობა ნერონის მმართველობამდე გაგრძელდა. სწორედ მისი მმართველობის პერიოდში შეიცვალა კოლხეთის სტატუსი, რომელიც ნერონის ახალი აღმოსავლური პოლიტიკით იყო განპირობებული. ნერონმა უარყო თავისი წინამორბედების ბუფერულ სამეფოებზე დაყრდნობის პოლიტიკა და კურსი მათი ლიკვიდაციისკენ აიღო. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა აგრეთვე შავიზღვისპირეთში რომაელთა პოზიციების გამტკიცებაზე. ამ საკითხების გადაჭრისათვის საჭირო იყო აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი სამხედრო ძალების თავმოყრა. მართლაც, ახ. წ. 57 წლიდან რომაელებმა დასავლეთიდან აღმოსავლეთში გადაისროლეს XII „ფულმინატა“, XV „აპოლინარისი“, V „მაკედონიკა“, IV „სკვითიკა“ ლეგიონები. ამ ძალებით ნერონს თავისუფლად შეეძლო აღმოსავლეთში დასახული მიზნების განხორციელება. ნერონმა აღმოსავლეთში რომზე დამოკიდებული რიგი ბუფერული სამეფოები გააუქმა. 63 წელს გააუქმა პოლემონიდების პონტოს სამეფოც და ის რომის პროვინციად გამოაცხადა. კოლხეთიც, როგორც პოლემონიდების პონტოს შემადგენელი ნაწილი, ასევე ახალშექმნილი რომის პროვინციის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

სამწუხაროდ, არაფერია ცნობილი პოლემონიდების ეპოქის კოლხეთის მმართველობის სტრუქტურის შესახებ, მაგრამ იმდროინდელი პონტოს სამეფოს მართვის სისტემის გათვალისწინება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ისევე როგორც პონტოში, სადაც დამოუკიდებლობის დროიდან ახ. წ. 63 წლამდე მის ადმინისტრაციულ სტრუქტურასა და მმართველობის აპარატს არავითარი

ცვლილება არ განუცდია, კოლხეთშიც მმართველობის სისტემა კვლავ იგივე რჩებოდა. წინანდებურად ის ისევ პონტოს სატრაპიას წარმოადგენდა, რომლის სათავეში უნდა მდგარიყვნენ პონტოს მეფისნაცვლები. რაც შეეხება ქვეყნის შიდა ორგანიზაციის სისტემას, ამ ხნის მანძილზე მას არავითარი ცვლილება არ განუცდია და ძველებურად ცალკეული სვეპტუხიებისა და „სამთავროებისაგან" შედგებოდა. საფიქრებელია, რომ ამ პოლიტიკური ერთეულების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ პონტოს ზედაპირული ბატონობის პირობებში კიდევ უფრო მეტად უნდა გაძლიერებულიყო. მართლაც, ახ. წ. I ს-ში, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე უკვე ფიგურირებს რამდენიმე დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული – აბაზგების, აფსილების, სანიგების, ლაზების „სამეფოები".

შედარებით უფრო მეტი მონაცემები მოგვეპოვება პოლემონიდების დროინდელი კოლხეთის ქალაქების ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. როგორც ცნობილია, ძვ.წ. II საუკუნიდან იწყება კოლხეთის ქალაქების კრიზისი. ეს პროცესი პონტოს ზედაპირული ბატონობის პირობებში კიდევ უფრო უნდა გაღრმავებულიყო. მართლაც, ძვ.წ. I – ახ.წ. I საუკუნის მიჯნაზე საქალაქო ცხოვრება აქ თითქმის მოშლილია, მაგრამ კოლხეთის რიგი პუნქტები – დიოსკურია, აფსაროსი, პიტიუნტი და ფასისი – კვლავ განაგრძობს არსებობას. თუმცა მათ დაკარგული აქვთ წინანდებური ქალაქის სახე და შესაძლოა, „რიგით დასახლებებს" წარმოადგენდნენ. ამას გვაფიქრებინებს როგორც კულტურული ფენებისა და მასში შემავალი ნივთიერი მასალების სიმცირე, ასევე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაელთა მიერ კასტელუმების აშენების ფაქტიც. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ აქ ხის საფორტიფიკაციო ნაგებობანი ყოფილიყო, რომლებიც შესაძლოა, გამოეყენებინათ რომაელებს „დროებით" სადგომად, ხოლო კოლხეთში რომაელთა საბოლოოდ დამკვიდრების შემდგომ, „მუდმივი" გარნიზონის უკეთ დაცვის მიზნით, მონუმენტური თავდაცვითი ნაგებობანი აშენდა. ამ თვალსაზრისს ერთგვარად მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ რომაული ციხესიმაგრენი ზღვისპირა რეგიონში სწორედ დასახლებულ პუნქტებში (დიოსკურია, აფსაროსი, ფასისი, პიტიუნტი) აიგო, და არა იქ, სადაც ცხოვ-

რება დიდი ხანია უკვე ჩამკვდარი იყო (ფიჭვნარი, ეშერა). ასეა თუ ისე, ერთი კი ცხადია: რომაული სამხედრო შენაერთების ჩადგომამდე აღნიშნულ ცენტრებში საქალაქო ცხოვრება არ აღორძინებულა. როგორც ჩანს, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პერიოდი კოლხეთის ქალაქებში შედარებით უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, სადაც უმოკლეს დროში გადალახულ იქნა კრიზისის შედეგები, რის შემდეგაც ინტენსიურად მიმდინარეობდა აქ საქალაქო ცხოვრება და სამშენებლო საქმიანობაც. ვფიქრობთ, ეს ფაქტი ამ ქვეყნების პოლიტიკური კონსოლიდაციის დონით უნდა აიხსნას.

როგორც ცნობილია, ასანდრესა და ასპურგის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად ბოსფორის სამეფოში მნიშვნელოვნად განმტკიცდა ცენტრალური ხელისუფლება, მისი თავდაცვისუნარიანობა, რამაც კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების აღდგენა-აღორძინებაზე. არქეოლოგიური მასალები მოწმობს, რომ ძვ.წ. I საუკუნის შუა ხანებში ნანგრევებისაგან აღდგა პანტიკაპეონი, ოლბია, ფანაგორია, სინდიკე, გორგიპია და სხვა. ამავე დროს, ევროპული ბოსფორის ტერიტორიაზე მიმდინარეობს სემიონოვკის, მისოვსკის, კიტეასა და სხვა ზღვისპირა დასახლებების გამაგრება, ხოლო ბოსფორის აზიურ ნაწილში – რაევსკის თავდაცვითი კედლებით შემოზღუდვა.

რაც შეეხება კოლხეთს, აქ ცენტრალური ხელისუფლება დიდი ხანია უკვე დასუსტებული იყო (სტრაბონი, XI, 2, 18), რის გამოც ქვეყანამ ვერ შეძლო კრიზისის შედეგების ლიკვიდაცია და მხოლოდ რომაელების მიერ დასავლეთ საქართველოში გატარებული ღონისძიებების შედეგად, ახ. წ. I საუკუნის დასასრულიდან ხდება კოლხეთის ზღვისპირა ცენტრების ხელახალი აღორძინება.

პოლემონიდების ეპოქაში კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობაც გარე სამყაროსთან ძალზე შეზღუდული ჩანს. ამ დროს კოლხეთში აღარ შემოდიოდა კნიდოსის, ატიკის, დელოსის, ჰერაკლეას ნაწარმი. მცირერიცხოვანი რაოდენობითაა წარმოდგენილი სინოპეს ნაწარმი, რომელსაც ელინიზმის ეპოქაში კოლხეთის იმპორტულ პროდუქციათა შორის დომინირებული მდგომარეობა

ეკავა. ძვ.წ. I საუკუნის დასასრულიდან კი ძირითადად მათ ადგილებს იკავებს რომაული, იტალიკური და იტალიკურის მიბაძვით დამზადებული ნაწარმი – ამფორები, მშვილდსაკინძები, ტორევტიკის ნიმუშები. იტალიკური და იტალიკურის მიბაძვით დამზადებული ამფორები ჯერჯერობით მხოლოდ ვანშია დაფიქსირებული და ისინი ძვ.წ. I საუკუნის დასასრულით თარიღდება. ამ დროს ჩნდება ე.წ. „ავცისები". ამგვარი ტიპის მშვილდსაკინძი აღმოჩენილია სოფ. ლიას „დიდი ქირსას" სამაროვნის №4 სამარხში, რომელიც ახ. წ. I საუკუნის I ნახევრით თარიღდება. ამავე სამაროვნის №5 სამარხში დადასტურებულია აგრეთვე ძვ.წ. I – ახ.წ. I საუკუნის მიჯნის რომაული პროვინციული ტიპის ფაბულაც. რომთან კოლხეთის მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე მეტყველებს აგრეთვე რომაული ტორევტიკის ნიმუშები თაგილონიდან.

ამ დროს კოლხეთში შემოდიოდა ასევე პერგამონული წითელლაკიანი კერამიკაც. ძვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრითა და ახ.წ. I საუკუნის დასაწყისით დათარიღებული პერგამონული წარმომავლობის ნიმუშები – თხელქუსლიანი, ჭრილში სამკუთხედის ფორმის, პატარა ზომის წითელლაკიანი ლანგრები, მრგვალქუსლიანი ნაბლისფერკეციანი ორყურა ჯამები აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე. კვლავ გრძელდება ურთიერთობა ბოსფორთან. აღნიშნულ ხანაში ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში საკმაოდ ფართოდ ვრცელდება კოლხური „ყავისფერკეციანი" ამფორები. ამგვარი ურთიერთობის შედეგად არის მოხვედრილი კოლხეთში ბოსფორის მეფეთა მონეტებიც: კოტის I-ის სპილენძის მონეტები და მითრიდატე III-ის „ასები".

პოლემონიდების ეპოქაში კოლხეთის ფულად მიმოქცევაშიც დომინირებული მდგომარეობა რომაულ მონეტებს ეკავათ. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სულ აღმოჩენილია ამ ხანის 109 მონეტა, აქედან 96 რომაულია, ხოლო დანარჩენი სხვა ცენტრებს ეკუთვნის: ამასტრიას – 1 („კვაზი ავტონომიური" მონეტა), კაპადოკიას – 1 (არქელაოს კაპადოკიელის დრაქმა), პართიას – 2 (ოროდ II-ის დრაქმები), ბოსფორს – 5 (მითრიდატე III-ის ასი – 2; კოტის I-ის სპილენძის მონეტები – 3), პონტოს – 3 (პოლემონ II-ის დრაქმები).

როგორც ჩანს, ამ სქემაში პოლემონ I-ის მონეტები საერთოდ

არ ფიგურირებს, ხოლო პოლემონ II-ის მონეტები მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარითაა წარმოდგენილი. პონტოს მონეტების ამგვარი სიმცირე, ერთი შეხედვით, შეიძლება პარადოქსულადაც კი მოგვეჩვენოს, ვინაიდან კოლხეთი ხომ პონტოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. თუმცა ამ ფაქტმა გაკვირვება მაინც არ უნდა გამოიწვიოს, რადგანაც თვით პონტოს სამეფოს ფულად მიმოქცევაში გაბატონებული მდგომარეობა რომაულ მონეტებს ეკავათ. ეს მომენტი რომის ეკონომიკური პოლიტიკით უნდა აიხსნას. როგორც ჩანს, ამ გზით რომი ცდილობდა, ორივე ქვეყანა ეკონომიკურადაც ერთმანეთთან მჭიდროდ დაეკავშირებინა.

ალნიშნული პერიოდის კოლხეთის სამონეტო მიმოქცევის განხილვისას ჩვენს ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი გარემოება. კერძოდ, ის, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი რომაული მონეტებიდან ყველაზე მრავალრიცხოვან ერთეულს ავგუსტუსის დენარები (66 ეგზ.) წარმოადგენს. ამასთანავე, ამ დენარებისა და, საერთოდ, რომაული მონეტების აბსოლუტური უმრავლესობა ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონზე ანუ არგვეთზე მოდის – სულ 59 ეგზემპლარი. ამათგან 56 ეგზემპლარი, ავგუსტუსის დენარებია, ხოლო დანარჩენი პოლემონ II-ის, ტიბერიუსისა და კალიგულას მონეტები. არგვეთის სამონეტო ბაზარზე რომაული მონეტების სიმრავლე ამ რეგიონის პოლიტიკური და გეოგრაფიულ-ეკონომიკური მდგომარეობით უნდა აიხსნას. ცნობილია, რომ არგვეთი ამ დროს (და შემდეგაც, IV საუკუნემდე) პოლიტიკურად იბერიის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო გეოგრაფიულად ის კოლხეთის ნაწილს წარმოადგენდა. არგვეთის ეკონომიკური სპეციფიკა კი განაპირობა იმან, რომ აქ გადიოდა სავაჭრო გზის მთავარი მაგისტრალი, რომელიც კოლხეთს იბერიასთან აკავშირებდა. როგორც ჩანს, არგვეთის სამონეტო ბაზარი დაკავშირებული ყოფილა როგორც იბერიასთან, ასევე კოლხეთის ზღვისპირეთთანაც. ცხადია, ავგუსტუსის დენარები არგვეთში იბერიიდან უნდა იყოს შემოსული, ვინაიდან ისინი ამ დროს და შემდგომაც იბერიის სამონეტო მიმოქცევის ძირითად ერთეულს წარმოადგენდნენ, ხოლო პოლემონ II-ის დრაქმა შავიზღვისპრეთის გზითაა აქ მოხვედრილი.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონს, აქ ამ პერიოდის რომაული მონეტები სულ 13 ეგზემპლარითაა წარმოდგენილი. აქედან 4 რომის რესპუბლიკური დენარებია, ხოლო დანარჩენი ავგუსტუსის მონეტები – 9 ეგზემპლარი. ამ მონეტების ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში გავრცელებას სპეციალისტები იბერიიდან ვარაუდობდნენ, რაც ძალზე საეჭვოა, ვინაიდან კოლხეთის აღმოსავლეთ რეგიონში დადასტურებული ავგუსტუსის დენარები ყველა ერთი ტიპისაა – გაიუსისა და ლუციუს ცეზარის გამოსახულებით. მაშინ როცა აფხაზეთიდან მომდინარე ავგუსტუსის 9 მონეტიდან მხოლოდ 4 ეგზემპლარია გაიუსისა და ლუციუსის ტიპისა, ხოლო დანარჩენი ისეთ ტიპებს განეკუთვნება, რომლებიც კოლხეთის აღმოსავლეთ რეგიონებში საერთოდ არ გვხვდება. საეჭვოა აგრეთვე ისიც, რომ ავგუსტუსის მონეტები, ისევე როგორც რომის რესპუბლიკური დენარები, რომაელ ჯარიკაცებს შემოჰყოლოდათ, რადგან რომაული გარნიზონები ამ დროს კოლხეთის ზღვისპირეთში ჯერ კიდევ არ იდგნენ. ამიტომაც უფრო მართებული იქნებოდა აღნიშნული მონეტების გავრცელება ქვეყნის ზღვისპირეთში პონტოს სამეფოდან გვევარაუდა, ხოლო რაც შეეხება კოლხეთის ცენტრალურ რეგიონებში რომის რესპუბლიკური მონეტების გავრცელებას, ეს ზღვისპირეთის გზით უნდა მომხდარიყო, რადგანაც ეს მონეტები იბერიაში საერთოდ არ არის დაფიქსირებული.

ამრიგად, პოლემონიდების ხანმოკლე და საკმაოდ ზედაპირულმა მმართველობამ ვერ შეძლო კოლხეთის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ქვეყანა კვლავ კრიზისს განიცდიდა: აქ თითქმის მოშლილი ჩანს საქალაქო ცხოვრება, შეზღუდულია მისი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობა გარე სამყაროსთან. კოლხეთი წინანდებურად პოლიტიკურ ერთეულებად იყო დაქუცმაცებული. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდს კოლხეთის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ჯერ ერთი, კოლხეთის ჩართვამ პოლემონიდების სამეფოს შემადგენლობაში ხელი შეუწყო ქვეყანაში რომაული კულტურის გავრცელებასა და ახალი საერთაშორისო ურთიერთობების დაწყებას. მეორე, პოლემონიდების პონტოს შემადგენლობაში კოლხეთის ჩართვით მთავ-

რდება ელინისტური ეპოქა კოლხეთში და იწყება ახალი, რომაული პერიოდი. მანვე მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ასევე დასავლეთ საქართველოს შემდგომი ისტორიული ბედი: რომაელები კოლხეთს პონტოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ. ამიტომ მათ აქ ადგილობრივი სამეფო ხელისუფლება არ აღუდგენიათ და ქვეყანა, ფაქტობრივად, რომის პროვინციული მმართველობის სისტემას დაუმორჩილეს.

# II. რომი და კოლხეთი

## 1. რომაული სამხედრო შენაერთები კოლხეთში

რომის საჯარისო ნაწილები კოლხეთში ძვ.წ. 65 წლიდან გამოჩნდნენ. ამ მოვლენის შესახებ წერილობით წყაროებში, სამწუხაროდ, მხოლოდ ზოგადი მინიშნებაა.

იოსებ ფლავიუსი მოგვითხრობს: „... კოლხების, ტავრების, ბოსფორელების, პონტოსა და მეოტიდის ირგვლივ მცხოვრებლების შესახებ, რომლებიც წინათ საკუთარ მმართველებსაც კი არ ცნობდნენ, ახლა 3000 მებრძოლს ჰყავს მორჩილებაში და ამასთანავე ორმოცი გემი იცავს მშვიდობას ზღვაზე, რომელზედაც უწინ ცურვა შეუძლებელი და შემაძრწუნებელი იყო" (იოსებ ფლავიუსი, II, 16,4). ამ წერილობით წყაროში ახ.წ. 66 წლის ამბებია გადმოცემული. აქედან გამომდინარე, რომის სამხედრო ნაწილები საქართველოს ზღვისპირეთში იმპერატორ ნერონის დროს უკვე ჩანდნენ. საეჭვოა, რომ ეს წინამორბედი იმპერატორების – ავგუსტუსის, ტიბერიუსის, კალიგულას ეპოქაში მომხდარიყო, რადგან ამ დროისათვის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვარზე მხოლოდ ოთხი ლეგიონი იმყოფებოდა, რაც საკმარისი არ იყო. ამ მცირე სამხედრო ძალებით რომი ვერ შეძლებდა აღმოსავლეთით, კერძოდ კავკასიაში, მსხვილი სამხედრო შენაერთების განლაგებას. აქედან გამომდინარე, ავგუსტუსს არ უცდია მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკური სიტუაცია შეეცვალა. მან რომზე ფორმალურად დამოკიდებული მარკუს ანტონიუსისეული ქვეყნების სისტემა უცვლელად დატოვა. მათ შორის თვალსაჩინო როლს პონტოს სამეფო ასრულებდა. რომაელებმა პონტოს ტახტზე კვლავ პოლემონ I დაამტკიცეს. მას სამართავად ზღვისპირა კოლხეთიც ებოძა. ავგუსტუსის მემკვიდრე იმპერატორების – ტიბერიუსი-

სა და კალიგულას დროსაც კოლხეთის სტატუსი არ შეცვლილა. როგორც აღინიშნა, ის ისევ პოლემონიდების პონტოს შემადგენლობაში დარჩა. შესაძლოა, რომ ამ პერიოდისათვის კოლხეთის სანაპიროზე პონტოელთა გარნიზონიც მდგარიყო.

ნერონის დროს იმპერიის პოლიტიკა აღმოსავლეთში კარდინალურად შეიცვალა. მან უარყო წინამორბედების ბუფერულ ქვეყნებზე დაყრდნობის პოლიტიკა. ნერონმა ახ.წ. 63 წელს პოლემონიდების სამეფო გააუქმა და ის რომის პროვინციად გამოაცხადა. ამასთანავე, განსაკუთრებით ყურადღება მიექცა კავკასიის ზღვისპირეთში რომის პოზიციების გამყარებას. დასახული ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის საჭირო იყო იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში მნიშვნელოვანი ძალების თავმოყრა, რასაც ასე დაბეჯითებით მოითხოვდა ხელისუფალთაგან რომაელთა გამოცდილი მხედართმთავარი გნეიუს დომიციუს კორბულონი.

იმპერიის კომუნიკაციების სისუსტე განსაკუთრებით კაპადოკიასა და მცირე არმენიაში შეიმჩნეოდა. ეს ხარვეზი რომაელებმა ნაწილობრივ შეავსეს ახ.წ. 57 წლიდან, როდესაც დასავლეთიდან კაპადოკია-არმენიის საზღვარზე XII და XV ლეგიონები გადაისროლეს. მათ აქვე რამდენიმე სტრატეგიული სასიმაგრო ნაგებობაც ააგეს. ამგვარი ღონისძიებების გატარების შემდგომ ნერონს მიეცა საშუალება კავკასიაში გაბედული სამხედრო ოპერაციების წარმოებისა.

ახ.წ. 60 წელს რომაელებმა დაიმორჩილეს არმენია. იბერია კი რომის ვასალ-მოკავშირედ იქცა. კოლხეთი გალატიის პროვინციის შემადგენლობაში მოექცა. აქ, შესაძლოა, ნერონმა მცირე გარნიზონები ჩააყენა. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს არა მარტო ნერონის ზემოხსენებული ზოგადკავკასიური პოლიტიკა, არამედ კონკრეტული გარემოებებიც. კერძოდ, ამ პერიოდისათვის რომს აღმოსავლეთის საზღვართან საკმარისი სამხედრო ძალები არ გააჩნდა, რათა მათი გარკვეული ნაწილი კოლხეთის სანაპიროზეც განელაგებინა; გამორიცხულია, რომ ისეთი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის რეგიონი, როგორიც საქართველოს შავიზღვისპირეთი იყო, რომაელებს დაუცველად დაეტოვებინათ. აღნიშნული ღონისძიების გატარების გარეშე ნერონი არათუ ვერ შეძლებდა კავკასიაში

თავისი პოზიციების განმტკიცებას, არამედ ჩრდილო კავკასიის მთიელთა შემოტევასაც ვერ შეაჩერებდა; ვერც ზღვაზე ვაჭრობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ. სხვა საკითხია, თუ რა რაოდენობის საჯარისო ნაწილები იყო აქ დისლოცირებული. იოსებ ფლავიუსის ზემოთ მოტანილ ცნობაში თითქოსდა რომი პონტოსპირეთის ყველა ხალხს აკონტროლებდა. მაგალითად, სანები არიანეს დროსაც რომაელებს არ ემორჩილებოდნენ (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი, 11). კოლხეთის სანაპიროზე დისლოცირებული რომის საჯარისო ნაწილები მცირერიცხოვანი უნდა ყოფილიყო, რადგან არიანეს ინსპექტირების დროსაც ისინი აქ არცთუ ისე მრავალრიცხოვანი ჩანს.

კოლხეთის სანაპიროზე რომის სამხედრო შენაერთების განლაგების ზუსტი თარიღი უცნობია. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა პლინიუს უფროსის ცნობა აფსაროსისა და სებასტოპოლისის შესახებ. პლინიუსი აფსაროსსა და სებასტოპოლისს „Castellum"-ებს (პლინიუსი, ბუნების ისტორია, VI, 12, 15) უწოდებს, მაგრამ არაფერს გვამცნობს მათი აგების დროზე. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ კასტელუმში, როგორც წესი, იგულისხმება ქვის საფორტიფიკაციო ნაგებობა, მას წინ კი უნდა უსწრებდეს ხის სიმაგრე, ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ კაპადოკიის საზღვართან XII და XV ლეგიონების 57 წ. ჩადგომის დროს, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აფსაროსსა და სებასტოპოლისში რომის მცირე გარნიზონები ახ.წ. I საუკუნის დასასრულისათვის უკვე განლაგებულია, რასაც გარკვეულწილად არქეოლოგიური მონაცემებიც მოწმობს.

გონიო-აფსაროსის ნაციხარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა წითელლაკიანი ჯამის ძირ-გვერდის ფრაგმენტი სანდლიანი ფეხის ტერფის გამოსახულებით და მეომრის რელიეფურგამოსახულებიანი ჭრაქი. ორივე ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება. ორივე რომაელთა შემოტანილი უნდა იყოს. ასეთი ნივთები მხოლოდ იმ ტერიტორიებზე გვხვდება, სადაც რომაული გარნიზონები იდგა. რომის საჯარისო ფორმირებების უნდა იყოს, აგრეთვე, სოხუმის ციხის ტერიტორიაზე დადასტურებული, ახ.წ. I ს-ის სინოპური წარმომავლობის ამფორები. რომაულ გარნიზონს უკავშირდება ქ. სოხუმში აღმოჩენილი ახ.წ. I ს-ის ნაგებობაც.

ახ.წ. I ს-ის არქეოლოგიური მასალები ფასისიდან „ნატეხების" ნამოსახლარზე აღმოჩენილი სინოპური ამფორებით შემოიფარგლება. არიანეს გადმოცემით, ფასისის ციხის კედელი წინათ თიხისა იყო და მასზე ხის კოშკები იდგა, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისგანაა გაკეთებული (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი, 9). როგორც ამ ცნობიდან ირკვევა, ჩვეულებრივი „Pila muralia" ანუ ხის დროებითი სასიმაგრო ნაგებობა ყოფილა. ამ ტიპის ნაგებობები ფუნქციონირებდა იმპერიის საზღვრებზე მუდმივი სამხედრო ბანაკის აგებამდე. მსგავსი ნაშთები აღმოჩენილია ბრიტანეთში, რეინ-დუნაისპირეთში და ისინი, უპირატესად, ახ.წ. I საუკუნისთვისაა დამახასიათებელი. ფასისში რომის გარნიზონი აფსაროსისა და სებასტოპოლისის თანადროულად უნდა ჩამდგარიყო.

ჩანს, რომაული გარნიზონები საქართველოს ზღვისპირეთში ახ.წ. I ს-ის დასასრულისათვის უკვე იდგნენ და ძირითადად აფსაროსში, ფასისსა და სებასტოპოლისში იყვნენ დისლოცირებული. ეს კი ე.წ. პონტოს ლიმესის არსებობას ეჭვქვეშ აყენებს. საყურადღებოა, რომ აქაური გარნიზონები ძირითადად დამხმარე შენაერთებისაგან შედგებოდა; თვით ლიმესი, რომელშიც კარგად გამართული საკომუნიკაციო ქსელის სისტემა და რაოდენობრივად მრავალრიცხოვანი ჯარი იგულისხმება, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული სირთულეებისა და გარნიზონების სიმცირის გამო აქ ვერ შეიქმნებოდა. ნიშანდობლივია, რომ რომაელი ავტორები საქართველოს ზღვისპირეთის თავდაცვით ხაზს ლიმესად არ იხსენიებენ. ისინი მას უმეტეს შემთხვევაში „საზღვრად" (თეოდორიტე, V, 34) მოიხსენიებენ. იმპერიის სამხედრო ძალებით დაცულ ამ ზღვისპირა პუნქტებს პონტო-კავკასიის საზღვარი უნდა ენოდოს. მათ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა რომაელთა პოზიციების განმტკიცება სამხრეთ კავკასიაში და ჩრდილოეთი კავკასიის გაკონტროლება. ხსენებული სასაზღვრო-გამაგრებული პუნქტების მოვალეობასვე შეადგენდა ჩრდილო კავკასიელთა თავდასხმების ალკვეთა; კაბოტაჟური ნავიგაციისა და ვაჭრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ზღვისპირეთში.

როგორც აღვნიშნეთ, პონტო-კავკასიის სასაზღვრო გამაგრე-

ბები ნერონის ეპოქაში იწყებს ჩამოყალიბებას. იმპერატორ ნერონის დაწყებული ძალისხმევა განაგრძო ვესპასიანემ (ახ.წ. 69-79 წწ.). ვესპასიანეს სახელს უკავშირებენ იმპერიის აღმოსავლეთის საზღვრის მოდერნიზაციას და დაცვის სისტემის რეორგანიზაციას.

ახ.წ. I ს-ის 70-იან წლებში ვესპასიანემ გარნიზონები სირია-პალესტინის ხაზზე განალაგა, ლეგიონერთა შენაერთები ეგვიპტესა და არაბეთში ჩააყენა. მის დროსვე ციხესიმაგრეები აიგო ქალაქებში – პალმირა, ბოსტრა და ჰერასა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კაპადოკიასა და მცირე არმენიაში სასაზღვრო ხაზის მოდერნიზებასაც. სატალასა და მელიტენეს შორის არსებული ტერიტორია რომაელებმა ციხესიმაგრეებითა და ფორტებით მტკიცედ გაამაგრეს, რითაც დაიწყო ზემო ევფრატის ლიმესის ფორმირება. ზემო ევფრატის ლიმესის დიდი ქალაქები და ციხესიმაგრეები, ისევე როგორც აღმოსავლეთის დანარჩენ საზღვრებზე განლაგებული კასტელუმების ქსელი, ერთმანეთთან დაკავშირებული ყოფილა მცირე ფორტებით, საგუშაგოებითა და ქვაფენილიანი გზებით. ამჟამად სატალა-ტრაპეზუნტის მონაკვეთზე არქეოლოგიურად ხუთი ასეთი ფორტია გამოვლენილი. მათგან ერთი, შუალედური კასტელუმი, სატალის ციხესიმაგრის დასავლეთით დაფიქსირდა. მისი ფართობი 37 X 55 მ-ია. ამგვარი ფორტის ნანგრევები აგრეთვე სატალის ციხესიმაგრის აღმოსავლეთით, დღევანდელი ბაიბურთის გზაზე აღმოჩნდა.

სატალა-ტრაპეზუნტის ციხესიმაგრეთა სისტემაში უნდა ყოფილიყო ჩართული სატალიდან 20 კმ-ზე მდებარე საგუშაგოს ნანგრევებიც. ამ საგუშაგოს ჩრდილოეთით კიდევ ორი სიმაგრეა, სადაც მხოლოდ კოშკების ნანგრევებილაა შემორჩენილი. აღნიშნული სიმაგრეები სწორკუთხა კონფიგურაციისაა და კუთხეები ნახევარწრიული კოშკებითაა დაბოლოებული. ზემო ევფრატის ლიმესის ეს ფორტები და სადარაჯო საგუშაგოები, დაგეგმარებისა და ზომის მიხედვით, მცირე კონტინგენტის საჯარისო ნაწილების დროებითი სადგომებია. ზემო ევფრატის ლიმესიდან ინტერესს იწვევს გაჩდარვაზეჰის სიმაგრე, რომელიც ჩვეულებრივ სათვალთვალო პუნქტს წარმოადგენდა და სწორკუთხა ფორმისა იყო. ის 20-მდე მებრძოლს თუ დაიტევდა. ზემო ევფრატის ლიმესს განეკუთვნება

სიმაგრე პაგნიკ-ორენი, რომლის მშენებლობაც ახ.წ. II საუკუნეში დამთავრდა. პაგნიკ-ორენის სიმაგრე სწორკუთხაა. რელიეფის გამო ჩრდილოეთის კედელს რკალისებური ფორმა აქვს. აღჭურვილი ყოფილა თერთმეტი ნახევარწრიული კოშკითა და ოთხი კარიბჭით. ციხესიმაგრის ცენტრში იდგა პრეტორიუმის შენობა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთის კედელთან არსებული ნაგებობა საჯინიბო უნდა ყოფილიყო. პაგნიკ-ორენის ციხესიმაგრე ერთ კოჰორტას იტევდა. არ არის გამორიცხული, რომ აქ, ახ.წ. I საუკუნეში, სამშენებლო სამუშაოებში მონაწილეობა მიეღო IV რეტიულ მხედართა კოჰორტას, რომლის მუდმივი ადგილსამყოფელი პაგნიკ-ორენიდან 80 კმ-ზე, ანალიბაში მდებარეობდა. პაგნიკ-ორენის ციხესიმაგრის ანალოგიურია რუმინეთში, დობრუჯის რეგიონში გამოვლენილი დინოგეტია-გარვანის კასტელუმი, რომელიც ახ.წ. IV საუკუნით თარიღდება.

ზემო ევფრატის სასიმაგრო სისტემათა კავკასიასთან ახლომყოფი, ბოლო რგოლი სატალა და მელიტენე იყო. სატალა და მელიტენე XV და XII ლეგიონების შტაბბინას წარმოადგენდა. აქ მდებარეობდა კავკასიაში რომაელთა ვექსილაციების ძირითადი გამანაწილებელი ბაზა. სატალის ციხესიმაგრე მდებარეობდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილზე. ის კავკასიისა და კასპიისაკენ მიმავალ გზებსა და შავიზღვისპირეთის სანაპიროებსაც უწევდა კონტროლს.

სატალის ციხესიმაგრე კვადრატული ფორმისაა და აღჭურვილი იყო სწორკუთხა კოშკებით, რომლებიც ერთიმეორისაგან თანაბარი მანძილით იყვნენ დაშორებული. ციხესიმაგრეს ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ჰქონდა კარიბჭე. სატალის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია რომაული კასტელუმებისათვის დამახასიათებელი აბანოს, საკანალიზაციო კოლექტორისა და აკვედუკის ნაშთები.

მელიტენეს კასტელუმიც კვადრატული კონფიგურაციისაა. კარგადაა შემორჩენილი აღმოსავლეთი კედელი კოშკებითურთ. კოშკები ნახევარწრიულია, ნაგებია რიყის ქვებითა და კირხსნარით (Mitford, 1975 გვ. 1187, ტაბ. IV, 7). ციხესიმაგრის გარშემო სამოქალაქო დასახლება იყო, რომელსაც ტრაიანემ ქალაქის სტატუსი მიანიჭა. პროკოპი კესარიელის ცნობით, მელიტენე მრავალრიცხოვანი

ქალაქი ყოფილა. აქ ტაძრები, ამფითეატრი, აბანო და სხვა ნაგებობანი მდგარა (B P., III, 4, 15-18). მელიტენეს სამხრეთით იწყებოდა სირიის ლიმესი, ხოლო სატალა სასიმაგრო ნაგებობათა ქსელით უკავშირდებოდა ტრაპეზუნტს. ტრაპეზუნტი რომაულ ხანაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული ცენტრი იყო. ანიკეტის აჯანყების შემდეგ აქ XII და XV ლეგიონების ვექსილაციები იყვნენ დაბანაკებული, ხოლო III საუკუნეში I პონტოური ლეგიონი. ტრაპეზუნტიდან სათავეს იღებდა პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემა, რომლის როლიც ვესპასიანეს დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ვესპასიანეს დროს იბერიის დედაქალაქში რომაული გარნიზონი არ იდგა. მცხეთაში ჯერჯერობით რომაული ლეგიონის დამღები არ დადასტურებულა. თუმცა რომაელთა მონაწილეობა მცხეთის საფორტიფიკაციო სამუშაოებში ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რასაც ადასტურებს მცხეთაში აღმოჩენილი ახ.წ. 75 წლით დათარიღებული იმპერატორ ვესპასიანეს წარწერა. მასში ნათქვამია: „თვითმპყრობელმა კეისარმა ვესპასიანე სებასტოსმა ... იბერთა მეფეს, მითრიდატეს მეფე ფარსმანისა და ამაზასპის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულ ხალხს ეს კედლები განუმტკიცეს" (წერეთელი, 1958, გვ. 5-20). მცხეთის გამაგრება უნდა დაწყებულიყო ალანთა მეორე შემოსევის შემდეგ, რათა წინ აღდგომოდა მათ ხელახალ შემოსევას. ვესპასიანეს ეს ღონისძიება ქართლის ძველ დედაქალაქში მეგობრული ჟესტი იყო იბერიელებისადმი ამ უკანასკნელთა განსაკუთრებული წვლილისათვის ალანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. გამორიცხული არ არის, რომ რომაული სამხედრო შენაერთები დარიალის ხეობაში იდგნენ. სწორედ ამ ხეობაში პლინიუსი იხსენიებს „Castellum Cumania"-ს, რომელიც აგებული ყოფილა აგრესიულ მომთაბარეთა შეკავების მიზნით (პლინიუსი, ბუნების ისტორია, VI, 30). პლინიუსის მიერ მოხსენიებული ციხესიმაგრე კუმანია დარიალის ციხეს უნდა წარმოადგენდეს. კუმანია-დარიალის ციხე ბუნებრივ ბორცვზეა აშენებული და მდინარე თერგი ჩამოუდის.

შიდაციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედე-

გად გამოვლინდა დიდი ზომის ქვებით ნაგები შენობები. ციხის სამხრეთით დაფიქსირდა სამარხები, რომლებიც რომაულ სამყაროს უნდა უკავშირდებოდეს. დარიალის ხეობაში რომაელთა ცალკეული შენაერთები ადრიანეს დროსაც (ახ.წ. 117-138 წწ.) უნდა მდგარიყო. იოანე ლიდეს ცნობით, არიანეს მოუნახულებია დარიალი. ცნობილია, რომ კაპადოკიის ლეგატი – ფლავიუს არიანე მხოლოდ იმ პუნქტებში ჩადიოდა, სადაც რომაელთა გარნიზონები იყო დისლოცირებული.

დომიციანეს დროიდან (ახ.წ. 81-96 წწ.) აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოწესრიგებულმა თავდაცვითმა სისტემამ გარკვეულწილად ხელი შეუწყო რომაელთა პოზიციების განმტკიცებას ალბანეთშიც. ბეიუკ-დაშში აღმოჩენილი ლათინური წარწერიდან ირკვევა, რომ დომიციანემ გაგზავნა XII ლეგიონის ნაწილები ალბანეთში, რათა მას თვალყური ედევნებინა ე.წ. კასპიის კარების სამხრეთ გადასასვლელებისათვის. გამორიცხული არ არის, რომ აღნიშნული ლეგიონის ნაწილები ცენტრალურ ალბანეთში დაბანაკებულიყო. XII ლეგიონის სახელი მოხსენიებულია მდ. არაქსის მარცხენა სანაპიროზეც, სოფ. კარიამნაში აღმოჩენილ ქვაზეც. სვეტონიუსის (დომიციანე, 6) ცნობით, აღნიშნული ლეგიონი სარმატებთან ბრძოლაში დამარცხდა.

მოვსეს ხორენაციც გვიამბობს დომიციანეს მმართველობის დროს არმენიაში რომაელთა წარუმატებელი ლაშქრობის შესახებ (მოვსეს ხორენაცი, 1984, გვ. 145). ალბათ, XII ლეგიონის ზოგიერთი შენაერთი ალან-სარმატებთან ბრძოლას შეეწირა. ვესპასიანეს დროიდან პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემა საკმაოდ წარმატებით ფუნქციონირებს. ამ სისტემის ციხესიმაგრეები, იმპერატორ ადრიანეს დავალებით, 131 წელს საგანგებოდ მოინახულა და მისი თავდაცვითუნარიანობა შეამოწმა კაპადოკიის ლეგატმა ფლავიუს არიანემ. არიანეს, როგორც ეს მისი „პერიპლუსიდან" ჩანს, პირველად აფსაროსის ციხესიმაგრე და აქ მდგომი გარნიზონის საბრძოლო მზადყოფნა შეუმოწმებია. არიანეს ცნობით, „აფსაროსში ... დგას ხუთი სპეირა" (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი ..., 6), რომელსაც ტრადიციულად ხუთ კოჰორტად, ანუ ნახევარლეგიონად თარგმნიდნენ. შესაბამისად, მკვლევართა უმრავლესობას აფსაროსის რომაული

სამხედრო შენაერთები ლეგიონურ გარნიზონად მიაჩნდა (Mitford, 1975, გვ. 1169-1170; Rowell, 1937, გვ. 1327-1330). ფაიუმში (ეგვიპტე) აღმოჩენილმა პაპირუსმა და გონიოში დადასტურებულმა რომაული სამხედრო შენაერთების ტვიფრმა ნათელი მოჰფინა ამ ბუნდოვან საკითხს. ახ.წ. II საუკუნის პაპირუსზე მოხსენიებულია აფსაროსში მდგარი კლავდიუსის სახელობის II კოჰორტის ვეტერანი მარციალი: Mar]tialis vet(eranus) ... [omnium [...]. I Apsaro de [gen]re eius M Va[l]er [...] Coh. II Claudiana [...]etc (Спейдел, 1985, გვ. 178). ფაიუმის ამ ფრაგმენტის ცნობის სისწორეს დოკუმენტურად ადასტურებს გონიოს კასტელუმის ცენტრალურ ნაწილში არქეოლოგიური გათხრებისას ახ.წ. II ს-ის ფენაში აღმოჩენილი რომაული სამხედრო შენაერთის დამღებიც. პირველი დამღაა – COH II; მეორე დამღა – OH II. ახსნა – COH[hort] II [Claudiana] (Мамуладзе, ..., 2002, გვ. 35, სურ. 2).

ეს კოჰორტა ახ.წ. II ს-ში კაპადოკიაში განლაგებულ დამხმარე კოჰორტას წარმოადგენდა. არიანეს მიერ აფსაროსში დასახელებულ დანარჩენ ოთხ კოჰორტასაც დამხმარე ნაწილად მიიჩნევენ (Спейдел, 1985, გვ. 176-179), რაც არქეოლოგიური მასალებით დასტურდება. კასტელუმის ცენტრალურ ნაწილში, სავარაუდოდ, პრეტორიუმის ტერიტორიაზე აღმოჩნდა დამღიანი აგური. დამღა ასე იკითხება: SAGI, რაც მშვილდოსანთა კოჰორტას ნიშნავს (Мамуладзе, ..., 2002, გვ. 35). ამგვარი კოჰორტა დამხმარე სამხედრო შენაერთი იყო. ასეთი ტიპის სამხედრო ნაწილები დისლოცირებული იყვნენ სირიასა და დუნაისპირეთში.

აფსაროსის კასტელუმის ცენტრალურ ნაწილში წარწერიანი ბრინჯაოს კანდელაბრი აღმოჩნდა: C. OH AUR C.R. – C. COH (ors) AUR (elia) c (ivium) R (omanorum). აღსანიშნავია, რომ რომის იმპერატორ მარკუს აურელიუსის სახელობის დამხმარე კოჰორტები დუნაისპირეთის პროვინციებშიც იდგნენ. როგორც ცნობილია, აბრევიატურიანი დამღები – Civium Romanorum რომის არმიის დამხმარე შენაერთებში გამოიყენებოდა.

აფსაროსში განლაგებული რომაული სამხედრო შენაერთების ხასიათისა და მათი ფუნქციის თვალსაზრისით, ინტერესს იწვევს კი-

დევ ერთი დამღა, რომელიც დატანილია წყალსადენის მილზე. ისიც კასტელუმის ცენტრალურ ნაწილშია აღმოჩენილი. წყალსადენის მილი ახ.წ. II საუკუნისაა. მასზე გამოსახულია ნიშანი – X, რომელიც X Fretensis-ის ლეგიონის აღმნიშვნელია. ეს ლეგიონი ახ.წ. I ს-ის დასასრულს სირიაში იყო დაბანაკებული, მოგვიანებით კი პალესტინაში. აღსანიშნავია, რომ ადრიანეს ეპოქაში ამ ლეგიონის ჯარისკაცების მიერაა გამართული წყალსადენის სისტემა კესარიაში. არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული ლეგიონის სამშენებლო-საინჟინრო შენაერთები ამავე მიზნით აფსაროსში სპეციალურად გადმოესროლათ.

ზემოთ განხილული დამღები, როგორც ადრე ითქვა, დოკუმენტურად ადასტურებს არიანეს ცნობას აფსაროსში დისლოცირებული ხუთი კოჰორტის შესახებ, რომლებიც დამხმარე კოჰორტები იყვნენ და არა ლეგიონური სამხედრო შენაერთები. საყურადღებოა, რომ არიანესეული „სპეირა" დაახლოებით ლათინური „მანიპულ"-ის პირდაპირი თარგმანია და კოჰორტის 1/3, 150-200-კაციან რაზმს უდრის. რამდენადაც თეორიულად ხუთი სპეირა კოჰორტა-ნახევარია, ის დაახლოებით 1000 ჯარისკაცს უნდა ითვლიდეს, რაც შეესაბამება აფსაროსის კასტელუმის ტევადობას.

აფსაროსის სიმაგრის ზომიდან (195 X 245 მ) გამომდინარე, ის დაახლოებით ათას ჯარისკაცს იტევდა, რაც აქ საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენდა. უნდა ითქვას, რომ აფსაროსის გარნიზონი საგრძნობლად სჭარბობდა ფასისის, სებასტოპოლისისა და პიტიუნტის გარნიზონთა რაოდენობას. აფსაროსის ციხესიმაგრის ასეთი მნიშვნელობა მისი გეოსტრატეგიული მდებარეობით იყო განპირობებული. აფსაროსი უშუალოდ ემეზობლებოდა იბერიის იმ დროისათვის ძლიერ სამეფოს, საიდანაც იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებს, ჩრდილო კავკასიის მთიელთა სახით, დიდი საფრთხე ემუქრებოდა. ამგვარი საფრთხის რეალურად არსებობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ფარსმან II-ის დროს იბერიელებმა დარიალის კარი გაუღეს ალანებს და ისინი რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებს შეუსიეს (დიონ კასიუსი, LXIX, 15, 1-2).

გონიოდან ჩრდილოეთით, 60 კმ-ზე მდებარეობდა ფასისის ციხესიმაგრე. აქ, არიანეს ცნობით, მდგარა „400 რჩეული" მეომარი, რომელიც რაოდენობრივად ერთ კოჰორტას შეესაბამებოდა. არიანესავე თქმით, ფასისის გარნიზონი ხომ ლოდსარტყორცნი მანქანებით იყო აღჭურვილი. დამხმარე სამხედრო შენაერთებს ახ.წ. II ს-ში, როგორც წესი, სატყორცნი იარაღ-მოწყობილობები არ ჰქონდათ. ბალისტები, ონაგრები და კატაპულტები მხოლოდ ლეგიონების ტექნიკურ აღჭურვილობაში შედიოდა.

შესაძლებელია, რომ ფასისში ლეგიონური კოჰორტა იდგა. არიანეს თქმით, ციხესიმაგრე „იმგვარად ყოფილა მოწყობილი, რომ ვერავინ მიუახლოვდებოდა" (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი ... 9). არიანეს მიერ ნახსენებ ფასისზე შესაძლო თავდასხმაში საფიქრებელია იბერიელები იგულისხმებოდნენ. ალბათ, სწორედ ამიტომ იყო საჭირო ფასისის ციხესიმაგრის გამაგრება და სამხედრო მანქანებით აღჭურვა. ამავე მიზანს ემსახურებოდა, ასევე, არიანეს მიერ აქ ჩატარებული ღონისძიებანი, რომელიც ფასისის ნავსადგურისა და სამოქალაქო დასახლების გამაგრებაში გამოიხატა (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი ... 9).

ასე რომ, არიანეს დროისათვის ფასისი და მისი მიდამოები საიმედოდ ყოფილა დაცული. ფასისის შემოგარენის გამაგრება-განმტკიცების თვალსაზრისით, ინტერესს იწვევს სოფ. მოედანში (ლანჩხუთის რ-ნი) დაფიქსირებული ძველი სასიმაგრო ნაგებობის კვალი. აქ ანაკრეფ მასალაში აღმოჩნდა რომაული დამღიანი აგურის ფრაგმენტი. შემორჩენილია სამი ასო – LEG. დამღა შესაძლოა, XV ლეგიონისა იყოს. რაც შეეხება მის თარიღს, ეს ძალზე რთული დასადგენია, თუმცა ვარაუდის გამოთქმა მაინც შესაძლებელია. როგორც ცნობილია, IV ს-ის მეორე ნახევრიდან, სოფ. მოედნის სიახლოვეს მდებარე რომაელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საყრდენ პუნქტში – ფასისში რომაული გარნიზონი აღარ იდგა. შესაბამისად, ფასისსა და მის მიდამოებში რომაულ სასიმაგრო ნაგებობებსაც ფუნქციონირება უნდა შეეწყვიტა. აქედან გამომდინარე, აღწერილი აგური, ზოგადად, III ს. – IV ს-ის პირველი ნახევრით შეიძლება განისაზღვროს.

სოფელ მოედანში აღმოჩენილი სასიმაგრო ნაგებობა, რომე-

ლიც ზღვის დღევანდელი სანაპიროდან ფოთამდე პირდაპირი ხაზით 10 კმ-ის დაშორებით მდებარეობდა, და, რაც მთავარია, რომაული დამღიანი აგური გვაფიქრებინებს აქ რაღაც გამაგრებული პუნქტის არსებობას, რომელიც ფასისის ციხეს უეცარი თავდასხმებისაგან იცავდა.

სოფ. მოედანში აღმოჩენილი რომაული დამღიანი აგური დოკუმენტურად ადასტურებს, რომ რომაელები ზღვის სანაპირო ზოლთან ერთად კოლხეთ-ლაზიკის შიდა რეგიონებსაც რამდენადმე აკონტროლებდნენ. ერთი ასეთი პუნქტი, როგორც ჩანს, მდ. სუფსის მარჯვენა ნაპირას, დღევანდელ სოფ. მოედანთან არსებულა. ასეთივე პუნქტი უნდა ყოფილიყო, ჩვენი აზრით, არქეოპოლისი-ნოქალაქევი, რასაც გარკვეულწილად მოწმობს იქ აღმოჩენილი კონსტანტინე დიდის სპილენძის მონეტა. ამგვარი მონეტები კი, როგორც წესი, ჩნდება იქ, სადაც რომაელთა სამხედრო კონტინგენტი იდგა.

რომაელთა სამხედრო აქტიურობა იბერიის სამეფოს საზღვრებთან ხელს არ აძლევდა იბერიის ხელისუფალთ. დროთა განმავლობაში, ცხადია, ამას გარკვეული რეაქცია უნდა მოჰყოლოდა. იბერიის მეფე ფარსმან II-მ პროტესტის ნიშნად დარიალის კარი გაუხსნა ალანებს და ისინი შეუსია კაპადოკიასა და არმენიას. ალანები, დიონ კასიუსის გადმოცემით, „კაპადოკიის მმართველის ფლავიუს არიანეს მიერ შეშინებულები, საომარ მოქმედებას წყვეტენ" (დიონ კასიუსი, LXIX, 15, 1). არიანეს მიერ ჩატარებულ სამხედრო ღონისძიებებსა და შავიზღვისპირა ციხესიმაგრეების განახლება-განმტკიცებას მეფე ფარსმანზე ზეგავლენა უნდა მოეხდინა. ამის შემდეგ ადრიანემ მას, „მეგობრობისა და მოკავშირეობის" მოტივით, ელიუს სპარტიანეს ცნობით, „საჩუქრად მისცა სპილო და 50-კაციანი კოჰორტა" (El. Spart., Hadr., 13). ამ კოჰორტის რაოდენობის, სტატუსისა თუ ფუნქციის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ეს კოჰორტა 500 ჯარისკაცისაგან შედგებოდა და საგარნიზონო იყო (Bosworth, 1977, გვ. 225-226), ხოლო მეორე მას 50-ჯარისკაციან საინჟინრო ნაწილად მიიჩნევს (Браунд, 1991, გვ. 51).

მართალია, ელიუს სპარტიანესთან 50-კაციანი კოჰორტაა ნახსენები, მაგრამ ეს გადამწერთა შეცდომა უნდა იყოს. ტექსტში წერია „კოჰორტა“. ცნობილია, რომ რომაული კოჰორტა 500-600 ჯარისკაცისაგან შედგებოდა. ეს უკვე სერიოზული ძალა იყო. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ხსენებული კოჰორტა საგარნიზონო სამსახურისათვის იყო გათვალისწინებული. შესაძლოა, ეს ყოფილიყო იმ XV ლეგიონის მებრძოლებით დაკომპლექტებული, რომელთა ერთი ნაწილი პიტიუნტში იდგა. ტექსტში ხსენებული კოჰორტას რამდენიმე ფუნქციის შესრულება უნდა დაკისრებოდა. ამ ფუნქციათაგან უმთავრესი იყო დარიალის გადმოსასვლელების გაკონტროლება, საიდანაც იმპერიის საზღვრებს ალანების სახით საშიშროება ემუქრებოდა. ამიტომაც ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ აღნიშნული კოჰორტა სწორედ დარიალის ხეობაში უნდა დაბანაკებულიყო და არა იბერიის სხვა რომელიმე პუნქტში. ამ კოჰორტასვე უნდა დაკისრებოდა იბერიის ხელისუფალთა მოქმედების გაკონტროლებაც, რასაც დიპლომატიური გზით ადრიანე ვერ ახერხებდა. მასვე ევალებოდა, ალბათ, სავაჭრო მაგისტრალების კონტროლი.

ადრიანეს მიერ იბერიაში გამოგზავნილმა კოჰორტამ, როგორც ამას შემდგომი მოვლენების ანალიზი ცხადყოფს, გარკვეული მისია შეასრულა. სწორედ მისი ჩადგომის შემდეგ, წერილობითი წყაროების თანახმად, ალანთა შემოსევები იმპერიის საზღვრებში აღარ განახლებულა.

იბერიაში დისლოცირებული კოჰორტის მხარდაჭერით, ადრიანეს ლეგატმა ფლავიუს არიანემ რამდენადმე შეძლო იბერია-რომის ურთიერთობათა მოწესრიგება. ალბათ, არიანეს იბერიაში ელჩობისას გადაწყდა ფარსმან მეფის რომში სტუმრობის საკითხიც. თუმცა ეს ადრიანეს მმართველობის დროს ვერ მოხერხდა, რადგან ადრიანეს იმპერატორობის მიწურულს პოლიტიკური ვითარება რომში გართულდა. იმპერატორი და სენატორები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ცხადია, ასეთ სიტუაციაში საგარეო საკითხები გვერდზე გადაიდებოდა. ფარსმანის ვიზიტი ქ. რომში არიანეს ელჩობიდან იბერიაში მცირე ხნის შემდეგ, ანტონინუს პიუსის იმპერატორობის დასაწყისში შედგა.

ერთ-ერთი ციხესიმაგრე, რომელიც არიანემ დაათვალიერა, სებასტოპოლისი (ახლანდელ ქ. სოხუმთან) იყო. აქ, არიანეს სიტყვებით – „მოხერხდა ჯარისკაცებისათვის ხელფასის მიცემა, ცხენებისა და იარაღის დათვალიერება, მხედრების ვარჯიში,.. ავადმყოფების მონახულება, პურის მარაგის შემოწმება, კედლებისა და თხრილების შემოვლა" (ფლავიუს არიანე, პერპილუსი,.. 10). როგორც ამ აღწერიდან ირკვევა, სებასტოპოლისის გარნიზონი, ძირითადად, კავალერიის ნაწილებისაგან შედგებოდა, მაგრამ კონკრეტულად არ არის დასახელებული მათი რაოდენობა. თუ სებასტოპოლისის ადრეული, ახ.წ. I-II სს. დათარიღებული კასტელუმის ფართობით (0,7 ჰა) ვიმსჯელებთ, მისი გარნიზონი 200 ჯარისკაცს არ აღემატებოდა. თუ ეს ასეა, მაშინ სებასტოპოლისის თავდაპირველი კასტელუმი ნუმერული, ანუ მცირე ციხესიმაგრის კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ, ხოლო მისი გარნიზონი დამხმარე ჯარის შერეული ქვედანაყოფები უნდა ყოფილიყო. დამხმარე ჯარის ნაწილები – სასაზღვრო ნუმერები, რომის რეგულარული არმიის ნაწილები არ იყვნენ. ისინი, როგორც წესი, არარომაელებისაგან კომპლექტდებოდა.

არიანე არაფერს ამბობს მის მიერ სებასტოპოლისში ჩატარებული სამშენებლო საქმიანობის შესახებ, მაგრამ არსებობს ამ ფაქტის დამადასტურებელი ლათინური ლაპიდარული წარწერა. ის აღმოჩნდა ქ. სოხუმის ნავსადგურის დამცავი ქვის ჯებირის წყობაში დაფიქსირებულ კირქვის ფილაზე: HADR. PER. FL.A. LEG.

სებასტოპოლისში, არიანეს დროს, ალბათ, აფსაროსთან შედარებით მცირერიცხოვანი რაზმი იდგა, რაც პარადოქსულია, ვინაიდან სებასტოპოლისი ხომ ამ დროს რომაელთა ერთ-ერთი უკიდურესი სასაზღვრო ფორპოსტია დასავლეთ კავკასიაში. სებასტოპოლისს ევალებოდა იმპერიის უკიდურესი აღმოსავლეთი საზღვრის დაცვა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებისაგან. სებასტოპოლისს სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა – აქ გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანსპორტო გზა, რომლის გამართული ფუნქციონირებითაც რომაელები დაინტერესებული იყვნენ.

სებასტოპოლისი წარმოადგენდა საკონტაქტო ადგილს და შესაძლოა სტრატეგიულ პლაცდარმსაც ჩრდილოეთ შავიზღვისპირე-

თის ქალაქების მიმართ. ძნელია გადაჭრით ითქვას, რატომ იდგა ახ.წ. II ს-ში სებასტოპოლისში რომაელთა ასეთი მცირერიცხოვანი გარნიზონი. სავარაუდოა, ეს იმით ყოფილიყო გამოწვეული, რომ ამ დროს რომაელთა უმთავრესი ფორპოსტი აფსაროსი იყო. ალბათ, აქედან ელოდა გაძლიერებული იბერიის სამეფოსაგან იმპერიის აღმოსავლეთის საზღვარს ყველაზე მეტი საშიშროება, ვიდრე სებასტოპოლისის მონაკვეთიდან.

ამრიგად, ახ.წ. II ს-ის პირველ ნახევარში, როგორც ეს არიანეს ცნობიდან ირკვევა, რომაელთა ძირითადი სამხედრო-საყრდენი პუნქტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ჩრდილოეთ ნაწილში სებასტოპოლისი ყოფილა. სწორედ აქ დაუსრულებია თავისი საინსპექციო მოგზაურობა ფლავიუს არიანეს და აქვე შეუტყვია კიმერიული ბოსფორის მეფის კოტისის გარდაცვალების ამბავი. ამიტომაც არიანეს აღუწერია გზა დიოსკურია-სებასტოპოლისიდან ბოსფორამდე, რათა თუკი რამეს მოისურვებდა იმპერატორი ბოსფორის მიმართ, სცოდნოდა ამ გზის შესახებ. პირველ ასეთ საყურადღებო პუნქტად ბოსფორისაკენ მიმავალ გზაზე არიანე ასახელებს პიტიუნტს (ბიჭვინტას), რომელსაც იგი პატარა ნავსადგომად მოიხსენიებს. არიანეს ცნობიდან ჩანს, რომ მის დროს აქ რომაული სამხედრო შენაერთი არ იდგა. არიანემდე პიტიუნტში გარნიზონი რომ მდგარიყო, ის მას გაკვრით მაინც მოიხსენიებდა. გარდა ამისა, არიანე კონკრეტულად უთითებს, რომ დიოსკურიასთან „მთავრდება რომაელთა სამფლობელოები პონტოს მარჯვენა მხარეს მცურავთათვის" (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი,.. 17).

რომაული სამხედრო შენაერთების პიტიუნტში ჩადგომის დროის საკითხს ნათელს ჰფენს კასტელუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ერთი ლათინურენოვანი წარწერა. ამ წარწერის მიხედვით, პიტიუნტში რომაული გარნიზონი 135-152 წწ. შორის ჩამდგარა. ახ.წ. II ს-ის შუახანებისათვის ბიჭვინტაში რომაელთა სამხედრო შენაერთების ყოფნას დამატებით მოწმობს ის ფაქტიც, რომ აქ უცხოური ნაწარმი და მონეტები მეტი რაოდენობით სწორედ ამ დროიდან ვრცელდება. აღნიშნულ ხანაშივე უნდა დაწყებულიყო პიტიუნტში კასტელუმის მშენებლობა, რომელშიც, როგორც ამას ბიჭვინტის ნა-

ქალაქარზე აღმოჩენილი ლეგიონის ტვიფრიანი კერამიკული ფილის ფრაგმენტები ადასტურებს, მონაწილეობას ღებულობენ ლეგიონური საინჟინრო-სამშენებლო ნაწილები.

ბიჭვინტაში ჯერჯერობით სამი ასეთი ფრაგმენტია დადასტურებული. ერთი ფრაგმენტი დაფიქსირდა ინკიტის ტბასთან არსებული მრგვალი კოშკის ახ.წ. II-III სს-ის ფენაში. აღნიშნული დამღისნაირი XV ლეგიონის დამღიანი კერამიკული ფილები და კრამიტები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი სატალაში, სადაც მდებარეობდა ამ ლეგიონის მუდმივი შტაბბინა. სწორედ ისინი წარმოადგენენ XV ლეგიონის ბიჭვინტის დამღების ზუსტ ანალოგებს. ასე რომ, ახ.წ. II ს-ის შუა წლებში პიტიუნტში ჩაყენებულია XV ლეგიონის ვექსილაცია, რომლის რაოდენობა, ბიჭვინტის კასტელუმის ზომების მიხედვით (140X170 მ), ერთ კოჰორტას არ აღემატებოდა. პიტიუნტის XV აპოლონისეული ლეგიონის გარნიზონის მთავარ ფუნქციას იმპერიის შორეული მისადგომების ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებისაგან დაცვა წარმოადგენდა.

გარნიზონი, როგორც ბიჭვინტის №18 კოშკის IV ს-ის ფენაში აღმოჩენილი ბალისტის ღერძის ნაწილი ადასტურებს, ქვის სატყორცნი მანქანით ყოფილა აღჭურვილი.

ცნობილია, რომ XV ლეგიონი, რომლის ფორმირებაც ცეზარის დროს დასრულდა, თავდაპირველად პანონიაში იდგა, შემდეგ ემონაში. აქედან ის გადაყვანილ იქნა კარნინტუმში. მისი ცალკეული ვექსილაციები იდგნენ გერულატაში, სტუპავაში. ახ.წ. 57 წელს ალანთა აქტივიზაციისა და პართიასთან მოსალოდნელი ომის გამო, XV ლეგიონი რომაელებმა აღმოსავლეთში გადმოისროლეს. იმპერატორ ვესპასიანეს დროს XV ლეგიონი სირიიდან კაპადოკიაში გაგზავნეს. სალეგიონო ბანაკი მოეწყო სატალაში. აღნიშნულ ხანებში აფრიკიდან კაპადოკიაში გადაიყვანეს ასევე XII ელვისებური ლეგიონი, რომელიც იმპერატორ ტიტუსის დროს მელიტენეში დაბანაკდა.

პიტიუნტის გარდა, ახ.წ. II-III სს-ში ამ ლეგიონის ვექსილაციები უნდა მდგარიყვნენ, აგრეთვე, აფსაროსსა (სოფ. გონიო) და სებასტოპოლისში (ქ. სოხუმი). კოლხეთის სანაპირო ამ დროს კაპადოკიის კომპლექსში შედიოდა, ამიტომ ხსენებული რომაული გარნიზო-

ნები კაპადოკიის ლეგატს ემორჩილებოდა. კოლხეთის ზღვისპირა სიმაგრეების გარნიზონები აღმოსავლეთ კაპადოკიაში დაბანაკებულ XII და XV ლეგიონების შენაერთებით კომპლექტდებოდნენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ახ.წ. II-III სს-ში რიზე-ათენა-ხოფას ხაზზე, ანუ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, აღნიშნული ლეგიონების ვექსილაციები იდგნენ. გამორიცხული არ არის, რომ ახ.წ. III-IV სს-ში აქ ტრაპეზუნტში მუდმივად მყოფი I პონტოური ლეგიონის ვექსილაციებიც მდგარიყვნენ.

რაც შეეხება რომაული გარნიზონების შემადგენლობას, ის, ძირითადად, ქვეითებისა და კავალერიისაგან შედგებოდა. ამ ქვედანაყოფების გარდა, აღნიშნულ პუნქტებში რომაელთა ფლოტის ცალკეული შენაერთებიც უნდა მდგარიყო. ამგვარ მოსაზრებას ერთგვარად მხარს უჭერს ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობა. კერძოდ, ყურადღებას იპყრობს იოსებ ფლავიუსის ცნობა შავ ზღვაზე „მშვიდობის დამცველი" ორმოცი ხომალდის შესახებ (იუდეველთა სიძველენი, 11,367).

სავარაუდოდ, ახ.წ. I ს-ის მიწურულს კოლხეთის სანაპიროზე განლაგებული საზღვაო ფლოტი რავენის ესკადრის ან მეზიურ-ფლავიუსისეული ფლოტის ნაწილებისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. ცნობილია, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სანაპიროებს, როგორც აქ აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლები მოწმობს, სწორედ ამ ფლოტის ხომალდები იცავდნენ. ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრიდან, შავ ზღვაზე სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, სპეციალური „პონტოს ფლოტი" იქმნება. ამ ფლოტის ხომალდები უნდა ყოფილიყო, ზოსიმეს ცნობით, რომლებიც ხელთ ჩაუგდიათ გუთებს პიტიუნტში (ზოსიმე, ახალი ისტორია, I, 33). ამასვე ადასტურებს ცნობა პიტიუნტის „კარგად მოწყობილი ნავსადგურის" შესახებ (ზოსიმე, ახალი ისტორია, I, 33).

ამრიგად, ახ.წ. II ს-ში პონტო-კავკასიის სასაზღვრო გამაგრებებში, პიტიუნტის ჩათვლით, მთავრდება ამ სისტემის ორგანიზაციული გაფორმება. ამ სისტემის ავანპოსტის როლს აღნიშნული დროიდან პიტიუნტი ასრულებს. სწორედ, პიტიუნტისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დანარჩენი ციხესიმაგრეების ქსელის მეშვეო-

ბით, რომის იმპერია ახ.წ. III ს-ის შუა ხანებამდე გარკვეულწილად აკონტროლებდა ტრანსკავკასიას, უზრუნველყოფდა საზღვაო ვაჭრობის უსაფრთხოებას.

ახ.წ. III ს-ის შუა ხანებიდან პონტო-კავკასიის სასაზღვრო სიმაგრეთა ჯაჭვში გარკვეული ტეხილი შეინიშნება, რაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გუთების ლაშქრობებს უკავშირდება. როგორც ცნობილია, ახ.წ. 238 წლიდან იწყება რომის იმპერიის დუნაისპირეთისა და ბალკანეთის პროვინციებზე გუთების შემოსევები. მათი ლაშქრობები მხოლოდ ბალკანეთ-დუნაისპირეთით არ შემოფარგლულა. ახ.წ. III ს-ის 40-იან წლებში გუთების თავდასხმების შედეგად ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქები განადგურდა.

ახ.წ. 252-267 წწ. გუთებმა მცირე აზიისა და შავი ზღვის სანაპიროებზე ლაშქრობები მოაწყვეს. ლაშქრობათა ტალღამ საქართველოს ზღვისპირეთსაც გადაუარა.

შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ სანაპიროს დასახლებებზე ნომადური გუთების ლაშქრობათა შესახებ მოგვითხრობს ბიზანტიელი ისტორიკოსი ზოსიმე: „როდესაც გუთებმა დაიწყეს მოოხრება ყველაფრისა, რაც გზაში ხვდებოდათ, პონტოს სანაპიროს მცხოვრებლები გაიქცნენ გამაგრებულ ადგილებში. ბარბაროსები, პირველ ყოვლისა, თავს დაესხნენ ბიჭვინტას, რომელიც შემოზღუდული იყო უზარმაზარი კედლით და რომელსაც ჰქონდა კარგად მოწყობილი ნავსადგური. ადგილობრივი ჯარის სათავეში იდგა სუკესიანუსი. მან მთელი თავისი ჯარებით შეუტია ბარბაროსებს და გარეკა ისინი. გუთებმა იმის შიშით, რომ სხვა სიმაგრეების მცველებმაც არ გაიგონ და არ შეუერთდნენ ბიჭვინტის ჯარებს და საბოლოოდ არ გაგვანადგურონო – აი ამის შიშით ხელთ იგდეს ხომალდები; რაც კი შეეძლოთ და ძალიან შეშინებულებმა მოჰკურცხლეს ისე, რომ ბიჭვინტასთან ბრძოლებში ბევრი თავისი მეომარი დაჰკარგეს. ექვსინის პონტოს სანაპიროს მცხოვრებლები, რომლებიც გადარჩნენ სუკესიანუსის სტრატეგობის წყალობით, იმედოვნებდნენ, რომ გუთები, რომლებიც ამნაირად უკუქცეულ იქნენ, ვერასოდეს გაბედავდნენ გადმოსვლას. მაგრამ, როდესაც იმპერატორმა ვალერიანემ სუკესიანუსი გაიწვია და სამეფო კარზე მისცა თანამდებობა და მიჰყო ხელი ანტი-

ოქიის საქმეების მოგვარებას და მის დასახლებას, მაშინ გუთები კვლავ გამოჩნდნენ; ბოსფორელებს გამოართვეს ხომალდები და გადავიდნენ აზიაში. მათ ბოსფორელებს აღარ დაუბრუნეს ხომალდები, როგორც წინათ, და არც შინ გაუშვეს, არამედ ამ ხომალდებით მიადგნენ ფასისს, სადაც, როგორც ამბობენ, აშენებული იყო ფასისის არტემიდეს ტაძარი და აიეტის სასახლე. მათ სცადეს ამ ტაძრის აღება, მაგრამ უნაყოფოდ; ამის შემდეგ პირდაპირ წავიდნენ ბიჭვინტისაკენ. ეს ციხე აიღეს მათ დაუბრკოლებრივ, მთელი მისი მცველი ჯარი გაწყვიტეს და განაგრძეს გზა. იშოვეს დიდი რაოდენობა ხომალდებისა და ცურვისათვის გამოიყენეს ტყვეები, რომლებმაც იცოდნენ ნიჩბების ხმარება" (ზოსიმე, ახალი ისტორია, I, 32-33).

ზოსიმეს ცნობებიდან ირკვევა, რომ გუთებს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ორჯერ დაულაშქრავთ. პირველი თავდასხმა, რომელიც ახ.წ. 256 წელს მომხდარა, გუთების დამარცხებით დამთავრებულა. მეორე ლაშქრობა კი ახ.წ. 257 წელს მოეწყო და პირველთან შედარებით უფრო მასშტაბური ხასიათისა ყოფილა. გუთების თავდასხმები ამ დროს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არაერთ დასახლებულ პუნქტს შეეხო. ზოსიმეს თანახმად, გუთებს თავდაპირველად ალყა ფასისისათვის შემოურტყამთ, მაგრამ უშედეგოდ. ფასისის დამცველებმა მომხდურნი უკუაქციეს, რაც, ერთი შეხედვით, გაოცებას იწვევს, ვინაიდან გუთებმა თითქმის დაუბრკოლებლად აიღეს ისეთი ძლიერი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი მეომრებით დაცული ქალაქები, როგორიც იყო ტრაპეზუნტი, გორგიპია, ფილიპოპოლისი, აბრიტუსი, ნოვუმი, პიტიუნტი. ეს მაშინ, როცა ფასისს მხოლოდ მცირერიცხოვანი გარნიზონი იცავდა.

ფასისიდან უკუქცევის შემდეგ, როგორც ზოსიმე გადმოგვცემს, გუთებს პიტიუნტისაკენ გაულაშქრიათ და ის იოლად აუღიათ. აქ დატრიალებული ეს კატასტროფა არქეოლოგიურადაც კარგად დასტურდება. ნაქალაქარის თითქმის ყველა უბანზე ძლიერი ნგრევისა და ხანძრის კვალი ჩანს. ციხე-ქალაქის დასავლეთ კარიბჭის მისადგომებთან გამოვლინდა დაღუპულ ადამიანთა უწესრიგოდ ჩაყრილი ჩონჩხების გროვა. პიტიუნტზე გუთების თავდასხმის სურათი კარგად აისახა, აგრეთვე, ნუმიზმატიკურ მასალაშიც. ბიჭვინ-

ტის ბედი, როგორც ჩანს, სებასტოპოლისსაც გაუზიარებია, რასაც მოწმობს სებასტოპოლისის ციხის კედლის გარეთ დადასტურებული ძლიერი ხანძრის კვალი.

ახ.წ. 270 წლიდან რომის იმპერიის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. რომაელებმა ნაისასთან ბრძოლაში დაამარცხეს გუთები და დუნაისპირეთიდან გარეკეს. ბალკანეთ-დუნაისპირეთის პროვინციებში მშვიდობა დამყარდა. ბოსფორის მეფე საურომატ IV კვლავ „კეისრისა და რომაელთა მეგობრის" ტიტულს ატარებდა. ირანში ახ.წ. 272 წელს, შაბურის გარდაცვალების შემდეგ, ტახტისათვის ბრძოლა დაიწყო. ამ ბრძოლაში გაიმარჯვა ნერსემ, რომელიც იძულებული გახდა რომაელებთან ზავი დაედო. ამ დროისათვის რომაელებმა თითქმის მთლიანად აღადგინეს აღმოსავლეთის საზღვარი. სწორედ ამ პერიოდში უნდა მომხდარიყო პონტო-კავკასიის საზღვრის აღდგენა-განმტკიცება. მაგალითად, ახ.წ. III ს-ის შუა ხანებიდან რომაელებმა ტრაპეზუნტში I პონტოური ლეგიონი ჩააყენეს. ამავე პერიოდიდან უნდა დაწყებულიყო სებასტოპოლისის კასტელუმის გადაკეთება-გაფართოება. გვიანდელი ციხესიმაგრის ფართობი 2 ჰექტარი იყო და უკვე ერთ კოჰორტას იტევდა.

რომის ხელისუფალნი გუთების შემოსევების შემდეგაც დაინტერესებას იჩენდნენ პიტიუნტის გამაგრება-გაძლიერების მიმართულებით. ახ.წ. IV ს-ის დასაწყისში რომაელებს ბიჭვინტა-პიტიუნტის საქალაქო დასახლებისათვის სასიმაგრო ნაგებობანი შემოუვლიათ. რაც შეეხება თავად კასტელუმს, როგორც ეს XXII თხრილში აღმოჩენილი თავდაცვის მეორე რიგის კედელი მოწმობს, მისი ტერიტორია სამოქალაქო დასახლების ხარჯზე ჩანს გაფართოებული, რაც, ალბათ, გარნიზონის მებრძოლთა რაოდენობის გაზრდაზე მიუთითებს. ამ დროისათვის ციხესიმაგრეს შეეძლო დაახლოებით 700-800 ჯარისკაცი დაეტია. ახ.წ. III ს-ის ბოლოს ან IV ს-ის დასაწყისში უნდა აღდგენილიყო აფსაროსის (გონიო) კასტელუმიც.

გუთების შემოსევების შემდეგ, ახ.წ. III ს-ის ბოლოს თუ IV ს-ის დასაწყისში, აღდგა აფსაროს-სებასტოპოლის-პიტიუნტის ციხესიმაგრეთა ხაზი. მათი ფუნქციონირება ახ.წ. IV ს-ის მანძილზე გრძელდებოდა, რასაც არაერთი მონაცემი მოწმობს. არქეოლოგიური და

ნუმიზმატიკური მასალების თანახმად, პიტიუნტი ახ.წ. III ს-ის ბოლოდან, ვიდრე IV ს-ის 80-იან წლებამდე აღმავლობის გზაზე დგას. ის საერთაშორისო ურთიერთობებშია ჩართული. სწორედ ახ.წ. IV ს-ზე მოდის ნაქალაქარზე აღმოჩენილ მონეტათა უმრავლესობა. ეს პიტიუნტის ფულად-სასაქონლო მეურნეობის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს. ამ პერიოდშია ნაგები ციტადელის ტერიტორიაზე განლაგებული მონუმენტური შენობები (პრინციპია, ლაზარეთი, ყაზარმები და სხვ.), რაც გვაფიქრებინებს, რომ პიტიუნტ-ბიჭვინტაში ამჯერად თავმოყრილი უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განლაგებული რომაელთა სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ახ.წ. IV ს-ში აღმავლობის გზაზე იდგა აფსაროს-გონიო, რომელიც კვლავინდებურად მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ როლს თამაშობდა პონტო-კავკასიის სასაზღვრო სისტემაში. ის ამგვარ ფუნქციას ახ.წ. IV ს-ის ბოლომდე ასრულებდა, რასაც მოწმობს კასტორიუსის ახ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარში შედგენილი რუკა, სადაც აფსაროსი შეწყვილებული კოშკებით არის დატანილი, მაშინ როცა ფასისი ამ რუკაზე საერთოდ არ არის აღნიშნული. ჩანს, ახ.წ. IV ს-ის ბოლოსათვის ფასისში რომაული გარნიზონი უკვე აღარ დგას.

## 2. კოლხეთის ზღვისპირეთის რომაული გარნიზონების ეთნიკური ატრიბუციისათვის

კოლხეთის ზღვისპირეთში ახ.წ. I-IV სს-ში დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთების ეთნიკური შემადგენლობის სურათის რეკონსტრუქცია გარკვეულწილად სამარხეული ძეგლების საფუძველზეა შესაძლებელი. ამ მხრივ შედარებით სრულყოფილ ინფორმაციას გვაწვდის ბიჭვინტის სამაროვანი, რომელიც ძირითადად სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს უკავშირდება.

ბიჭვინტის სამაროვნის გეგმაზომიერი არქეოლოგიური შეს-

ნავლა 1984-1990 წწ. მიმდინარეობდა. ამ ხნის მანძილზე გაითხარა 500-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის სამარხი. ესენია: ორმოსამარხები, კირხსნარიანი სამარხები, ჭასამარხები, ამფორასამარხები, კრამიტსამარხები, კრემაციული სამარხები, ფილიანი სამარხები. ჩამოთვლილ სამარხთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კირხსნარიანი და ამფორასამარხები.

პირველი მათგანი უჩვეულოა არა მარტო საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, არამედ, საერთოდ, მთელი რომაული სამყაროსათვისაც. მსგავსი ტიპის სამარხები ჯერჯერობით დადასტურებულია ლიბიაში, მაგრამ ის კონსტრუქციული თვალსაზრისით საკმაოდ შორს დგას ბიჭვინტური სამარხებისაგან, რადგანაც ეს უკანასკნელი მთლიანად დუღაბითაა ნაგები და არავითარი სხვა სამშენებლო მასალა არ არის გამოყენებული, მაშინ როცა ლიბიის სამარხების ასაგებად კირხსნართან ერთად გამოიყენებოდა აგურკრამიტებიც. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამგვარი ტიპის სამარხები ერთ-ერთ წამყვან სახეობას წარმოადგენდა ბიჭვინტის სამარხთა შორის. მათი საერთო რაოდენობა 115-ს აღწევს.

ამ ტიპის სამარხები პიტიუნტის სამხედრო-სამოქალაქო მოსახლეობის ბერძნულ-რომაულ ეთნოსს უკავშირდება. საკმაოდ საინტერესო სამარხთა კატეგორიას განეკუთვნება აგრეთვე ამფორასამარხები. სამაროვანზე დღეისათვის 65 ამფორასამარხია გამოვლენილი. ამათგან მხოლოდ ერთია ინვენტარიანი. განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს:

სამარხი №14. კვ. $C_5$, სიღრმე – 45 სმ. ამფორა ყავისფერკეციანია, წელშეზნექილი. ამფორა შუაზეა გადატეხილი, პირი და თავი არა აქვს. ჩადგმულია ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, პირით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. სამარხი ბავშვისაა, უინვენტარო. ამფორის მიხედვით სამარხი III-IV სს. თარიღდება.

სამარხი №98. კვ. $D_{11}$, სიღრმე – 55 სმ. ამფორა დაშლილია. ამფორის კედლების ნატეხებს შორის აღმოჩნდა ბავშვის ძვლები. ამფორა სქელკედლიანია, თიხა კი იასამნისფერი, იმპორტული, სინოპური წარმოებისა, უინვენტარო. III ს-ით თარიღდება.

სამარხი №183. კვ. $C_{11}$, სიღრმე – 45 სმ. ამფორა ადგილობრივია, წელშეზნექილი, ყავისფერკეციანი. ამფორაში ჩასვენებული იყო ბავშვი, რომლის თავის ქალა კარგადაა შენახული. ინვენტარი: 1. მონეტა სპილენძისა, თავთან. ცუდად დაცული; 2. სანელსაცხებლე მინისა, ვიწრო, მაღალყელიანი, წელში გამოყვანილი, ზარისებურტანიანი. ამფორასამარხი III-IV სს. თარიღდება.

სამარხი №247. კვ. 2, სიღრმე – 40 სმ. ამფორა შედარებით კარგადაა შემონახული. ზედა ნაწილი შემონახულია და მისი ფრაგმენტები in situ მდგომარეობაში იქვე დაფიქსირდა. ამფორა ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია ჩაწვენილი, პირით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ამფორაში აღმოჩნდა ბავშვის დაშლილი ძვლები. ამფორა წელშეზნექილია. ყელი მკვეთრად შევიწროებული, შედარებით დაბალი, პირვიწრო. კეცი მოვარდისფროდ გამომწვარი, თიხა სუფთად განლექილი, კარგად გამომწვარი, წვრილმინარევებიანი. განივკვეთში ბრტყელი ყურები მიძერწილია ყელისა და მხრების არეში. ამფორა სამოსურ ნაწარმთა წრეს განეკუთვნება და ახ.წ. IV ს. თარიღდება.

*ცხრილი 1*

| რაოდენობა | ინვენტარიანი | უინვენტარო | დამხრობა | | | | | | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ჩრდ. | სამხ. | დასავ. | აღმოს. | ჩ.ა. | ჩ.დ. | ს.ა. | ს.დ. | |
| 65 | 1 | 64 | 7 | 6 | 11 | 5 | 2 | 6 | 1 | 2 | ორიენტაცია 10 ამფორასამარხისა არ დადგინდა |

სამარხი №296. კვ. $E_1$, სიღრმე – 40 სმ. ამფორა წელზემოთ ნაკლულია. შემორჩენილია მისი ქვედა ნაწილი. ამფორა ადგილობრივია, ყავისფერკეციანი, წელშეზნექილი. ამფორა მიწაში ჩადგმულია ვერ-

ტიკალურად. ამფორაში აღმოჩნდა ბავშვის ფრაგმენტული ძვლები. უინვენტაროა. სამარხი III-IV სს. თარიღდება.

ბიზანტიური ამფორასამარხები საქართველოს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური სინამდვილისათვის უნიკალური შემთხვევა არ არის. დაკრძალვის ეს წესი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჯერ კიდევ გვიანარქაული ხანიდან დასტურდება. ამ პერიოდის ამფორასამარხები აღმოჩენილია ფიჭვნარისა და ციხისძირის სამაროვნებზე. დასაკრძალავ ურნად გამოყენებული იყო ქიოსური ამფორები, რომლებიც ძვ.წ. VI-V სს. თარიღდება. ფიჭვნარის კლასიკური ხანის ბერძნულ ნეკროპოლზე აღმოჩნდა სამი ამფორასამარხი. ორ მათგანში ურნად გამოყენებულია ქიოსური ამფორები, რომლებიც V საუკუნის შუა ხანებით თარიღდება. მესამე კი – თასოსური ამფორაა, რომელიც V საუკუნის მეორე მეოთხედით განისაზღვრება. აღწერილი ამფორასამარხები უინვენტაროა.

ელინისტურ ეპოქაში ამფორასამარხთა რიცხვი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცირდება. ამ პერიოდის ორიოდე ამფორასამარხია ცნობილი. ერთი აღმოჩნდა ეშერაში, ხოლო მეორე ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე. ეშერაში აღმოჩენილ ამფორასამარხში დადასტურებულია ფერფლი და ბრინჯაოს სამაჯურები. ამფორა კი კოსის ნაწარმთა წრეს განეკუთვნება და ძვ.წ. III-II სს. თარიღდება. რაც შეეხება ფიჭვნარში აღმოჩენილ ამფორასამარხს, დასაკრძალავ ურნად გამოყენებული ყოფილა ადგილობრივი ყავისფერკეციანი ამფორა. ინვენტარიანია. ამფორაში დაფიქსირდა მილტუჩიანი ჭურჭელი, ვერცხლის რგოლი და მძივები.

როგორც ჩანს, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კლასიკური და ელინისტური ხანის ამფორასამარხები მცირერიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი, მაშინ როცა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში აღნიშნული ეპოქის ამფორასამარხები საკმაოდ მრავლად გვხვდება. ელინისტური ხანის დასასრულს კი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში და, საერთოდ, მთელ ანტიკურ სამყაროში მათი რიცხვი მცირდება.

ახ.წ. I საუკუნიდან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში ამფორასამარხთა რაოდენობა მკვეთრად იზრდება. ანალოგიური ვითარებაა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში,

თუმცა აქ რომაული პერიოდის ამფორამასარხები, ბიჭვინტის გარდა, ჯერჯერობით ციხისძირსა და გონიო-აფსაროსშია დადასტურებული. ციხისძირის სამაროვანზე დღეისათვის შვიდი, ხოლო აფსაროსში მხოლოდ ერთი ამფორასამარხია გამოვლენილი. ყველა მათგანში, ისევე როგორც ბიჭვინტის ამფორასამარხში, ჩვილი ბავშვებია დაკრძალული. ამფორების მიწაში ჩადგმის დონეც ზომებში თითქმის ერთია – 40-65 სმ-მდე მერყეობს.

ბიჭვინტის ამფორასამარხები, ასევე ციხისძირისა და აფსაროსის ამფორასამარხებიც მიწაში ჰორიზონტალურად იყო ჩადგმული. გამონაკლისს წარმოადგენს ბიჭვინტის ზემოთ აღწერილი №296 ამფორასამარხი, რომელიც ვერტიკალურ მდგომარეობაში ჩანს ჩადგმული. რაც შეეხება ბიჭვინტის ამფორასამარხთა დამხრობას, მათ შორის არაკანონზომიერება შეიმჩნევა. ამფორების გარკვეული ნაწილი ჩადგმულია პირით დასავლეთისაკენ. ზოგიერთი მათგანი კი ჩრდილოეთისაკენ, სამხრეთისაკენ თუ ჩრდილო-დასავლეთით. ყველაზე უფრო ხშირია აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ ორიენტირებული ამფორასამარხები. ამფორათა ერთი კატეგორია შუაზეა გადატეხილი ან გადახერხილი. ამფორების აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი წარმოებისაა. ესენია ყავისფერკეციანი, წელშეზნექილი ამფორები, რომელთა შორის ორი ქრონოლოგიური ვარიანტი გამოიყოფა: ადრეული ვარიანტის ამფორები, რომლებიც ახ.წ. III-IV სს-ით თარიღდება, ყელწიბოიანია, ხასიათდება დიდი ზომებით, სქელკედლიანი და სადაზედაპირიანია. გვიანდელი ვარიანტების ამფორები კი V-VIII სს-ით განისაზღვრება. ამ ვარიანტის ამფორებს აქვთ პროფილირებული პირი, ცილინდრული ყელი, პატარა ბრტყელი ყურები, ქვედა ნაწილში შეზნექილი კორპუსი და კონუსური ძირი.

ადგილობრივი ამფორების გარდა, გვხვდება იმპორტული ცალებიც. ბიჭვინტის სამაროვანზე ოთხიოდე ასეთი, სამარხად გამოყენებული ამფორაა წარმოდგენილი. ერთი მათგანი შედარებით კარგადაა შემონახული. დამზადებულია მოვარდისფროდ გამომწვარი, სუფთად განლექილი თიხისაგან, სიმაღლე – 95 სმ, კეცის სისქე – 1 სმ. ამფორა სამოსურ ნაწარმთა წრეს განეკუთვნება და IV საუკუ-

ნით თარიღდება. მეორე ამფორა ძირბრტყელია, ცენტრისაკენ შეზნექილი, მისი მხრების არე და გვერდები დაფარულია მოწითალო-მოყავისფრო საღებავით. ჭურჭლის ზედაპირი ანგობირებულია, ანგობი ღია ჩალისფერი, თიხა მოიასამნისფრო, ძირის დმ – 10.7 სმ; კეცის სისქე – 0.7 სმ. ამფორა სინოპური წარმოებისაა და ახ.წ. II ს-ით თარიღდება.

სინოპური თიხისგან ჩანს დამზადებული №98 სამარხის ამფორა, რომელიც ძალზე დაშლილია. იგი სქელკედლიანია, თიხა კი იასამნისფერი. ამფორის შერჩენილი სიმაღლე – 50 სმ; კეცის სისქე – 1.5 სმ. აღწერილი ამფორის ფრაგმენტიც ახ.წ. III ს-ით უნდა განისაზღვროს.

მეოთხე ამფორაც ძალზე დაზიანებულია, მოწითალო თიხისაა, ძირშეზნექილი, დაღარულტანიანი. შემორჩენილი ნაწილის სიგრძე – 45 სმ. ასეთი ტიპის ამფორები არაერთგან მზადდებოდა და მათ შორის ხერსონესშიც. აღნიშნული ამფორები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდანაა შემოტანილი და პარალელური მასალებით ისინი ახ.წ. III ს-ით უნდა დათარიღდეს.

ამფორებში დაკრძალული მიცვალებულების პოზა თითქმის არ იკითხება, რადგანაც ჩვილი ბავშვების ჩონჩხი ძალზე დაშლილია. ამიტომაც ძვლები უწესრიგოდ არის მიმოფანტული ამფორებში. ზოგიერთ შემთხვევაში კი თითო-ოროლა ძვლის ფრაგმენტია მხოლოდ დაფიქსირებული. გამონაკლისს წარმოადგენს №183 და №251 ამფორასამარხები, რომლებიც შედარებით უკეთაა შემონახული.

№183 ამფორასამარხში აღმოჩნდა კარგად შენახული ბავშვის თავის ქალა, რომლის მიხედვით დადგინდა, რომ იგი დაუკრძალავთ გაშოტილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთისაკენ. №251 ამფორასამარხში კი შემორჩენილი იყო თავის ქალა და ქვედა კიდურების ნაწილი. მიცვალებული დაკრძალულია გაშოტილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთისაკენ.

ბიჭვინტის, ისევე როგორც ციხისძირის აღწერილი ამფორასამარხებიდან მხოლოდ ციხისძირის №17 და პიტიუნტის №183 ამფორასამარხებია ინვენტარიანი. ციხისძირის №17 ამფორასამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ბუდეაბმული, ჯვრისებური მშვილდსაკინძი.

ანალოგიური მშვილდსაკინძები დასავლეთ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ახ.წ. V-VII სს-ში. ციხისძირის ამფორასამარხიდან მომდინარე ფიბულა ზომებითა და მშვილდის მოყვანილობით ემსგავსება ნოქალაქევისა და სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილ მშვილდსაკინძებს, რომლებიც ახ.წ. V ს-ით თარიღდება.

ბიჭვინტის №183 ამფორასამარხის ინვენტარი მონეტისა და მინის სანელსაცხებლებისაგან შედგებოდა. მონეტა სპილენძისაა, ძვ.წ. I ს-ის, სამხრეთ პონტოს ერთ-ერთ ქალაქშია მოჭრილი. მინის სანელსაცხებლე ხასიათდება ვიწრო, მაღალი ყელით, წელში გამოყვანილი, ზარისებურტანიანი და ძირშეღრმავებულია. იდენტური ტიპის ფლაკონები საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი ნაქალაქარის ტერიტორიაზეც და ახ.წ. III-IV სს-ით თარიღდება. ამ ხანით უნდა დათარიღდეს №183 ამფორასამარხიც. აღნიშნულ ხანასვე განეკუთვნება ასევე პიტიუნტისა და ციხისძირის ამფორასამარხთა აბსოლუტური უმრავლესობა, ხოლო ზოგიერთი მათგანი V-VI სს-ით თარიღდება.

ბიჭვინტისა და ციხისძირის ამფორასამარხების ხასიათიდან გამომდინარე, ისინი სამოქალაქო მოსახლეობის დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს უკავშირდება. რაც შეეხება ამფორასამარხების ეთნოკულტურულ ატრიბუციას, დაკრძალვის ამგვარი წესი ბერძნული ეთნოსისთვის არის დამახასიათებელი. ძველ საბერძნეთში დაკრძალვის ეს წესი არქაული ხანიდან იყო ცნობილი. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული წესი საერთოდ არ დასტურდება დასავლეთ საქართველოს შიდა რეგიონებში და ასევე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ამიტომაც განხილული ამფორასამარხები შეიძლება დავუკავშიროთ აფსაროსის, ციხისძირისა და პიტიუნტის საქალაქო მოსახლეობის ბერძნულ ეთნოსს.

სამარხ ნაგებობათა თავისებურ და ამავე დროს მეტად საინტერესო კატეგორიას წარმოადგენს აგრეთვე კრამიტსამარხები. ამათგან ექვსია ინვენტარიანი, ხოლო დანარჩენი – უინვენტარო. სამარხების ერთი ნაწილი საგრძნობლად დაზიანებული და გაძარცულია. სამარხები ბრტყელი და ღარიანი კრამიტებითაა ნაგები. მიცვალებულებს კრძალავდნენ თავით დასავლეთით, ზოგჯერ ჩრდილო-

აღმოსავლეთისაკენ. კრამიტსამარხები III-IV სს-ით თარიღდება.

დაკრძალვის აღნიშნული წესი ბერძნულ ეთნოსთან არის დაკავშირებული. ბერძნულ სამყაროში ისინი რეგისტრირებულია ძვ.წ. V საუკუნიდან. ბერძნულ ეთნოსსვე უკავშირდება ბიჭვინტის სამაროვანზე დადასტურებული ერთადერთი ფილებიანი სამარხი. პიტიუნტის ნეკროპოლზე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კრემაციულ სამარხებს. გათხრილია შვიდი კრემაციული ორმოსამარხი, რომელთაგან ერთია ინვენტარიანი. დაკრძალვის ეს წესი არ იყო უცხო ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც, რაც ნებელდის და ჩხორონყუს მაგალითებიდანაც ჩანს. მაგრამ, კრემაციის შესრულების მიხედვით, მათ შორის სხვაობა შეინიშნება. თუ ნებელდისა და ჩხორონყუს სამაროვნებზე კრემირებული ძვლები დერგებსა და ურნებში იყო, ბიჭვინტის ნეკროპოლზე კრემაცია ადგილზე, სპეციალურად ამოჭრილ ორმოებში სრულდებოდა, რაც ბერძნული ეთნოსისთვის არის დამახასიათებელი.

სამარხთა გაბატონებულ ტიპს ბიჭვინტაში, ისევე როგორც ციხისძირში, ჩვეულებრივი, ტრადიციული ორმოსამარხები წარმოადგენს. პიტიუნტის ორმოსამარხებში მიცვალებულები გაშოტილ მდგომარეობაში იკრძალებოდნენ, მაგრამ დამხრობისა და კიდურების მდგომარეობის მხრივ, მათ შორის სხვაობა შეინიშნება. მიცვალებულთა უმრავლესობას ერთი ან ორივე ხელი დაკრეფილი აქვს მკერდზე და მენჯის ძვლის არეში.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, კიდურების ასეთი მდგომარეობა სარმატული დაკრძალვის წესისთვის იყო დამახასიათებელი. მაგრამ დაკრძალვის აღნიშნული წესი სხვადასხვა დროსა და სივრცეში ფიქსირდება. მაგალითად, დაკრძალვის ეს წესი დადასტურებულია ოლბიის, ბერეზანის, ხერსონესის ძვ.წ. VI-IV სს. სამაროვნებზე. ამავე ქრონოლოგიურ ჩარჩოებს განეკუთვნება კორინთოს, ათენისა და ოლინთოს ანალოგიური წესით დაკრძალული მიცვალებულები.

მოტანილი მაგალითები მოწმობს, რომ სარმატთა გამოჩენამდე დაკრძალვის ამგვარი პრაქტიკა ცნობილი იყო ბერძნული სამყაროსათვის. რაც შეეხება სამარხთა ორიენტაციას, აქაც არაკანონ-

ზომიერება შეინიშნება: მიცვალებულთა უმეტესი ნაწილი დამხრობილია თავით დასავლეთისაკენ. რაოდენობრივად მეორე-მესამე ადგილზეა ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთისაკენ ორიენტირებული სამარხები. აღსანიშნავია, რომ სამარხთა დამხრობის ამგვარი არაკანონზომიერება დადასტურებულია აგრეთვე ციხისძირისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის რომაული ხანის სამაროვნებზე. ეს განპირობებული იყო იმით, რომ რომაულ სამყაროში ერთიანი და მყარად დადგენილი დაკრძალვის წესები არ არსებობდა.

მიცვალებულთა დაკრძალვის შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ოჯახის ტრადიციებს, რელიეფს, სამარხეულ ნაგებობათა კონსტრუქციას, გზის მიმართულებას და ა.შ. ამიტომაც სხვადასხვა მიმართულებით ორიენტირებულ სამარხთა ეთნიკური კულტურის განსაზღვრისას აღნიშნული მონაცემებიც უნდა იყოს გათვალისწინებული. როგორც საველე დაკვირვებამ აჩვენა, ბიჭვინტის აღმოსავლეთითა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ ორიენტირებულ სამარხებში დადასტურებულია საკმაოდ დიდი ზომის, სოკოსებურქუდიანი ლურსმნები, ხოლო ზოგან ხის ნაშთები. ხის ყუთებში მიცვალებულთა დაკრძალვის წესი ბერძნული მეტროპოლიისა და კოლონიებისათვის ჯერ კიდევ არქაული ხანიდან იყო ცნობილი. აქედან გამომდინარე, პიტიუნტის აღნიშნული კატეგორიის სამარხები ბერძნულ ეთნოსს უნდა დაუკავშირდეს.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ პიტიუნტის სამაროვანზე, ფართოდ წარმოდგენილი ბერძნულ-რომაული დაკრძალვის სხვადასხვა წეს-ჩვეულებების გვერდით, ვერ ვხვდებით ამ სამყაროს ნეკროპოლებისათვის ძალზე დამახასიათებელ სტელებს. გამონაკლისს წარმოადგენს ბიჭვინტის სამაროვნის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთზე შემთხვევით აღმოჩენილი საფლავის ქვის ფრაგმენტი, რომელიც, პეტროგრაფიული მონაცემებით, მომწვანო ფერის ბზიფური კირქვისაგან ჩანს დამზადებული. შემორჩენილია მისი მხოლოდ ზედა ნაწილი, შვერილებითურთ, რომლებიც ჩირაღდნულ სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენს. სტელა კარგადაა დამუშავებული და არქიტექტურულადაც საკმაოდ მაღალ დონეზეა გაფორმებული. ასეთი სტილისა და ხარისხის საფლავის ქვები სპეციალურ

სახელოსნოებში მზადდებოდა. ბიჭვინტურის მსგავსი სტელები ფართოდ იყო გავრცელებული რომაულ სამყაროში, მაგრამ აღწერილი სტელის უახლოესი ანალოგები ცნობილია ესკუსიდან და კიოლნიდან. ისინი, შესაბამისად, I-II და II ს-ით თარიღდება; ბიჭვინტური სტელის იდენტურია, ასევე, კონსტანცის არქეოლოგიის მუზეუმში დაცული საფლავის ქვა, რომელიც IV ს-ითაა დათარიღებული; ბიჭვინტის სტელის ფრაგმენტი კი ანალოგებითა და მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით II-III სს-ით უნდა დათარიღდეს. ეთნოკულტურულად ის ბერძნულ-რომაულ ეთნოსს უკავშირდება.

როგორც ჩანს, პიტიუნტის სამხედრო-სამოქალაქო მოსახლეობის დომინანტს ბერძნული ეთნოსი წარმოადგენდა. თუ რა ვითარება იყო ამ მხრივ რომაელთა მეორე მნიშვნელოვან სადისლოკაციო პუნქტში – დიოსკურია-სებასტოპოლისში, მის შესახებ ფრიად საინტერესო ისტორიაა დაცული სოხუმის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბერძნულწარწერიან სტელაზე, რომელიც სპეციალურ შესწავლას იმსახურებს.

## 3. ლეგიონერის სტელა სებასტოპოლისიდან

სტელები მნიშვნელოვანი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებია. სამარხის სტელები ჯერ კიდევ მიკენის ეპოქაში ჩანს გავრცელებული. მათი სერიული დამზადება კი ბერძნულ-რომაულ სამყაროში ძვ.წ. VI საუკუნიდან იწყება და ახ.წ. IV საუკუნემდე გრძელდებოდა. მთელი ამ ხნის მანძილზე სამარხის სტელების სტილი, ფორმა და კონსტრუქცია ხშირად იცვლებოდა.

დროის ამა თუ იმ ეტაპზე მოდაში იყო მაღალი, თხელი, ვიწრო ფორმის რელიეფურგამოსახულებიანი თუ დეკორატიული ორნამენტებით შემკული სტელები. ზოგჯერ კი დაბალი, მარტივი, წარწერიანი თუ უწარწერო, სადა სტელები.

კოლხეთში ანტიკური ხანის სამარხის სტელები იშვიათია, მაშინ როცა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ისინი მრავალრიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ არქეოლოგიურად საკმაოდ კარგად შესწავლილ ბიჭვინტის სამაროვანზე ჯერჯერობით არ დადასტურებულა წარწერიანი ან გამოსახულებიანი სტელები, რომლებიც ესოდენ დამახასიათებელი იყო რომაული ხანის სამარხებისათვის.

ამიტომაც ამ ტიპის ძეგლების თითოეულ ახალ მონაპოვარს კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ თვალსაზრისით, საინტერესო და ღირებულ ძეგლად გვეჩვენება ამ უკანასკნელ ხანებში სოხუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ძველი ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი წარწერიანი სტელა, რომელიც მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაციის შემცველია. ის დაფიქსირდა რვანახნაგიანი ეკლესიის დეამბულატორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში. სტელა ქვიშაქვის მონოლითისაგანაა დამზადებული. ნაკლულია, მოტეხილია სტელის მარჯვენა მხარე და ქვედა მარცხენა კუთხე. სტელა ოთხკუთხა ფორმისაა, სადაჩარჩოიანი, ზედაპირი სწორია და არცთუ ისე კარგადაა დამუშავებული. შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე – 80 სმ; სიგანე – 67 სმ. სტელის ზედაპირზე ბასრი იარაღით ამოჭრილია ბერძნული წარწერა. წარწერა ასომთავრული ანბანითაა შესრულებული. ტექსტი ასე იკითხება:

XC ΠΟΛΛΑ ΧΡΙΩΝΕΝΟ ΔΕΚΑΤΑΚΙ TEORECTE CTRA-ΤΙΩΤ ΛΕ///ΕΩΝ ΠΙCΤΑΠC Μ///ΛΙ

ქრისტე მრავლის შემძლე. აქ განისვენებს ორესტე ჯარისკაცი, ლეგიონერი, მამაცი. გთხოვთ, მოხვიდეთ.

აღწერილი სტელა მშენებლობის დროსაა გამოყენებული, როგორც სამშენებლო მასალა. სამარხის სტელების ხელმეორედ გამოყენების პრაქტიკას ადგილი ჰქონდა ანტიკურ და შუა საუკუნეების ეპოქაშიც. მაგალითად, ძვ.წ. VI ს. ბერძენ-სპარსელთა ომის დროს, ათენელებმა საფორტიფიკაციო ნაგებობის მშენებლობისას, საფლა-

ვის ქვებიც კი გამოიყენეს. ეს ტრადიცია რომაულ ხანაშიც გრძელდებოდა. ჩრდილოეთ შავისზღვრისპირეთში რომაული ხანის თავდაცვითი, სამეურნეო თუ საზოგადოებრივი ნაგებობების წყობაში სამარხის სტელებს ხშირად იყენებდნენ.

სოხუმის სტელა არცთუ ისე მაღალი ოსტატობითაა დამზადებული. მისი ავტორი მაღალი კვალიფიკაციის ხელოსანი, პროფესიონალი ოსტატი არ ჩანს. შესაბამისად, სტელა სპეციალურ სახელოსნოში არ უნდა იყოს დამზადებული. სპეციალურ სახელოსნოებში მხოლოდ არქიტექტურულად კარგად გაფორმებული და რელიეფურგამოსახულებიანი სტელები მზადდებოდა. სოხუმის მსგავს სტელებს კი საგარნიზონო სამსახურებში ამზადებდნენ. თუმცაღა, ისიც აღსანიშნავია, რომ ახ.წ. III საუკუნიდან ბერძნულ-რომაულ სამყაროში სკულპტურულ-რელიეფური და დეკორატიული ორნამენტებით შემკული სტელების დამზადება შენყდა. IV საუკუნიდან კი ქრისტიანობის გამარჯვებასთან დაკავშირებით სპეციალურ სახელოსნოებშიც დამზადებული სტელები კიდევ უფრო მეტი სისადავით გამოირჩევა. ამიერიდან, ისიც ზოგჯერ, სტელებზე წარწერებია მხოლოდ ამოტვიფრული. მიუხედავად ამისა, სოხუმის სტელა მაინც სადა, მარტივი ტიპის სტელებს უნდა განეკუთვნოს.

აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ სოხუმის სტელა აღმოსავლური, მცირე აზიური სტილისაა. ამგვარი სტილის სტელები აღმოჩენილია რომაულ-ადრებიზანტიური პერიოდის მცირე აზიის მთელ რიგ რეგიონებში. მსგავს სტელებს ვხვდებით ასევე გვიანრომაული ხანის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სამაროვნებზეც.

რაც შეეხება წარწერას, იგი ეპიტაფიაა. პალეოგრაფიული მონაცემებით, წარწერა IV-V საუკუნისაა. შესრულებულია იმდროინდელი ბერძნული ენის ნორმების მიხედვით. ტექსტი მრავალმხრივ საინტერესოა.

წარწერაში მოხსენიებული მეომარი-ლეგიონერი ორესტე, ონომასტიკონის მიხედვით, ბერძენი უნდა ყოფილიყო. თუ ეს ასეა, მაშინ საფიქრებელია, რომ სებასტოპოლისის რომაული გარნიზონის გარკვეული ნაწილი ბერძნულენოვანი ელემენტებით ყოფილა დაკომპლექტებული. სებასტოპოლისისა და, საერთოდ, საქართველოს

შავიზღვისპირეთის რომაული სამხედრო შენაერთების კონტინგენტი უმთავრესად ბერძნული წარმომავლობის მეომრებისაგან რომ შედგებოდა, ამას მოწმობს ასევე სებასტოპოლისისა და პიტიუნტის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ბერძნული წარწერები და გრაფიტოები. ეს გასაგებიცაა. რომაელები, ჯერ კიდევ ახ.წ. II საუკუნიდან, არმიაში ბერძნულ სამხედრო შენაერთებსაც იწვევდნენ და სწორედ მათ აგზავნიდნენ იმ ქვეყნებში, რომლებიც თავიდანვე ელინური კულტურის არეალში იყვნენ მოქცეული.

წარწერიდან ირკვევა, რომ ორესტე ვეტერანი ჯარისკაცი კი არ იყო, არამედ მოქმედი ლეგიონერი, რომელიც თავისი დროისათვის გამოჩენილი, დამსახურებული პირი ყოფილა. შესაძლოა, მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვოდა საბრძოლო ოპერაციების წარმართვაში. მართალია, ორესტე „მამაცი" მეომარია, მაგრამ ის ფაქტი, რომ, წარწერაში მისი სამხედრო წოდება არ ფიგურირებს, ამასთანავე თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თვით სტელაც სადაა, იგი რიგითი ლეგიონერი უნდა ყოფილიყო.

მოტანილი ტექსტი იმითაცაა საინტერესო, რომ აქ გარკვევითაა მითითებული ორესტეს სამხედრო სტატუსი: „στρατιώτης", რაშიც ქვეითი, მძიმედ შეიარაღებული ჰოპლიტი იგულისხმება. ეს კი იმის მოწმობაა, რომ სებასტოპოლისის რომაული გარნიზონი არა მარტო მხედრებისაგან, არამედ ქვეითებისაგანაც შედგებოდა.

სოხუმის სტელის წარწერაში არ არის მითითებული ორესტეს ასაკის, მისი სამხედრო სამსახურში ყოფნის ხანგრძლივობის შესახებ. არც გარდაცვლილი ლეგიონერის სამხედრო ქვედანაყოფის სახელწოდებაზეც არის რაიმე მინიშნება, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო ლეგიონერთა ეპიტაფიისათვის. შესაძლოა, ორესტე იმ XV ლეგიონის ჯარისკაცი ყოფილიყო, რომლის შტაბბინა I-V სს-ში სატალაში მდებარეობდა და რომელთა სამხედრო შენაერთები პიტიუნტში იყვნენ დისლოცირებული. იქნებ იგი „Notitia Dignitatum"-ში მოხსენიებულ სებასტოპოლისში დისლოცირებული კლავდიუსის სახელობის კოჰორტის ლეგიონერია. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი „ნოტიციაში" მოხსენიებულ სებასტოპოლისის თანამედროვე სო-

ხუმთან იდენტიფიცირებას კატეგორიულად უარყოფს (ლომოური, 1975, გვ. 69), რაც, ჩვენი აზრით, გარკვეულ ეჭვებს აღძრავს, თუნდაც იმიტომ, რომ კლავდიუსის სახელობის კოჰორტა მცირე არმენიის სებასტოპოლისში არასოდეს მდგარა.

ხსენებული კოჰორტა, როგორც ამას გონიოში ახლახან აღმოჩენილი კლავდიუსის II კოჰორტის დამღიანი აგურის ფრაგმენტი მიუთითებს, ახ.წ. I-III სს-ში აფსაროსში იდგა. არ არის გამორიცხული, რომ ეს კოჰორტა მოგვიანებით, IV ს-ში, აფსაროსიდან სებასტოპოლისში გადმოესროლათ. ამის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ IV-V სს-ში აფსაროსი, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, მოქმედი ციხესიმაგრე არ არის. შესაბამისად აქ სამხედრო შენაერთებიც არ უნდა მდგარიყვნენ. არც ისაა გამორიცხული, რომ ორესტე ბიზანტიური არმიის შემადგენლობაში შემავალი ნოტიციასეული აბაზგთა I ფრთეულის ჯარისკაცი ყოფილიყო.

ნარწერაში მითითებული ეპითეტი – „ქრისტე მრავლის შემძლე" – იმის მიმანიშნებელია, რომ გარდაცვლილი პირი – ორესტე, ამ ნარწერის შემსრულებელი და მისი დამკვეთიც ქრისტიანები იყვნენ. ეს კი, სხვა მხრივ, იმის მოწმობაცაა, რომ სებასტოპოლისში დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთებისა და აქაური მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ქრიასტიანებისაგან შედგებოდა. საფიქრებელია, რომ ისევე როგორც პიტიუნტში, სებასტოპოლისშიც ქრისტიანული თემი არსებულიყო, რაც დასტურდება კიდეც ე.წ. „აქტა ანდრიაში" (319 წ.) დაცული ცნობითაც: „დიდი ანდრია სიმონთან ერთად ჩამოვიდა ქალაქ ფუსტაში, საიდანაც მათ გასწიეს აბაზგიისაკენ; მოვიდნენ სებასტოპოლისში, იქადაგეს სარწმუნოება და მცხოვრებთა დიდი ნაწილი ქრისტიანობას აზიარეს".

სებასტოპოლისში და, საერთოდ, საქართველოს შავიზღვისპირეთში ქრისტიანიზაციის პროცესი 313 წლის მილანის ედიქტის მიღების შემდეგ უნდა გაძლიერებულიყო. ისევე როგორც პიტიუნტში, აქაც ქრისტიანულ თემს ლეგალური მოღვაწეობა უნდა დაეწყო. სებასტოპოლისში ქრისტიანული თემის სიძლიერეზე, მის ორგანიზაციულ სიმტკიცეზე მიუთითებს არა მარტო ზემოთ ხსენებული IV-V სს-ის რვაწახნაგიანი ეკლესია, არამედ სებასტოპოლისის რადიაციაში შემავა-

ლი ნებელდის სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი და მინის ბალზამარიები, რომლებიც ჯვრის გამოსახულებებითაა შემკული. ამავე ნეკროპოლზეა დადასტურებული IV-V სს-ის ვერცხლის მედალიონი ქრისტიანული წარწერით – „ერთარსი ღმერთი, მშველელი, შემწირველთა" და ოქროს მცირე ზომის ჯვარი. ნებელდის სამაროვნის IV-V სს-ის სამარხთა გარკვეული ნაწილის დაკრძალვის წესიც ქრისტიანულია.

როგორც ჩანს, IV-V სს-ში სებასტოპოლისი იყო არა მარტო რომაული კასტელუმი, არამედ ქალაქიც ორგანიზებული ადრექრისტიანული თემით, რომელიც შესაძლოა, ფლობდა კიდეც გარკვეულ მიწის ნაკვეთებს. თუმცა პირველ ხანებში მისი გავლენა ციხე-ქალაქის კედლებსა და მის არცთუ ისე დიდ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის ფარგლებს არ უნდა გასცილებოდა. ასეა თუ ისე, ერთი რამ უდავოა: IV-V სს-თვის საქართველოს ზღვისპირა ციხე-ქალაქებში ქრისტიანობა მყარად ფეხმოკიდებული რელიგიაა, ხოლო ნაწილობრივ – დასავლეთ საქართველოს შიდა, მთიან რეგიონებში.

მოყვანილი ტექსტი აზუსტებს, ასევე, IV-V სს-ის სებასტოპოლისის სტატუსსაც, რაც დღემდე მკვლევართა შორის დავის საგანი იყო. სპეციალისტთა უმრავლესობა უარყოფს აქ IV ს-ის დასასრულსა და V ს-ში რომაული გარნიზონის ყოფნას (ლომოური, 1975, გვ. 70; Меликишвили, 1959, გვ. 382). სოხუმის ახალაღმოჩენილი წარწერა კი საპირისპიროს მეტყველებს. იგი დოკუმენტურად ადასტურებს ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ IV-V სს-ში სებასტოპოლისი, ისევე როგორც პიტიუნტი, მოქმედი ციხესიმაგრეა, სადაც კვლავ რომაული გარნიზონი დგას. მეტიც, როგორც წარწერიდან ირკვევა, სებასტოპოლისის გარნიზონი ლეგიონური ყოფილა. ლეგიონური გარნიზონები კი მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ ცენტრებში იყვნენ დისლოცირებული. სებასტოპოლისი რომ ამ დროისათვის საკმაოდ თვალსაჩინო სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური ცენტრია, ამას არქეოლოგიური მონაცემებიც ცხადყოფს.

დაბოლოს, სოხუმის სტელის წარწერა დოკუმენტურად ადასტურებს იმ ფაქტსაც, რომ IV-V სს-ში სებასტოპოლისში, ისევე როგორც საქართველოს ზღვისპირეთის დანარჩენ ცენტრებში, ოფიცი-

ალურ, გაბატონებულ ენას წინანდებურად ბერძნული წარმოადგენდა. ლათინური წარწერები კი აქ ძალზე იშვიათია, ისიც ნაწილობრივ სამხედრო ადმინისტრაციას უკავშირდება. ლათინიზმები, როგორც ეს პიტიუნტსა და სებასტოპოლისში აღმოჩენილი წარწერებიდან ჩანს, შემოიფარგლებოდა სამხედრო-ადმინისტრაციული ტერმინებით – ლეგიონერი, კოჰორტა, ვეტერანი, ლეგატი და სხვ.

ამრიგად, სოხუმის ბერძნულწარწერიანი სამარხის სტელა მრავალმხრივ საინტერესო ძეგლია, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება IV-V სს-ის სებასტოპოლისისა და, საერთოდ, ამ პერიოდის კოლხეთის ისტორიისათვის. ამასთანავე, ამგვარი ხასიათის წარწერიანი სტელის აღმოჩენა ჯერჯერობით უნიკალურია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური სინამდვილისათვის და, ამდენად, ის ინტერესს იწვევს.

ბერძნული ეთნოსის ფონზე საკმაოდ მოკრძალებული ადგილი უნდა სჭეროდათ რომაელებსა და რომანიზებულ პროვინციალებს, რასაც, გარკვეულწილად, მოწმობს ლათინური წარწერების სიმცირე ბერძნულთან შედარებით. სამხედრო შენაერთების სამეთაურო კორპუსი რომაელებისა თუ რომანიზებული ბერძნებისაგან შედგებოდა. ამის არაპირდაპირ მოწმობად შეიძლება ჩაითვალოს პიტიუნტისა და აფსაროსის გარნიზონთა მეთაურების – სუკესიანესა და კელერის სახელები, რომლებიც რომაულ ანთროპონომიკას უკავშირდება. ამავე ეთნიკური ჯგუფისგან უნდა ყოფილიყო შემდგარი აგრეთვე ვეტერანთა ერთი ნაწილი. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა აფსაროსიდან გაგზავნილ წერილში მოხსენიებული კლავდიუსის სახელობის II კოჰორტის ვეტერანი მარციალი.

ამგვარად, კოლხეთის ზღვისპირეთში დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთების ძირითადი კონტინგენტი ბერძნული ეთნოსისაგან შედგებოდა. შესაძლოა, ისინი მცირეაზიური ბერძნული მოსახლეობისაგან ყოფილიყვნენ დაკომპლექტებულნი. ნიშანდობლივია, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სანაპირო ციხე-ქალაქთა მატერიალური კულტურის მთელი რიგი არსებითი კომპონენტები მცირეაზიური კულტურის სამყაროს იდენტურია.

## 4. კოლხეთის ზღვისპირეთის რომაული გამაგრების სისტემა

საფორტიფიკაციო ნაგებობანი ანტიკური სამყაროს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ჯერ კიდევ ჰომეროსი თავის „ილიადაში" მიანიშნებდა თავდაცვითი ნაგებობების განსაკუთრებულ ფუნქციაზე: „იქ მან (ფეაკთა მეფემ ნავისტიასმა – თ.თ.) ქალაქს ზღუდენი შემოავლო, ააგო სახლი და ღმერთებს აღუმართა ტაძრები და ველ-მინდვრები მოქალაქეებს გაუნაწილა" (Hom., Od., VI, 9, 10).

ანტიკური ხანის თავდაცვითი სისტემის თავდაპირველ ტიპებს მიწაყრილებისა და თხრილებისაგან შემდგარი საფორტიფიკაციო ზღუდენი წარმოადგენდა. სამხედრო ხელოვნებისა და სამშენებლო ტექნიკის განვითარების კვალდაკვალ, განსაკუთრებით კი რომაულ ეპოქაში, თავდაცვითი ნაგებობების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ჩნდება ხისა და ქვისაგან ნაგები ციხესიმაგრენი, რომლებსაც ყველა ის ნიშან-თვისება გააჩნია, რაც თავდაცვისა და ბრძოლის წარმოებას საჭიროებდა. ასეთივე თვისებებით გამოირჩეოდა კოლხეთის ზღვისპირეთის რომაული გამაგრების სისტემა, რომელიც სპეციალური შესწავლის საგანი ჯერ არ გამხდარა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომაელები იმპერიის საზღვრებზე ქვის მუდმივი სამხედრო ბანაკების აგებამდე ხის დროებით სასიმაგრო ნაგებობებს აგებდნენ. ასეთი ხის სასიმაგრო ნაგებობა ფასისშიც ყოფილა. არიანეს დროისათვის კი აქ უკვე იდგა აგურისაგან ნაგები ციხესიმაგრე. სამწუხაროდ, ფასისის არიანესეული კასტელუმი არქეოლოგიურად ჯერჯერობით არ არის შესწავლილი. მის შესახებ ზოგადი წარმოდგენა გვექმნება დიუბუა დე მონპერეს მიერ შედგენილი სქემატური გეგმით. ამ გეგმის თანახმად, ციხესიმაგრე ოთხკუთხა ფორმისაა, კუთხეებში მრგვალი კოშკებით (Dubois de Montpereux, 1839, გვ. 67-75, ტაბ. XVIII); არიანეს დროინდელი და დიუბუას მიერ აღწერილი ციხესიმაგრე თანამედროვე ფოთის ნავსადგურიდან 5 კმ-ის დაშორებით მდებარეობდა, ხოლო მდ. რიონიდან 500 მ-ის მანძილზე. ციხის კედლებს შორის მანძილი უდ-

რიდა 160 X 180 მ. აქედან გამომდინარე, ალბათ, ფასისის არიანესეული ციხე ერთი კოჰორტისთვის უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული გამაგრების სისტემაში უნდა ყოფილიყო ჩართული ვაშნარის ციხეც. მართალია, ის რომაულ-ბიზანტიურ წყაროებში არ იხსენიება, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ ბიზანტიელი ისტორიკოსები უმთავრესად იმ პუნქტებს ასახავდნენ ლაზიკისას, სადაც სამხედრო ოპერაციები მიმდინარეობდა. ვაშნარის თავდაპირველი ციხესიმაგრე, რომელიც კვადრატული ფორმისაა და რომაული კასტელუმის პრინციპითაა ნაგები, ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს.

ვაშნარის ციხე ძირითადად კვადრებითაა ნაგები კირხსნარზე და მონუმენტური ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს. გალავანი შემოსაზღვრავდა 550-600 ნაბიჯის სიგრძისა და 400-450 ნაბიჯის სიგანის ტერიტორიას. დღეისათვის ციხის ტერიტორიაზე სამი კარიბჭეა გამოვლენილი (დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის). ჩრდილოეთის მხარეს მოსალოდნელია მეოთხე კარიბჭეც. რომაულ კასტელუმებსაც, როგორც წესი, ოთხივე მხრიდან ჰქონდა შესასვლელები. რაც შეეხება ვაშნარის კოშკების რაოდენობასა და ფორმებს, აქ შედარებით უფრო რთულადაა საქმე, ვინაიდან მათ შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. დიუბუა დე მონპერეს მიხედვით, გალავანზე, შიგნიდან, ორი ოთხკუთხა ფორმის კოშკი ყოფილა დაშენებული. შედარებით უფრო ზუსტი ჩანს დ. ბაქრაძის გეგმა, სადაც იმავე მონაკვეთში, აღმოსავლეთ კედლის გაყოლებაზე, ორი მრგვალი და ორი ოთხკუთხა კოშკი აქვს დატანილი (ბაქრაძე, 1987, გვ. 232). ვფიქრობთ, ხსენებული გალავანი ციხის ძირითადი კედელია, უფრო კონკრეტულად, ის ციხის მთავარი, წინა მხარის გალავანია, რადგან ადრეული რომაული კასტელუმების მთავარი მონაკვეთის კედლის კუთხეები ხშირად მრგვალი კოშკებით იყო აღჭურვილი. ამგვარი ფორმის კოშკებით იყო გამაგრებული ნოვუმის, კარნინტუმის, აკვინკუმისა და შვიცენდორფის კასტელუმების ძირითადი საფასადო მხარეები, რომლებიც ახ.წ. II-IV სს-ში ფუნქციონირებდნენ.

მრგვალი ფორმის კოშკები შედარებით უფრო ეფექტური იყო და არტილერიითაც ძნელად ინგრეოდა. ამავე დროს მათი აგებაც ძვირადღირებული და შრომატევადია, ვიდრე კვადრატული ფორმის კოშკები, რომლებიც ვაშნარის ძირითად გალავანსაც გააჩნდა. მაგრამ ისინი გალავნის შუა ნაწილში იყო დატანილი, ხოლო მრგვალი მოყვანილობის კოშკები კედლის კუთხეებთან მდებარეობდა, რაც ამ მონაკვეთის სიმტკიცესა და ეფექტურობაზე მიუთითებდა. ვაშნარის მსგავსი ოთხკუთხა ფორმის კოშკები კი საერთოდ რომაული კასტელუმების წამყვან ფორმას წარმოადგენდა. ჩვენ არავითარი მონაცემი არ გაგვაჩნია ვაშნარის კოშკების ან გალავნის ხასიათის შესახებ, მაგრამ ანალოგიებითა და თვით კედლის სისქის ზომებიდან გამომდინარე, ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა მაინც შესაძლებელია. თუ, მაგალითად, მრგვალი კოშკების მასშტაბებს გავითვალისწინებთ, ვაშნარის ამგვარი მოყვანილობის კოშკები ორიარუსიანი მაინც უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება ვაშნარის გალავნის სისქეს, ის 1.1 მ-ს აღწევს, რაც 3.2 მ ჩამოუვარდება ძველი დროის გამოჩენილი პოლიოკრეტიკოსის ფილონ ბიზანტიელის რეკომენდებული გალავნის მაქსიმალურ ზომას – 10 ლოკტი, ე.ი. 4.45 მ (Phil., Mech.. 3, 1-2). ვაშნარის გალავნის სისქეს 0.9 მ-ით აღემატება სებასტოპოლისის მეორე ციხესიმაგრე, აფსაროსის პირველი სამშენებლო ჰორიზონტის კედლის სისქე (2.30-2.40 მ) კი 1.2 მ-ით. პიტიუნტის კასტელუმის ზღუდის სისქე (3.0-3.2 მ) 2.1 მ-ით მეტია ვაშნარის გალავნის სისქეზე.

ციხესიმაგრეთა გალავნის სისქის ზომებში ამგვარი სხვადასხვაობა უნდა აიხსნას ამა თუ იმ ციხესიმაგრის სტრატეგიული მნიშვნელობით საერთო თავდაცვით სისტემაში, საფორტიფიკაციო ელემენტებისა თუ ტოპოგრაფიული თავისებურებებით. როგორც ჩანს, ვაშნარის გალავნის სისქე არცთუ ისე საკმარისი იყო კედლის სანგრევი მანქანებით შეიარაღებული მოწინააღმდეგის მოსაგერიებლად. მით უმეტეს, რომ ახ.წ. პირველი საუკუნეებიდან არტილერიის სიძლიერე ძალზე გაიზარდა, მაგრამ მათი გალავანი ისრის ტყორცნის ფრონტალური და ფლანგური ფაქტორების გათვალისწინებით ნაგები კოშკებით ჩანს გამაგრებული. ვაშნარის გალავნის სისქის სიმცირე, ზღვისპირა ციხესიმაგრეებთან შედარებით, ამ

უკანასკნელთა ფონზე, ციხის ნაკლებად სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

რამდენადაც ანტიკური ფორტიფიკაციის წესების თანახმად, გალავნის სისქეს უნდა შეედგინა სიმაღლის არანაკლებ 1/3, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვაშნარის გალავნის სიმაღლე 6-7 მეტრი უნდა ყოფილიყო, რაც, ფილონის რეკომენდაციით, ოპტიმალური არ იყო იმისათვის, რათა მოწინააღმდეგე მისადგმელი კიბეებით გალავანზე ვერ გადასულიყო (Phil., Mech., 3, 1-2).

ვაშნარის ციხის შიდა ფართობის ზომებიდან (500 X 400) გამომდინარე, ის 300-400 ჯარისკაცს იტევდა და მცირე ფორტის ტიპის კატეგორიის ციხესიმაგრეს უნდა განეკუთვნოს. მისი ინფრასტრუქტურა, როგორც ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილი კოლექტორის სისტემის ნაშთი მეტყველებს, კარგად ჩანს გამართული. სხვა მხრივ ეს ფაქტი კიდევ ერთი მოწმობაა მისი, როგორც კასტელუმის ტიპის ციხესიმაგრედ მიჩნევისა. რომაული სტაციონალური დანიშნულების კასტელუმების ინფრასტრუქტურის ძირითადი ატრიბუტები ხომ წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემა იყო.

ციხის ტერიტორიაზე, ვფიქრობთ, განლაგებული უნდა ყოფილიყო რომაული კასტელუმებისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები – სამხედრო შენაერთის ხაზინა, ამბარები, სანოვაგის საწყობები (choreum), ყაზარმები (veterinarium), არსენალი და სხვ.

ვაშნარის აღწერილი ციხე თავისი ფორმითა და კონსტრუქციით ახლოს დგას სებასტოპოლისისა და პიტიუნტის მეორე სამშენებლო ჰორიზონტის ციხესიმაგრეებთან, რომლებიც III-IV სს-ით თარიღდება. ვფიქრობთ, ვაშნარის პირველი ციხეც იმავე საუკუნეებით უნდა დათარიღდეს, რასაც დამატებით ადასტურებს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ხალიანი მინის ბალზამარიების ფრაგმენტები, რომლებიც სირიულ ნაწარმადაა მიჩნეული და ახ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით განისაზღვრება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმის საფუძველი არსებობს, რომ ვაშნარი რომაული სამხედრო შენაერთების სადის-

ლოკაციო პუნქტად მივიჩნიოთ. შესაძლოა, ის პონტო-კავკასიის თავდაცვითი სისტემის სახმელეთო ხაზის ერთ-ერთ მონაკვეთს წარმოადგენდა, რომელიც უზრუნველყოფდა მისგან პირდაპირი ხაზით, 18 კმ-ის დაშორებით მდებარე პეტრასა და, საერთოდ, ზღვისპირეთის მონაკვეთის უსაფრთხოებას აფსაროსიდან ფასისამდე.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: ვაშნარის საფორტიფიკაციო ნაგებობის მშენებლობაში რომაული სამხედრო-საინჟინრო პერსონალის მონაწილეობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ამის დასტურია ასევე ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილი ციხის სინქრონული ხანის მარტირიუმი, რომელიც რომაული ხუროთმოძღვრების პრინციპითაა ნაგები.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული გამაგრების სისტემაში თავდაცვისუნარიანობის მაღალი დონით პიტიუნტის, აფსაროსისა და სებასტოპოლისის საფორტიფიკაციო ნაგებობები გამოირჩეოდა.

რომაელებმა პიტიუნტში, როგორც ზოგიერთი სპეციალისტი ვარაუდობს, ფლავიუს არიანეს შავიზღვისპირეთში საინსპექციო მოგზაურობაზე ადრე საფუძველი ჩაუყარეს სამხედრო პლაცდარმს, რასაც, მათივე დაკვირვებით, ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩენილი I-II სს-ის ხის საფორტიფიკაციო ნაგებობების კვალი მოწმობს; II-III სს-ის მიჯნაზე კი პიტიუნტში ქვის მუდმივი საფორტიფიკაციო ნაგებობა – კასტელუმი აიგო.

მისი გეგმა, სამწუხაროდ, არ არის გამოვლენილი, მაგრამ გვიანდელი ციხესიმაგრის ზომები ძირითად მონახაზში მას ემთხვევა. პიტიუნტის კასტელუმი სწორკუთხაა და მსგავსებას პოულობს სატალის, აბრიტუსის, აფსაროსის III-IV სს-ის კასტელუმებთან. ზოგადად, მათ შორის სხვაობა კოშკების მოყვანილობასა და რაოდენობაშიც ჩანს. თუ აბრიტუსისა და შვიცენდორფის კასტელუმები, შესაბამისად, აღჭურვილი იყო 25 და 28 კოშკით ან სატალასი 22 კოშკით, აფსაროსისა და პიტიუნტის ციხესიმაგრეების კედლები 22 და 27 კოშკით ყოფილა გამაგრებული. თუ სატალისა და აბრიტუსის კუთხეების კოშკები კვადრატული ფორმისაა, პიტიუნტის დასავლეთი კუთხის კოშკები კი ე.წ. მარაოსებურია. ამ მხრივ, პიტიუნტის კუთხ-

ის კოშკები ახლოს დგას ბოიოტროსა და შვიცენდორფის კასტელუმების კუთხის კოშკებთან, რომლებიც III და IV სს-ში ჩანს აგებული.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ პიტიუნტის გალავნის კოშკებიდან წამყვან ფორმას კვადრატული ტიპის კოშკები წარმოადგენს. ამგვარი ტიპის კოშკები კი, როგორც ცნობილია, ნაკლებად ეფექტური იყო და მალევე ინგრეოდა არტილერიით, ვიდრე წრიული ან მრავალწახნაგა კოშკები, რომელთა აგება შედარებით ძვირადღირებული და შრომატევადი იყო (Vitr., Arch., I, V, 5).

მართალია, მრავალწახნაგა კოშკები პიტიუნტის სასიმაგრო ნაგებობასაც ჰქონდა, მაგრამ სადღეისოდ აქ გამოვლენილი 27 კოშკიდან მხოლოდ ხუთიოდეა ასეთი. ორი მათგანი გარედან ხუთწახნაგაა, ხოლო დანარჩენი – რვაწახნაგა, რომლებიც სამოსახლოს გალავნის სამხრეთ მხარეზე მდებარეობს. ასეთი ტიპის კოშკების არსებობა ამ მონაკვეთის სტრატეგიული მნიშვნელობით უნდა აიხსნას. ამასვე მოწმობს სამხრეთითვე ჩარიგებული კოშკების სიმრავლე (13 კოშკი) და, რაც მთავარია, №18 ხუთწახნაგა კოშკში აღმოჩენილი „ბალისტის" დეტალი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კოშკი სპეციალური საარტილერიო სატყორცნი მექანიზმებისთვის იყო გათვალისწინებული. ამავე მიზნებს ემსახურებოდა მე-5 და მე-6 ე.წ. მარაოსებური ფორმის კოშკებიც, რომელთა პირდაპირ ანალოგიებს კაპიდავასა და დინოგეტიკის ციხესიმაგრეებში ვხედავთ.

საერთოდ, პიტიუნტის გამაგრების სისტემა სიმტკიცითა და ეფექტურობით გამოირჩეოდა, რისი დამატებითი დასტურიცაა ციხე-ქალაქის გარშემო დღეისათვის არქეოლოგიურად გამოვლენილი სამი ცალკე მდგომი სადარაჯო კოშკი, რომლებიც პიტიუნტის ერთიანი თავდაცვითი სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო. ერთი მათგანი მდებარეობს ინკიტის ტბასთან და ნაქალაქარის დასავლეთ მისადგომს კეტავდა, მეორე გამოვლინდა ფიჭვნარის ახალშენის ნაკრძალში, ხოლო მესამე – სოფ. ლიძავაში, რომელიც ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილს იცავდა. ჩრდილოეთ მხარეს, შესაძლოა, მეოთხე კოშკიც იყო. ასე რომ, პიტიუნტის ციხე-ქალაქის მისადგომები ოთხივე მხრიდან საგულდაგულოდ ყოფილა გამაგრებული.

სადარაჯო ადგილები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ორი ან სამი სასიგნალო კოშკისაგან შედგებოდა, რომაული ლიმესის აუცილებელი ელემენტი იყო. ამგვარი სადარაჯო კოშკები დადასტურებულია დაკიაში, დობრუჯში, გერმანიაში. ოთხი ასეთი ახ.წ-ის I ს-ის საგზაო-სადარაჯო კოშკი აღმოჩნდა ბოსფორის აზიურ ნაწილში, რომელიც კვადრატული ფორმის იყო და მდებარეობდა გორგიპიასა და ბატას შორის, სტრატეგიული კომუნიკაციების საკვანძო პოზიციებზე.

შედარებით მონუმენტურობითა და თავდაცვისუნარიანობის მაღალი სიმტკიცით გამოირჩეოდა ინკიტის ტბის კოშკი, რადგანაც ის მრგვალი მოყვანილობისაა. კონფიგურაციის მიხედვით ის ძალზე ახლოს დგას აცავანისა და ტელ-ბენდერის მრგვალი მოყვანილობის კოშკებთან, რომლებიც, ზოგადად, რომაული ხანით თარიღდება. ანალოგიებითა და კოშკების კედლის სისქის მიხედვით, ინკიტის კოშკი სამსართულიანი უნდა ყოფილიყო.

პიტიუნტის გამაგრების სისტემა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დანარჩენ ციხესიმაგრეებისაგან გალავნის სიგანის ზომითაც განსხვავდებოდა. სებასტოპოლისის მეორე ციხესიმაგრის გალავნის სიგანე 2 მ-მდე აღწევს, რაც მნიშვნელოვნად ნაკლებია ძველი დროის გამოჩენილი პოლიოკრეტიკოსის ფილონ ბიზანტიელის რეკომენდებული გალავნის მაქსიმალურ ზომაზე – დაახლოებით 4.4 მ (Phil., Mech., 3, 1-2). სებასტოპოლისის გალავნის სიგანე 30-40 სმ-ით აღემატება აფსაროსის პირველი სამშენებლო ჰორიზონტის კედლის სიგანეს (2.3-2.4 მ), ხოლო პიტიუნტის კასტელუმის ზღუდის სიგანე 1.2 მ-ით მეტია სებასტოპოლისის გალავნის სიგანეზე.

ციხესიმაგრეთა გალავნის სიგანის ზომებში ამგვარი სხვადასხვაობა უნდა აიხსნას ამა თუ იმ ციხესიმაგრის სტრატეგიული მნიშვნელობით თავდაცვით სისტემაში, საფორტიფიკაციო ელემენტებით და ტოპოგრაფიული თავისებურებებით. ანტიკური ფორტიფიკაციის წესების თანახმად, გალავანზე უნდა მოწყობილიყო „პარაპეტები".

საინტერესოა პიტიუნტის რომაული თავდაცვითი კომპლექსის ე.წ. ნახევარწრიული გალავანი, რომელიც მიბმულია კასტელუმის

სამხრეთ კედელს და ის სამოსახლოს დამცავ გალავნადაა მიჩნეული (Леквинадзе, 1969, გვ. 86). მსგავსი დაგეგმარება, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გვხვდება გერმანიის ლიმესის ციხე-ქალაქ ოსტერბრიუკენში (Johnson, 1987, გვ. 315), მაგრამ ბიჭვინტისაგან განსხვავებით, მისი სამოქალაქო დასახლების გალავანი ტრაპეციული ფორმისაა და კასტელუმის ჩრდილოეთ კედელთანაა მიდგმული. სამოქალაქო დასახლების გალავნის უშუალოდ ციხის კედლებთან გადაბმა უფრო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისთვის არის დამახასიათებელი. ასეთი იყო ფასისის რომაული სამოსახლო, რომელიც ციხესთან ყოფილა მიბმული (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი,.. 9).

თავისებური სამშენებლო ტექნიკით უნდა იყოს განპირობებული ასევე ბიჭვინტის კასტელუმისა და სამოქალაქო დასახლების გადაბმის მონაკვეთზე გალავნის კედლის სამხრეთ ნაწილში გამოჭრილი 1.3 მ სიგანის სათადარიგო კარი. აქ კედელში გამოკვეთილია ვერტიკალური საგანგებო ნიშა ჩამოსაშვები კარისათვის, ხოლო შიდა კუთხეში ამოკვეთილია ოთხკუთხა ფოსო, რომელიც განკუთვნილი იყო კარის ღერძისათვის.

პიტიუნტის თავდაცვით სისტემაში აგრეთვე შედიოდა კასტელუმის შიდა ფართობზე არქეოლოგიურად გათხრილი რომაული სამხედრო შენაერთებისა თუ მათი ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი ნაგებობები. ამ მხრივ, ინტერესს პიტიუნტის კასტელუმის მთავარი ქუჩის ბოლოში აღმოჩენილი დიდი ზომის სწორკუთხა ნაგებობა იწვევს. ამ კომპლექსის საერთო ფართობი 1000 კვ. მეტრს აღწევს. ის ნაგებია კონგლომერატის ბლოკებითა და თლილი კვადრებით. ნაგებობა პრეტორიუმადაა მიჩნეული. მსგავსი ფორმის პრეტორიუმები ცნობილია ბრიტანეთისა და გერმანიის ლიმესის ბანაკებში – ელგინჰაგში, ჰესელბახში, შლოგენსა და ფენდოხში. დაგეგმარებითა და კონსტრუქციით ბიჭვინტური პრეტორიუმის ახლო ანალოგს ფენდოხისა და შლოგენის პრეტორიუმები წარმოადგენს.

აღნიშნული პრეტორიუმების ანალოგიიდან გამომდინარე, ბიჭვინტის დასავლეთ ნაწილში განლაგებული სათავსები სამხედრო შენაერთის შტაბის კანცელარია უნდა ყოფილიყო. ამ ოთახების მო-

პირდაპირე მხარეს არსებულ 210 კვ. მეტრის დარბაზს სადღესასწაულო მიღებების ფუნქცია შეიძლება ჰქონოდა. აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებული სწორკუთხა დაგეგმარების სათავსები – საცხოვრებელი, სამზარეულო და სასადილო ოთახებია. აქვე სარდაფებში კი განთავსებული უნდა ყოფილიყო იარაღისა და პროდუქტის საწყობი. პრეტორიუმს სამი შესასვლელი კარი ჰქონდა: ცენტრალური კარი, რომლის სიგანე 1.85 მ-ია, ოფიცრებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი; მარცხენა კარი – ჯარისკაცების, ხოლო მარჯვენა, ალბათ, დაბალი რანგის თანამდებობის პირთათვის იყო გათვალისწინებული. პიტიუნტის პრეტორიუმი, ზომებიდან და სათავსების კონსტრუქციიდან გამომდინარე, Auxilia-ს ნაირს უნდა განეკუთვნოს.

პრეტორიუმის გვერდით, ცენტრალური ქუჩის ჩრდილო და სამხრეთ გაყოლებაზე, განლაგებული იყო პრინციპია, სამხედრო ადმინისტრაციისათვის განკუთვნილი ნაგებობები. მათ შორის გამოირჩევა მთავარი ქუჩის სამხრეთით მდებარე მონუმენტური, გეგმაში ოთხკუთხა ფორმის შენობა. მისი ფართობი 240 კვ მ-ია. ნაგებია კონგლომერატის ბლოკებითა და კვადრებით. იატაკი კირხსნარითაა მოლესილი. ქუჩის მხრიდან მას 20 X 3 მ. მინაშენი აქვს, რომლის იატაკი მოზაიკითაა დაფარული. გადარჩენილია თევზის, დელფინისა და ტრიტონის გამოსახულებები.

მთავარი გზის სამხრეთ მონაკვეთზე მონუმენტური ნაგებობებია გამოვლენილი. ეს ნაგებობები საერთო გეგმითაა აშენებული. მოგვიანებით ეს კომპლექსი რამდენიმე სათავსოდ გადაუტიხრავთ. ცენტრალური ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთი კედლის წინაც მოზაიკური იატაკია დადასტურებული საბრძოლო სპილოსა და ლომის გამოსახულებებით. რეინისა და დუნაისპირეთის ანალოგიიდან გამომდინარე, ამ მონუმენტურ ნაგებობებში განთავსებული უნდა ყოფილიყო სასამართლო ტრიბუნალი.

აღნიშნულ ნაგებობებს ჩრდილოეთიდან ეკვრის სათავსების მთელი წყება. აქ ქვევრები და ამფორები აღმოჩნდა. ეს სათავსები ღვინის და სანოვაგის საწყობები უნდა ყოფილიყო. ამ სათავსების საწინააღმდეგო მხარეს მდებარეობდა ნაგებობების კომპლექსი,

რომლებიც მრავალჯერ არის გადაკეთებული. მისი პირველი სათავსი 7.5 X 12.5 მ. ორადაა გადატიხრული. იატაკი კირხსნარითაა მოლესილი. აქვე არქეოლოგიურად დაფიქსირებულია კანალიზაციის კოლექტორი. მეორე სათავსის შიდა ფართობი 4 X 4.5 მ; მესამე სათავსი 5.5 X 12 მ ზომისაა. ამ სათავსების უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს სათავსები, რომლებსაც მოზაიკური იატაკი, კანალიზაცია და გათბობის სისტემები ჰქონდა. აქ, ალბათ, ლაზარეთ-სააავადმყოფო უნდა ყოფილიყო. ანალოგიებიდან გამომდინარე, ბიქვინტის საავადმყოფოს უნდა ჰქონოდა იზოლირებული პალატების სისტემა, სააბაზანო ოთახები, გათბობა, საკანალიზაციო და წვიმის სანრეტი არხები, საპირფარეშოები, სამზარეულო და სხვ.

კასტელუმის გარე კედელზე აღმოსავლეთ მხრიდან მიშენებულია 26.5 X 10 მ. ზომის აბანო. აბანოს ჩრდილო-დასავლეთიდან ეკვერის კასტელუმში შესასვლელი 2.8 მ-ის სიგანის კარიბჭე, ალბათ, „Porta Pretoria", რომელსაც ორი ნახევარწრიული კოშკი იცავდა. აღნიშნულ კარიბჭესთან გამოვლენილია ოთხკუთხა შენობა, რომელიც ჯარისკაცების სამორიგეო უნდა ყოფილიყო.

კასტელუმის ჩრდილო და სამხრეთ გალავნის კედლებთან არქეოლოგიურად გამოვლინდა მართკუთხა, წაგრძელებული ნაგებობები, რომლებიც ყაზარმებს წარმოადგენდნენ. ანალოგიებიდან გამომდინარე, პიტიუნტში დაახლოებით ექვსამდე ყაზარმა უნდა ყოფილიყო, სადაც ერთი კოჰორტა დაბანაკდებოდა. ამ ყაზარმების გვერდით უნდა მდგარიყო ცხენებისთვის განკუთვნილი თავლები.

პიტიუნტის საფორტიფიკაციო ნაგებობები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომის სასაზღვრო სისტემაში, რეგიონის დანარჩენ ციხესიმაგრეებთან შედარებით, მეტი სიმტკიცითა და ეფექტურობით გამოირჩეოდა. ეს კი იმით იყო განპირობებული, რომ პიტიუნტი ახ.წ. II-IV სს-ში ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში რომაელთა უკიდურესი მეწინავე ფორპოსტი იყო.

რაც შეეხება აფსაროსის სასიმაგრო ნაგებობას, როგორც ეს არიანეს აღწერიდან ჩანს, ის მის დროს უკვე იყო „Castela Murata"-ს ტიპის მუდმივმოქმედი კასტელუმი. ამ ბოლო ხანებში, არქეოლოგი-

ური გათხრების შედეგად, ციხესიმაგრის სამხრეთი კედლის მონაკვეთში გამოვლინდა უძველეს ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა არიანეს ინსპექტირების პერიოდს და ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება. გონიო-აფსაროსის დღემდე კარგად შემონახული კასტელუმი კი III-IV საუკუნისაა. აფსაროსის კასტელუმი, რომაული ციხესიმაგრეების საერთო სტანდარტებიდან გამომდინარე, საშუალო სიდიდის ბანაკების კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს.

აფსაროსის ციხესიმაგრე სწორკუთხაა და 22 კოშკითაა გამაგრებული. კედლები (სისქე 2.3-2.4 მ) მცირე ზომის ქვათლილებისგან არის ნაგები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფსაროსის კასტელუმი პიტიუნტის II-III სს-ის ციხესიმაგრესთან, ასევე სატალისა და აბრიტუსის III და IV სს-ის კასტელუმებთან გარკვეულ მსგავსებას პოულობს. მაგრამ მათ შორის კოშკების მოყვანილობასა და რაოდენობაშიც ჩანს სხვაობა. აფსაროსის სამხრეთ-დასავლეთი კუთხისა და სამხრეთი კედლის კოშკების მოყვანილობა გეგმაში ნალისებური კონფიგურაციისაა. ანალოგიური ფორმის კოშკებით ყოფილა აღჭურვილი ზაიცელმაუერის, ტულნის, პაგნიკორენის გვიანრომაული ხანის კასტელუმები. აფსაროსის კასტელუმი კეთილმოწყობილი და ტექნიკურად გამართული ყოფილა. არქეოლოგიური გათხრებისას ციხესიმაგრის ტერიტორიაზე გამოვლენილია ყაზარმები, აბანო, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, კოლექტორისა და წყალსადენის რთული სისტემა და სხვ.

რომაული გამაგრების სისტემაში უნდა ყოფილიყო ჩართული პეტრა-ციხისძირიც, თუმცა რომაული საფორტიფიკაციო ნაგებობები აქ ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი. დღემდე შემორჩენილი ციხესიმაგრის ნაშთები კი ადრებიზანტიური პერიოდისაა. ადრებიზანტიურ ეპოქას მიაკუთვნებენ მკვლევრები ჩრდილოეთ ბორცვზე განლაგებულ საფორტიფიკაციო ნაგებობებს, რომლებიც ორმაგი კედლებით იყო სამხრეთ-დასავლეთ ბორცვზე არსებულ წრიულ კოშკთან დაკავშირებული. ორმაგი კედლიდან დასავლეთით მდებარე გალავანი შედარებით მაღალია და ძირითად კედელს წარმოადგენს. ძირითადი კედლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩ-

ნდა კარიბჭე, რომელსაც დასავლეთის მხრიდან სწორკუთხა კოშკი იცავდა. ალბათ, გვიანდელი თავდაცვითი ნაგებობების ზომები უნდა ემთხვეოდეს რომაული ხანის საფორტიფიკაციო სისტემას.

დიოსკურია-სებასტოპოლისში არქეოლოგიურად გვიანანტიკური პერიოდის ორი სხვადასხვა დროის რომაული ციხესიმაგრეა გამოვლენილი.

პირველი ციხესიმაგრე ნაგებია გრანიტის ლოდებით, კირხსნარითა და აგურის ორფენიანი სარტყლით. ნაწილობრივ შემორჩენილია კვადრატული ფორმის შვიდი კოშკი, ხოლო მთლიანად – ჩრდილოეთის კედელი (სიგრძე – 80 მ, სისქე – 2.35 მ), რომელსაც მომრგვალებული კუთხეები აქვს. გეგმაში კვადრატული ფორმისაა. ამგვარი ფორმის ციხესიმაგრეები, მომრგვალებული კუთხეებით, დამახასიათებელია ახ.წ. I საუკუნის დასასრულისა და II საუკუნის პირველი ნახევრის რომაული კასტელუმებისათვის. სებასტოპოლისის პირველი ციხესიმაგრის ანალოგიურია ნოვუმის, კარნინტუმის, აკვინკუმისა და შვიცენდორფის კასტელუმები. სებასტოპოლისის პირველი თავდაცვითი ნაგებობა ამავე საუკუნეებში უნდა იყოს ნაგები, რასაც, გარკვეულწილად, არქეოლოგიური მასალებიც (ახ.წ. I ს-ის კოსის ამფორის ფრაგმენტები; ახ.წ. I-II სს-ის ორყურიანი წითელლაკიანი დოქი; I ს-ის შუა ხანების ბოსფორული მონეტა) მოწმობს. სებასტოპოლისის თავდაპირველი ციხესიმაგრის ფართობი 1 ჰა-ს არ აღემატებოდა და, ამდენად, ის მცირე ზომის ფორტების კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს.

სოხუმის გვიანდელი მეორე ციხესიმაგრე, პირველთან შედარებით, უფრო დიდი ზომისაა, მისი ფართობი 2.5 ჰა-ია, რითაც ის პიტიუნტის კასტელუმის სიდიდეს უახლოვდება. ასეთი ფართობის ციხე თავისუფლად დაიტევდა ერთ კოჰორტას (დაახლოებით 500 ჯარისკაცი) და ის საკოჰორტო ანუ საშუალო ციხესიმაგრის კატეგორიას განეკუთვნება. მეორე ციხის კედლები სრულად არაა შემორჩენილი. ნაწილობრივ შემორჩენილია ციხის დასავლეთი, ხოლო მთლიანად აღმოსავლეთის კედელი. ამ უკანასკნელის სიგრძე 140 მ-ია. მეორე ციხესიმაგრე, პირველის მსგავსად, გეგმაში კვადრატული ფორმისაა. გალავნის სისქე 2 მ-მდე აღწევს, რაც სიგანით ჩამოუ-

ვარდება ძველი დროის გამოჩენილი პოლიოკრეტიკოსის – ფილონ ბიზანტიელის მიერ რეკომენდებულ გალავნის მაქსიმალურ ზომას – დაახლოებით 4.2 მ (Phil, 3, 1-2).

ანტიკური ფორტიფიკაციის ტრადიციული წესების თანახმად, გალავნის სიგანეს უნდა შეედგინა არანაკლებ 1/2 სიმაღლისა (Phil, 3, 1-2). აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სებასტოპოლისის მეორე ციხესიმაგრის გალავნის სიმაღლე 9 მეტრი უნდა ყოფილიყო, რაც, ფილონის რეკომენდაციით, ოპტიმალური იყო იმისათვის, რათა მოწინააღმდეგე მისადგმელი კიბეებით გალავანზე ვერ გადასულიყო (Phil, 3, 1-2). სამწუხაროდ, სებასტოპოლისის გალავნის დაბოლოების ხასიათი უცნობია. ანტიკური საფორტიფიკაციო პრაქტიკის თანახმად, გალავანზე უნდა მოწყობილიყო ქონგურები. თუმცა გალავანი ყოველთვის ქონგურებით როდი ბოლოვდებოდა (Phil, 3, 1).

სებასტოპოლისის მეორე ციხესიმაგრის კედლების წყობა ნაგებია „opux mixtum"-ის წესით – გრანიტის ქვებითა და აგურის სარტყლებით კირხსნარზე. აფსაროსის, პიტიუნტისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის თანადროული ციხესიმაგრეებისაგან განსხვავებით, სებასტოპოლისის კედლის წყობაში გამოყენებულია ხის ძელები. ძელები ერთმანეთისაგან 2.4-2.5 მ-ითაა დაშორებული. ამგვარი წესი დადასტურებულია სოხუმის შუა საუკუნეების ციხის წყობაშიც. გალავნისა და №2 კოშკის კედლებში აგურის ფენებია დატანილი. ფენებს შორის მანძილი 1.5-1.17 მ-ია, აგურის ფენების სისქე – 0.2-0.23 სმ. მეორე ციხესიმაგრის აღმოსავლეთ კედელზე შემორჩენილია ორი კოშკი, რომლებიც ერთმანეთისაგან 100 მ-ითაა დაშორებული. ორივე კოშკი, ისევე როგორც პირველი კასტელუმის კოშკები, კვადრატული ფორმისაა.

მეორე ციხის კოშკების ფორმის ანალოგიურია სოხუმის ყურედან 2 კმ-ზე, ჩრდილოეთით, ცალკე მდგომი სადარაჯო კოშკი, რომელიც, ალბათ, სებასტოპოლისის ერთიან თავდაცვით სისტემაში შედიოდა და ციხე-ქალაქის მისადგომებს იცავდა: კოშკის საერთო ფართობი – 6.3 X 6.45 მ; კედლის სიგანე – 1 მ. კოშკი რიყის ქვებითა

და კირხსნარითაა ნაგები. სადარაჯო კოშკი, როგორც იქ აღმოჩენილი მასალები მოწმობს, III-V სს-ში ფუნქციონირებდა.

ანალოგიებითა და კოშკის კედლის სისქის მიხედვით, სებასტოპოლისის ცალკე მდგომი კოშკი ორი ან სამსართულიანი უნდა ყოფილიყო და მისი სიმაღლე, ალბათ, დაახლოებით 12 მ-ს აღწევდა. წყობის ტექნიკითა და ზომებით ის ჩამოგავს მეგარასთან და სუნიონის (ატიკა) კონცხზე მიკვლეულ კოშკებს. სებასტოპოლისის მეორე ციხესიმაგრის დაგეგმარება, რომელიც ახ.წ. II-IV სს-ის საფორტიფიკაციო ნაგებობებისთვისაა დამახასიათებელი, ანალოგებს პიტიუნტის, ხარაკსისა და სატალის კასტელუმებთან პოულობს.

ასეთი იყო ზოგადად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული გამაგრების სისტემის არქიტექტონიკა, მისი ხასიათი თუ ფუნქცია. აღნიშნული სისტემა თავდაცვისუნარიანობის სიმტკიცითა და ეფექტურობით გამოირჩეოდა. მის უმთავრეს დანიშნულებას კი იმპერიის პონტო-კავკასიის სასაზღვრო ხაზის გაკონტროლება წარმოადგენდა.

## 5. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კოლხური და რომაული დასახლებების სტატუსი

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის I-IV სს-ის დასახლებების – სებასტოპოლისის, აფსაროსის, ფასისის, პიტიუნტის სტატუსის განსაზღვრა რთულ საქმეს წარმოადგენს. ეს განპირობებულია არა მარტო წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების უკმარისობით, არამედ ზოგჯერ ამ მონაცემთა შეუსაბამობითაც. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ზღვისპირა დასახლებების ტიპოლოგიურ-ფუნქციური ხასიათისა და დანიშნულების შესახებ. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ რომაულ ციხესიმაგრეებად მიიჩნევს, ხოლო მეორე – ციხე-ქალაქებად თუ ქალაქებად. ჩვენ ახლა არ შევუდგებით ამ მოსაზრებების არგუმენტაციათა დეტალურ განხილვას, რამდენადაც მათზე საუბარი გზადაგზა გვექნება, მაგრამ ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ ის, რომ I-IV სს-ის ზღვისპი-

რა დასახლებების ხასიათი და დანიშნულება ერთნაირი არ ყოფილა და დროის სხვადასხვა მონაკვეთში არცთუ ისე იშვიათად იცვლებოდა.

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს ძვ.წ. VI-I სს-ის ისეთი ქალაქები, როგორიც იყო ეშერა, გიენოსი, ფიჭვნარი, ახ.წ. პირველი საუკუნისათვის აღარ არსებობდა, მაგრამ კოლხეთის რიგი ზღვისპირა პუნქტები კვლავ განაგრძობდა არსებობას. მაგალითად, კოლხეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ქალაქი დიოსკურია ახ.წ. I ს-ის 70-იანი წლებისათვის, პლინიუსის ცნობით, „დაცარიელებულია", მაგრამ ამის შემდგომაც, მისივე სიტყვებით, „ჩვენები (რომაელები, თ. თ.) თავის საქმეს აქ 130 მთარგმნელის მეშვეობით აგვარებდნენ" (პლინიუსი, ბუნების ისტორია, VI, 15). სწორედ პლინიუსის ეს ცნობა აძლევს საშუალებას ზოგიერთ მკვლევარს, დიოსკურიის დაქვეითების შემდეგაც აქ საქალაქო ცხოვრება ივარაუდოს და, შესაბამისად, ის საქალაქო ცენტრად მიიჩნიოს. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ პლინიუსის ამ ცნობას, მაშინ კონტექსტიდან აშკარაა, რომ დიოსკურია იმდენად სახელგანთქმული იყო, რომ „აქ 300 ტომის წარმომადგენელი იყრიდა თავს".

ცხადია, დიოსკურია, პლინიუსის მიხედვით, დაცემულ-დაქვეითებულია წინა პერიოდთან შედარებით, რასაც, გარკვეულწილად, არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებს: ძვ.წ. III-II სს-ის კულტურულ ფენასთან შედარებით, ძვ.წ. I – ახ.წ. I ს-ის დასაწყისის ფენა მეტად სუსტადაა გამოკვეთილი და მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი, ხოლო I ს-ის ფენა მცირერიცხოვანი კერამიკული ნიმუშებითაა წარმოდგენილი. ესაა ახ.წ. I საუკუნით დათარიღებული კალთებმომრგვალებული, ოდნავ ნაპირგადაშლილი, ღია წითელი, მოაგურისფრო, კარგი ხარისხის ლაკით დაფარული თასი; ახ.წ. I-II სს-ის მიჯნის პირგადაშლილი, ნაპირღარიანი და კალთებმომრგვალებული, სადანაპირიანი, რგოლისებურქუსლიანი ფიალები, მცირეაზიური ორლულა ყურიანი ამფორის ფრაგმენტები; ამავე ფენაშია დაფიქსირებული ახ.წ. I ს-ის შუა ხანების ბოსფორული მონეტა, რაც აშკარად მიუთითებს I ს-ის დიოსკურიაში სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებაზე მისი ხანგრძლივი დაქვეითების შემდეგ. მიუხედავად ამისა, I ს-ის ფენა და მასში წარმოდგე-

ნილი მასალები არ იძლევა ამ დროის დიოსკურიის სტატუსის განსაზღვრის საშუალებას. ამ მხრივ, გარკვეული სიცხადე შეიძლება შეიტანოს პლინიუს უფროსის კიდევ ერთმა საყურადღებო ცნობამ: „დიოსკურიის შემდეგ, – წერს პლინიუს უფროსი, – ქალაქი ჰერაკლეუმია სებასტოპოლისის კასტელუმიდან 70 ათას ნაბიჯზე დაშორებული" (პლინიუსი, ბუნების ისტორია, VI, 16).

როგორც ჩანს, აქ ერთი და იგივე პუნქტი სხვადასხვა სახელწოდებითაა აღნიშნული და რაც ყველაზე საინტერესოა, დიოსკურია და სებასტოპოლისი ცალ-ცალკეა დასახელებული. შესაბამისად, თუ პლინიუსის ზემოთ მოტანილ ცნობასა და მისსავე შენიშვნას დიოსკურიის „დაცარიელების" შესახებ ერთმანეთთან დავაკავშირებთ, გამოდის, რომ დიოსკურია რიგით საქალაქო დასახლების რანგამდე ჩამოქვეითებული პუნქტია, ხოლო სებასტოპოლისი – მის მეზობლად მოქმედი ახალი რომაული ციხესიმაგრე.

ნიშანდობლივია, რომ გვიანდელი ხანის ზოგიერთი ავტორი (არიანე, ანონიმი) ხშირად ორივე სახელწოდებას ერთად ასახელებს (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი,.. 10; 12-13). ზოგთან კი სებასტოპოლისის სახელწოდებით მხოლოდ რომაული მეციხოვნეები აღინიშნება (იპოლიტე რომაელი, აგათია, პროკოპი) (გეორგიკა, 1966, გვ. 101, 107, 135, 221). ავტორთა ერთი ნაწილი ამ ცენტრს მხოლოდ ტრადიციული დიოსკურიის სახელით იხსენიებს (არიანე, ამიანე მარცელინე) (გეორგიკა, 1965, გვ. 112). ციხისა და ქალაქის ამგვარი დეფინიცია კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს XVIII ს-ის მოგზაურთა (გიულდენშტედტი, სუხოტინი, ლვოვი) თუ ისტორიკოსთა (ნ. დადიანი, ს. ბურნაშევი) შრომებში, სადაც თანამედროვე სოხუმის ტერიტორიაზე ციხე და ქალაქი სხვადასხვა ადგილზეა მითითებული და სხვადასხვა სახელწოდებებით აღინიშნება (სოხუმ კალა ციხედ იწოდება, ხოლო ცხუმი ქალაქად).

ასე რომ, ახ.წ. I ს-ის დასასრულს და, შესაძლოა, II ს-შიც სებასტოპოლისი, შესაბამისად, ადგილობრივი საქალაქო ცენტრი და რომაული ციხეა ტიპოლოგიურად, ხოლო ფუნქციური თვალსაზრისით სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ახ.წ. I-II სს-ის აფსაროს-

ზე. მართალია, პლინიუს უფროსი მას მხოლოდ კასტელუმად მოიხსენიებს (პლინიუსი, ბუნების ისტორია; VI, 11), მაგრამ სხვა ავტორთა ცნობები საპირისპიროს მეტყველებს. მაგალითად, არტემიდორე ეფესელი, რომელთანაც პირველად მოიხსენიება აფსაროსი, თავის „მოკლე მიმოხილვაში" უთითებს ქალაქსა და კუნძულ აფსირტს (გეორგიკა, 1936, გვ. 277), რაც რომაელთა გაბატონებამდე აფსაროსის მიდამოებში ქალაქის არსებობის მოწმობად შეიძლება ჩაითვალოს. ამას უნდა ადასტურებდეს არიანესთან დაცული ტრადიციაც: „ამბობენ, რომ ადგილი აფსაროსი ოდესღაც ძველად აფსირტედ იწოდებოდა იმის გამო, თითქოს აქ მედეას ხელით დაიღუპა აფსირტე, ხოლო შემდეგ ეს სახელი მეზობელმა ბარბაროსებმა დაამახინჯეს" (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი,.. 6). ამავე თვალსაზრისით, ძალზე საყურადღებოა აგრეთვე „ქართლის ცხოვრებაში" დაცული ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ „ანდრია პირველწოდებული ტრაპიზონიდან მეგალოპოლისში მოვიდა, საიდანაც შევიდა ქვეყანასა ქართლისასა, რომელსაც დიდაჭარა ეწოდება" (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 17).

„ქართლის ცხოვრების" ამ ცნობაში, რომელიც ძველი გადმოცემის თუ რომელიღაც ძველი წყაროს ანარეკლია, მოხსენიებული მეგაპოლისი გონიო-აფსაროსი უნდა იყოს, რადგანაც, წერილობითი წყაროებით, ტრაპეზუნტიდან ვიდრე აფსაროსამდე რომაულ ხანაში სხვა მნიშვნელოვანი საქალაქო დასახლება არ დასტურდება. მეგაპოლისისა და აფსაროსის იდენტურობაზე უნდა მიუთითებდეს ისიც, რომ აფსაროსი, როგორც პლინიუსის ცნობიდან ირკვევა, სწორედ იბერიას ესაზღვრებოდა: „აფსაროსის გარშემო მთებს იქით, – წერს პლინიუსი, – იბერია ძევს" (პლინიუსი, ბუნების ისტორია; VI, 4). როგორც ჩანს, აფსაროსში, რომაელთა მიერ აქ ციხესიმაგრის აგებამდე, ადგილობრივი საქალაქო დასახლება არსებულა. ამ საქალაქო ცენტრის ტერიტორიაზე ანდა მის მახლობლად ახ.წ. I ს-ის 70-იანი წლებისათვის უკვე ყოფილა რომაული ციხე, რომელშიც, არიანეს ცნობით, „ხუთი სპეირა მდგარა" (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი,.. 6).

დიოსკურიისა და აფსაროსის მსგავსი, ოღონდ ოდნავ განსხვავებული ვითარება დასტურდება ფასისში. როგორც ცნობილია, ფასისიდან ახ.წ. I ს-ის არქეოლოგიური მასალა ჯერჯერობით არ გაგ-

ვაჩნია, მაგრამ ჩვენს ხელთაა პლინიუს უფროსის მეტად ძუნწი ინფორმაცია აღნიშნული ხანის ფასისის მდგომარეობის შესახებ: „მდინარე ფასისის ნაპირებზე მდებარეობდა მრავალი ქალაქი, მათგან უდიდესია – ტინტარიდა, კირკეუმი, კიგნუმი და შესართავთან ფასისი... ახლა მხოლოდ სურიუმილა არის" (პლინიუსი, ბუნების ისტორია; VI, 13).

კონტექსტიდან ირკვევა, რომ პლინიუსი, დიოსკურიის მსგავსად, ფასისის მიმართაც ახდენს შედარებას ძველ დროსთან, როცა ის „უდიდესი" იყო. ცხადია, რომ, ისევე როგორც დიოსკურია, პლინიუსის დროისათვის ფასისიც დაქვეითებული საქალაქო ცენტრია. თუმცა, როგორც ეს პლინიუსის ცნობის კონტექსტიდანაც ჩანს, საქალაქო ცხოვრება მეტ-ნაკლები ინტენსიურობით მაინც გრძელდება. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მკვლევარი მაინც უარყოფს ფასისის ქალაქობას და მას მხოლოდ რომაულ ციხესიმაგრედ მიიჩნევს, რადგანაც, მათი აზრით, არიანე ფასისს ქალაქად არ იხსენიებს (Леквинадзе, 1969, გვ. 75-76), მაგრამ ეს, ვფიქრობთ, სამხედრო მოხსენების ხასიათით უნდა აიხსნას: არიანეს, როგორც კაპადოკიის ლეგატს, იმპერატორისაგან საგანგებოდ ჰქონდა დავალებული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული კასტელუმების შემოწმება. მისი ინტერესის სფეროში შედიოდა ამ ციხესიმაგრეების მხოლოდ საბრძოლო მზადყოფნის შემოწმება და არა ზღვისპირა ცენტრების დეტალური აღწერა-დახასიათება. ნიშანდობლივია, რომ არიანეს მომდევნო ხანის ბერძენ-რომაელი ისტორიკოსებიც საქართველოს ზღვისპირა ცენტრებს რომაელთა სამხედრო-სტრატეგიული ინტერესების კონტექსტში იხსენიებდნენ.

ფასისს საქალაქო ცენტრის ფუნქცია მთლიანად რომ არ ჰქონდა დაკარგული, ამას მოწმობს თვით არიანესავე მინიშნება ქალაქ ფასისის შესასვლელში აღმართულ „ფასიანელი ქალღმერთის" ქანდაკებასა და ძველი ღუზების მუზეუმზე" (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი,.. 9), რომლებიც რომაულ ციხესიმაგრეში კი არ მდებარეობდნენ, არამედ, არიანესავე სიტყვით, „Μεντοι", სხვაგან, სხვა ადგილას. ამ ძველი, დაქვეითებული, მაგრამ ჯერ კიდევ მოქმედი საქა-

ლაქო ცენტრის მახლობლად არიანეს დროისათვის უკვე არსებობდა რომაული ციხესიმაგრე სამოქალაქო დასახლებითურთ. აღსანიშნავია, რომ ციხესიმაგრე დიდი მანძილით არ უნდა ყოფილიყო დაშორებული სამოქალაქო დასახლებისაგან, სადაც, არიანეს ცნობით, გადამდგარი ჯარისკაცები და ვაჭრები ცხოვრობდნენ. ამ უკანასკნელი სოციალური კატეგორიის გამოყოფა ფასისის სავაჭრო ხასიათზე მიუთითებს. ეს კი ქალაქობის ერთ-ერთ დამახასიათებელ, არსებით ფუნქციას წარმოადგენდა.

ფასისსა და აფსაროსთან შედარებით, განსხვავებული სურათი დასტურდება ახ.წ. I-II სს-ის პიტიუნტში. როგორც ცნობილია, სტრაბონი მას „დიდ პიტიუნტს“ უწოდებს (სტრაბონი, XI, 2, 14). პლინიუსიც აღნიშნავს, რომ ის უმდიდრესი ქალაქი იყო, რომელიც მისი დროისათვის ჰენიოხების მიერაა გაძარცული (პლინიუსი, ბუნების ისტორია; VI, 16). არიანე კი იქ მხოლოდ ορμος-ს აფიქსირებს: „დიოსკურიიდან რომ მიდიხარ, პირველი ნავსადგომია პიტიუნტში, 350 სტადიონის მანძილზე“ (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი,... 9).

პლინიუსისა და არიანეს ამ ცნობების საფუძველზე, ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს ახ.წ. I ს-ის ბიჭვინტა განადგურებულად და ნანგრევებად ქცეულად წარმოიდგინოს (Меликишвили, 1959, გვ. 375), მაგრამ პლინიუსის ცნობიდან არ ჩანს, რომ „პიტიუნტი ნანგრევებად იყო ქცეული“. იგი მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ მდიდარი ქალაქი პიტიუნტი გაძარცვეს ჰენიოხებმა. გაძარცვა ნანგრევებად ქცევას არ ნიშნავს. არიანეს ზემოთ მოყვანილ ცნობაში კი საუბარია არა საერთოდ ბიჭვინტაზე, არამედ კონკრეტულად მისი ნავსადგომის შესახებ. მართალია, არიანე არაფერს ამბობს პიტიუნტის ნავსადგურის ავკარგიანობის შესახებ, მაგრამ აქაც ტრაპეზუნტის მსგავსი ნავსადგომი უნდა ყოფილიყო, რომელიც შეიძლებოდა ხელოვნურ ნავსადგურად გადაკეთებულიყო. მართლაც, II-III სს-ის ბიჭვინტაში შესაძლებელი გამხდარა ამ ტიპის ნავსადგურის აშენება.

ახ.წ. III ს-ის შუა ხანებში, ზოსიმეს სიტყვით, პიტიუნტს უკვე ჰქონდა „კარგად მოწყობილი ნავსადგური“ (ზოსიმე, ახალი ისტორია, 31-32). აღსანიშნავია ისიც, რომ არც თვით პიტიუნტი ყოფილა

I-II სს-ში ალგვილი პირისაგან მიწისა, რისი დასტურიცაა არქეოლოგიური გათხრების მონაცემები: ნაქალაქარის XXII ნაკვეთის ქვედა ჰორიზონტში, საკმაოდ დიდ ფართოდზე დაფიქსირდა ახ.წ. I ს-ის დასასრულისა და II ს-ის პირველი ნახევრის ფენა, სადაც აღმოჩნდა სინქრონული ხანის იმპორტული (კოსის და როდოსის) და ადგილობრივი ამფორების ფრაგმენტები. რომაული გარნიზონების ჩადგომამდე პიტიუნტში ცხოვრების საკმაოდ ინტენსიურ რიტმზე მიუთითებს აგრეთვე III ნაკვეთის ქვედა ფენიდან მომდინარე ახ.წ. I ს-ის პერგამონული ჯამის ფრაგმენტი; მცირე ზომის ვიწროყელიანი და ღია ფერის სინოპური ამფორები, რომლებიც ახ.წ. I ს-ით თარიღდება. მაგრამ ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ ხანებში პიტიუნტი საქალაქო ცენტრად ვიგულისხმოთ. I-II სს-ის ფენის სისქის სიმცირე და ნივთიერი მასალის სიღარიბე მოწმობს, რომ ამ დროისათვის მას უკვე დაკარგული აქვს საქალაქო ცენტრის მნიშვნელობა და მხოლოდ პატარა ნავსადგომი და რიგითი დასახლება იყო.

ასეთად რჩებოდა პიტიუნტი მარკუს ავრელიუსის თანამედროვე გეოგრაფოსის – კლავდიოს პტოლემაიოსის დროისათვის, ვინაიდან ეს უკანასკნელი საერთოდ არ იხსენიებს პიტიუნტს მის მიერ ჩამოთვლილ კოლხეთის ათ ქალაქთა შორის. თუმცა კი იგივე ავტორი თავისი თხზულების სხვა ადგილზე ასახელებს „ძლიერ ციხესიმაგრეს“, რომელიც პიტიუნტის ციხესიმაგრესთან იდენტიფიცირდება.

თუ ეს ასეა, მაშინ აღნიშნული დროისათვის პიტიუნტი უკვე სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი გამხდარა, რასაც ახლახან გაშიფრული ლათინური წარწერის ფრაგმენტებიც მოწმობს. როგორც ამ წარწერიდან ირკვევა, ახ.წ. 152 წლისათვის, კონსულების გლაბრიონესა და ჰომულის დროს, პიტიუნტში ნამდვილად იდგა რომაული გარნიზონი.

ამგვარად, არიანეს საინსპექციო მოგზაურობის შემდეგ, ახ.წ. II ს-ის მეორე ნახევარში, პიტიუნტი რიგითი დასახლებიდან რომაულ სამფლობელოთა ფორპოსტად, სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტად ქცეულა. ყოველ შემთხვევაში, II ს-ის დასასრულსა და III ს-ის დასაწყისში, როგორც ეს არქეოლოგიური მასალებით დასტურდება,

ბიჭვინტაში დგას რომაული კასტელუმი. მასთან ერთად უნდა წარმოქმნილიყო სამოქალაქო დასახლებაც. პიტიუნტი ამ დროს უფრო რიგითი ციხეა, ვიდრე ციხე-ქალაქი.

ახ.წ. III-IV სს-ში კი ის ქალაქისთვის დამახასიათებელ არაერთ ფუნქციას იძენს. ჯერ ერთი, სამოქალაქო დასახლების ტერიტორია მაქსიმალურ საზღვრებს აღწევს და მისი საერთო ფართობი 4.5 ჰა-ს შეადგენს, ხოლო ციხესთან ერთად 6.5 ჰა-ს, რითაც ის რომაული ხანის ხარაქსისა (6 ჰა) და მირმეკიონის (4 ჰა) ქალაქის სიდიდეს უტოლდება. გარდა ამისა, აშკარად ჩანს პიტიუნტის, როგორც სამეურნეო-სახელოსნო ცენტრის ხასიათიც. ამის დასტურია სამოქალაქო დასახლების ტერიტორიაზე გამოვლენილი კერამიკული ქურა და №18 კოშკში დაფიქსირებული რკინის იარაღის სახელოსნო.

კერამიკული წარმოების შესახებ მიუთითებს აგრეთვე პითოსები, კრამიტები, აგურები თუ კერამიკული ფილები, რომლებიც დიდი რაოდენობით გვხვდება როგორც ციხის, ასევე სამოქალაქო დასახლების ტერიტორიაზე. რაც შეეხება მეტალურგიულ წარმოებას, ის ბიჭვინტის მასალებში ვლინდება რკინის ნამზადების, ყალიბების, წიდებისა თუ სასოფლო-სამეურნეო იარაღების სახით.

პიტიუნტის სამაროვანზე და ნაქალაქარის კულტურულ ფენებში აღმოჩენილი ძვლის მრავალფეროვანი ნაკეთობები – სადგისები, მახათები, საკინძები, სტილოსები – წვრილი ხელოსნობის განვითარებაზეც მიუთითებს. ეჭვს არ უნდა იწვევდეს მინის ადგილობრივი წარმოებაც, რაზეც ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მინის წიდები, ნაღვენთები, „ცრემლები" მოწმობს.

ნაქალაქარის III-IV სს-ის ფენებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი იმპორტული კერამიკა, მათ შორის დიდი რაოდენობის მაღალხარისხოვანი და ძვირადღირებული წითელლაკიანი ჭურჭელი, სამკაულები, მონეტები, ნათლად მოწმობს ამ დროის პიტიუნტის, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრის შესახებაც.

დაბოლოს, პიტიუნტის ქალაქობის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ IV ს-ის პირველი ნახევრისათვის პიტიუნტში ავტორიტეტული საეპისკოპოსო კათედრა არსებულა. საეპისკოპოსო კათედრები გვიანრომაულ ხანაში მხოლოდ საქალაქო ცენტრებში

ფუნქციონირებდა. ამრიგად, ახ.წ. III-IV სს-ში პიტიუნტი არა მარტო სამხედრო-სტრატეგიული პუნქტია, არამედ ის უკვე მრავალფუნქციური (სავაჭრო-სახელოსნო და რელიგიური) ქალაქიცაა.

III-IV სს-ში ანალოგიურ ცენტრებად იქცნენ სებასტოპოლისი და აფსაროსი. სებასტოპოლისში, რომლის აღმავლობის ხანა II-III და IV სს-ზე მოდის, III ს-ის მეორე ნახევარში შენდება რიგით მეორე, შედარებით უფრო დიდი ზომის კასტელუმი (2.5). IV ს-ში დადასტურებულია ადგილობრივი კერამიკული წარმოების დაწინაურება.

აქ, ახ.წ. III-IV სს-ში საქალაქო ცხოვრების აღმავლობას მოწმობს ის გარემოებაც, რომ მის გარემომცველ „ხორაზე", სასოფლო--სამეურნეო ტერიტორიაზე (ნებელდა, დრანდა, შაპკა, გერზეული), ინტენსიური ეკონომიკური ცხოვრება შეინიშნება. აქ სებასტოპოლისიდან ვრცელდება იმპორტული წარმოების მრავალფეროვანი სახელოსნო ნაწარმი.

საგულისხმოა ისიც, რომ, სამონეტო მიმოქცევის თვალსაზრისით, აღნიშნულ ხანებში პიტიუნტსა და სებასტოპოლისს შორის თითქმის არავითარი სხვაობა არ არსებობს. ეს ფაქტი ამ ცენტრების საერთო ეკონომიკურ-პოლიტიკური ორიენტაციისა და განვითარების ერთნაირი გზის მაჩვენებელია.

რაც შეეხება აფსაროსს, იპოლიტე რომაელი და ევსევი კესარიელი მას მხოლოდ ბანაკად მოიხსენიებენ, მაგრამ პროკოპი კესარიელის ცნობით, რომელიც ძირითადად III-IV სს-ის ციხე-ქალაქის მდგომარეობას უნდა ასახავდეს (V ს. ფენა გონიოში არ ფიქსირდება), ძველად „მრავალმცხოვრებიანი ყოფილა. მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და ჰიპოდრომით" (პროკოპი კესარიელი, ომი გოთებთან, VIII, 2). მართალია, ამის დამადასტურებელი არქეოლოგიური მონაცემები გონიოდან ჯერჯერობით არ მოგვეპოვება, მაგრამ ციხისა და მისი გალავნის გარეთ აღმოჩენილი რომაული ხანის ძეგლები – წყალსადენის ქსელი, ქვაფენილიანი ქუჩა, „სვეტებიანი" ნაგებობის ნაშთები, არქიტექტურული დეტალები, საკმაოდ მრავალრიცხოვანი მასობრივი არქეოლოგიური მასალა და ახ.წ. II-III სს-ით დათარიღებული „გონიოს განძი" – ადასტურებს პროკოპის ცნობის სისწორეს.

ასე რომ, III-IV საუკუნეებისათვის აფსაროსი, მსგავსად პიტიუნტისა და სებასტოპოლისისა, საქალაქო ცენტრიცაა, რომლის მნიშვნელობას თავად მისი მდებარეობა განაპირობებდა. მიუხედავად ამისა, აფსაროსი, ისევე როგორც პიტიუნტი და სებასტოპოლისი, გვიანრომაულ ხანაში ნამდვილ, სრულფასოვან ქალაქად არ გარდაქმნილა, რადგანაც ამ პუნქტების აღდგენა-აღორძინება განპირობებული იყო არა მათი ადგილობრივი ეკონომიკური ბაზის სიმძლავრით, არამედ ხსენებული პუნქტების სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულებით. თავდაპირველად რომაული ციხესიმაგრეებიდან აღდგენილი ეს ცენტრები, რომელთაც კონკრეტული სტრატეგიული ამოცანების გადაჭრა ევალებოდათ, რომაელთა მიერ აქ გატარებული ღონისძიებების შედეგად, გარე სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობის გზით, საქალაქო ცენტრებიც ხდება, რასაც არაერთი ფაქტი მოწმობს. კერძოდ, დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ რეგიონში საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება, ზღვისპირეთთან შედარებით, მოგვიანებით, IV საუკუნიდან იწყება. მთელი რომაული ხანის მანძილზე შავიზღვისპირეთის მთიან ზოლში და ბიჭვინტა-ნოვოროსისკის ზღვისპირა მონაკვეთზე არათუ რაიმე ქალაქები, არამედ საქალაქო ტიპის დასახლებების კვალიც კი არ შეიმჩნევა.

კიდევ მეტი. ბიჭვინტის ნაქალაქარის 7-დან 15 კმ-მდე რადიუსში ჯერჯერობით სასოფლო დასახლებათა კვალიც არ დაფიქსირებულა. მართალია, პეტრა და სებასტოპოლისი IV ს-ში ქალაქები უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისინიც ბიზანტიელთა სამხედრო-პოლიტიკის ნაყოფი იყვნენ და არა მათი განვითარების ლოგიკური შედეგი. კოლხეთის ზღვისპირეთში რომაელთა პოზიციების დასუსტებისა და საგარეო კავშირურთიერთობების შეზღუდვასთან დაკავშირებით, IV-V სს-ში პიტიუნტში, აფსაროსსა და სებასტოპოლისში საქალაქო ცხოვრება ქვეითდება, მაშინ, როცა ლაზიკაში ის აღმავლობის გზაზე დგას, რაც ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების განვითარებით იყო განპირობებული.

ისმის კითხვა: რა სტატუსით უნდა განისაზღვროს გვიანრომაული ხანის ზღვისპირა პუნქტები? როგორც ცნობილია, რომაელთა ძირითად დასაყრდენებს პროვინციებში ქალაქები წარმოადგენდა,

ვინაიდან სწორედ ქალაქები იყო პროვინციებში რომანიზაციის კერები. ამიტომაც რომაელი ხელისუფალნი, იმისდა მიხედვით, თუ როგორი მდგომარეობა ეკავა ამა თუ იმ ცენტრს პროვინციული ქალაქების იერარქიაში, თვითმმართველობის სხვადასხვა კატეგორიებსა და ტიტულებს ანიჭებდნენ მათ: „თავისუფალი", „თავისუფალი და ხელშეუხებელი", „თავისუფალი და მოკავშირე". ამავე დროს, ისინი ზრუნავდნენ და ხელს უწყობდნენ კიდეც ამა თუ იმ ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას. ასე მაგალითად, გალატიის პროვინციაში, რომლის შემადგენლობაში ახ.წ. 63-72 წწ-ში კოლხეთიც შედიოდა, ვერ ვხედავთ რომაელთა ძალისხმევას საქალაქო ცხოვრების მასშტაბური განვითარებისათვის. მხოლოდ რამდენიმე ქალაქს მიენიჭა „თავისუფალი ქალაქის" სტატუსი – ანტიოქიას, ჰერმასა და იკონიას. ლისტრამ და გალატიის პროვინციის ზოგიერთმა დასახლებამ – პალაისმა, ოლბასმა და კომანამ კი მიიღო „Via Sebaste"-ს წოდება.

რომაელებს კაპადოკიის ქალაქების მიმართაც არ გამოუჩენიათ განსაკუთრებული ყურადღება. საქალაქო ცხოვრებას აქ მეზობელი, ეკონომიკურად დაწინაურებული პროვინციების ქალაქების დონემდე არ მიუღწევია, თუმცა ქალაქთა რიცხვი კაპადოკიაში, ნელი ტემპით, მაგრამ მაინც იზრდებოდა. თუ სტრაბონისათვის მხოლოდ ორი ქალაქი – კესარია და ტიანა – იყო ცნობილი, ახ.წ. II-III სს-ში ძირითადად კაპადოკიის პონტოსა და მცირე არმენიაში დასტურდება მთელი რიგი ქალაქები: სატალა, მელიტენე, ამასია, სებასტეა, სებასტოპოლისი, ნეოკესარია, კომანა. მიუხედავად ამისა, აქ საქალაქო ცხოვრება სუსტად ჩანს განვითარებული, რადგანაც ზოგიერთი ზემოთ დასახელებული ქალაქი არათუ რაიმე იურიდიულ სტატუსს ფლობდა, არამედ მონეტებსაც არ ჭრიდა. მხოლოდ ამასია, ნეოკესარია და კომანა მეტროპოლისის სტატუსს ფლობდნენ და მონეტებსაც ჭრიდნენ, ხოლო მელიტენე, რომელიც XII ლეგიონის შტაბბინას წარმოადგენდა და ტრაიანეს დროს, პროკოპის ცნობით, ქალაქის სტატუსი მიენიჭა, მონეტებს აღარ ჭრიდა.

შედარებით უფრო დიდ ყურადღებას და განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ რომაელები შავიზღვისპირეთის ქალაქების მიმართ, ვინაიდან ისინი ხელსაყრელ სტრატეგიულ და სავაჭრო-

ეკონომიკურ გზაჯვარედინზე მდებარეობდნენ. ამიტომაც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთელი რიგი ქალაქები – სინოპე, ამისო, ტრაპეზუნტი, პონტოს ჰერაკლეა, კესარია, რომლებთანაც საქართველოს შავიზღვისპირა ცენტრებს მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა, სხვადასხვა კატეგორიის იურიდიულ ხარისხებს ფლობდა და მონეტების მოჭრის უფლებაც მოიპოვა. ამათგან კი იურიდიულად ყველაზე უფრო მეტ პრივილეგიებს ფლობდა სინოპე, ვინაიდან იგი არა მარტო მონეტის ემისიას ახორციელებდა, არამედ ius italicum-ის ტიტულითაც სარგებლობდა. ius italicum, როგორც ცნობილია, ყველაზე უფრო პრივილეგირებულ სტატუსს წარმოადგენდა. ამგვარი სტატუსის მატარებელ ქალაქს იტალიის ქალაქების თანაბარი უფლებები ჰქონდა.

სინოპესთან შედარებით, ნაკლებად პრივილეგირებული მდგომარეობა ეკავა ამისოსა და ტრაპეზუნტს, რომლებმაც შესაბამისად მიიღეს „მოკავშირე" და „თავისუფალი" ქალაქის სტატუსი და იქ ვერცხლისა და სპილენძის მონეტებიც იჭრებოდა.

ჩვენ არავითარი მონაცემები არა გვაქვს, თუ რა პრივილეგიებითა და იურიდიული უფლებებით სარგებლობდა საქართველოს ზღვისპირა ცენტრები რომაულ ხანაში. არ არის გამორიცხული, რომ I-II სს-ის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა პუნქტებს შორის გარკვეულ პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფილიყო აფსაროსი და სებასტოპოლისი. ეს უკანასკნელი ხომ პონტოს „ათ ქალაქთა კავშირში" შედიოდა. ისინი რომაელთა უკიდურეს ფორპოსტებს წარმოადგენდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთში.

მოგვიანებით, II-III სს-ში, ასეთივე პრივილეგირებული მდგომარეობის მქონე პუნქტი უნდა ყოფილიყო პიტიუნტი, რადგანაც აქ თავმოყრილი იყო რომაული გარნიზონის მნიშვნელოვანი კონტინგენტი და აქვე იმყოფებოდა მთავარსარდლობის შტაბბინა. მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზემოთ დასახელებულ ქალაქთა ფონზე ისინი ნაკლებად პრივილეგირებული კატეგორიის უნდა ყოფილიყვნენ. ასეა თუ ისე, ერთი რამ უდავოა: სინოპეს, ამისოსა და ტრაპეზუნტისაგან განსხვავებით, დასავლეთ საქართვე-

ლოს ზღვისპირა ცენტრებში მთელი რომაული ხანის მანძილზე არ იჭრებოდა მონეტები, რაც იმის მოწმობაა, რომ ეს უკანასკნელნი ციხე-ქალაქთა რანგს არ გასცილებიან.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ გვიანრომაულ ხანაშიც კოლხეთის ზღვისპირა ცენტრებს ნამდვილი ქალაქობის რანგისთვის არ მიუღწევიათ. შინაარსობრივი თვალსაზრისით, ისინი მთელი რომაული ხანის მანძილზე სასაზღვრო ტიპის, მილიტარისტული ხასიათის ციხე-ქალაქებად რჩებოდნენ, ვინაიდან ამ ცენტრების მეურნეობა სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესებს უფრო ექვემდებარებოდა, ვიდრე სამოქალაქოს, ე.ი. ხსენებული პუნქტები სამხედრო ინტერესებით განპირობებული სპეციფიკური ეკონომიკურ-პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობდა.

მართალია, აღნიშნული ზღვისპირა პუნქტები, ისევე როგორც IV-VI სს-ის ლაზიკის თითქმის ყველა ცენტრი, ციხე-ქალაქის მდგომარეობას არ გასცილებია, მაგრამ ამგვარი თეზა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზოგიერთი პუნქტის მიმართ არ უნდა გავრცელდეს. არსებობს, მაგალითად, მთელი რიგი მონაცემები იმისათვის, რომ არქეოპოლის-ნოქალაქევი ნამდვილ სრულფასოვან ქალაქად მივიჩნიოთ. რაც შეეხება III-IV სს-ის ფასისის მდგომარეობას, როგორც ითქვა, აქედან არქეოლოგიური მასალები თითქმის არ მოგვეპოვება, მაგრამ აღნიშნული ხანის ფასისის სტატუსის თაობაზე გარკვეული წარმოდგენა შეიძლება შეგვიქმნას ზოსიმესა და თემისტიოსის ცნობებმა. ზოსიმე 256 წ. გოთების ფასისზე თავდასხმასთან დაკავშირებით გადმოგვცემს: „სკვითები მიადგნენ ფასისს, სადაც, როგორც ამბობენ, აშენებული იყო არტემიდეს ტაძარი და აიეტის სასახლე. მათ სცადეს ამ საკურთხევლის აღება, მაგრამ უნაყოფოდ" (ზოსიმე, ახალი ისტორია, I, 32). მართალია, ზოსიმე ფასისს არც ქალაქსა და არც ციხეს უწოდებს, მაგრამ კონტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ მას არა მარტო ბრძოლისუნარიანი გარნიზონი ჰყოლია და მტკიცე ციხესიმაგრე ჰქონია, არამედ მრავალრიცხოვანი და გამაგრებული ქალაქი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან გოთებმა ვერ შეძლეს ფასისის დაკავება, მაშინ როდესაც მათ იოლად აიღეს ჯერ პიტიუნტი „უზარმაზარი კედლით შემოზღუდული" და მერე ტრაპე-

ზუნტიც, „დიდი და ხალხმრავალი ქალაქი".

იგივე ზოსიმე თავისი ნაშრომის სხვა ადგილზე, ეხება რა კონსტანტინე I-ის (307-337 წწ.) ადმინისტრაციულ ღონისძიებებს, წერს: „ერთ ჰიპარქოს მან გადასცა მთელი ზღვისპირეთი პამფილიიდან ვიდრე ტრაპეზუნტამდე და ფასისზე მდებარე სიმაგრებამდე" (ზოსიმე, ახალი ისტორია, II, 33).

როგორც ირკვევა, IV ს-ის პირველ ნახევარშიც ფასისი ისევ სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი ყოფილა, მაგრამ, ამავე დროს, ის, როგორც ეს თემისტიოსის ცნობიდან ჩანს ფასისში არსებული რიტორიკული სკოლის შესახებ, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრიცაა. უფრო მეტიც, თუ გავიზიარებთ მიქელ ასურის სომხური თარგმანის ცნობას, რომლის თანახმადაც ლაზთა ასისთავმა კვართის ნაწილი ეგერთა ქვეყნის დედაქალაქში – ფოთში ჩამოიტანა, არ არის გამორიცხული, რომ არქეოლოპოლისის აგებამდე ფასისი ლაზთა სამეფოს დედაქალაქი ყოფილიყო. ეს თუ ასეა, მაშინ იგი III-IV საუკუნეებისათვის ნამდვილ ქალაქად შეიძლება ჩაითვალოს.

ყოველ შემთხვევაში, ერთი ცხადია: განხილულ პუნქტთაგან გვიანრომაულ-ადრებიზანტიურ ხანაში ქალაქის ფუნქციის შესრულება მხოლოდ ფასისს შეეძლო, რამდენადაც ის ყველაზე დაწინაურებულ რიონის აუზში მდებარეობდა. სწორედ ადგილობრივი ეკონომიკური ბაზისა და, უპირატესად, შინაგანი ევოლუციური განვითარების შედეგად უნდა მომხდარიყო მისი მნიშვნელოვან საქალაქო ცენტრად დარჩენა, მიუხედავად დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური კატაკლიზმებისა. ამის გამო, პიტიუნტისა და სებასტოპოლისის ფონზე, IV ს-ის მეორე ნახევარშიც კი ფასისი უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და ნამდვილ ქალაქად დარჩა. ნიშანდობლივია, რომ ფასისისა და, საერთოდ, სხვა ზღვისპირა ცენტრების შემდგომი დაწინაურება-აღმავლობითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული (და არა მხოლოდ ლაზეთის სამეფოს გაძლიერებით) IV ს-ს დასაწყისიდან ნოქალაქევის, ვარდციხის, შორაპნის, ვაშნარის აღორძინება.

ამრიგად, ახ.წ. I-II სს-ის ფასისი და აფსაროსი, ერთი მხრივ, რომაული ციხესიმაგრეებია, ხოლო მეორე მხრივ, ადგილობრივი საქალაქო დასახლებები. სებასტოპოლისი და პიტიუნტი კი I-II და II-III

სს-ში, შესაბამისად, ადგილობრივი საქალაქო ცენტრია რომაული ციხითურთ და რიგითი რომაული ციხესიმაგრე. III ს-ის მეორე ნახევრიდან IV ს-ის დასასრულამდე, აღნიშნული ცენტრები, ისევე როგორც ფასისი და აფსაროსი, ტიპოლოგიური თვალსაზრისით, „სასაზღვრო" ტიპის, მილიტარისტული ხასიათის ციხე-ქალაქებია, ხოლო ფუნქციურად – თვალსაჩინო სამხედრო-სტრატეგიული, სავაჭრო-სახელოსნო, ხოლო ზოგიერთი მათგანი კულტურულ-საგანმანათლებლო (ფასისი) და საეპისკოპოსო (პიტიუნტი) ცენტრებსაც წარმოადგენდა.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული დასახლებების არსებობის შესახებ პირდაპირი მინიშნება მოეპოვება ფლავიუს არიანეს, რომლის მიხედვითაც ფასისის ციხის გარშემო მდებარე ადგილები დასახლებული ყოფილა „გადამდგარი სამხედრო პირებით და ვაჭრებით" (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი,.. 9). არქეოლოგიური მონაცემებით, პიტიუნტ-ბიჭვინტის ციხის გვერდით რომაული დასახლება არსებობდა. რომაული ტიპის სამოსახლო უნდა არსებულიყო, აგრეთვე, აფსაროსში, რისი არაპირდაპირი მოწმობაცაა აფსაროსიდან გაგზავნილ წერილში მოხსენიებული ვეტერანი ჯარისკაცი მარციალი, რომელიც გონიოში დისლოცირებული II კლავდიუსის კოჰორტაში მსახურობდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული დასახლებები კანაბებადაა კვალიფიცირებული. ამგვარი განსაზღვრის საფუძველი რომაული კანაბების მშენებლობის პრაქტიკაა. ამ პრაქტიკის თანახმად, არაურბანიზებულ ტერიტორიაზე კანაბები მხოლოდ ლეგიონების სამხედრო ბანაკებთან შენდებოდა. ასეთი კანაბე საკმაოდ მსხვილ დასახლებას წარმოადგენდა და კასტელუმიდან, ჩვეულებრივ, 2-3 კმ-ით იყო დაშორებული. ამგვარი ტიპის კანაბები, უპირატესად, იმპერიის ევროპულ პროვინციებში არსებობდა. ხშირ შემთხვევაში, ასეთ კანაბეს, ამა თუ იმ პუნქტიდან ლეგიონის გაყვანის შემდეგ, იმპერატორის ბრძანებით, ქალაქის სტატუსი ენიჭებოდა. მაგალითად, ახ.წ. 15 წ. ტიბერიუსმა, ემონადან XV ლეგიონის გასვლის შემდეგ, ამ ლეგიონის კანაბეს კოლონიის სტატუსი მიანიჭა.

მუნიციპიუმის სტატუსი მიიღო XIII ლეგიონის კანაბემ აპულეაში და პოტაისის V მაკედონური ლეგიონის კანაბემ. რომის პროვინცია – დაკიის დედაქალაქის სარმიზეგეტუზის სწორკუთხა დაგეგმარების ბანაკი და უსისტემოდ ნაშენი კანაბე ქალაქად აკურთხეს ლეგიონის იქიდან გაყვანის შემდეგ. თავდაპირველად დუროსტორიუმი დუნაიზე რიგითი სამოსახლო იყო, რომელიც აღმოცენდა კლავდიუსის XI სამხედრო ბანაკის გარშემო, ხოლო ახ.წ. II ს-ში ის მუნიციპიუმი გახდა. კანაბეს ქალაქად გადაქცევის ამგვარი მექანიზმების გარდა, რომაულ ხანაში კიდევ სხვა გზებიც არსებობდა. კერძოდ, რომაულ პროვინციებში, იმპერატორის განკარგულების გარეშე, დროთა განმავლობაში, განვითარების შედეგად, ქალაქები წარმოიქმნებოდა იმ ბანაკებიდან თუ კანაბებიდან, რომლებიც ეკონომიკურად დაწინაურებულ რეგიონებში მდებარეობდნენ და სტრატეგიულად ხელსაყრელ ადგილზე იყვნენ აგებული. ასეთი ციხეებისა და სამოსახლოებისაგან აღმოცენებულ ქალაქთა რიცხვს განეკუთვნება აბრიტუსი, ულპია-ესკუსი, ვინდობონა, აკვინკუმი, კარნინტუმი და სხვ.

აღნიშნული კანაბების ფონზე, საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული დასახლებები, რომლებიც ზომითა და მასშტაბებით იმპერიის დანარჩენი პროვინციების კანაბებს ვერ გაუტოლდებიან. მაგალითად, პიტიუნტის სამოქალაქო დასახლების ფართობი 4-5 ჰა-ს არ აღემატება და საშუალო სიდიდის დასახლების კატეგორიას განეკუთვნება.

ფასისის სამოსახლო კი, ციხესიმაგრის ფართობის (2.5 ჰა) და იქ განლაგებული ჯარისკაცთა რაოდენობიდან (400 ჯარისკაცი) გამომდინარე, უფრო მცირე ზომისა უნდა ყოფილიყო. ამასვე მიუთითებს, აგრეთვე, ის ფაქტიც, რომ არიანემ სულ მოკლე დროში შეძლო ფასისის საქალაქო დასახლების გარშემო თხრილის შემოვლება. გარდა ამისა, განსხვავებით კლასიკური, რომაული ტიპის კანაბებისაგან, რომლებიც, როგორც აღვნიშნეთ, ჩვეულებრივ, ლეგიონის კასტელებთან არსებობდა, საქართველოს ზღვისპირა ცენტრებში არათუ ლეგიონები, არამედ ლეგიონური გარნიზონებიც კი არ იდგნენ. იქ მხოლოდ დამხმარე სამხედრო შენაერთები იყო დისლოცირებული. გამონაკლისი იყო პიტიუნტი, რომლის გარნიზონიც შესაძ-

ლოა ლეგიონური ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, საკოპორტო ციხესთან კანაბეს ტიპის დასახლებები რომაულ პროვინციებში არ წარმოქმნილა.

საყურადღებოა, რომ, ძველი ბერძენ-რომაელი ავტორების თანახმად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არა მარტო შიდა, არამედ სანაპირო ზოლიც, ძირითადად, ლაზებით, აბაზგ-აფსილებითა და სანიგებით ყოფილა მჭიდროდ დასახლებული. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კლასიკური, რომაული ტიპის კანაბები არ წარმოქმნილა. შესაბამისად, უნდა გამოირიცხოს აქაური სამოსახლოების კანაბებად კვალიფიცირებაც. ისმის კითხვა: თუ ეს ასეა, მაშინ რა კატეგორიას უნდა განეკუთვნოს ფასისისა და პიტიუნტის რომაული დასახლებები. ანდა საქართველოს შავიზღვისპირეთის სხვა პუნქტებში არსებობდა კი ანალოგიური ხასიათის სამოსახლოები?

როგორც ცნობილია, რომაულ პრაქტიკაში, კანაბმშენებლობის ზემოაღნიშნული გზის გარდა, ურბანიზებულ ტერიტორიებზე რომაული გარნიზონების ქალაქური დასახლებების ფუნქციას, ჩვეულებრივ, ადგილობრივი ქალაქები ასრულებდა. ასე იყო, მაგალითად: ეგვიპტის ალექსანდრიაში, იერუსალიმში, პალმირაში, ხერსონესში და ელინისტური აღმოსავლეთის მთელ რიგ პუნქტებში. წერილობითი წყაროების სიმცირის გამო, ჩვენ არ გაგვაჩნია კონკრეტული მონაცემები ახ.წ. I ს-ის დასაწყისის სანაპირო ზოლის ურბანიზებული ტერიტორიის შესახებ. არქეოლოგიურადაც ზღვისპირა ცენტრები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. მაგრამ არსებობს გარკვეული მინიშნებები, რომ დიოსკურია-სებასტოპოლისსა და აფსაროსში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომაელთა მიერ ციხესიმაგრის აგებამდე, ფუნქციონირებდა ადგილობრივი საქალაქო დასახლებები.

რაც შეეხება სებასტოპოლისისა და აფსაროსის რომაული გარნიზონების სამოქალაქო დასახლებების არსებობა-არარსებობის საკითხს, არც არიანეს და არც მომდევნო ხანის ავტორებს მათ შესახებ არავითარი მინიშნება არა აქვთ. აღნიშნულ პუნქტებში არქეოლოგიურადაც რომაული სამოქალაქო დასახლების კვალიც კი არ

არის ჯერჯერობით დადასტურებული.

ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული სიცხადე შეიძლება შეიტანოს ფაიუმში აღმოჩენილმა (აფსაროსიდან გაგზავნილმა) წერილმა, საიდანაც ირკვევა, რომ აფსაროსში რომაელი ვეტერანები ქალაქში დასახლებულან და ადგილობრივ მოსახლეობას შერწყმიან. აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ, ელინისტური აღმოსავლეთის ურბანიზებული ტერიტორიების მსგავსად, აფსაროსისა და, შესაძლოა, დიოსკურია-სებასტოპოლისის რომაული სამხედრო შენაერთების სამოქალაქო დასახლების ფუნქციას ამ პუნქტებში ადგილობრივი საქალაქო ცენტრები ასრულებდა.

დიოსკურიისა და აფსაროსის მსგავსი, ოღონდ ოდნავ განსხვავებული ვითარება დასტურდება ფასისში. როგორც აღინიშნა, ფასისში არიანეს დროისათვის უკვე არსებობდა რომაული ციხესიმაგრე სამოქალაქო დასახლებითურთ, რომელიც საქალაქო ცენტრისგან იზოლირებული იყო.

ფასისსა და აფსაროსთან შედარებით, განსხვავებული სურათი დასტურდება ახ.წ. I-II სს-ში პიტიუნტში. ამ ხანებში პიტიუნტი პატარა ნავსადგომი და რიგითი დასახლება იყო. ახ.წ. II ს-ის მეორე ნახევარში კი ის რიგითი დასახლებიდან რომაელ სამფლობელოთა ფორპოსტად, სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტად ქცეულა. II ს-ის დასასრულსა და III ს-ის დასაწყისში, როგორც აღინიშნა, ბიჭვინტაში უკვე დგას რომაული კასტელუმი. მასთან ერთად უნდა წარმოქმნილიყო სამოქალაქო დასახლებაც.

პიტიუნტის ციხე-ქალაქის მოსახლეობა, აქ დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთების რაოდენობიდან (500-600 ჯარისკაცი) და მისი სამოსახლოს ზომებიდან (4.5 ჰა) გამომდინარე, არცთუ ისე მრავალრიცხოვანი უნდა ყოფილიყო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ახ.წ. III-IV სს-ში პიტიუნტის კასტელუმი სამოქალაქო დასახლების ხარჯზე ჩანს გაზრდილი, მაშინ ამგვარ მოსაზრებას რეალური საფუძველი უჩნდება. ფასისის სამოსახლო ტერიტორიაზე მცხოვრები „გადამდგარი ჯარისკაცებიც" არ უნდა ყოფილიყვნენ მრავალრიცხოვანი, რადგან, როგორც ითქვა, არიანემ სულ მოკლე ხანში შეძლო სამოქალაქო დასახლების გარშემო თხრილების შემოვ-

ლება, თანაც, მისივე ცნობით, ფასისში 400 ჯარისკაცი იდგა. საფიქრებელია, რომ შეიძლება ეს ყოფილიყო იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ აღნიშნული პუნქტების ვეტერანთა სამოსახლოები რომის იმპერიის დასავლურ-აღმოსავლური პროვინციების მუნიციპიუმებისა და მეტროპოლიების ტიპის ქალაქები ვერ გახდა.

აღსანიშნავია, რომ რომაელ-ბიზანტიელ ისტორიკოსებსაც კი არა აქვთ ოდნავი მინიშნებაც ფასისსა და პიტიუნტში არათუ რაიმე მსხვილი რომაული სამოსახლოების, არამედ თუნდაც ვეტერანთა ორგანიზებული, კომპაქტური დასახლების შესახებ. მაგალითად, ფლავიუს არიანე ფასისის ციხის გარშემო არსებულ სამოსახლოს დასახლებად თუ დასახლებულ პუნქტად იხსენიებს, თანაც იქ მცხოვრებ ვეტერანებთან ერთად ვაჭრებსაც ასახელებს. ვაჭრებს შორის ადგილობრივი ვაჭრებიც უნდა იგულისხმებოდეს. პროკოპი კესარიელის ცნობით კი, აბაზგიაში, რომლის ტერიტორიის ფარგლებში, მკვლევართა აზრით, პიტიუნტიც შედიოდა, რომაელი ჯარისკაცები „ბევრ ადგილას განსახლებულან ადგილობრივ მკვიდრთა შორის" (პროკოპი კესარიელი, ომი სპარსელებთან, VIII, 4).

როგორც ჩანს, აღნიშნულ პუნქტებში რომაელ ვეტერანთა გარკვეულ ნაწილს ადგილობრივ საქალაქო ცენტრებში თუ სამოსახლოებზეც უცხოვრია, მაშინ როცა იმპერიის დასავლეთ და აღმოსავლეთ პროვინციებში რომაელი ვეტერანები განცალკევებით ცხოვრობდნენ. მათი კანაბებიც ტოპოგრაფიულად სამხედრო ბანაკებისაგან თუ ადგილობრივი დასახლებისაგან დაცილებული იყო. ამავე დროს, ისინი განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდნენ და მუნიციპიუმის უფლებებსაც იღებდნენ. მაგალითად, მონტანის (ქვედა დუნაის პროვინციის რომაული ქალაქი) წარწერებში გამიჯნული ჩანს საკუთრივ ქალაქის მკვიდრი მოსახლეობა (cives Montanensium) სამხედრო ბანაკისა და მასზე დამოკიდებული კანაბეს მოსახლეობისაგან (castrenses). პიტიუნტის, აფსაროსისა და, შესაძლოა, ფასისის შემთხვევაში ამგვარ დეფინიციას ვერ ვხედავთ. პირიქით, აღნიშნულ პუნქტებში რომაელი ვეტერანები და მკვიდრი მოსახლეობა მშვიდობიანად თანაცხოვრობენ.

მაშასადამე, სრული საფუძველი გვაქვს იმის მტკიცებისა, რომ ფასისში, პიტიუნტსა და, საერთოდ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ვეტერანთა ორგანიზებულ დასახლებას ადგილი არ ჰქონდა. ეჭვს იწვევს ასევე ფასისისა და პიტიუნტის რომაული სამოსახლოების სამეურნეო ხასიათიც, რამდენადაც აგრარიზაცია თავისუფალ, ვრცელ დაუსახლებელ ტერიტორიას მოითხოვდა, მაგრამ საამისო პირობები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არ იყო. აქ რომაული გარნიზონების ჩადგომისას უკვე არსებობდა ადგილობრივი საქალაქო ცენტრები თუ რიგითი დასახლებები. გარდა ამისა, შიდა და სანაპირო ზოლიც მჭიდროდ ჩანს დასახლებული. შესაძლოა, ამგვარმა დემოგრაფიულმა სიტუაციამ განაპირობა კიდეც ფასისისა და პიტიუნტის რომაული სამოსახლოების სპეციფიკური განლაგება. აღსანიშნავია ისიც, რომ აგრარიზაციის პროცესმა ვერც რომის იმპერიაში მოიკიდა ფეხი. ადრიანეს დროიდან იგი საერთოდ შეწყდა. ამიერიდან ვეტერანთა ძირითადი საქმიანობა ვაჭრობა-ხელოსნობა იყო.

ვფიქრობთ, სავაჭრო-სახელოსნო ტიპის – „vicus"-ის სამოსახლოები უნდა ყოფილიყო პიტიუნტისა და ფასისის რომაული ქალაქური დასახლებები, როგორიც იქმნებოდა ხოლმე ამ პუნქტების მსგავს საკოჰორტო კასტელებთან.

ასეთი ტიპის სამოსახლოთა მოქმედების არეალი ქალაქის ფარგლებს არ სცილდებოდა. რომაული პრაქტიკიდან გამომდინარე, ამგვარი სამოსახლოების მცხოვრებთა ძირითადი კონტინგენტი, როგორც ეს ფასისის მაგალითიდანაც ჩანს, ვაჭრები იყვნენ. მათ ხელში იყო თავმოყრილი ქალაქსა და სოფელს შორის სავაჭრო ურთიერთობების მთელი მექანიზმი. ამ სოციალური კატეგორიის საშუამავლო გზით უნდა იყოს მოხვედრილი კოლხეთის ზღვისპირა, შიდა და მთიან რეგიონებში იმპორტული პროდუქციის გარკვეული ნაწილი.

აღნიშნული პუნქტების რომაული სამოსახლოების სტატუსსა და ფუნქციაზე მსჯელობა, გარკვეულწილად, ჰიპოთეზურია. მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პიტიუნტის, სებასტოპოლისისა და ფასისის რომაული დასახლებები შეზღუდული,

არასტანდარტული ხასიათისა იყო. ისინი რიგით, მილიტარისტული ბუნების ციხე-ქალაქებად რჩებოდნენ.

ამრიგად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული ქალაქური ტიპის დასახლებების წარმოქმნისა და მათი განვითარების პროცესი თავისებური, განსხვავებული გზით წარიმართა. აქ, რომაული კლასიკური ტიპის კანაბები არ წარმოქმნილა. სებასტოპოლისსა და აფსაროსში რომაული სამხედრო შენაერთების სამოსახლოების ფუნქციას ადგილობრივი საქალაქო ცენტრები თუ რიგითი დასახლებები ასრულებდა. პიტიუნტისა და ფასისის კასტელებთან კი არსებობდა „vicus"-ის კატეგორიის არასტანდარტული, მცირე სავაჭრო-სახელოსნოს ტიპის რომაული დასახლებები, რომელთა „მოქმედების არე" ძირითადად სანაპირო ზოლით შემოიფარგლებოდა.

## 6. რომაული ნაწარმი კოლხეთში

ზღვისპირა კოლხეთში რომაული სამხედრო შენაერთების დისლოკაციის შედეგად აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი აქტიურად ჩაერთო რომაული სამყაროს სისტემაში. უწინარეს ყოვლისა, ეს პროცესი რომაული ნაწარმის გავრცელებაში აისახა.

რომაული სამყაროს სხვადასხვა ცენტრებიდან კოლხეთის ზღვისპირეთში შემოტანილი უცხოური პროდუქცია სამ ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა: პირველი ჯგუფი ახ.წ. I-II სს-ით თარიღდება. აქ ძირითადად ერთიანდება მშვილდსაკინძები, ამფორები და წითელლაკიანი კერამიკა. მშვილდსაკინძები ძირითადად მთელ რომაულ სამყაროში ფართოდ ცნობილი სამხრეთ იტალიკური წარმომავლობის ბრინჯაოს „ავცისებია", რომლებიც აღმოჩნდა სოფ. ლიას „დიდი ქირსას" ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ №4 სამარხში და აბგიძრაყუს (ნებელდა) ახ.წ. III-IV სს-ის №35 ორმოსამარხში.

აღნიშნული „ავცისები" ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება. ამგვარი ვარიანტის ფიბულები უპირატესად გავრცელებული ჩანს გერმანიაში, ავსტრიასა და შვეიცარიაში. ნაკლები გავრცელება პოვა მან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. სამაგიეროდ,

შედარებით მრავლადაა დაფიქსირებული ჩრდილოეთ კავკასიაში.

საკმაოდ მცირერიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი წითელლაკიანი კერამიკა, რომელიც პერგამონისა და მცირე აზიის ანონიმური ცენტრის პროდუქციას განეკუთვნება. ახ.წ. I ს-ის პერგამონული წითელლაკიანი კერამიკა ჯამებისა და თასებისაგან შედგება. ჯამები, ძირითადად, ერთი ტიპისა გვხვდება. ესაა სწორპირიანი, თხელკედლიანი, შინდისფერი სალებავით დაფარული ჯამი, რომელიც აღმოჩნდა ბიჭვინტის კასტელუმის III ნაკვეთის ქვედა ფენაში. ანალოგიური ჯამის რამდენიმე ფრაგმენტი აღმოჩენილია აგრეთვე ვანის ნაქალაქარზე და ახ.წ. I ს-ის დასაწყისითაა დათარიღებული. პერგამონული თასები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მხოლოდ ერთი ტიპითაა წარმოდგენილი: ვიწროყელიანი და ბიკონუსურმხრებიანი თასის ფრაგმენტებით. ამგვარი ფორმის თასების ფრაგმენტები დადასტურებულია პიტიუნტისა და სებასტოპოლისის კასტელუმების ტერიტორიაზე. რაც შეეხება მცირე აზიის ჯერჯერობით დაუდგენელი ცენტრების წითელლაკიან კერამიკას, მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აფსაროსის ციხესიმაგრის ტერიტორიაზე აღმოჩენილი წითელლაკიანი ჯამის ძირგვერდის ფრაგმენტი სანდლიანი ფეხის ტერფის გამოსახულებით და მეომრის რელიეფურგამოსახულებიანი წითელლაკიანი ჭრაქი, რომლებიც მცირე აზიურ ნაწარმადაა მიჩნეული.

შედარებით უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია აღნიშნული პერიოდის ამფორები. ახ.წ. I-II სს-ის დასავლეთ საქართველოში, კერძოდ მის ზღვისპირა ზოლში, პირველად ჩნდება ღია ფერის თიხის ვიწროყელიანი, ცილინდრული ქუსლის მქონე ამფორები, რომლებიც აღმოჩენილია პიტიუნტში, სებასტოპოლისისა და აფსაროსის ახ.წ. I-II სს-ის ფენებში. ამ ტიპის ამფორებს სპეციალისტები, ჩვეულებრივ, სამხრეთ შავიზღვისპირეთის ნაწარმად მიიჩნევდნენ, მაგრამ როგორც მორფოლოგიურმა და პექტოგრაფიულმა შესწავლამ უჩვენა, ისინი სინოპურ ნაწარმთა წრეს განეკუთვნება.

ახ.წ. I-II სს-ში კოლხეთში სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრების ნაწარმი მხოლოდ სინოპეთი არ შემოიფარგლებოდა. ამის სასარგებლოდ მეტყველებს კონუსურძირიანი, მოწითალო-მოყავის-

ფრო, უხეში, სილანარევი, ქარსიანი თიხისაგან დამზადებული ამფორები, რომლებიც ჰერაკლეას სახელოსნოების ნაწარმი უნდა იყოს. ასეთი ტიპის ამფორები ჯერჯერობით აფსაროსშია დადასტურებული. დასავლეთ საქართველოს ფარგლებს გარეთ კი დიდი რაოდენობით გვხვდება პანტიკაპეონში.

გონიო-აფსაროსის ახ.წ. I-II სს-ის ფენაშია აღმოჩენილი აგრეთვე ღია მონითალო თიხის ძირგაშლილი, ცილინდრული ქუსლის მქონე ამფორის ფრაგმენტები, რომლებიც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სხვადასხვა ცენტრში მზადდებოდა. ჩრდილო შავიზღვისპირული ნაწარმი უნდა იყოს ასევე გონიოში დადასტურებული მუქი ნარინჯისფერი, წვრილი სილანარევი თიხისაგან დამზადებული კონუსური ქუსლის მქონე ამფორის ძირ-გვერდის ფრაგმენტი, რომელიც ზოგადად ახ.წ. პირველი საუკუნეებით თარიღდება. ამფორების გარდა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბოსფორული მონეტებიც არის დაფიქსირებული: სოხუმის ციხის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში აღმოჩნდა რისკოპურიდ II-ის (68-92 წწ.) დუპონდიუსი, სავრომატ I-ის (93-123 წწ.) 93-118 წწ-ში მოჭრილი სესტერცი; ბიჭვინტასა და გუდაუთაში კოტის II-ის (123-132 წწ.) და რომეტალკის (132-136 წწ.) სესტერციები, ახალ ათონში კი მითრიდატე III-ის (39-45 წწ.) ასსი, რაც ბოსფორთან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გარკვეული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მიმანიშნებელია. დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში აღმოჩენილია, აგრეთვე, ახ.წ. I-II სს-ის კოსისა და როდოსის ამფორები. კერძოდ, კოსური ორმაგყურიანი, სტაფილოსებური კორპუსის მქონე ამფორის ფრაგმენტები დადასტურებულია აფსაროსში, პიტიუნტში, სოხუმში, ხოლო როდოსული ძაბრისებურპირიანი ღია ვარდისფერი კეცისაგან დამზადებული ამფორის ფრაგმენტები ნაპოვნია ბიჭვინტაში.

ამრიგად, ახ.წ. I-II სს-ში რომაული იმპორტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცირერიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ამ ხანებში რომაული სამყაროს სხვადასხვა ცენტრის ნაწარმი გვხვდება, ძირითადად, ზღვისპირა ცენტრებში, უპირატესად კი გონიო-აფსაროსის მონაკვეთზე, რაც რომაული სამყაროს სისტემაში აფსაროსის ადრეულ ჩართვაზე მიუთითებს.

მეორე ჯგუფი ახ.წ. II-III სს-ით თარიღდება და იმპორტული ნაწარმის სიმრავლით ხასიათდება, რაც პონტო-კავკასიის თავდაცვითი სისტემის ფორმირებას უკავშირდება. შავიზღვისპირეთის ციხესიმაგრეთა ქსელი, რომლის ორგანიზაციული გაფორმება, როგორც ითქვა, აღნიშნული საუკუნეების მიჯნაზე სრულდება, უზრუნველყოფდა პროდუქციის უსაფრთხო ტრანსპორტირებასაც. სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ახ.წ. II-III სს-ში საქართველოს შავიზღვისპირეთში იმპორტული ნაწარმის მოზღვავება, რომელთა შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი წითელლაკიან კერამიკას ეკავა. ეს ძვირადღირებული ჭურჭელი, ისევე როგორც ამ დროის სხვა სახეობის პროდუქცია, მხოლოდ ზღვისპირა პუნქტებში გვხვდება და, ძირითადად, ჯამებითა და ლანგრებითაა წარმოდგენილი.

პიტიუნტსა და სებასტოპოლისში აღმოჩენილია ღრმა ჯამები, პატარა მრგვალი ქუსლით და მომრგვალებული კალთებით. ამ ტიპის ჯამები ფართოდაა გავრცელებული რომაულ სამყაროში და დროის დიდ მონაკვეთში (ახ.წ. I-IV სს.) არსებობს. ანალოგიური ფორმის ჯამები ცნობილია აგრეთვე მცირე აზიაში, დაკიასა და პანონიაში. ბიჭვინტასა და სოხუმში აღნიშნული ჯამები მხოლოდ ახ.წ. II-III სს-ის ფენაშია დადასტურებული. რაც შეეხება მათ წარმომავლობას, მორფოლოგიური თვალსაზრისით, პერგამონულ წრეს განეკუთვნება და, შესაძლოა, ჩანდარლის სახელოსნოს ნაწარმადაც კი ჩავთვალოთ. ლაკი ამ ჭურჭლისა ღია წითელი და მოყავისფრო ფერისაა, რაც სწორედ ჩანდარლის წითელლაკიანი კერამიკისათვისაა დამახასიათებელი.

ბიჭვინტასა და სოხუმში გვხვდება მცირეაზიური წითელლაკიანი ჯამების კიდევ ერთი ნაირსახეობა: ფართო, მაღალი გოფრირებული კალთებითა და ჰორიზონტალურად მიძერწილი, ოთხ რიგად დაღარული ყურით. თიხა ღია, მოყვითალო ფერისაა, ხოლო ლაკი წითელია. ამგვარი ჯამები ჯერჯერობით უცნობია დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთისათვის. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მსგავსი ტიპის ჯამების მხოლოდ ორად ორი ეგზემპლარია ცნობილი. მათგან ერთი დადასტურებულია გნილოვსკის ნაქალაქარზე, ხოლო მეორე ტანაისის სამარხში. მსგავსი ჭურ-

ჭელი ცნობილია ათენის აგორადან და ახ.წ. III ს-ით თარიღდება. კეცისა და ლაკის მიხედვით, ბიჭვინტასა და სოხუმის გოფრირებულკალთებიანი ჯამები ჩანდარლის ნაწარმთა წრეს შეიძლება განეკუთვნოს. რაც შეეხება მათ თარიღს, ეს ჯამები ჩვენში ახ.წ. II-III სს-ის ფენებშია დაფიქსირებული. აქედან გამომდინარე, ისინი ამავე საუკუნით უნდა დათარიღდეს.

კეცისა (მოწითალო ფერისა) და ლაკის (მოყავისფრო) მიხედვით, მცირეაზიურ ნაწარმთა წრეს უნდა განეკუთვნოს აგრეთვე ბიჭვინტაში, ინკიტის ტბასთან გათხრილი კოშკის ახ.წ. II-III სს-ის ფენაში აღმოჩენილი კალთაზე ოდნავ გამოწეული კიდიანი ჯამის ორიოდე ფრაგმენტი, რომლის ზუსტი შესატყვისი ჩვენთვის უცნობია.

მცირეაზიური უნდა იყოს ბიჭვინტაში ახ.წ. II-III სს-ის ფენაში აღმოჩენილი მრგვალი ფორმის ვერტიკალურკიდეებიანი და ძირისაკენ მკვეთრად დაქანებულკალთებიანი ჯამი ორლულიანი დაღარული ყურით, რომლის თიხა ღია ყვითელი ფერისაა, ხოლო ლაკი – ღია წითელი. მსგავსი ჯამის ანალოგი ჯერჯერობით არ ჩანს ჩრდილო და დასავლეთ შავიზღვისპირეთის მასალებში და არც სხვაგან. მცირეაზიურ ნაწარმთა წრეს განეკუთვნება ასევე სოხუმში აღმოჩენილი კალთებმომრგვალებული, ღარიანნაპირიანი, ნახევარსფერული ფორმის თასების ფრაგმენტები, ორივე მხრიდან ღია წითელი, მოაგურისფრო ლაკით შეღებილი. სპეციალისტები მათ ახ.წ. II-III სს-ით ათარიღებენ. სოხუმსა და ბიჭვინტაშიც გვხვდება აგრეთვე თხელკედლიანი თასის ნატეხები, რომლებიც ფორმით ემსგავსება ზემოაღწერილს, თუმცა ლაკი წითელი ფერისაა. ისინი, ზოგადად, პირველი საუკუნეებითაა დათარიღებული. ამგვარი ტიპის თასები დადასტურებულია დაკიასა და პანონიაში და ახ.წ. II-III სს-ით თარიღდება. ჩვენი თასებიც ამავე საუკუნით უნდა განისაზღვროს, რასაც ადასტურებს არა მარტო ზემოთ დასახელებული ანალოგები, არამედ ისიც, რომ ბიჭვინტაში ეს თასები ახ.წ. II-III სს-ის ფენაშია დაფიქსირებული.

მცირეაზიური ნარმომავლობის წითელლაკიანი კერამიკის გარდა, ბიჭვინტისა და სებასტოპოლისის ნაქალაქარებზე გვხვდება ისეთი ტიპის წითელლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტებიც, რომელთა

სანარმოო ცენტრი ჯერჯერობით არ არის საბოლოოდ დაზუსტებული. მათ რიცხვს განეკუთვნება ღრმა სასმისები, რომელთაც ქვედა ნანილში ოდნავ გამობერილი მომრგვალებული კალთები და ვერტიკალური კიდე აქვთ. კიდის ნაპირებს ირგვლივ ვინრო ღარები შემოუყვება, ხოლო კალთები ზედა ნანილში შემკულია კონცენტრირებული ღარებით. ლაკი ღია ნითელი ფერისაა, ხოლო თიხა ღია ფერისა.

საერთოდ, ამგვარი ჭურჭელი გავრცელებულია ახ.წ. I ს-ის ნითელლაკიან კერამიკაში და ჩნდება ის ძვ.წ. I ს-ის მინურულს როგორც პერგამულ, ისე სამოსურ კერამიკაში. მაგრამ ამ ცენტრების ნანარმისაგან ძალზე განსხვავდება ბიჭვინტისა და სოხუმის ეგზემპლარები ფორმითაც და მორფოლოგიური თვალსაზრისითაც. ამგვარი ტიპის ჭურჭელი არც დასავლეთ შავიზღვისპირეთში დასტურდება. სამაგიეროდ, მსგავსი ნიმუშები საკმაოდ ხშირად გვხვდება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში – ოლბიაში, ილურატსა და ტანაისში.

ჩვენი ეგზემპლარები დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ილურატისა და ტანაისის სასმისებთან, რომლებიც, შესაბამისად, ახ.წ. II-III და III სს-ის პირველი ნახევრით თარიღდება. სოხუმისა და ბიჭვინტის სასმისებიც ახ.წ. II-III სს-ით უნდა დათარიღდეს, ვინაიდან ისინი ახ.წ. II-III სს-ში კარგად დათარიღებულ მასალებთან (ორყურა პირგადაშლილ ქვაბებთან) ერთად აღმოჩნდა.

რაც შეეხება მათ ნარმომავლობას, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ტიპის ჭურჭელი საკმაოდ ხშირია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, აღნერილი სასმისების ბოსფორულ ნანარმად მიჩნევა მაინც საეჭვოა, რადგანაც ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ნითელლაკიანი კერამიკის ნარმოების კვალი ჯერჯერობით არ დასტურდება და თანაც თიხისა და ლაკის ქიმიური ანალიზიც ჯეროვნად არ არის ჩატარებული.

სათუოა, ასევე, პირგადაშლილი, დაბალკალთიანი, ფართო, ძირბრტყელი, ნაპირებფიგურული სათევზე ლანგრების სანარმოო ცენტრის დადგენა. დიდი რაოდენობით გვხვდება ისინი სებასტოპოლისში. შედარებით ნაკლები რაოდენობითაა აღმოჩენილი პიტიუნტში, ხოლო ფართოდ ჩანს გავრცელებული ჩრდილოეთ შავიზღვის-

პირეთის ქალაქებში – ოლბიაში, პანტიკაპეონში, ჰერმონასაში და სხვაგან. ეს გარემოება საფუძველს აძლევს მკვლევართ, რომ ამგვარი ტიპის ჭურჭლის დამზადების ცენტრად შავიზღვისპირეთის ჩრდილო და აღმოსავლეთი რეგიონები ივარაუდონ, რაც ერთობ საეჭვოა.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რატომ იწვევს ეჭვს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში წითელლაკიანი ჭურჭლის წარმოება. რაც შეეხება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს, აქ წითელლაკიანი ჭურჭლის წარმოება საერთოდ უნდა გამოირიცხოს, რადგან, ჯერ ერთი, წითელლაკიანი კერამიკის საწარმოო კვალი ჯერჯერობით არაა დადასტურებული ისეთ მნიშვნელოვან ცენტრებში, როგორიც იყო პიტიუნტი და სებასტოპოლისი. გარდა ამისა, ბიჭვინტის ნაქალაქარზე მოპოვებული წითელლაკიანი ჭურჭლის თითქმის ყველა სახეობა – ჯამები, ლანგრები, თეფშები, თასები და სხვა შეკონინებული ჩანს, რაც მათი ძვირადღირებულობისა და იმპორტულობის მაჩვენებელი უნდა იყოს.

დაბოლოს, წითელლაკიანი კერამიკის ადგილობრივი დამზადების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ბიჭვინტის სამარხებშიც საერთოდ არაა დაფიქსირებული წითელლაკიანი კერამიკა, ხოლო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ცენტრალურ რეგიონებსა და მაღალმთიან ზოლში (წებელდა) მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარი გვხვდება და ისიც ახ.წ. IV-V სს-ისაა.

ასე რომ, ზემოთ აღწერილი სათევზე ლანგრების წარმომავლობის საკითხი ჯერჯერობით ღიად უნდა დარჩეს. ისე კი, ამ ლანგრების ერთი ნაწილის კეცის ფერი (ღია მოყვითალო, სუფთად განლექილი) როდოსული ფერის თიხას მოგვაგონებს. თუ ამგვარი ტიპის ჭურჭლის სადაურობა ვარაუდის ფარგლებს არ სცილდება, მისი თარიღის დადგენა დიდ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული. მთელი რიგი მონაცემებით, ასეთი ფორმის ჭურჭელი ახ.წ. II-III სს-ით უნდა დათარიღდეს.

ახ.წ. II-III სს-ის იმპორტული წითელლაკიანი კერამიკის განხილვისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ბიჭვინტის ნაქალაქარზე აღმოჩენილ პირგადაშლილი ჭურჭლის ფრაგმენტებს, რომლებიც

შემკულია ცხოველთა რელიეფური გამოსახულებებით. სულ სამი ამგვარი ფრაგმენტია ნაპოვნი: ერთზე ავაზა უნდა იყოს გამოსახული, მეორეზე – ძაღლი, ხოლო მესამეზე გამოსახულება არ იკითხება. ამგვარი რელიეფურგამოსახულებიანი წითელლაკიანი ჭურჭელი საკმაოდ კარგადაა ცნობილი ადრერომაული ხანის იტალიკურსა და გალურ კერამიკაში. ასე მაგალითად, ბრიტანეთის მუზეუმში დაცულია გალიის „Lezuoux"-ის სახელოსნოს წარმოების თასი, რომლის ზედაპირი შემკულია ფრინველებისა და ცხოველების გამოსახულებებით. საერთოდ კი Lezuoux-ის სახელოსნოს პროდუქცია იტალიკურისაგან გამოირჩევა სქემატურობითა და რელიეფური შემკულობების შესრულების დაბალი დონით. ბიჭვინტურ ფრაგმენტებზე გამოსახულებაც არაა მკვეთრი და ძალზე დაბალ რელიეფშია შესრულებული, რაც მას აღნიშნული სახელოსნოს ნაწარმთან აახლოებს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბიჭვინტური რელიეფურგამოსახულებიანი ჭურჭელი „Lezuoux"-ის პროდუქციად ჩავთვალოთ. თუმცა კი ჩვენი ეგზემპლარების, ზოგადად, გალური წრის ნაწარმად გამოცხადება არ უნდა იყოს გამორიცხული, მით უფრო, როცა ახ.წ. II-IV სს-ში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იტალიკური წითელლაკიანი კერამიკა ჯერჯერობით არ არის დადასტურებული.

განსაკუთრებით ინტერესს იწვევს აგრეთვე ბიჭვინტაში ინკიტის ტბის კოშკში აღმოჩენილი რელიეფური ორნამენტით შემკული მრგვალი მოყვანილობის წითელლაკიანი ჭურჭელი, ბრტყელგვერდიანი, ვიწრო და დაბალი ყელით. გვერდები ორივე მხარეს წიბოიანია. მისი ზედაპირი ირიბი ჭდეებითაა შემკული. ამგვარი ტიპის ჭურჭელი ჯერჯერობით არ ჩანს ჩრდილო და დასავლეთ შავიზღვისპირეთში და არც მცირეაზიურ ნაწარმთა შორის. სამაგიეროდ, ბიჭვინტური ჭურჭლის მსგავსი ნიმუში გვხვდება გალურ კერამიკულ ნიმუშებს შორის, ხოლო დეკორატიული ორნამენტებით შემკული ჭურჭელი იტალიკური ნაწარმისთვისაცაა დამახასიათებელი. ბიჭვინტურის მსგავსი ორნამენტია გამოსახული ხერსონესის წითელლაკიან ლარნაკზე, რომელიც ახ.წ. I ს-ით თარიღდება და არეცოს ნაწარმადაა მიჩნეული.

როგორც ჩანს, წითელლაკიანი ჭურჭლის მნიშვნელოვანი ნაწილი მცირეაზიური, უპირატესად, პერგამონული წრის ნაწარმია, რაც ამ მსხვილი საქალაქო ცენტრიდან ზღვისპირა პუნქტებში ექსპორტის ინტენსივობაზე მიუთითებს. ამასვე მეტყველებს აგრეთვე ბიჭვინტისა და სებასტოპოლისის ნაქალაქარებზე აღმოჩენილი ახ.წ. II-III სს-ის პერგამონული ჭრაქის ფრაგმენტებიც, რომელთაც აქვთ ჩიბუხის მსგავსი საპატრუქე მილი, ზემოთკენ აზიდული ყური და ბრტყელი, ვარდულით შემკული ძირი. ასეთი ტიპის ჭრაქები აღმოჩენილია ხერსონესში და ახ.წ. II-III სს-ით თარიღდება.

ბიჭვინტასა და სოხუმში ცნობილია ასევე სამოსური ჭრაქებიც, რომლებსაც ახასიათებთ ბრტყელი, დაბალი კორპუსი, სწორი ძირი და ოდნავ გამოყოფილი საპატრუქე მილი. მცირეაზიური წარმომავლობისაა აგრეთვე ცალყურა, პირმომრგვალებული, ბრტყელძირიანი, მოწითალო კეციანი კოჭბები, რომლებიც დადასტურებულია როგორც პიტიუნტის ნაქალაქარის ფენებში, ასევე მის სამარხებში. იდენტური თასები დაფიქსირებულია, აგრეთვე, სებასტოპოლისის ახ.წ. II-III სს-ის ფენებში. ანალოგიური კოჭბების გავრცელების არეალი საკმაოდ ფართოა. ისინი გვხვდება ბოსფორში, ხერსონესში, დაკიაში, იტალიაში და ახ.წ. II-III სს-ით თარიღდება. ბიჭვინტური კოჭბებიც ამავე საუკუნით უნდა დათარიღდეს.

ახ.წ. II-III სს-ის და III ს-ის პირველ ნახევარშიც საქართველოს ზღვისპირა ცენტრებში ინტენსიურად შემოდიოდა აგრეთვე მცირე აზიის სანაპირო ცენტრების, განსაკუთრებით კი სამხრეთ პონტოს ქალაქების სხვა სახის ნაწარმიც. მაგალითად, პიტიუნტისა და სებასტოპოლისის ნაქალაქარებზე მრავლადაა დაფიქსირებული სინოპური წარმომავლობის მცირე ზომის ვიწროყელიანი ღია ფერის თიხის ამფორების ყელ-ყურ-პირისა და ძირის ფრაგმენტები, რომლებიც რამდენიმე ვარიანტითაა წარმოდგენილი და სხვადასხვა დროით თარიღდება. ახ.წ. III ს-ის პირველ ნახევარს განეკუთვნება მცირე ზომის საკმაოდ მოკლე კორპუსის მქონე ამფორები, შედრეკილი და ამობურცული პატარა ქუსლით. ბიჭვინტის ნაქალაქარის ახ.წ. III ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ ფენაში ხშირად გვხვდება სინოპური ნარმოების დიდი ზომის ამფორები, რომელთაც აქვთ ღილვა-

კიანი პირი, ცილინდრული ყელი, კვერცხისებური კორპუსი და კონუსური ძირი. თიხა იასამნისფერია. იდენტური ფორმის ამფორების ფრაგმენტები გვხვდება, აგრეთვე, სებასტოპოლისშიც.

სინოპური იმპორტის ინტენსივობაზე მიუთითებს ასევე მასიური, დიდი ზომის, ქობაგანიერი, პირგადაშლილი, სქელკედლიანი, ბრტყელძირა მონტარიუმები. კეცი იასამნისფერია შავი ვულკანური მინარევებით. ამგვარი ტიპის სინოპური მონტარიუმები ბიჭვინტასა და სებასტოპოლისის ახ.წ. II-III სს-ით დათარიღებულ ფენებშია დადასტურებული.

ამფორებისა და მონტარიუმების გარდა, სინოპედან შემოდიოდა, აგრეთვე, კრამიტებიც. პიტიუნტის, სებასტოპოლისისა და აფსაროსის ახ.წ. II-III სს-ის და უფრო მოგვიანო ხანის ფენებში დიდი რაოდენობითაა დაფიქსირებული სინოპური წარმოების სხვადასხვა ტიპის სოლენები თუ კალიპტერები.

აღნიშნულ ხანებში საქართველოს ზღვისპირა ცენტრებს მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა ტრაპეზუნტთან, რასაც მოწმობს ნუმიზმატიკური მასალები: ბიჭვინტაში აღმოჩენილი ახ.წ. II ს-ის 50 მონეტიდან 25 ტრაპეზუნტშია მოჭრილი, ხოლო ახ.წ. III ს-ის პირველი ნახევრის 247 მონეტიდან 191 ცალი ასევე ტრაპეზუნტის ზარაფხანას განეკუთვნება. დაახლოებით იგივე ვითარებაა ამ მხრივ სებასტოპოლისის ფულად-სამეურნეო სისტემაში. არ არის გამორიცხული, რომ აქ ტრაპეზუნტის პროდუქციაც შემოდიოდა. მაგრამ რამდენადაც ტრაპეზუნტის რომაული ხანის კერამიკა ჯერჯერობით არ არის გამოყოფილი, ამგვარი მოსაზრება სამუშაო ჰიპოთეზის დონეზე რჩება. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია, ტრაპეზუნტი მცირე აზიის ცენტრებთან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დამაკავშირებელ და საშუამავლო რგოლის ფუნქციას ასრულებდა. სწორედ ამ ქალაქის არხებით უნდა შემოსულიყო ჩვენში ხმელთაშუაზღვისპირეთისა და მცირეაზიური ცენტრების პროდუქცია.

აღნიშნულ ხანებში ტრადიციულად გრძელდება პროდუქციის შემოტანა ჩრდილოეთ შავიზღვიპირეთის ქალაქებიდან. პიტიუნტისა და სებასტოპოლისის ნაქალაქარებზე საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი დიდი ზომის, მოაგურისფრო-მონითალოდ გამომწვარი,

სქელკედლიანი ამფორების ფრაგმენტები. ამგვარი ამფორები ნაპოვნია აგრეთვე ფოთში, პალიასტომის ტბის ადგილას, ე.წ. „ნატეხების" ძველ ნამოსახლარზე. ანალოგიური ამფორები დიდი რაოდენობითაა მოპოვებული ჩრდილოეთ და დასავლეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებში. სპეციალისტები ამგვარი ტიპის ამფორებს ახ.წ. II-III სსით ათარიღებენ. რაც შეეხება ბიჭვინტურ ეგზემპლარებს, ისინი ახ.წ. III ს-ს განეკუთვნება.

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სახელოსნო ცენტრების ნაწარმი უნდა იყოს აგრეთვე ყავისფერკეციანი, წელშეზნექილი და კონუსისებრძირიანი ამფორების ნაწილი, რომელიც მრავლადაა დადასტურებული ბიჭვინტასა და სებასტოპოლისის ნაქალაქარების ახ.წ. III-IV სს-ის ფენებში. ანალოგიური ამფორები ფართოდაა გავრცელებული არა მარტო შავი ზღვის აუზის ქვეყნებში, არამედ ხმელთაშუაზღვისპირეთშიც. როგორც ცნობილია, წელშეზნექილი ამფორები პირველად ძვ.წ. II ს-ში ჩნდება და დიდხანს არსებობს. ბიჭვინტისა და სოხუმის ზემოაღწერილი ამფორების ერთი ნაწილი კი ძალზე ახლოს დგას იმ ამფორების ფორმებთან, რომელთა ადრეული ვარიანტი ახ.წ. III ს-ში ჩნდება, ფართოდ ვრცელდება IV ს-ში და არსებითი ცვლილებების გარეშე VI ს-ის ბოლომდე განაგრძობს არსებობას. რამდენადაც წელშეზნექილი და კონუსურძირიანი ამფორები ბიჭვინტასა და სოხუმში ახ.წ. III ს-ის ამფორებთან ერთად გვხვდება, ისინი ამავე საუკუნით უნდა დათარიღდეს.

ჩრდილო შავიზღვისპირეთის სახელოსნო ცენტრების ნაწარმი ჩანს აფსაროსში აღმოჩენილი ძირგადაშლილი, დაბალი, ცილინდრული, კოპისებური ქუსლის მქონე ამფორების ძირგვერდის ფრაგმენტები, რომელთა კეცი გარედან ღია მოწითალოა, ხოლო შიგნით – მოშავო. მსგავსი ფორმის ამფორები ძალზე ხშირია ჩრდილო და დასავლეთ შავიზღვისპირეთში. მკვლევართა აზრით, ისინი ჩრდილო შავიზღვისპირეთის სხვადასხვა სახელოსნო ცენტრებში მზადდებოდა ახ.წ. II-III სს-ში. აღნიშნული რეგიონის ნაწარმი უნდა იყოს გონიოში ახ.წ. III ს-ის ფენაში აღმოჩენილი ამფორის ძირი, რომელიც დამზადებულია მოწითალო-მონარინჯისფრო სილანარევი თიხისაგან.

როგორც ზღვისპირა, ასევე მაღალმთიან ზოლშიც (ნებელდის სამარხებში) საკმაოდ მრავლად გვხვდება ახ.წ. II-III სს-ის ე.წ. „ჩრდილო შავიზღვისპირული" ტიპის ერთნილადი, ბუდეაბმული ფიბულები. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ აღნიშნულ ხანებში ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მონეტები რამდენიმე ცალითაა წარმოდგენილი: ბიჭვინტაში ახ.წ. II ს-ის ორად ორი ბოსფორული მონეტაა (კოტის II-ის – 123-133; სავრომატ III-ის – 196-210) აღმოჩენილი; III ს-ის კი ერთადერთი. სებასტოპოლისშიც ახ.წ. II და III ს-ში ორიოდე მონეტაა დადასტურებული. ზოგიერთი მკვლევარი ამას ჩრდილო და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის მაქსიმალურად შეკვეცით ან სულაც შეწყვეტით ხსნის (აფაქიძე, 1975, გვ. 122). ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მონეტების ასეთი სიმცირე განპირობებულია, ერთი მხრივ, იმით, რომ ზღვისპირა ცენტრების ეკონომიკა ამ დროს მთლიანად ორიენტირებული იყო ტრაპეზუნტულ მონეტებზე, რაც სავსებით აკმაყოფილებდა მას და სხვა რეგიონის მონეტებს ის არ საჭიროებდა, ხოლო მეორე მხრივ იმითაც, რომ ბოსფორის ცენტრების მონეტები მხოლოდ შიდა ბაზრის რეგულირებისათვის ჩანს გათვალისწინებული.

ახ.წ. II-III და III ს-ის პირველ ნახევარში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმპორტირებულ პროდუქციათა შორის საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი მინის ნაწარმიც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბიჭვინტის ნაქალაქარისა და მის სამაროვანზე (№03-8 ხსნარიანი სამარხი) აღმოჩენილი კოლბისებური ფორმის მინის ჭურჭელი ხორკლიანი ნაზარდებით. ამგვარი ტიპის მინის ჭურჭელი ახ.წ. II-III სს-ით თარიღდება და, ფორმისა და შემკულობის მიხედვით, ახლოს დგას კიოლნის მინის სახელოსნოს ნაწარმთან, მაგრამ ბიჭვინტური ეგზემპლარები მცირეაზიური წარმომავლობის უნდა იყოს.

კიოლნის მინის ჭურჭლის მსგავსია, აგრეთვე, ბიჭვინტის №01/2 სამარხში აღმოჩენილი მინის მომწვანო ფერის, ოთხკუთხა და ბრტყელძირა ფლაკონები. ამ ტიპის ფლაკონები ახ.წ. I ს-ში ჩნდება და II ს-ში ფართოდაა გავრცელებული. ბიჭვინტური სანელსაცხებლები ახ.წ. II-III სს-ით თარიღდება. პიტიუნტის №479 სამარხში და-

ფიქსირებულია საკმაოდ ორიგინალური ფორმის მინის ქილისებური ფორმის სასმისი. ამგვარი ფორმის სასმისი ახ.წ. I ს-ში ჩნდება, IV ს-შიც გვხვდება და სირიულ ნაწარმადაა მიჩნეული. ბიჭვინტური სასმისი ძალზე ახლოს დგას ხერსონესის ახ.წ. II-III სს-ის სამარხებში აღმოჩენილ სასმისებთან. ჩვენი ეგზემპლარიც თანმხლებ მასალებთან ერთად II-III სს-ით თარიღდება.

მინის ჭურჭლის გარდა, დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა პუნქტებში შემოდიოდა სასარკმლე მინა. ფოთში, „ნატეხების" ნამოსახლარზე, ბიჭვინტისა და სოხუმის ახ.წ. II-III სს-ის ფენებში ნაპოვნია მომწვანო ფერის, სწორკუთხა, ბრტყელი, ჩამოსხმული სასარკმლე მინის ფრაგმენტები, რომლებიც რომის იმპერიის ერთ-ერთ აღმოსავლურ საწარმოო ცენტრიდან უნდა მომდინარეობდეს.

რომის იმპერიის აღმოსავლური პროვინციების ნაწარმთა წრეს განეკუთვნება აგრეთვე ლითონის ჭურჭლისა თუ სამკაულების მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგალითად, ციხისძირის განძში შემავალი ნივთების აბსოლუტური უმრავლესობა ახ.წ. II-III სს-ით დათარიღდა და მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით რომის აღმოსავლეთ პროვინციების კულტურის წრეში ექცევა. ამავე წრეში ერთიანდება ასევე ბიჭვინტაში შემთხვევით აღმოჩენილი ნახევარსფერული ფორმის ვერცხლის თასი, რომლის ზედაპირი შემკულია ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეული გამოსახულებებით. აღწერილი თასი ახ.წ. III ს-ით თარიღდება და მცირე აზიის პროდუქციას განეკუთვნება.

ამრიგად, ახ.წ. II-III და III ს-ის პირველი ნახევრის ჯგუფის რომაულ ნაწარმთა შორის წინანდებურად დომინირებს რომის იმპერიის აღმოსავლური პროვინციების, უპირატესად, მცირე აზიის ცენტრების პროდუქცია. ამავე დროს გრძელდება და ფართოვდება პროდუქციის შემოტანა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან. თითქმის არ ჩანს, ან მკვეთრად შემცირებულია დასავლური პროვინციების ნაწარმი. დიდი ხანია, რაც მკვლევრებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ამ დროს საერთოდ არ ჩანს დასავლურ-რომაული სახელოსნოების წითელლაკიანი კერამიკა. თითქმის იგივე აზრი ვრცელდება ამფორებსა და მინის ნაწარმზეც. თუმცა დასავლური წარმომავლობის სამკაულები მცირე

რაოდენობით მაინცაა წარმოდგენილი. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ კლდეეთის №2 სამარხში აღმოჩენილი მინანქრიანი ფიბულა, რომელიც დასავლეთ ევროპისთვისაა დამახასიათებელი და ახ.წ. II-III სს-ით თარიღდება; დასავლური იერისაა ბიჭვინტის №414 და 158 სამარხებში აღმოჩენილი ვერცხლის მშვილდსაკინძი დელფინის რელიეფური გამოსახულებით და ბრინჯაოს ფიბულა – „სვასტიკა". ანალოგიური ტიპის ფიბულა ცნობილია გერმანიაში, ბრიტანეთში, პანონიაში და ახ.წ. II-III სს-ით თარიღდება.

უკანასკნელი, მესამე, ჯგუფი, რომელიც ახ.წ. III-IV სს-ს მოიცავს (განსაკუთრებით კი IV საუკუნეს), რომაული ნაწარმის ახალი მოზღვავებით ხასიათდება. აღნიშნულ ხანებში რომაული სამყაროს პროდუქცია ვრცელდება როგორც შიდა, ასევე მაღალმთიან ზოლში.

ახ.წ. IV ს-შიც წინანდებურად მრავლად შემოდიოდა წითელლაკიანი კერამიკა, რომელთა შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია შვეულკიდიან და ძირისაკენ დაქანებულკალთებიან ჯამებს, რომლებიც მუქი წითელი, ნაწილობრივ მოვარდისფრო წერნაქითაა დაფარული. ჯამების ეს ტიპი აღმოჩენილია სებასტოპოლისში, ვარდციხეში. ყველაზე მრავლადაა წარმოდგენილი ბიჭვინტაში და ახ.წ. IV ს-ით თარიღდება. საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება ტალღისებური ორნამენტით შემკული თეფშები, რომელთაც აქვთ გადაშლილი ბრტყელი პირი და მომრგვალებული კალთები. ისინი დადასტურებულია ვარდციხეში, სებასტოპოლისსა და ციხისძირში. შედარებით მრავლადაა ნაპოვნი ბიჭვინტაში. ანალოგიური ტიპის თეფშები, ზოგჯერ შემკული ტალღისებური ორნამენტით, გვხვდება ტანაისსა და ხერსონესში, თარიღდება ახ.წ. IV და IV-V ს-ით. ბიჭვინტური თეფშები კი ახ.წ. IV-V სს-ით განისაზღვრება.

ახ.წ. IV ს-ით უნდა დათარიღდეს ფოთში, ბიჭვინტასა და სოხუმში აღმოჩენილი მცირე ზომის კალთამომრგვალებული ჯამები დაბალი და ვიწრო მრგვალი ქუსლით. სხვათა შორის, ამ ტიპის ჯამები ხერსონესში ახ.წ. V ს-ის კომპლექსებშიც გვხვდება, მაგრამ მათი ძირითადი ნაწილი IV ს-ს განეკუთვნება.

ძალზე ხშირია ასევე ნახევარსფერული მოყვანილობის პირგადაშლილი ჯამები, დაბალი და პატარა მრგვალი ქუსლით, რომლე-

ბიც მრავლადაა წარმოდგენილი ბიჭვინტაში. გვხვდება სოხუმში, ციხისძირში. ამგვარი ჯამები იშვიათია ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. სამაგიეროდ, შედარებით მრავალრიცხოვანია დაკიაში, პანონიასა და თრაკიაში. ამ ტიპის ჯამები ახ.წ. IV ს-ით არის დათარიღებული. დასავლეთ შავიზღვისპირეთში კი ამ ჯამებისნაირსახეობა ახ.წ. II საუკუნიდან გვხვდება. შესაძლოა ამგვარი ტიპის ჯამები მზადდებოდა სხვადასხვა ცენტრებში, მათ შორის დასავლეთ შავიზღვისპირეთშიც.

საკმაოდ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ბიჭვინტაში ახ.წ. IV ს-ით დათარიღებული პირფართო, შედარებით ღრმა ჯამები ძირისაკენ ოდნავ დაქანებული კალთებით, რომლებიც დაბალი და ფართო ქუსლისაგან ღარითაა გამოყოფილი. ისინი გვხვდება ციხისძირშიც, ასევე კორინთოსა და ათენის აგორაზე.

რაც შეეხება ზემოთ აღწერილი წითელლაკიანი ჭურჭლის საწარმოო ცენტრების დადგენას, იგი დიდ სიძნელესთანაა დაკავშირებული და ვარაუდის ფარგლებს არ სცილდება. სპეციალისტთა აზრით, აღნიშნული კერამიკის ნიმუშების საწარმოო ცენტრი მცირე აზიაშია საძიებელი (Heyes, 1972, გვ. 323-324). თუმცა მათი გარკვეული ნაწილის ხმელთაშუაზღვისპირული წარმომავლობაც არ უნდა გამოირიცხოს, რადგან ტიპოლოგიურად ძალზე ახლოს დგას „გვიანრომაული C ჯგუფის“ იმ ფორმებთან, რომლებიც ხმელთაშუაზღვისპირეთში იყო გავრცელებული ახ.წ. IV-V სს-ში.

წითელლაკიანი კერამიკის გარდა, საკმაოდ დიდი რაოდენობით შემოდიოდა მინის ნაწარმიც. ბიჭვინტის ნაქალაქარსა და მის სამაროვანზე დაფიქსირებულია თეთრი ფერის მინის სანელსაცხებლე სფერულმუცლიანი, ბრტყელი ძირითა და ძაბრისებური პირით. ამგვარი ტიპის ბალზამარიები ახ.წ. III-IV სს-ით თარიღდება და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირული წარმომავლობისაა; ბიჭვინტაში აღმოჩენილია, აგრეთვე, სფერულმუცლიანი, მაღალი ცილინდრული ყელისა და ყელის ტანთან მიერთების ადგილზე შეზნექილი, ძირბრტყელი, მოთეთრო ფერის მინის ბალზამარიები.

ამ ტიპის ბალზამარიების ადრეული ფორმები ახ.წ. III ს-ს გა-

ნეკუთვნება, მაგრამ III-IV სს-ში ფართოდ ჩანს გავრცელებული. შესაძლოა, ესენიც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან მომდინარეობდეს, რადგანაც ზემოაღწერილი ტიპის მსგავსია და ფაქტურითაც ერთია. განსაკუთრებით საინტერესოა სებასტოპოლისის ახ.წ. III-IV სს-ის ფენაში დადასტურებული წაგრძელებული ფორმის მქონე მინის სანელსაცხებლე მომრგვალებული ძირითა და ცილინდრული ყელით. ამგვარი ფორმის ბალზამარიები პირველად ჩნდება ახ.წ. I ს-ის მიწურულს, IV ს-ის დასასრულამდე არსებობს და ადრიატიკის ჩრდილოეთ რაიონის სანაპიროებისა თუ იტალიკური სახელოსნოების ნაწარმადაა მიჩნეული.

ალსანიშნავია ასევე პიტიუნტის სამარხებში აღმოჩენილი ზარისებური ტანის, ვიწრო და მაღალყელიანი, წელგამოყვანილი მინის ბალზამარიები, რომლებიც პარალელებით IV ს-ით თარიღდება და ალექსანდრიულ ნაწარმთა წრეს განეკუთვნება.

აღნიშნული ხანის კოლხეთის ზღვისპირეთში აღმოჩენილ მინის ნაწარმთა შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ბიჭვინტის ნაქალაქარისა და მის სამარხებში აღმოჩენილი ოთხკუთხა ფორმის, ცალყურა, მაღალი ხარისხის მომწვანო ფერის სანელსაცხებლები, რომლებიც კიოლნის მინის სახელოსნოს ნაწარმია და ახ.წ. III ს-ის 60-იანი – IV ს-ის 30-იანი წლებით თარიღდება. რაც შეეხება კიოლნის მინის ტრანსპორტირების გზებს, ვფიქრობთ, ისინი ჩვენში მცირე აზიის გზით უნდა იყოს შემოსული, თუმცა დასავლეთთან პირდაპირი კონტაქტებიც არ არის გამოსარიცხი. ასეა თუ ისე, ერთი რამ მაინც ცხადია: ახ.წ. II-III სს-სთან შედარებით, დასავლური ნაწარმი მინის სახით საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი ახ.წ. III-IV სს-ში. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ხანებშიც, კვლავინდებურად აღმოსავლეთ პროვინციების ნაწარმი დომინირებს.

აღმოსავლეთ პროვინციების, კერძოდ მცირე აზიის ნაწარმთა წრეს განეკუთვნება ბიჭვინტასა და სოხუმში აღმოჩენილი ძაბრისებურპირიანი, ვიწრო ყელის მქონე, სფერულმუცლიანი, ცალყურა დოქები, რომლებიც ახ.წ. III-IV სს-ით თარიღდება.

აღნიშნულ ხანებში დიდი რაოდენობით შემოდიოდა სინოპური და სამოსური პროდუქცია. ბიჭვინტაში, სოხუმში, ვარდციხესა და

ფოთში აღმოჩენილია სინოპეს ნაწარმად მიჩნეული ღია ფერის ვიწროყელიანი ამფორების გვიანდელი ვარიანტები, რომლებიც ახ.წ. IV, უფრო IV-V სს-ით თარიღდება, ხოლო სამოსური ამფორების გავრცელების არეალი საკმაოდ ფართოა. ისინი გვხვდება ბიჭვინტაში, სოხუმში, გუდავაში, ვარდციხესა და ფოთში.

განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი ჰქონდა ზღვისპირა ციხე-ქალაქებს ახ.წ. IV ს-ში ანტიოქიასთან, როგორც ეს ნუმიზმატიკური მონაცემებით დასტურდება (დუნდუა, 1975, გვ. 410), თუმცა ანტიოქური პროდუქცია ჩვენში თითქმის არ ჩანს, რაც ანტიოქიის სპეციფიკური ეკონომიკური პოლიტიკით უნდა აიხსნას. ამ დროს მას მონეტები უფრო გაჰქონდა, ვიდრე ხელოსნური ნაწარმი.

აღნიშნულ ხანებში კოლხეთის ზღვისპირეთში, უპირატესად კი ბიჭვინტის ნაქალაქარსა და მის სამაროვანზე, საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს სამკაულთა რამდენიმე ჯგუფი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტული უნდა იყოს. ამ მხრივ აღსანიშნავია ბიჭვინტის ნაქალაქარის ახ.წ. III-IV სს-ის ფენაში აღმოჩენილი ოქროს მასიური, მრგვალგანივკვეთიანი სამაჯურები, რომლებიც არ არის დამახასიათებელი ბერძნულ-რომაული ოქრომჭედლობისათვის.

მსგავსი სამაჯურები გვხვდება ჩრდილოეთ ევროპაში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში, ანტიკურ ხანაში კი ჩანს ირანსა და მის მომიჯნავე რეგიონში. ანალოგიური სამაჯური დადასტურებულია ე.წ. „ბოლშაია ბლიზნიცას" სარმატულ სამარხში, რომელიც ზოგადად რომაული ხანით თარიღდება.

ბიჭვინტური სამაჯური ყველაზე მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ემესის (სირია) №11 სამარხში აღმოჩენილ ოქროსავე სამაჯურთან, რომელიც რომაული ხანით თარიღდება და ირანულ ნაწარმადაა მიჩნეული. გარდა ამისა, ბიჭვინტის ნაქალაქარსა და მის სამარხებში დადასტურებულია ოქროს წვრილმავთულიანი საყურეები, რომელთა იდენტური ეგზემპლარები ცნობილია ხერსონესში, ოლბიაში, კალატისში, ინტერციზაში და ახ.წ. III-IV სს-ით თარიღდება.

საყურადღებოა აღნიშნული სამაროვნის №161 სამარხში აღმოჩენილი ნახევარწრიული ფორმის ოქროს წვრილი მავთულისაგან

დამზადებული საყურე, ანკესისებური საკეტითა და მარყუჟით. მასზე მირჩილული იყო ოქროსავე დისკო. მსგავსი საყურეები გვხვდება პანონიაში, გერმანიასა და დაკიაში. ბიჭვინტის სამარხებში დადასტურებულია ოქროს საყურე მხლისებური ფორმის დისკოთი, რომელშიც ფირუზის თვალია ჩასმული. ეს საყურეები, ანალოგებით, ახ.წ. IV ს-ით უნდა დათარიღდეს.

ბიჭვინტასა და წებელდაში გვხვდება T-სებრი, გუმბათისებურთავიანი მშვილდსაკინძები, რომლებიც მთელ რომაულ სამყაროში ფართოდაა გავრცელებული. ისინი ყველგან ახ.წ. IV ს-ით თარიღდება. მათ სამშობლოდ მიჩნეულია დუნაისპირა პროვინციები, საიდანაც გავრცელდა რეინზე და მცირე აზიაშიც.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ახ.წ. II-III სს-თან შედარებით, IV ს-ში შესამჩნევად გაიზარდა ხმელთაშუაზღვისპირეთის ცენტრების პროდუქციის რაოდენობა. როგორც ზღვისპირა პუნქტებში, ასევე მაღალმთიან რეგიონში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი ახ.წ. IV ს-ის სირიული ხალიანი მინის ჭურჭელი. ბიჭვინტასა და სოხუმში აღმოჩენილია ახ.წ. IV-V სს-ით დათარიღებული ხმელთაშუაზღვისპირული, ვერტიკალურპირიანი, წითელლაკიანი ჯამის ფრაგმენტები შემკული ცხოველების რელიეფური სახეებითა და ჯვრის გამოსახულებით. ხმელთაშუაზღვისპირულია ფოთში, სოხუმსა და ბიჭვინტაში დადასტურებული წითელი თიხის ყელწიბოიანი ამფორებიც, ციხისძირში აღმოჩენილი ახ.წ. IV ს-ის ნახევარსფერული მოყვანილობის ფიალა და ბიჭვინტის ნაქალაქარზე დადასტურებული ახ.წ. III-IV სს-ით დათარიღებული მინის სასმისი მეომრის გამოსახულებით. მიუხედავად ამისა, III-IV სს-ის იმპორტულ მასალათა შორის, კვლავინდებურად ჭარბობს რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების, კერძოდ, მცირეაზიური ნაწარმი.

ზემოთ განხილული იმპორტული პროდუქციის გარდა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში წარმოდგენილია რომაული ნაწარმის ისეთი საინტერესო ნიმუშები, როგორიცაა ოქროს და ვერცხლის „ფალერები", სერაპისის ქანდაკება, რაც, ვფიქრობთ, სპეციალურ შესწავლას იმსახურებს.

## 7. ოქროს და ვერცხლის „ფალერები“ კოლხეთიდან

რომის ლეგიონერებისა და დამხმარე სამხედრო შენაერთების მეომართა წახალისებისათვის შექმნილი იყო სპეციალური ნიშნებით დაჯილდოების მთელი სისტემა. სამხედრო ჯილდო „ფალერად“ იწოდებოდა. სამიოდე ასეთი ნიშანი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიცაა დადასტურებული. ერთია კლდეეთის №3 სამარხში აღმოჩენილი რკინის მახვილი ვერცხლისგემიანი ბალთით, მეორე – ბიჭვინტის №345 სამარხში წარმოდგენილი ვერცხლის სამკლავური ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით, ხოლო მესამე – ოქროს გარსაკრავი გონიოდან.

რკინის მახვილი ორლესულია; სიგრძე 87 სმ, სიგანე 2.6 სმ. ამ ტიპის მახვილი საქართველოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით არ არის დადასტურებული. ანალოგიური ტიპის მახვილები აღმოჩენილია რეინისპირეთის, დუნაისპირეთისა და ბრიტანეთის ლიმესების ბანაკებში. მაგალითად, კლდეეთური მახვილის ანალოგიურია რკინის მახვილები მაინცისა და კენტის მუზეუმიდან. ისინი ახ.წ. II და III სს-ით თარიღდება. კლდეეთში აღმოჩენილი მახვილი რომაული ტიპისაა.

რაც შეეხება მახვილთან აღმოჩენილ გემიან ბალთას, მასზე გამოსახულია სამსხვერპლოზე მდგარი არწივი, რომელსაც ნისკარტით წრიული გვირგვინი უჭირავს. არწივის მარჯვნივ გრძელსამოსიანი ღვთაება ნიკე-ვიქტორია დგას. იგი მარცხენა ხელით ეყრდნობა შუბს, ხოლო მარჯვენა ხელში გვირგვინი უჭირავს. არწივის გამოსახულების მარცხნივ აღმართულია დროშა, რომელიც, ანალოგიიდან გამომდინარე, „vexillum“-ის ტიპის რომაულ სამხედრო დროშას წარმოადგენს. ანალოგიური ფორმის სამხედრო დროშაა გამოსახული ლუციუს ფაუსტუსის სამარხის სტელაზე მაინციდან და წმინდა მარსელოს ბარელიეფზე. ამგვარსიუჟეტიანი გემა რომაული სამხედრო შენაერთების კერძო ხასიათის გემად ითვლება და ფალერადაა მიჩნეული.

ფალერებს ძირითადად შეადგენდა – გემიანი ბეჭდები, ბალთები, სამაჯურები, მახვილები, თასები, სასმისები და სხვა. იმპერი-

ის ეპოქაში ფალერებით აჯილდოებდნენ არა მარტო ცალკეულ ლეგიონერებსა და სამხედრო ქვედანაყოფებს, არამედ დაქირავებულ მეომრებს და პრორომაული ორიენტაციის „ბარბაროსული" სამყაროს მმართველებსაც.

ისმის კითხვა: რა გზით უნდა მოხვედრილიყო აღწერილი ნივთი კლდეეთში? რომაული სამხედრო შენაერთები ამ მიდამოებში და, საერთოდ, კოლხეთის შიდა რეგიონებში არ ყოფილა დაბანაკებული. ისინი ქვეყნის ზღვისპირა პუნქტებში იყვნენ დისლოცირებული. ზღვისპირა ცენტრებიდან ამ ნივთების შემოტანაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგანაც კლდეეთი სანაპირო პუნქტებიდან საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაშორებული. ამასთან, იქ კლდეეთური მასალის ანალოგიური ეგზემპლარები არ არის დადასტურებული. აღნიშნული ნივთი, ალბათ, კლდეეთელ წარჩინებულებსა და ზღვისპირა ცენტრებში დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთების ადმინისტრაციას შორის გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის მიმანიშნებელი უნდა იყოს. ამგვარი ხასიათის ნივთებით რომაული ადმინისტრაცია თავის სამსახურში მყოფ ადგილობრივ წარჩინებულ პირებსა თუ მათ მეთაურებს აჯილდოებდნენ. მაგალითად, ტაციტუსის ცნობით, რომაელებმა მრისხანე „ბარბაროსული" ტომების ბელადებს საჩუქრად ვერცხლის ძვირფასი ლარნაკები მიართვეს (ტაციტუსი, ანალები, V, 31). ანალოგიური სურათი ჩანს ახ.წ. I ს-ის ბოსფორის მმართველებსა და თავრიდის რომაულ საოკუპაციო სამხედრო შენაერთებს შორის.

ნიშანდობლივია, რომ, იმავე ტაციტუსის ცნობით, რომაელებმა სედოხეზების მეფეს ანიკეტის გადმოცემისათვის ჯილდო შესთავაზეს (ტაციტუსი, ანალები, III, 48). სწორედ კლდეეთელი დიდებულისათვის განკუთვნილი ჯილდო იყო ზემოთ აღწერილი ნივთი. ამავე მექანიზმს შეიძლება დაუკავშირდეს კლდეეთის სამარხებში დადასტურებული რომაული ვერცხლის მონეტები (ავგუსტუსის დენარები, ანტონინე პიუსის, მარკუს ავრელიუსის, ნერვას კესარიული დიდრაქმები). ცნობილია, რომ ფულადი კომპენსირების გზით რომაელები არცთუ იშვიათად მიმართავდნენ პერიფერიული ქვეყნების მეთაურთა თუ წარჩინებულთა მოსყიდვის პოლიტიკას, რომელიც

რომის დიპლომატიის არსებით ინსტრუმენტს წარმოადგენდა.

რომაელები იმპერიის საზღვრებს არა მარტო სამხედრო ძალით, არამედ მოქნილი დიპლომატიური ხერხებითაც აფართოებდნენ. იმპერიის მთელ პერიმეტრზე განსახლებულ ზოგიერთ ხალხს ტრადიციულად ადგილობრივი მეფეები განაგებდნენ და დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. რომი დიპლომატიურ ძალისხმევას არ იშურებდა, რათა ამ მმართველებთან მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა, რამდენადაც იმპერიის წარმატებები ზოგჯერ მათზე იყო დამოკიდებული.

სასურველი მიზნების მიღწევისათვის, რომაელები დიპლომატიის სხვადასხვა მეთოდებს მიმართავდნენ: დაშინების, იძულების, შანტაჟის, მოსყიდვის, ზოგჯერ კი პროდუქციის ურთიერთგაცვლასაც. ამგვარი პრაქტიკა ჯერ კიდევ ძვ.წ. I ს-ის შუა ხანებში დამკვიდრდა, ხოლო იმპერიის ხანაში გახშირდა.

ზემოთ აღნიშნულ მეთოდს რომაელები მოგვიანებითაც იყენებდნენ. პროკოპი კესარიელის ცნობით, როდესაც რომაელები გარე სამყაროსთან ლაზების სავაჭრო ურთიერთობებში უხეში ფორმებით ჩაერივნენ, კოლხები რომისადმი მტრულად განეწყვნენ და სპარსელებს დაუკავშირდნენ.

რომაული სამხედრო შენაერთები მოქნილი დიპლომატიის გზით კოლხეთის შიდა რეგიონებსაც აკონტროლებდნენ. ისინი თანამშრომლობდნენ ადგილობრივ წარჩინებულებთან. ეს კონტაქტები კი ორივე მხარისათვის სასარგებლო და მომგებიანი იყო.

სამწუხაროდ, არავითარი მონაცემები არ გაგვაჩნია იმის შესახებ, თუ რა დამსახურებისათვის ერგო კლდეეთელ წარჩინებულს ზემოაღნიშნული რომაული ფალერა. მკვლევრები კლდეეთის სამარხებს შეძლებული და წარჩინებული მხედრების სამარხებად მიიჩნევდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ის „ეპილექტოსის", თანამედროვე „კომანდოსთა" ტიპის, რომანიზებული კოლხი მეომარი ყოფილიყო. ასეთ მეომრებს კონკრეტული სამხედრო დავალების შესრულება ევალებოდათ. შესაძლოა, მკვიდრი მოსახლეობა არა მარტო რომაული პოლიტიკის მხარდამჭერი, არამედ რომაული არმიის შევსების წყაროც იყო.

ამრიგად, კლდეეთის №3 სამარხში აღმოჩენილი რომაული მახვილი და ვერცხლისგემიანი ბალთა რომაელთა ჯილდოს წარმოადგენდა, რომელიც კლდეეთელ დიდებულს ებოძა იმპერიის მესვეურთაგან მისი პრორომაული ორიენტაციისათვის.

მეორე ფალერა აღმოჩენილია ბიჭვინტის ციხე-ქალაქის არქეოლოგიური გათხრებისას. ის ვერცხლის, ცხრამეტწახნაგოვანი სამკლავურია. მომრგვალებულ ცენტრალურ ნაწილში მირჩილულია მრგვალი ფორმის ვერცხლის მედალიონი ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით. მედალიონს შემოუყვება ჩარჩო. ღვთაება გამოსახულია მთელი ტანით; მარჯვენა ხელში საჭე, ხოლო მარცხენა ხელში სიუხვის ყანწი უჭირავს. თავი სქემატურადაა გამოსახული. ტალღოვანი თმა ეშვება მუხლებამდე. სამკლავურის დმ. 9.2 სმ, მცირე დმ. 8.6 სმ, მედალიონის დმ. 3 სმ.

მსგავსი ფორმის ოქროს მედალიონები ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით ცნობილია ხერსონესის სამარხებიდან, ჩატალკის №4 ნეკროპოლზე (ბულგარეთი) და II-III სს-ით თარიღდება.

რომის იმპერიაში ტიხე-ფორტუნას კულტი ფართოდ ვრცელდება ანტონიუსების ეპოქიდან. ის განსაკუთრებით პოპულარული გახდა იმპერატორთა ოჯახში. სეპტიმიუს სევერუსს სურდა, გადაეღო ასლები ტიხე-ფორტუნას ქანდაკებისა, რომელიც თავის დროზე ანტონინე პიუსის ოთახში იდგა. ტიხე-ფორტუნას გამოსახულებები გლიპტიკაში, რომელიც ჯერ კიდევ ელინისტურ ეპოქაში ჩნდება, ფართოდ ახ.წ. II ს-ში ვრცელდება. ოქროსა და ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ტიხე-ფორტუნას მცირე ფიგურები საკიდების სახითაც გამოიყენებოდა.

საქართველოში ღვთაება ტიხე-ფორტუნას ერთ-ერთ უძველეს გამოსახულებას არისტარქეს მონეტებზე ვხვდებით. მაგრამ ის მაინც შორსაა ტიხე-ფორტუნას კლასიკურ სახესთან. ტიხე-ფორტუნას კლასიკურ სახეს საქართველოში მხოლოდ ახ.წ. I ს-დან ვხედავთ. ბიჭვინტის მედალიონის გარდა, ამის ილუსტრაციას წარმოადგენს II-III სს-ით დათარიღებული ციხისძირში, მცხეთასა და ურბნისში მოპოვებულ გემებზე ამოკვეთილი ამ ღვთაების გამოსახულება.

ბიჭვინტის ჯილდო-ფალერა, სამკლავური თანმხლები მასა-

ლებით (მასთან ერთად სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის ფიბულა და ვერცხლისავე საქამრე აბზინდა), III ს-ით თარიღდება. ფალერა, ალბათ, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან უნდა იყოს მოხვედრილი პიტიუნტში.

მესამე ფალერა გონიოს განძში შემავალი გარსაკრავია ცხოველთა ბრძოლის სცენით, რომელიც უნიკალობით გამოირჩევა. გარსაკრავი მრგვალი ფორმის ფირფიტაა, რომლის ჩარჩოში ორი ცხოველის სცენაა გამოსახული: კატისებრი მტაცებელი თავს ესხმის ჯიხვისებურ ცხოველს. პირველი ფიგურა ინკრუსტირებულია ბუდეებში ჩასმული მწვანე და წითელი პასტით. მარცხენა წინა ფეხი ტალღისებურადაა დაკუნთული და ბრჭყალებით მთავრდება. მარჯვენა ფეხზე, ოთხკუთხა ჩარჩოში წითელი პასტაა ჩასმული; თვალებიც პასტითაა ინკრუსტირებული. ჯიხვისებური ცხოველის ზურგი, ასევე ორ რიგადაა ინკრუსტირებული, ხოლო დანარჩენი ნაწილები – მუცელი, ფეხები, კისერი – ქიცვისებრი ორნამენტითაა შემკული. რქები დალარულია და წითელი ფერის ინკრუსტაციით მთავრდება. დრუნჩი ლომის დრუნჩს წააგავს. ენა სტილიზებური ლოტოსის ყვავილითაა გადმოცემული, ხოლო ჩლიქები პასტის ინკრუსტირებული ფოთლისებური ბუდეებით. კუდი რელიეფურია და უკანა მარჯვენა ფეხზეა დახვეული. გარსაკრავის დმ – 13.5 სმ.

მკვლევართა აზრით, ზემოაღნიშნული გარსაკრავი ძვ.წ. I – II სს-ის პოლიქრომიულ-სარმატული ცხოველსახოვანი სტილის ძეგლთა წრეს განეკუთვნება. მათივე განმარტებით, გამოსახულებათა სტილისტური ნიშნები დამახასიათებელია დონისპირეთის ძეგლებისათვის, რომელთა საწარმოო ცენტრად ბოსფორის სამეფოს სახელოსნოებია მიჩნეული, თუმცა სამკაულთა პოლიქრომიული სტილი და ამგვარი გამოსახულებანი არც რომაული სამყაროსთვის იყო უცხო. რომაულ ბარელიეფებზე, ფარებზე, ოქრომჭედლობის ზოგიერთ ნიმუშზე თუ გემებზე ხშირად ვხვდებით ზემოთ აღნიშნულ სცენებს.

ისმის კითხვა: რა არხებით და როგორი გზით უნდა მოხვედრილიყო აღწერილი ნივთი გონიოს განძში, რომელიც ახ.წ. I საუკუნეების საქართველოს მმართველი საზოგადოების წრეს ეკუთვნოდა.

ეჭვს იწვევს ამ ნივთის სამხედრო ნადავლად მიჩნევა, ვინაიდან ის საკმაოდ ძვირადღირებული იყო, რაც, უთუოდ, რჩეული და მდიდრულად აღჭურვილ რომაულ სამხედრო შენაერთებთან ადგილობრივი მოსახლეობის ფართომასშტაბიან ბრძოლას გულისხმობდა, მაგრამ არათუ ამგვარი დაპირისპირება, არამედ მათ შორის რიგითი სამხედრო კონფლიქტიც კი წერილობითი წყაროებით არ დასტურდება. უფრო მეტიც, ასეთი დაპირისპირების „apriori" წარმოდგენაც შეუძლებელია, რადგან კოლხეთში ამ დროს ცენტრალიზებული ხელისუფლება მოშლილი ჩანს და ის ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებადაა დაქუცმაცებული. შესაბამისად, ერთიანი, ორგანიზებული ლაშქრის არსებობაც გამოირიცხება.

აღნიშნული ნივთი ადგილობრივ ნარჩინებულებსა და გონიოში დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთების ადმინისტრაციას შორის გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის მიმანიშნებელი უნდა იყოს.

ჩვენ არავითარი მონაცემები არ გაგვაჩნია იმის შესახებ, თუ რა დამსახურებისათვის ერგო გონიოელ დიდებულს აღნიშნული რომაული ფალერა. ამიტომაც მხოლოდ ზოგადი შენიშვნებით შემოვიფარგლებით. არ არის გამორიცხული, რომ ამ ნივთის მფლობელი რომაელთა სამხედრო კამპანიების აქტიური მონაწილე ყოფილიყო. ძველი ავტორების ცნობებით, რომაელთა სამხედრო ოპერაციებში იმპერიისადმი დაქვემდებარებული სხვადასხვა ქვეყნის საჯარისო შენაერთებიც ხშირად მონაწილეობდნენ. მაგალითად, ფლავიუს არიანეს მიხედვით, ალანთა წინააღმდეგ დარაზმული რომაული არმიის შემადგენლობაში კოლხებიც ფიგურირებენ. შესაძლოა, გონიოელ დიდებულს და ხალხსა თუ რაზმს, რომელიც მას ექვემდებარებოდა, იბერიისაგან პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის დასავლეთის მონაკვეთის უსაფრთხოება ევალებოდათ. ყოველ შემთხვევაში, მათ შორის რაღაც გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური კავშირი არსებობდა ტაციტუსის მიერ მინიშნებული „ius militarium"-ის სახით. ეს კავშირი ურთიერთსარგებლობის პრინციპებს ეფუძნებოდა. კერძოდ, მკვიდრი მოსახლეობა იყო არა მარტო

რომაული პოლიტიკის მხარდამჭერი, არამედ გარნიზონების შევსების წყარო. თავის მხრივ კი რომაული სამხედრო შენაერთები ერთგვარ მასტაბილიზებელ როლს ასრულებდნენ მათ გარემომცველ სამყაროში. გარდა ამისა, მათივე მეშვეობით ვრცელდებოდა შიდა თუ მთიან ზოლში რომაული კულტურის ელემენტები და იმპორტული პროდუქცია.

ამრიგად, გონიოს განძში შემავალი ოქროს გარსაკრავი რომაულ ჯილდოს წარმოადგენდა, რომელიც გონიოელ დიდებულს ებოძა რომის იმპერიის მესვეურთაგან მისი პრორომაული ორიენტაციისა თუ რომაელთა სამხედრო კამპანიებში მონაწილეობისათვის.

## 8. სერაპისის ქანდაკება გონიო-აფსაროსიდან

გონიო-აფსაროსის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მრავალფეროვან არქეოლოგიურ მასალათა შორის ინტერესს იწვევს სერაპისის ქანდაკება. ის დაფიქსირდა გონიოს ციხესიმაგრის სამხრეთი კარიბჭის გარეთ, sw-III სექტორის მე-80 კვადრატში. ქანდაკება ბრინჯაოსგანაა ჩამოსხმული; ღვთაება ტახტზე ზის, თავზე ადგას კალათოსი და გრძელი წვერი აქვს. როგორც ცნობილია, სერაპისის კულტი და მისი გამოსახულებები პირველად ეგვიპტეში ჩნდება. ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ს-ში ბრიაკსისმა გამოაქანდაკა სერაპისი, რომელიც ალექსანდრიაში იდგა, თუმცა, ზოგიერთი ძველი ავტორის ცნობით, სერაპისის ქანდაკება ალექსანდრიაში სინოპედან გადაიტანეს. ამ ცნობის თანახმად, ეგვიპტის მეფე პტოლემაიოსს სიზმარში ქალღმერთი გამოეცხადა და უბრძანა, პონტოდან ალექსანდრიაში შემოეტანა სერაპისის ქანდაკება, რომელიც ეგვიპტის კეთილდღეობას უზრუნველყოფდა. პტოლემაიოსმა თხოვნით მიმართა სინოპეს ტირანს – სკიდროფემიდოსს, რათა მისთვის სერაპისის ქანდაკება დაეთმო, მაგრამ უარით გაისტუმრეს. მაშინ ღვთაება თვითონ „გამოიქცა“ ტაძრიდან და ალექსანდრიაში აღმოჩნდა.

ეს ლეგენდა თანამედროვე მკვლევართა განსჯის საგანი გახდა. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ამგვარი ლეგენდის შეთხ-

ზევის საფუძველი სინოპეში ფართოდ გავრცელებული ხთონიური ღვთაებაა, რომელსაც სერაპისის მსგავსი ნიშნები ახასიათებდა. მკვლევართა მეორე ნაწილის მოსაზრებით, ახ.წ. 137 წელს სეპტიმიუს სევერუსის დროს მოჭრილ მონეტებზე გამოსახულია სინოპური სერაპისი, ალექსანდრიული სერაპისის ორეული; ზოგიერთი მკვლევარი ასეთ შეხედულებებს უარყოფს, რადგანაც ისინი ალექსანდრიულ სერაპისსა და ახ.წ. პირველი საუკუნეების სინოპურ მონეტებზე გამოსახულ ქალღმერთს შორის მსგავსებას ვერ ხედავს.

სავსებით შესაძლოა, რომ სინოპეში შენარჩუნებული ყოფილიყო პაფლაგონიური ღვთაება, ლეგენდის მიხედვით – სერაპისის ორეული. როდესაც ჩამოყალიბდა ალექსანდრიული სერაპისი, მაშინ ეს ღვთაება გარდაქმნილი სახით სინოპეში დაბრუნდა, მით უმეტეს, როცა ალექსანდრიულმა ღვთაებამ, ჯერ კიდევ ელინიზმის ეპოქაში, მცირე აზიის ბევრ ქალაქში შეაღწია.

ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: სერაპისის კულტი თავიდანვე მცირე აზიასა და, საერთოდ, ბერძნული სამყაროს პანთეონში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. მეტიც, იგი ელინიზმის ხანაში უნივერსალური ღმერთი ხდება. სერაპისი ზევსის, პლუტონისა და ჰელიოსის ფუნქციებსაც ითავსებდა. ახ.წ. I საუკუნიდან სერაპისის კულტი მთელს რომის იმპერიაში პოპულარული ხდება. იტალიაში სერაპისის კულტი ჯერ კიდევ გვიანრესპუბლიკის ხანაში გავრცელდა, ხოლო ძვ. წ. 80 წლისათვის – თვით რომში, სადაც უკვე ლეგალურად არსებობდა „პასტიფორეუმების" კოლეგია. რომის იმპერიის დასავლეთ პროვინციებიდან სერაპისი ძალზე პოპულარული იყო გალიაში, სადაც მას ძირითადად ქალაქების მოსახლეობა სცემდა თაყვანს. ამავე ხანაში რომის უკიდურეს დასავლეთ პროვინციაში – ესპანეთშიც სერაპისის კულტი ფეხმოკიდებული ჩანს.

აფრიკის პროვინცია კართაგენშიც ფართოდ იყო გავრცელებული სერაპისის კულტი. იგივე ითქმის იმპერიის ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ პროვინციების მიმართ. ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებიდან კი სერაპისის კულტს გამორჩეული ადგილი ეკავა დაკიის პანთეონში.

რაც შეეხება შავიზღვისპირეთს, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ

ნაწილში ჯერ კიდევ ძვ.წ. III საუკუნიდან სერაპისის კულტი ფართოდ ჩანს გავრცელებული; ახ.წ. I საუკუნიდან კი ძალზე პოპულარული ხდება. სერაპისის გამოსახულებას ვხედავთ ტრაპეზუნტის მონეტებზე, თუმცა, მითრასთან შედარებით, ამ ღვთაების გამოსახულებათა რაოდენობა მინიმალურია. ამისოს მრავალრიცხოვან სამონეტო სერიებში ვხვდებით ასევე სერაპისის გამოსახულებებს, მაგრამ მათი რაოდენობა მცირეა. სამაგიეროდ, სინოპეს ახ.წ პირველი საუკუნეების მონეტებზე სერაპისის გამოსახულებები მრავალრიცხოვანი სახითაა წარმოდგენილი.

იმპერატორ ადრიანეს ეპოქიდან ახ.წ. III ს-მდე სინოპეში მოჭრილ 37 სამონეტო სერიაში სერაპისის გამოსახულება ფიგურირებს. ეპიგრაფიკული მასალებით დასტურდება, რომ სინოპეში ძვ.წ. III – ახ.წ. II-III სს-ში სერაპისის ტაძარი ფუნქციონირებდა. როგორც ჩანს, სერაპისი სინოპეს პანთეონში დიდი პოპულარულობით სარგებლობდა.

დასავლეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის პოლისებში სერაპისის კულტის გავრცელება ელინისტური ხანიდან ივარაუდება. ახ.წ. პირველი საუკუნეებიდან კი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ნაქალაქარებზე სერაპისის გამოსახულებები საკმაოდ მრავლადაა დადასტურებული. ხშირად ფიგურირებს ასევე ამ ღვთაების სახელი ეპიგრაფიკულ ძეგლებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ძვ.წ. II ს-ის წარწერა ტირასიდან. წარწერაში საუბარია სერაპისისადმი მსხვერპლშეწირვის შესახებ. მკვლევართა აზრით, სამსხვერპლო ტაძარში იდგა. როგორც ეპიგრაფიკული ძეგლები მოწმობს, სერაპისის ტაძარი ოლბიაშიც უნდა ყოფილიყო.

სერაპისის გამოსახულებიანი მინიატურული მედალიონი ოლბიაშია აღმოჩენილი. აღნიშნული ღვთაების გამოსახულებები ფიქსირდება ასევე ბოსფორის სამეფოს დედოფლის – დინამიას მონეტებზე. აღსანიშნავია პანტიკაპეონსა და ხერსონესში დადასტურებულ ჭრაქებზე სერაპისის სკულპტურები.

გონიოში ნაპოვნი სერაპისის ქანდაკება კი ჯერჯერობით ერთადერთია მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და, ამდენად, ის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ღვთაება ტრადიციულ პოზაში – თავზე კალათოსითა და გრძელი წვერითაა გამოსახული. სე-

რაპისის ანალოგიური ფიგურები საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი რომაული პროვინციული მონეტების რევერსზე, როგორიცაა, მაგალითად, ადრიანეს, სეპტიმიუს სევერუსის მონეტები სინოპედან, ტრაპეზუნტის 218-222 წწ-ში მოჭრილ მონეტაზე ანდა ანტიოქიაში ლიცინიუსის სახელზე მოჭრილ საფასეებზე გამოსახული სერაპისი თავზე კალათოსითა და გრძელი წვერით.

გონიოში აღმოჩენილი სერაპისის ქანდაკება იკონოგრაფიული ნიშნებით ახლოს დგას ასევე ოლბიაში დადასტურებული ვერცხლის ქანდაკებასთან, რომელიც ძვ.წ. I – ახ.წ. I სს-ით თარიღდება. მის იდენტურ გამოსახულებას ვხვდებით ხერსონესისა და კროკოდილოპოლისის თიხის ჭრაქებზე, რომლებიც, შესაბამისად, ახ.წ. III და II-III სს-ით თარიღდება.

გონიოს სერაპისის ქანდაკება, კულტურული ფენისა (II-IIIსს.) და თვით სერაპისის გამოსახულების მიხედვით, II-III სს-ით უნდა დათარიღდეს. რაც შეეხება მის წარმომავლობას, ის აღმოსავლურ, შესაძლოა, მცირეაზიურ ნაწარმთა წრეს ეკუთვნოდეს. მცირე აზიის ცენტრებთან აფსაროსს მთელი რომაული ხანის მანძილზე მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აკავშირებდა. ძირითადად იქიდან შემოდიოდა კერამიკული პროდუქცია, მონეტები და სხვ.

ანტიკური ტრადიციის თანახმად, სერაპისი ითვლებოდა ნაყოფიერების, ზღვის, ჯანმრთელობის ღვთაებად და ასოცირებული იყო სხვადასხვა კულტთან იმისდა მიხედვით, თუ რა გეოგრაფიულ გარემოში უხდებოდა მას „ცხოვრება". მაგალითად, საბერძნეთში სერაპისი იკონოგრაფიულად ზევსთან, დიონისესა და ჰელიოსთან იდენტიფიცირდებოდა. რომში ის იმპერატორის კულტთან ასოცირდება; ეგვიპტეში სერაპისი სახლის მფარველ ღვთაებადაც ითვლებოდა. ალექსანდრიაში არ იდგა ისეთი სახლი, რომლის კარზე, სარკმლებზე ან კედლებზე სერაპისის გამოსახულებანი არ ყოფილიყო.

აფსაროსური სერაპისი კი სიუხვის, ნაყოფიერებისა და წარმატების ღვთაებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მას თავზე ხთონური ძალის გამომხატველი კალათოსი ედგა. შესაძლოა, ის აფსაროსში ზღვაოსნობის მფარველ ღვთაებადაც ასოცირებულიყო, ვინაიდან ციხე-ქალაქის კეთილდღეობა უსაფრთხო და წარმატებულ ნავიგა-

ციაზე იყო დამოკიდებული. არც ისაა გამორიცხული, რომ სიუხვისა და წარმატების ღვთაება სერაპისი აფსაროსში დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთების მფარველი ღვთაება ყოფილიყო.

ასეა თუ ისე, ერთი კი ცხადია: აღწერილი ქანდაკება რომაული საჯარისო შენაერთების შემოტანილი უნდა იყოს; ყოველ შემთხვევაში ის მათი კუთვნილია. ამავე დროს ჩანს, რომ აფსაროსში განლაგებული რომაული სამხედრო შენაერთების პანთეონში სერაპისს გარკვეული ადგილი ეკავა.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იმპორტირებული პროდუქციის ერთი, თუმც მცირე, ნაწილი, რომაული საინტენდანტო სამსახურის შემოზიდულია. ასეთ საგანთა რიცხვს უნდა განეკუთვნოს ბიჭვინტის ნაქალაქარისა და მის სამაროვანზე აღმოჩენილი მასობრივი ხასიათის ტარა და ე.წ. წითელლაკიანი ჭურჭელი, მათ შორის ცხოველთა რელიეფური გამოსახულებითა და დეკორატიული ორნამენტით შემკული სუფრის ჭურჭელი. ნამდვილად სამხედრო დანიშნულება ჰქონდა III-IV სს-ით დათარიღებულ გუმბათისებურთავიან ფიბულებს, ვერცხლის სამკლავურს ტიხე-ფორტუნას გამოსახულებით, ოქრო-ვერცხლის გემიანი ბეჭდების ნაწილს, რომლებზეც რომაული მილიტარისტული ხასიათის ფიგურებია (არწივი, ლომი, კიბორჩხალა, მორიელი, კუ) გამოსახული.

რომაულ სამხედრო შენაერთებს უნდა შემოჰყოლოდა, როგორც აღინიშნა, აფსაროსში დადასტურებული წითელლაკიანი ჯამი სანდლიანი ფეხის ტერფის გამოსახულებით და მეომრის რელიეფურგამოსახულებიანი წითელლაკიანი ჭრაქი, რამდენადაც ესენი კასტელუმის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. ასევე, მცირერიცხოვანი რომაული წარმოების საგნების ნაწილი ადგილობრივი დიდებულთათვის განკუთვნილ ძღვენებსა თუ ჯილდოებს შეადგენდა. ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება თაგილონის სამარხეულ კომპლექსში შემავალი ვერცხლის კათხისებური სასმისი, კანელურებიანი თასები, ლამბაქი, ლანგარი; გონიოს განძში შემავალი ოქროს გარსაკრავი ცხოველთა ბრძოლის გამოსახულებით, რომლებიც ადგილობრივი „ბარბაროსული" სამყაროს დიდებულების წრის წარმომადგენლებს

ებრძათ იმპერიის მესვეურთაგან მათი პრორომაული ორიენტაციისა თუ რომაელთა სამხედრო კამპანიაში მონაწილეობისათვის.

სავაჭრო-ეკონომიკური ოპერაციების გზით შემოსულ პროდუქციათა რიცხვს უნდა განეკუთვნოს, უწინარეს ყოვლისა, პიტიუნტისა და სებასტოპოლისის სამოქალაქო ტერიტორიაზე დადასტურებული მრავალფეროვანი კერამიკული ნაწარმი, პიტიუნტის ქალებისა და ბავშვების სამარხებში დაფიქსირებული საფასები, მინის ბალზამარიები, სამკაული, ნოქალაქევსა და ვარდციხეში აღმოჩენილი სინოპური და სამოსური ამფორები, მცირეაზიური მინის ნაწარმი.

რომაული იმპორტის აბსოლუტური უმრავლესობა რომაული გარნიზონების მომარაგებისათვის იყო გათვალისწინებული. ზემოაღნიშნულ იმპორტულ ნაწარმთა ჯგუფების შესაბამისად, გარნიზონების მომარაგების სფეროში სამი პერიოდი გამოიყოფა: პირველი პერიოდი პირველ ქრონოლიგიურ ჯგუფს შეესატყვისება და ამ დროს რომაული გარნიზონები, ძირითადად, მარცვლეულით, ღვინით და ზეთით მარაგდებოდა, ხოლო სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი შედარებით ნაკლები რაოდენობით შემოდიოდა. საერთოდ, აღნიშნულ პერიოდში იმპორტული პროდუქცია შეზღუდული რაოდენობით არის წარმოდგენილი, რაც შესაძლოა, გარნიზონების მომარაგების არაორგანიზების, მისი ცენტრალიზებული სისტემის არარსებობის მაჩვენებელი იყოს. თუმცა, ამავე დროს, ეს ფაქტი რომაული გარნიზონების სიმცირითაც შეიძლება აიხსნას.

მეორე პერიოდი ახ.წ. II-III სს-ს მოიცავს და იმპორტული მასალის მოზღვავებით აღინიშნება. ასეთი სიმრავლე პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის ჩამოყალიბებასა და გარნიზონთა რიცხობრივ ზრდას უკავშირდება. შავიზღვისპირეთის ციხესიმაგრეთა ქსელი, რომლის ორგანიზაციული გაფორმება ახ.წ. II-III სს-ში სრულდება, უზრუნველყოფდა არა მარტო იმპერიის შორეული საზღვრების დაცვას, არამედ გარნიზონების მომარაგების ტრანსპორტირების უშიშროებას, მის უსაფრთხოებას.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული გარნიზონების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ერთიანი ცენტრალიზებული სისტემით ხდებოდა კონკრეტული რეგიონიდან, კერძოდ, ტრაპე-

ზუნტიდან, სადაც იყო შავი ზღვის ფლოტის ძირითადი ბაზა. ამ მხრივ მისი როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, როდესაც აქ ადრიანეს დროს საიმედო და კარგად გამართული ნავსადგური ააშენეს, რითაც შესამჩნევად ამოქმედდა ჯერ კიდევ დომიციანეს დროს გაყვანილი სამოსატა-სატალა-ტრაპეზუნტის მაგისტრალი, რომელიც საზღვაო არხებით საქართველოს შავიზღვისპირა ცენტრებსაც უკავშირდებოდა.

ტრაპეზუნტი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, დიდ როლს ასრულებდა შავიზღვისპირა ცენტრებში დისლოცირებული რომაული მხედრობის მომარაგების საქმეში. აქედან მათ რეგულარულად მიეწოდებოდათ სხვადასხვა ცენტრების ნაწარმი. ამიტომ ვრცელდებოდა ტრაპეზუნტში მოჭრილი საფასები საქართველოს ზღვისპირეთში ასეთი დიდი რაოდენობით. ამ პერიოდში რომაული გარნიზონებისათვის ორიენტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციათა შორის (ციხესიმაგრეების ტერიტორიაზე აღმოჩენილ ამფორათა რაოდენობის მიხედვით) კვლავინდებურად ღვინო, ზეთი და მარცვლეული დომინირებს. წინა პერიოდთან შედარებით, გაზრდილი ჩანს მოთხოვნილება სუფრის ჭურჭელზე, განსაკუთრებით წითელლაკიან ჯამებზე, ლანგრებსა თუ თასებზე. შედარებით მცირე რაოდენობით შემოდიოდა სამზარეულო კერამიკა (მონტარიუმები, კოჭბები, ქვაბები). სიახლეა ის გარემოება, რომ გარნიზონებს მრავლად მიეწოდებოდათ რომაული მინის ნაწარმი, მათ შორის მოზრდილი სქელტანიანი ჭურჭელი, რომელიც II-III სს-ში ფუფუნების საგანს აღარ წარმოადგენდა.

მესამე პერიოდი ახ.წ. III-IV სს-ს განსაკუთრებით IV ს-ს მოიცავს და იმპორტული ნაწარმის ახალი მოზღვავებით ხასიათდება. გარნიზონები კვლავ მცირე აზიის ცენტრების ნაწარმით მარაგდება, თუმცა საჯარისო ფორმირებებს ტრაპეზუნტის ნაცვლად ქალაქი ანტიოქია ამარაგებს. ახ.წ. IV ს-ში ის იქცა აღმოსავლეთ რომის იმპერიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად. ანტიოქია აწესრიგებდა მათ საფინანსო საქმეებს და, ფაქტობრივად, მისსავე კონტროლქვეშ იმყოფებოდა ზღვისპირა ცენტრების გარნიზონების დაკომპლექტება-მომარაგება. ნიშან-

დობლივია, რომ პიტიუნტის გარნიზონის მეთაური სუკესიანე დანინაურების შემდეგ ანტიოქიაში განაგრძობდა სამხედრო მოღვანეობას. მაგრამ ანტიოქიური სახელოსნო პროდუქცია ჩვენში თითქმის არ ჩანს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მრავალრიცხოვან მონეტებს[1]. ეს ფაქტი ანტიოქიის სპეციფიკური ეკონომიკური პოლიტიკით უნდა აიხსნას. ამ დროს მას მონეტები უფრო გაჰქონდა, ვიდრე ხელოსნური ნაწარმი. აღნიშნულ ხანაშიც რომაული გარნიზონები თითქმის ამავე ასორტიმენტისა და რაოდენობის პროდუქციას მოიხმარდა. მაგრამ III-IV სს-ში თითქოს შესამჩნევად გაზრდილია ხმელთაშუაზღვისპირული პროდუქციის რაოდენობა. მაგალითად, ამავე ეპოქაში პირველად ჩნდება კიოლნის მინის ნაწარმი, რომელიც, ისევე როგორც ხმელთაშუაზღვისპირული პროდუქცია, საქართველოს ზღვისპირეთში მცირე აზიის გზით უნდა იყოს შემოსული.

ამრიგად, გარე სამყაროსთან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა და აქ დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ერთიანი ცენტრალიზებული სისტემით ხორციელდებოდა მცირე აზიის ცენტრებიდან.

## 9. რომანიზაცია და კოლხეთის კულტურული მემკვიდრეობა

რომანიზაცია იმპერიის პროვინციებში რომაული პოლიტიკურ-ეკონომიკური ნორმებისა და კულტურული ელემენტების გავრცელება-დამკვიდრებას გულისხმობს. რომანიზაციის მთავარი დანიშნულება რომის ქვეშევრდომ ხალხთა ერთიან სახელმწიფო სისტემაში ჩართვა, ერთიან სტანდარტებზე დაფუძნებული ცხოვრების წესის, ფასეულობების, ტრადიციების დამკვიდრება და ერთი ცენ-

---

[1] ნიშანდობლივია, რომ პიტიუნტის ტაძრის IV ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებული მოზაიკის ახლო ანალოგს წარმოადგენს ანტიოქიური მოზაიკები.

ტრიდან მართვადი მსოფლიოს შექმნა იყო. რომანიზაცია თავისი არსით გლობალისტური მოვლენაა.

ალსანიშნავია, რომ გლობალიზაციის პროცესები სხვადასხვა ფორმით და მასშტაბით რომის იმპერიის ეპოქამდეც მიმდინარეობდა. ეგვიპტისა და აქემენიანთა სახელმწიფოები ან ალექსანდრე მაკედონელის იმპერია გლობალიზაციის ლიდერების ფუნქციას ასრულებდა, მაგრამ რომის იმპერია გლობალიზმის პროცესის არნახული მასშტაბურობით გამოირჩეოდა. რომის იმპერიის მთელ რიგ პროვინციებში რომანიზაციას თან მოჰყვა ტექნოლოგიური, საკომუნიკაციო, აღმოსავლურ-დასავლური კონტაქტების განვითარება, ხალხთა ასიმილაციისა და კულტურული სინკრეტიზაციის პროცესი. ეს პროცესი ანექსირებულ ქვეყნებში „Pax Romana"-ს ეგიდით მიმდინარეობდა, რომელიც სინამდვილეში ძალადობასა და გენოციდზე იყო დაფუძნებული.

იმპერიის უკიდეგანო სივრცეში რომანიზაციის პროცესი ერთიანი ტემპითა და მასშტაბით როდი მიმდინარეობდა. იგი შედარებით უფრო დაჩქარებული ტემპით წარიმართა იმპერიის დასავლეთ პროვინციებში, ვიდრე აღმოსავლეთის ქვეყნებში, რაც არაერთგვაროვანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურით იყო განპირობებული.

რომანიზაციის, რომაული კულტურის ელემენტების გავრცელება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სპეციფიკური გზით წარიმართა. აქ რომაელებს, ოდესღაც ერთიანი, საკმაოდ ძლიერი კოლხური სახელმწიფოს ადგილას, რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად დაქუცმაცებული ქვეყანა დახვდათ, მაგრამ, დემოგრაფიული თვალსაზრისით, საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ჩანდა. მეტიც, კოლხეთში რომაელთა ბატონობის დროსაც, როგორც ეს რომაელ ავტორთა არაპირდაპირი ცნობებიდან ჩანს, ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა ზღვისპირა ცენტრებშიც ცხოვრობდა. მაგალითად, ფლავიუს არიანეს მინიშნება, რომ ფასისში „ზღვის ნაპირზე მცხოვრებთ საქონელი წყლის დასალევად ზღვაზე მიჰყავთ", აქ ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის არსებობას გვავარაუდებინებს. ფასისში რომ ადგილობრივი მოსახლეობაც ცხოვრობდა, ეს არიანეს ნაშ-

რომის სხვა ადგილებშიც ჩანს. კერძოდ, არიანეს გადმოცემით, მას ფასისში მოუსმენია იაზონთან დაკავშირებული თქმულებები და დაუთვალიერებია არგოსთან დაკავშირებული ძველი ღუზები. აქვე მას შეუტყვია ფასისის წყლის მაგიური მნიშვნელობის შესახებაც (ფლავიუს არიანე, პერიპლუსი,.. 8). ცხადია, ეს ამბები არიანეს ფასისის მკვიდრი მოსახლეობისაგან უნდა გაეგო და არა რომაელი ჯარისკაცების ან ვეტერანებისაგან. თუ არიანეს დროს ფასისში მკვიდრი მოსახლეობის ცხოვრება სათუოა, VI ს-ის შუა წლებისათვის ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რისი დასტურიცაა აგათიას ერთი ცნობა. აი, ისიც: „ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის, თუკი ის გაეცნობა ფასისის, კავკასიისა და მათ გარშემო მდებარე მოსახლეობას" (გეორგიკა, 1936, გვ. 27-28).

როგორც აგათიას ამ ცნობიდან ჩანს, მისი დროისათვის ფასისში ლაზური მოსახლეობა ჭარბად თუ არა, არც ისე მცირერიცხოვანი ყოფილა. სებასტოპოლისის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილსაც ადგილობრივი ელემენტი შეადგენდა. როგორც ცნობილია, სებასტოპოლისის ციხის გარეთ დადასტურებულია კულტურული ფენები. ამიტომაც, ფასისის ანალოგებიდან გამომდინარე, ვარაუდობენ, რომ აქ ცხოვრობდნენ გადამდგარი ჯარისკაცები და მათი ოჯახები.

მათ გვერდით ადგილობრივ, მკვიდრ მოსახლეობასაც უნდა ეცხოვრა, მით უფრო, რომ გვიანანტიკურ ხანაშიც ძველი დიოსკურია ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა, როგორც საქალაქო დასახლება. ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობა ჩანს აფსაროსშიც. არიანეს ცნობა იმის შესახებ, რომ „აქ აფსირტეს საფლავს უჩვენებენ", ამის თქმის საშუალებას გვაძლევს. საერთოდ, ზღვისპირა ცენტრებში მკვიდრი მოსახლეობაც რომ ცხოვრობდა, გარკვეულწილად, კლავდიოს პტოლემაიოსის ცნობაც მოწმობს: „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილი დასახლებულია ლაზებით". პროკოპი კესარიელის ცნობით კი, აბაზგიაში, რომლის ტერიტორიის ფარგლებში პიტიუნტი შედიოდა, „რომაელები ბევრ ადგილას განსახლებულან ადგილობრივ მკვიდრთა შორის".

რომაული ხანის ზღვისპირა ცენტრებში მოსახლეობის წილის ზრდისა და მისი გარკვეული ზეგავლენის არაპირდაპირ მოწმობად შეიძლება მოვიშველიოთ არიანეს ცნობა ტრაპეზუნტის „ბარბარიზაციის" შესახებ. კერძოდ, არიანე კონკრეტულად უთითებს, რომ აქ „ბერძნული წარწერა შეცდომითაა შედგენილი, რადგან ბარბაროსების მიერ ყოფილა დაწერილი". თუ ამ ელინურ ქალაქში „ბარბაროსების" – ე.ი. მკვიდრი მოსახლეობის ზეგავლენა საკმაოდ დიდი ჩანს, მით უფრო საგრძნობი უნდა ყოფილიყო ეს ტრადიციულ კოლხურ ქალაქებში – ფასისში, აფსაროსში ან დიოსკურია-სებასტოპოლისში, რომელთა მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წინამორბედ ხანაში ქართველური ტომები – მეგრელ-ჭანები შეადგენდნენ. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ ახ.წ. II-III სს-ში რომის ხელისუფლება ფართოდ ასახლებდა იმპერიის პროვინციულ ქალაქებში „ბარბაროსებს", მაშინ ზღვისპირა ცენტრებში მკვიდრი მოსახლეობის არსებობა სავსებით რეალური ჩანს. ჩვენთვის უცნობია მკვიდრ მოსახლეობასა და კოლხეთის ზღვისპირეთში დისლოცირებულ რომაულ სამხედრო შენაერთებს შორის ურთიერთობათა პერიპეტიები. საფიქრებელია, რომ მათ შორის ყოველთვის როდი იქნებოდა მშვიდობიანი და საქმიანი ურთიერთობა. ძვ.წ. I – ახ.წ. I ს-ის პირველ ნახევარში ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ზღვისპირა ცენტრებისადმი მტრული ჩანს. მკვიდრი მოსახლეობა თავს ესხმის და ძარცვავს ზღვისპირა ქალაქებს.

ახ.წ. I ს-ის შუა ხანებიდან, რომაული გარნიზონების ჩადგომისა და ზღვისპირა ცენტრების აღდგენა-გამაგრების შემდგომ, ამგვარი თავდასხმები აღიკვეთა და თანდათანობით მათ შორის საქმიანი ურთიერთობაც მყარდება. კოლხური მკვიდრი მოსახლეობა და მათი მმართველები ლოიალურ დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყვნენ რომაული ციხე-ქალაქების სამხედრო-სამოქალაქო ადმინისტრაციასთან. რომი აკონტროლებდა პოლიტიკურ სიტუაციას, ამიტომ ადგილობრივ „მეფეებს" რომის იმპერატორი ნიშნავდა. არ არის გამორიცხული, რომ მათ შორის სამხედრო-პოლიტიკური და სავაჭრო შეთანხმებაც არსებობდა ტაციტუსის მიერ მინიშნებული ius commer-

cium და ius militarium-ის სახით. ყოველ შემთხვევაში, ეს კავშირი ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპებს ეფუძნებოდა. კერძოდ, მკვიდრი მოსახლეობა ციხე-ქალაქთა კეთილდღეობის ეკონომიკურ-პოლიტიკური სტაბილურობის გარანტს წარმოადგენდა. ის იყო არა მარტო მუშახელის კონტინგენტის შევსების წყარო, არამედ სამხედრო-სამოქალაქო მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით მომმარაგებელი. სწორედ ამ უკანასკნელის შედეგია ის ადგილობრივი კერამიკა, რაც ასე საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი პიტიუნტის, სებასტოპოლისისა და აფსაროსის კასტელუმების ტერიტორიაზე. მკვიდრ მოსახლეობას, ალბათ, გარკვეული სამხედრო ვალდებულებაც ეკისრებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფლავიუს არიანეს ტრაქტატში „ალანთა წინააღმდეგ" დაცული მრავალმხრივ საინტერესო ცნობა რომაული არმიის შემადგენლობაში კოლხების მონაწილეობის შესახებ.

ტრაქტატის მეშვიდე პარაგრაფში ვკითხულობთ: „ჰოპლიტთა შემდეგ დაეწყოს მოკავშირეთა ჯარი, ისინი, რომლებიც არიან მცირე არმენიიდან, ჰოპლიტები ტრაპეზუნტელთაგან, კოლხები და რიძელი შუბოსნები..." (არიანე, ტაქტიკა, 7).

ალანთა წინააღმდეგ მებრძოლი კოლხების ვინაობისა და საცხოვრისის დადგენა რთულ საკითხს არ წარმოადგენს. არიანესეული კოლხები დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი არ უნდა იყოს, ვინაიდან, იმავე არიანეს ცნობით, მისი დროისათვის აღნიშნულ ტერიტორიაზე სახლობდნენ აბაზგები, აფსილები, ლაზები და სანიგები. კოლხები კი, არიანესავე მოწმობით, ტრაპეზუნტის მიდამოებში ლოკალიზდებიან.

ეს ის კოლხებია, რომლებსაც ჯერ კიდევ ქსენოფონტი იხსენიებდა თავის „ანაბასისში" (ქსენოფონტი, ანაბასისი, IV, 22). ქსენოფონტის დროსაც კოლხები ტრაპეზუნტის სანახებში ფიქსირდებიან. ქსენოფონტისავე ცნობით, კოლხები ერთ-ერთ ძლიერ გაერთიანებას წარმოადგენდნენ. მაგრამ არიანეს ეპოქაში კი უკვე დაუძლურებული, დამცრობილი ხალხია, რომელსაც უღიარებია რომაელთა ბატონობა. კოლხები ამ დროს რომაელთა მოკავშირედ გვევლინებიან.

როგორც ჩანს, ტრაპეზუნტის მიდამოებში მცხოვრები კოლხები რომაელებისადმი ერთგულებას იჩენენ და გარკვეულ სამხედრო ვალდებულებასაც კისრულობენ. ამავე დროს, კოლხები, მათ მეზობლად მცხოვრები სანებისაგან განსხვავებით, ტრაპეზუნტის მიმართ მტრულად არ არიან განწყობილი. სანები ხომ, არიანეს ცნობით, ტრაპეზუნტელების „მოსისხლე მტრები" იყვნენ და არც რომაელებს ემორჩილებოდნენ. არადა სანები, არიანეს სიტყვით, „კარგი მეომრები არიან". კოლხებს კი, როგორც რომაელთა „მოკავშირეს", არიანემ რომაული ჯარის განლაგებაში ტრაპეზუნტელების გვერდით მიუჩინა ადგილი.

არიანეს ზემოთ მოყვანილი ცნობის კონტექსტიდან ჩანს, რომ კოლხი მეომრები რომაული არმიის განლაგებაში ქვეითების სახით იყვნენ წარმოდგენილნი. ქვეითები კი, ტრადიციულად, კოლხთა არმიის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ. კოლხი მეომრების აღჭურვილობისა და, საერთოდ, მათი სამხედრო ორგანიზაციის აღწერას ჯერ კიდევ ჰეროდოტესთან ვხვდებით. ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ კოლხები ერთ მეთაურს ემორჩილებოდნენ, მათ „თავზე ხის მუზარადები ჰქონდათ, გამოუქნელი ტყავის პატარა ფარები და მოკლე შუბები, ამის გარდა დანები" (ჰეროდოტე, VII, 79), რაც არქეოლოგიური მონაცემებითაც დასტურდება.

შესაძლოა, არიანეს დროსაც ამგვარად იყვნენ კოლხი მეომრები აღჭურვილნი. ისიც აღსანიშნავია, რომ რომაელთა არმიის შემადგენლობაშიც, სხვა რაზმელებისაგან განსხვავებით, კოლხები ერთ მეთაურს – სეკუნდინუსს ემორჩილებოდნენ.

ჩვენთვის უცნობია, იდგა თუ არა არიანეს დროს რომის სამხედრო შენაერთები კოლხებით დასახლებულ ტერიტორიაზე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კოლხები სანაპიროდან მოშორებით, ჰინტერლანდში ცხოვრობდნენ და ამავე დროს მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ არიანეს დროს კოლხებს ქალაქები არ გააჩნდათ, მაშინ მათ ტერიტორიაზე რომაული გარნიზონების არსებობა უნდა გამოირიცხოს. ვფიქრობთ, კოლხების „ქვეყანას" ტრაპეზუნტში დისლოცირებული რომაული საჯარისო ნაწილები აკონტროლებდნენ.

არიანეს ცნობიდან ისიც ირკვევა, რომ კოლხებს ალანთა წინააღმდეგ რომაული არმიის წყობაში მეორეხარისხოვანი ფუნქცია ეკისრებოდათ. მართლაც, აქ წარმოდგენილი ძლიერი საჯარისო შენაერთების ფონზე, კოლხების მონაწილეობას უფრო სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე სამხედრო დანიშნულება.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ არიანეს ალანთა წინააღმდეგ რომაული არმიის შემადგენლობაში კოლხების მონათესავე ხალხი – აბაზგები, აფსილები, სანიგები და ლაზები არ ფიგურირებდნენ. ზემოთ ჩამოთვლილნი არანაკლებ უნდა ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი ალან-სარმატების დამარცხებით, ვინაიდან მათაც ავიწროებდნენ ჩრდილოკავკასიელი ნომადები. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძვ.წ. III საუკუნიდან, როგორც ეს „არგონავტიკიდან" ჩანს, სარმატები კოლხებს ხშირად ანიოკებდნენ. ისიც ცნობილია, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ დროს უმდიდრესი ქალაქი პიტიუნტი, ეშერა და, შესაძლოა, დიოსკურია, ახ.წ. I საუკუნისათვის ჩრდილოკავკასიელი ნომადების მიერ იქნა განადგურებული.

არ ვიქნებით ორიგინალური, რომ ამ ხალხთა არმონაწილეობა ალანთა წინააღმდეგ არშემდგარ ბრძოლაში, რომაელებისადმი აბაზგთა, ლაზთა, სანიგთა და აფსილთა მტრული დამოკიდებულებით აიხსნას, ვინაიდან აღნიშნული პოლიტიკური გაერთიანებების მეთაურები რომის იმპერატორის მიერ იყო დანიშნული და, ცხადია, მათ შორის კეთილმეგობრული ურთიერთობა სუფევდა.

არც ის უნდა იყოს სწორი, რომ ამ გაერთიანებათა სამხედრო ძალები ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდნენ და იმდროინდელ მოთხოვნებს ვერ პასუხობდნენ. ყოველ შემთხვევაში, ლაზების მიმართ ეს გამორიცხულია. რომაელ-ბიზანტიელი ავტორები ლაზების სამხედრო სიძლიერეს ერთხმად აღიარებდნენ.

მართებული იქნებოდა გვეფიქრა, რომ, რამდენადაც დასავლეთ საქართველო ფრონტისპირა რეგიონს წარმოადგენდა და იბერიიდანაც საფრთხე იყო მოსალოდნელი, რომის იმპერია თავისი „საზღვრის" ამ მონაკვეთის თავდაცვით სისტემას ვერ შეასუსტებდა. ნიშანდობლივია, რომ აფსაროსში დისლოცირებული კლავდიუსის II კოჰორტა და დანარჩენი ოთხი კოჰორტაც რომაელთა არმიის

შემადგენლობაში არ მონაწილეობდა, რადგანაც ისინი კოლხეთ-იბერიის საზღვრისპირა მონაკვეთს იცავდნენ.

როგორც ჩანს, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული სამხედრო შენაერთები მათივე ციხესიმაგრეებითურთ მრავალი არხით ყოფილა დაკავშირებული გარემომცველ სამყაროსთან, მკვიდრ მოსახლეობასთან. თავის მხრივ კი რომაული ციხესიმაგრეები ერთგვარ მასტაბილიზებელ როლს ასრულებდა მათივე გარემომცველ სამყაროში. გარდა ამისა, აქედანვე ვრცელდებოდა ქვეყნის შიდა თუ მთიან ზოლში რომაული კულტურის ელემენტები. ეს პროცესი მკაფიოდ სამშენებლო ხელოვნებაში აისახა.

ახ.წ. I საუკუნიდან კოლხეთის ზღვისპირეთში, ხოლო IV საუკუნიდან მის შიდა და მთიან ზოლში ფართოდ ვრცელდება რომაული ტიპის ჰიდრავლიკური ხსნარი, რომელიც გამოიყენებოდა საფორტიფიკაციო, საერო და საკულტო ნაგებობებში. აღნიშნული ხანიდან ფართოდ ვრცელდება რომაული ტიპის გამომწვარი აგური და კერამიკული ფილები, რომლებიც სრულიად უცხო იყო წინა ეპოქის კოლხეთის სამშენებლო ხელოვნებისათვის.

ყველაზე უფრო გავრცელებული იყო სტანდარტული ზომის წრიული და კვადრატული ფორმის აგურები. მრგვალი აგური უმეტესად გვიანრომაული ხანის აბანოების კალორიფერებისთვისაა დამახასიათებელი. როგორც ირკვევა, ასე ყოფილა ნოქალაქევსა და შუხუთში. კვადრატული ფორმის აგურები გამოიყენებოდა ნაგებობების კუთხეების ამოყვანისას ან გადაბმისას, ზოგ შემთხვევაში თავდაცვითი კედლების წყობაშიც. მაგალითად, წებელდის, ნოქალაქევის, ვარდციხის IV ს-ის საფორტიფიკაციო ნაგებობების წყობაში დაფიქსირებულია ორმაგი და სამმაგი აგურის სარტყელი. ამ მხრივ დასავლეთ საქართველოს ცენტრები განსხვავდებოდა რომის იმპერიის დასავლური პროვინციების ციხე-ქალაქებისაგან, სადაც ამ დროს ნაგებობები, ძირითადად, აგურისაგან შენდებოდა და ემსგავსებოდა იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების ციხე-ქალაქებს. ეს ნაგებობები აგურისა და ქვის შერეული წყობით იყო ნაშენი. ამგვარი შერეული წყობითაა ნაგები დუნაისპირეთის ციხე-ქალაქების – ისტრიის, ნოვოდუნეს სასიმაგრო კედლები.

ანალოგიურ წყობას ვხვდებით ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ნაქალაქარებზე – ხარაკსში, ტირასში, ოლბიასა და ხერსონესში. რაც შეეხება კერამიკულ ფილებს, ისინი კვადრატული ფორმისაა და, თითქმის, ყველა სტანდარტული ზომისაა. ფილები სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების იატაკის დასაფენად გამოიყენებოდა. ნოქალაქევისა და შუხუთის აბანოების იატაკი თიხის ფილებით იყო დაფარული.

რომაული ეპოქის დასავლეთ საქართველოს სამშენებლო კერამიკაში ფართოდ ვრცელდება წყალსადენის თიხის მილები, რომლებიც კოლხეთში პირველად გვიანელინისტურ ხანაში ჩნდება. თიხის ფილები დაფიქსირებულია ვაშნარში, ეარდციხესა და ნოქალაქევში. აქ აღმოჩენილი თიხის მილები, ძირითადად, კონუსური ტიპისაა და სხვადასხვა ზომით გამოირჩევა. ყველაზე უფრო გავრცელებული ჩანს 13-14 და 0.06 და 0.08 დმ მილები. მათი სიგრძე 35-50 სმ აღწევს. გვხვდება, აგრეთვე, დიდი სიგრძისა და დიამეტრის მქონე მილები, რომლებიც წყალსადენის მთავარი მაგისტრალისა უნდა ყოფილიყო. ანალოგიური ფორმისა და ზომის მილები აღმოჩენილია პიტიუნტსა და სებასტოპოლისში, გვხვდება ასევე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში – ხარაკსში, პანტიკაპეონსა და გორგიპიაში.

რომაული კულტურის გავლენა მკაფიოდ შეინიშნება კერამიკულ წარმოებაში. ამის საილუსტრაციოდ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ამფორები. სოხუმსა და ბიჭვინტაში II-III სს-ის ფენაში აღმოჩენილ ამფორათაგან ინტერესს იწვევს წითელკეციანი, მაღალყელიანი ამფორები. აღწერილი ამფორები ფორმით იდენტურია, ხსენებულ პუნქტებში აღმოჩენილი მცირეაზიური წარმოების თეთრი ფერის თიხის ამფორებისა, მაგრამ შემადგენლობითაც და პირის ქობის მოყვანილობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს მკვლევართ, წითელი კეცის მქონე მაღალყელიანი ამფორები, მცირეაზიური ამფორების მიბაძვით, ადგილობრივ ნაწარმად მიიჩნიონ.

ზოგადად, რომაულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ამფორების მინაბაძთა რიცხვს განეკუთვნება ყავისფერკეციანი, წელ-

შეზნექილი ამფორების ერთი ნაწილი, რომელთაც კონუსური ქუსლი და ოდნავ გამონეული მომრგვალებული ძირი აქვთ. ანალოგიური ამფორები, როგორც აღინიშნა, გავრცელებული იყო ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთის აუზის ქვეყნებში, მაგრამ მათგან ჩვენი ამფორები თიხის შემადგენლობით განსხვავდება. აღმოსავლეთ შავიზღვისპირული წელშეზნექილი ამფორების თიხა ისეთივე ფერისაა, როგორც ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ვიწროყელიანი ამფორები. ამ ტიპის ამფორები, რომლებიც III-V სს-ში არსებობდა, ფართოდ ჩანს გავრცელებული კოლხეთის შიდა და ზღვისპირა ზოლში.

რომაული კერამიკის გავლენით დამზადებული თიხის ჭურჭლის კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება ასევე მონტარიუმების ერთი ჯგუფი, რომელთაც აქვთ ბრტყელი ძირი, ამომჯდარი გვერდები, ორმხრივ შესქელებული კიდე და ღარისებური ტუჩი. რომაული ტიპის მონტარიუმებისაგან ისინი განსხვავდებიან ქობაზე შემაღლებული ტუჩითა და კეცის შემადგენლობით, რომელიც იდენტურია წელშეზნექილი ამფორებისა და წმინდა ადგილობრივი ქვევრების თიხისა, რაც სპეციალისტებს მათ ადგილობრივობას ავარაუდებინებს. ჩვენი მხრით უნდა დავძინოთ, რომ მონტარიუმების გადმობრუნებული, გადაჭრილი კონუსის ფორმის გამოყოფილი ძირები დამახასიათებელია იმავე თიხით დამზადებული ქვევრების ძირებისათვის, რაც ამ ტიპის მონტარიუმების ადგილობრივობის კიდევ ერთი დადასტურებაა. რაც შეეხება მათი დამზადების ცენტრს, მკვლევრები არქეოპოლისის ჩრდილო-დასავლეთით ვარაუდობენ.

მონტარიუმების გარდა, რომაულ ნაწარმთა ადგილობრივ მინაბაძებს უნდა განეკუთვნოს აგრეთვე კერამიკული ჭრაქების ერთი სახეობა. კერძოდ, ჩაიდნის მოყვანილობის ჭრაქები მრავალგანივკვეთიანი საპატრუქე მილით, ოდნავ გამობერილი მუცლით და უკანა, ზედა ნაწილში ამოზიდული პატარა სახელურით. ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა მათი კეცის შემადგენლობა, რომელიც ანალოგიურია მონტარიუმების, ქვევრებისა და ამფორების თიხისა. ესენიც ყავისფერკეციანია, ქარსისა და კვარცის ხშირი მინარევებით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გვიანრომაულ ხანაში

ლამპრებზე ყოველდღიურმა მოთხოვნილებამ გამოიწვია მათი სახელოსნო ცენტრების იმპერიის პერიფერიებში გადატანა, მაშინ აღნერილი ჭრაქების ადგილობრივობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მთელ რომაულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული დოქების გარკვეული მინაბაძებიც მზადდებოდა. ამ მხრივ საყურადღებოა ბიჭვინტაში აღმოჩენილი ღია მოყავისფრო კეცის მქონე, პირისკიდემომრგვალებული დოქების ერთი ნაწილი, რომელიც ბიჭვინტაშივე ნაპოვნი მსგავსი ფორმის იმპორტული წითელლაკიანი დოქების მიბაძვით უნდა იყოს დამზადებული.

იმპორტული, კერძოდ მცირეაზიური დოქების მიბაძვით უნდა იყოს დამზადებული ვაშნარსა და ვარდციხეში აღმოჩენილი მოწითალო-მოყავისფროდ გამომწვარი, პროფილში სამკუთხა და ოთხკუთხა მოყვანილობის პირის კიდის მქონე დოქები.

რომაული კერამიკის მინაბაძების გვერდით თანაარსებობდა და რაოდენობრივად ჭარბობდა კიდეც კოლხეთის შიდა და მაღალმთიან ზოლში წმინდა ადგილობრივი კერამიკის სახეობები – ყავისფერკეციანი, წელშეზნექილი ამფორები, კვერცხისებური კორპუსისა და ცილინდრული ყელის მქონე ქვევრები, მოწითალო, მორუხო, შავზედაპირიანი, მარტივი ხაზებითა და ტალღისებური ორნამენტით შემკული ქოთნები; პირგადაშლილი, ყელდაბალი, ცალყურა და სამტუჩა დოქები. ზემოთ ჩამოთვლილი თიხის ჭურჭელი, როგორც ფორმით, ასევე ორნამენტაციით, იმეორებს კოლხური კერამიკის ტრადიციულ ფორმებსა თუ ორნამენტაციებს და გენეტიკურად უკავშირდება არქაული, ადრეანტიკური, ელინისტური ხანის დასავლეთ საქართველოს კერამიკის ანალოგიურ სახეობებს.

კერამიკული წარმოების გარდა, რომაული კულტურის გავლენა ჩანს, აგრეთვე, ხელოსნობის სხვა სფეროშიც. ახ.წ. I საუკუნიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული ტიპის მშვილდსაკინძების ფართოდ გავრცელებასა და მასზე დიდ მოთხოვნასთან დაკავშირებით, III ს-დან ადგილობრივ მზადდებოდა ორწილადი, ბუდეაბმული, მუხლზამბარიანი და ჯვრისებური მშვილდსაკინძები, რომელთა წარმოება, შესაბამისად, მომდევნო საუკუნეებშიც გრძელდებოდა.

რომაული კულტურის გავლენა შეიმჩნევა საბრძოლო იარაღების ზოგიერთ სახეობაშიც. მაგალითად, ნებელდის ზოგიერთ სამარხში დადასტურებულია რომაული ტიპის მრგვალი და ოთხკუთხა ფარები.

ტრადიციული გზით წარიმართა, ძირითადად, დასავლურქართული საიუველირო ხელოვნების განვითარება, რომელმაც შეინარჩუნა ძველი კოლხეთის ოქრომჭედლობის სკოლის ტრადიციები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მთელი სერია გონიოს ახ.წ. II-III სს-ის ოქროს ბალთებისა და მძივსაკიდებისა, რომლებიც, შესაბამისად, შემკულია ფრინველის ან ცხოველთა გამოსახულებითა და ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებით, პირამიდებით. ამგვარი მხატვრულ-სტილისტური ხერხები და ცხოველ-ფრინველთა გამოსახულებებით მორთვა დამახასიათებელი მოტივი იყო ადრეანტიკური ხანის კოლხური ოქროს სამკაულებისათვის. ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებითა და პირამიდებით შემკობის ხერხებს ვხვდებით ძვ.წ. V ს-ის კუს გამოსახულებიანი საკიდებით შედგენილ ოქროს ყელსაბამზე და ასევე ვერცხლის სამკაულებზე ვანიდან.

ძველი კოლხური საიუველირო სკოლის ტრადიციები შეიმჩნევა ასევე ოქროს სამკაულების სხვადასხვა სახეობაზეც. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ურეკის ოქროს ვარდულიანი საყურეები, აგრაფი და კლდეეთის ოქროსავე რვასხივიანი საკიდი-ვარდულები, რომლებიც ძველ კოლხურ სამკაულთა ორნამენტულ მოტივებს იმეორებენ. ამგვარი ორნამენტული მოტივები წარმოდგენილია ვანის ძვ.წ. V-IV სს-ის სხივანა და ჭვირბურთულიან საყურეებზე, მთისძირის ძვ.წ. V-IV სს-ის „სხივანა" საყურეზეც. ადრეული ხანის კოლხეთის საიუველირო ხელოვნებას გენეტიკურად უკავშირდება ასევე ციხისძირის განძში შემავალი ახ.წ. III ს-ით დათარიღებული ოქროს ყელსაბამის შესაკრავი ცხოველის თავის გამოსახულებით, კლდეეთის ოქროს საკიდები, სამაჯური გველის თავის სტილიზებული დაბოლოებით, ოქროსავე ცვარათი მორთული საკინძისთავი ანდა ოქროს ირმის ქანდაკება თაგილონის განძიდან, ხაიშის ოქროს სახლის მოდელი და სხვ.

ძველი კოლხური ოქრომჭედლობის ტრადიციების გაგრძელე-

ბა-შენარჩუნებასთან ერთად, რომაული ხანის დასავლურქართული საიუველირო ხელოვნებაში ფართოდ ვრცელდება ახალი, ე.წ. „კლუაზონეს" ოქრომჭედლობის პოლიქრომული სტილი. ამგვარი სტილითაა შექმნილი რომაული ეპოქის დასავლეთ საქართველოს ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშები – გონიოს, კლდეეთის, ლოოს ფერადი ქვებით შემკული ბალთები. ასეთივე თვლებით ინკრუსტრირებულია გონიოს, კლდეეთის, ურეკის საკიდები თუ მშვილდსაკინძები და სხვ.

რაც შეეხება პოლიქრომული სტილის წარმომავლობას, მის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა. უკანასკნელ ხანებში ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევაძიებამ ცხადყო, რომ პოლიქრომული სტილის წარმოშობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ყოფილა, რადგანაც, მკვლევართა მტკიცებით, ამ ტიპის სამკაულებს რომაელები ნაკლებად იყენებდნენ, ხოლო ბოსფორსა და დუნაისპირეთში ისინი ერთდროულად ჩნდებიან. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კი მთელი რომაული ხანის მანძილზე შეიმჩნევა უწყვეტი ტრადიცია პოლიქრომული სტილის არსებობისა. მართლაც, გონიოს, ციხისძირის, ურეკის, კლდეეთისა და ლოოს პოლიქრომული ოქრომჭედლობის ნიმუშების საოცარი მსგავსებაც ამგვარ მოსაზრებას რეალურ საფუძველს უქმნის. ყოველ შემთხვევაში, ისინი ერთი კულტურული, ლოკალური სამყაროს კუთვნილებაა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უნდა იყოს დამზადებული.

გვიანრომაული ხანიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ვრცელდება რომაული ტიპის აბანოები, რომლებიც გამოვლენილია შუხუთსა და ნოქალაქევში. შუხუთის აბანო ხუთი განყოფილებისაგან შედგება და „კასტელუმის" ტიპის აბანოს განეკუთვნება. ის სივრცის დანაწევრებისა და სათავსების მოყვანილობის მხრივ სიახლოვეს იჩენს ბიჭვინტისა და ციხისძირის №2 აბანოებთან. ხუთი განყოფილებისაგან შედგება აგრეთვე ნოქალაქევის ე.წ. „სამეფო აბანოც", მაგრამ ის მათთან შედარებით უფრო მონუმენტურია და სათავსების მოყვანილობა-განლაგებითაც განსხვავდება. არქეოპოლისის აბანო ე.წ. „ბლოკური" ტიპის აბანოებს განეკუთვნება და, ისევე როგორც ზემოთ ხსენებული აბანოები, IV ს-ში ჩანს ნაგები.

რომაული სიმეტრიული ეკლესიების პრინციპითაა ნაგები ნოქალაქევის IV ს-ის დარბაზული ეკლესია. მის უახლოეს ანალოგს პიტიუნტის, ბოიოტრასა და რომის „ლორენცო ფუორის" დარბაზული ტიპის ეკლესიები წარმოადგენს. მათ შორის დიდი მსგავსებაა გეგმარებასა და არქიტექტურულ გადაწყვეტაში.

ამრიგად, კოლხეთის შიდა და მთიანი რეგიონების მატერიალური კულტურის სხვადასხვა სფეროში რომაული ცივილიზაციის ცალკეული ელემენტები მეტ-ნაკლები ინტენსივობით ჩანს გავრცელებული. ეს იმპულსები განსაკუთრებით შესამჩნევია სამშენებლო ხელოვნებასა და კერამიკულ წარმოებაში.

აღსანიშნავია, რომ კოლხეთის სხვადასხვა რეგიონში რომაული კულტურის „რადიაცია" ასევე სხვადასხვა დონისა იყო. ამ მხრივ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში ასეთი სურათი შეინიშნება: პიტიუნტის სათემო ტერიტორიაზე, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, თანამედროვე სოჭი-ადლერისა და გაგრის მონაკვეთს მოიცავდა[1], ახ.წ. III-IV სს-ის მატერიალური კულტურის მთელი რიგი კომპონენტები (მახვილები, ცულები, შუბისპირები, დანები, ბალთები, საყურეები) ერთგვაროვანია. გარდა ამისა, გარკვე-

---

[1] ერთადერთი და ისიც ადრეული ცნობა, სადაც გაკვრით მინიშნებულია პიტიუნტის საქალაქო თემის საზღვრები, სტრაბონს ეკუთვნის. ძველი ბერძენი გეოგრაფოსი, არტემიდორე ეფესელზე მითითებით, წერს: „ბატადან კერკეტების სანაპირომდე, რომელზედაც არის ნავსაყუდელი და სოფლები, დაახლოებით 850 სტადიონია, შემდეგ აქეელთა (სანაპირო) 500 (სტადიონი), მერე ჰენიოხთა (სანაპირო) – 100 (სტადიონი), ხოლო დიდი პიტიუნტიდან დიოსკურიამდე 360" (სტრაბონი, XI, 2, 14). მკვლევართა აზრით, აქ საუბარია „დიდი პიტიუნტის" სანაპიროზე, რომელიც ჰენიოხებიდან დიოსკურიამდე ვრცელდებოდა. სტრაბონის ზემოთ მოტანილი კონტექსტიდან ჩანს, რომ პიტიუნტის სათემო ტერიტორია არტემიდორე ეფესელის დროისათვის და, შესაძლოა, უფრო ადრეც, გადაჭიმული ყოფილა ჰენიოხების მიწა-წყლიდან ვიდრე დიოსკურიამდე. ამ მოსაზრებას გარკვეულწილად არქეოლოგიური მასალებიც უჭერს მხარს. ძვ.წ. IV-I სს-ში სოჭი-ადლერის სანახებისა და მდ. ფსოუს მონაკვეთი კოლხური კულტურის არეალშია მოქცეული. რომაულ ხანაშიც პიტიუნტის სათემო ტერიტორია ადრინდელ საზღვრებში თავსდება. ნიშანდობლივია, რომ ტუაფსედან პიტიუნტამდე არ ჩანს რამდენადმე მნიშვნელოვანი ბერძნულ-რომაული დასახლების კვალი.

ული გენეტიკური კავშირები შეინიშნება ბიჭვინტის ნაქალაქარზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალასა და ზღვის სანაპირო ზოლში დღევანდელ გელენჯიკსა და მდ. შახემდე მცხოვრები ზიხების მატერიალურ კულტურასთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ახ.წ. II-III სს-ის ლოოს, მაცესტისა და ბიჭვინტის სამარხეული ინვენტარი თითქმის იდენტური ასორტიმენტისაგან შედგება, რაც აღნიშნული ტერიტორიის ფარგლებში ერთიანი მატერიალური კულტურის არსებობის კიდევ ერთი მოწმობაა. როგორც ჩანს, აღნიშნულ რეგიონს პიტიუნტთან მჭიდრო კულტურული ურთიერთობა აკავშირებდა. სწორედ პიტიუნტის არხებით ვრცელდებოდა ამ მონაკვეთზე რომაული იმპორტი, რაც ასე მრავლადაა წარმოდგენილი მაცესტისა და ლოოს მდიდრულ სამარხებში. ყოველივე ეს პიტიუნტის სავარაუდო სათემო ტერიტორიაზე რომაული კულტურის გავლენის საკმაოდ მაღალი დონის მიმანიშნებელია.

რაც შეეხება სებასტოპოლისის სავარაუდო სათემო ტერიტორიის ფარგლებს, ის თანამედროვე ეშერისა და ახალი ათონის სანახებს მოიცავდა, ხოლო სებასტოპოლისის კულტურული „რადიაციის“ ზონა ჩრდილოეთით, აფსილიის მაღალმთიან რეგიონშიც ვრცელდებოდა. სებასტოპოლისის სავარაუდო სათემო ტერიტორიიდან ადრერომაული ხანის რამდენიმე სამარხეული კომპლექსია ცნობილი. ერთი მათგანი აღმოჩენილია აგცაში. სამარხი II-III სს-ით თარიღდება. სამარხეული ინვენტარი შეიცავდა ვერცხლის საბეჭდავ ბეჭედს, ოქროს რგოლაკს, შუბისპირსა და ვერცხლის ფიბულას.

შედარებით უფრო ღარიბული ჩანს ახალ ათონთან, სოფ. სუშკაში აღმოჩენილი სინქრონული ხანის ინჰუმაციური სამარხი. მისი ინვენტარი ბრინჯაოს სამაჯურისაგან, შუბისპირისა და მონეტისაგან შედგებოდა. ახ.წ. III საუკუნით დათარიღებული გერზეულის ციხის ალმოსავლეთით დადასტურებული კერამიკულფილიანი სამარხის ინვენტარი კი მშვილდსაკინძებს, მძივებსა და ბეჭდებს შეიცავდა. როგორც ჩანს, ამ სამარხებში საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი რომაული სამარხებისათვის დამახასიათებელი ნივთები – მშვილდსაკინძები, გემიანი ბეჭდები და სხვ. მართალია, თითო-ოროლა სამარხეული კომპლექსების მიხედვით ძნელია რაიმე კონკრეტუ-

ლი დასკვნის გამოტანა, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ახ.წ. II-III სს-ში სებასტოპოლისის სათემო ტერიტორიაზე კულტურულად საკმაოდ დაწინაურებული მოსახლეობის არსებობა ვივარაუდოთ[1].

ალნიშნული რეგიონის ასეთი დაწინაურება სებასტოპოლისთან მისი სიახლოვით უნდა აიხსნას. ეს პროცესი ინტენსიური ჩანს IV ს-ში, როდესაც სებასტოპოლისი ალმავლობის გზაზე იდგა. მართლაც, IV ს-ში დღევანდელ ათონში საფუძველი ეყრება ანაკოფიად წოდებულ ციხე-ქალაქს, რომელიც თავიდანვე სებასტოპოლისის ავანპოსტის როლს ასრულებდა.

ალნიშნული დროიდან ვრცელდება აგრეთვე რომაული კულტურის ელემენტები აფსილეთის მალალმთიან ზოლში. ამის მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს აბიძგრაყუს III-IV სს-ით დათარილებული №3, 6, 31, 53, 55, 57, IV ს-ის პირველი ნახევრის №9, 10, 11, 13, 27, 28, 36, 39, 41, 43, 45, 51; IV-V სს-ის №12, 44, აჰაჭარხვას III-IV სს-ის №11, 12, 13 სამარხები. ალნიშნულ სამარხთაგან ინვენტარის სიუხვით გამოირჩევა და შედარებით უფრო მდიდრულად გამოიყურება აბიძგრაყუს №9, 12, 13, 27, 41, 44 სამარხები. ალსანიშნავია, რომ ინვენტარის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით მათ შორის გარკვეული სხვაობა შეინიშნება. მაგალითად, №12, 44 სამარხების ინვენტარი დანარჩენი სამარხების ასორტიმენტისაგან ბრინჯაოს მოოქრული და რკინის ნახევარსფერული ფორმის უმბონებით გამოირჩევა[2]. გარდა ამისა, ამ სამარხთა ინვენტარი რაოდენობრივად და ხარისხობრივადაც ალემატება ზემოჩამოთვლილ სამარხების ასორტიმენტს[3].

---

[1] ამას მოწმობს ასევე გერზეულში ალმოჩენილი ახ.წ. II ს-ის რომაული ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც სებასტოპოლისიდან არის აქ მოხვედრილი.

[2] ამგვარი ტიპის უმბონები წებელდური წრის სხვა სამარხებში არ დადასტურებულა.

[3] №12 სამარხის ინვენტარი შეიცავდა აგრეთვე მინის თასს, ვერცხლის ფიბულასა და ბალთას, შუბისპირებს, მახვილებს და სხვ., ხოლო №44 სამარხეულ ინვენტარში 30 დასახელების ნივთი შედიოდა: მინის თასი, ვერცხლის რგოლაკები, ბალთები, მასრიანი შუბისპირები, გრძელი მახვილები, სატევრები და სხვ.

როგორც ჩანს, №12, 44 სამარხები წარჩინებულ მეომართა (უმბონებისა და მრავალრიცხოვანი საბრძოლო იარაღების მიხედვით) წრეს უკავშირდება. მათთან შედარებით ნაკლებად მდიდარი წრის წარმომადგენლებს უნდა განეკუთვნოს ის სამარხები (№9, 13, 27, 41, 43), რომლებშიც რკინის უმბონებთან და შუბისპირებთან ერთად წარმოდგენილია ვერცხლის ბეჭდები, საყურეები, ოქროს მძივები და, რაც მთავარია, რომაული სამარხებისათვის დამახასიათებელი მინის სასმისები, ამფორები, ვერცხლის ფიბულები, წითელლაკიანი ჯამები (36 და 43 სამარხები).

საშუალო შეძლების „მეთემე-მეომართა" წარმომადგენლების სამარხებს განეკუთვნება აჰაჭარხვას №12, 13, აბიძგრაყუს №6, 11, 13, 31, 39, 45, 49 სამარხები. ამ სამარხებში, ძირითადად, წარმოდგენილია მასრიანი შუბისპირები, ისრისპირები, დანები, ადგილობრივი წარმოების ქვევრები, ხელადები და დოქები. სამკაულებიდან კი ბრინჯაოს ფიბულები, მძივები, ვერცხლის ბეჭდები და საყურეები. მხოლოდ რამდენიმე სამარხში გვხვდება მინის სასმისები (№13, 31 სამარხები), გემები (№39 სამარხი). მოსახლეობის მცირე შეძლების ჯგუფის სამარხების (აჰაჭარხვას №11, აბგიძრაყუს №3, 10, 28, 55, 57, 49 სამარხები) ინვენტარი მხოლოდ ადგილობრივი ნაწარმით არის წარმოდგენილი. ყოველივე ეს ნებელდელთა საზოგადოების ქონებრივ დიფერენციაციაზე, მის პოლარიზაციაზე მიუთითებს[1]. რაც შეეხება რომაული კულტურის რადიაციის დონეს ნებელდის მოსახლეობაში, აქ ეს პროცესი ძალზე უმნიშვნელო იყო საშუალო შეძლების წრეში, ხოლო შედარებით უფრო ინტენსიური ჩანს საზოგადოების შეძლებულ ფენებში. მიუხედავად ამისა, ამ კატეგორიის პირთა სამარხებშიც რომაულ იმპორტს ადგილობრივი ნაწარმი სჭარბობდა, რაც რომაული კულტურის გავლენის ზედაპირულ ხასიათზე მიუთითებს.

---

[1] ნებელდური დასახლებები წარმოადგენდა სამხედრო-სამეურნეო ტიპის სამოსახლოებს, სადაც ხეობის დამცველი ციხესიმაგრეები, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობების ერთიანი კომპლექსი იყო. მისი მოსახლეობა კი შედგებოდა „სტრატიოტების" მსგავსი თავისუფალი მეთემე-მოლაშქრეებისაგან, რომლებიც ერთნაირად იყვნენ დაკავებულნი როგორც სამხედრო, ასევე სამეურნეო საქმიანობით.

რომაული კულტურის იმპულსების სხვადასხვა დონე ფიქსირდება აპუშტის, ლარის, შაპკისა და გერზეულის ტერიტორიაზე. აპუშტაში დადასტურებულია ორი ტიპის სამარხი – კრემაციული და ინჰუმაციური. კრემაციული წესით ადამიანებს კრძალავდნენ ქვევრებსა და ორყურა დიდ ჭურჭელში. ინჰუმაციურ სამარხებში მიცვალებულთა უმრავლესობა დაკრძალულია თავით ჩრდილოეთისაკენ. სამარხთა ძირითადი ნაწილი III-IV სს-ით და V ს-ით თარიღდება.

სამარხთა ინვენტარში, ძირითადად, შედიოდა რკინის შუბისპირები, ცულები, ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები, ფიბულები, მძივები, რომლებიც ყველა სამარხში თითქმის თანაბრადაა წარმოდგენილი. იგივე უნდა ითქვას კერამიკაზეც, რომელიც სამარხებში ადგილობრივი წარმოების ორყურა ჭურჭლითა და ხელადებით არის წარმოდგენილი. ოქროს სამკაულები საერთოდ არ არის დადასტურებული, ხოლო ვერცხლისა ძალზე იშვიათია. როგორც ჩანს, ეს სამაროვანი ერთ სოციალურ კატეგორიას უკავშირდება. ეს არის რიგითი მეთემე-მეომარი მოსახლეობა, რომელშიც ჯერ კიდევ სუსტია ქონებრივი დიფერენციაციის პროცესი. აღსანიშნავია, რომ აპუშტის არც ერთ სამარხში არ დადასტურებულა რომაული იმპორტი. ნიშანდობლივია, რომ აპუშტის ციხე ნაგებია ე.წ. „ციკლოპური" წყობის წესით, რომელიც მხოლოდ ადგილობრივი სამშენებლო ტექნიკისათვის არის დამახასიათებელი, რაც ამ პუნქტში ძველი კულტურული ტრადიციების სიმტკიცეზე მეტყველებს.

აპუშტის სამაროვნის ფონზე, სოციალური დიფერენციაციის პროცესი შედარებით უფრო მკაფიოდ ჩანს ლარის სამაროვანზე, სადაც გვიანანტიკური და ადრე შუა საუკუნეების ხანის 24 სამარხია გამოვლენილი. მათგან რამდენიმე (№3, 5, 7, 12, 18, 19) ახ.წ. IV ს. თარიღდება; ერთი (№19 სამარხი) – III-IV სს-ით, ხოლო 20 სამარხი IV-V საუკუნითაა დათარიღებული. აღნიშნულ სამარხთაგან ინვენტარის სიუხვით გამოირჩევა №5. №5 სამარხის ინვენტარის შემადგენლობაში შედიოდა შემდეგი ნივთები – რკინის ცული, შუბისპირები, მახვილი, თოხები, დანები, ვერცხლის მასიური ხატისულელი. №2 სამარხში კი წარმოდგენილი იყო რკინის უმბონი, შუბისპირები, ბრინჯაოს

ფიბულა, ხელადა და პასტის მძივები. საკმაოდ ღარიბულად გამოიყურება ის სამარხები (№9, 10, 16, 17, 18), რომელთა ინვენტარი თითო-ოროლა ეგზემპლარით არის წარმოდგენილი. მიუხედავად ასეთი მკვეთრი სოციალური სტრატიფიკაციისა, ლარის სამარხებშიც რომაული ნაწარმი არ გვხვდება. როგორც ჩანს, ამ პუნქტშიც ადგილობრივი ტრადიციები ძალზე მყარია[1]. ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ აღნიშნული პუნქტები სებასტოპოლისისაგან საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაშორებული, რის გამოც აქ იმპორტული პროდუქცია და, შესაბამისად, რომაული კულტურის „რადიაცია" ვერ აღწევდა.

რომაული კულტურის გავლენა აშკარად იგრძნობა სებასტოპოლისის სიახლოვეს მდებარე დღევანდელ სოფელ შაპკასა და მის მიდამოებში. სწორედ შაპკის რომაულ-ადრებიზანტიური ხანის სამარხებში საკმაოდ მრავლად გვხვდება რომაული მინის ჭურჭელი, წითელლაკიანი კერამიკა. ნიშანდობლივია, რომ წებელდის ზონაში აღმოჩენილ მონეტათა აბსოლუტური უმრავლესობა ამ პუნქტშია თავმოყრილი. აღსანიშნავია ისიც, რომ შაპკის სასიმაგრო სისტემა რომაული სამშენებლო ტექნიკისთვის დამახასიათებელი „opus quadratum"-ის წესითაა ნაგები[2]. რომაული კულტურის „რადიაციის" დონე საკმაოდ მაღალი ჩანს სებასტოპოლისიდან 20 კმ-ით დაშორებულ გერზეულში. ამის ნათელი ილუსტრაციაა „opus mixtum"-ის ტექნიკით ნაგები გერზეულის ციხესიმაგრე და, რაც მთავარია, აქ აღმოჩენილი ახ.წ. II ს-ის კესარიულ დიდრაქმათა განძი.

ამრიგად, რომაული კულტურის გავლენის დონის მიხედვით, ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში შედარებით უფრო დაწინაურებული ჩანს ზღვისპირა ჰინტერლანდი და რომაული ციხესიმაგრეეების სიახლოვეს მდებარე პუნქტები (გერზეული, შაპკა), ვიდრე მათგან მოშორებით არსებული დასახლებები (აპუშტა, ლარი, პალი).

რომაული კულტურის გავლენის მხრივ, შედარებით უფრო განსხვავებული სურათი ჩანს კოლხეთის ცენტრალურ რეგიონში.

---

[1] ამასვე მოწმობს ასევე ლარის თავდაცვითი ნაგებობების კონსტრუქცია, რომელიც აპუშტის ციხესიმაგრის ანალოგიურია.

[2] ამგვარი კონსტრუქციითა ნაგებია აგრეთვე ახისტას ციხესიმაგრე.

ჩრდილო-დასავლეთ რეგიონისაგან განსხვავებით, აქ დაკრძალვის რამდენიმე წესია დადასტურებული. ესენია: ორმოსამარხები, ქვევრსამარხები, ურნასამარხები.

ქვევრსამარხები ჯერჯერობით ბანძასა და ძევრშია დაფიქსირებული. სამარხები ახ.წ. II ს-ით თარიღდება. აღსანიშნავია, რომ ბანძისა და ძევრის ქვევრსამარხები ელინისტური ხანის ქვევრსამარხებისაგან განსხვავდება ინვენტარის შემადგენლობით. კოლხეთის ელინისტური ხანის ქვევრსამარხების ინვენტარში არ იყო წარმოდგენილი იარაღ-საჭურველი. ძალზე იშვიათია ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, მაშინ როცა ბანძისა და ძევრის ქვევრსამარხებში იარაღ-საჭურველი იყო, თანაც ბანძის სამარხი ინვენტარის სიუხვითაც გამოირჩევა და დღემდე ცნობილ ქვევრსამარხთა შორის საკმაოდ მდიდრულადაც გამოიყურება[1]. ეს მომენტი მწარმოებელ საზოგადოებაში კერძო საკუთრების გაღრმავება-განმტკიცებით უნდა აიხსნას. აქედან გამომდინარე, ბანძის ქვევრსამარხები შესაძლოა მეთემე გლეხობის ფენიდან გამოყოფილ „აზნაურთა" ზედაფენას დაუკავშირდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბანძის ქვევრსამარხებში რომაული იმპორტიცაა წარმოდგენილი ვერცხლის თასისა და მონეტის სახით, რაც აღნიშნულ ზედაფენაში რომაული კულტურის გარკვეულ გავრცელებაზე უნდა მიუთითებდეს. ამგვარი პროცესის შეღწევა აქ, ალბათ, განპირობებული იყო ხსენებული პუნქტის სიახლოვით ციხე-გოჯთან, რომელსაც II-III სს-ში საფუძველი ეყრებოდა, როგორც ეგრისის სამეფოს მომავალ დედაქალაქს.

მეურნე მოსახლეობის სამაროვნად უნდა ჩაითვალოს ჩხორონყუს კრემაციული ურნასამარხები, რომლებიც ახ.წ. II საუკუნითაა დათარიღებული. ჩხორონყუს ნეკროპოლის სამარხეული ინვენტარი (რკინის მახვილები, შუბისპირები, მოხრილი დანები, ბრინჯაოს სამაჯურები და მშვილდსაკინძები, მინისა და პასტის მძივები) იმდენად ერთფეროვანი და შეზღუდულია (ოქროსა და ვერცხლის

---

[1] მისი ინვენტარის შემადგენლობაში შედიოდა ვერცხლის თასი, ოქროს საყურე, ვერცხლის მონეტა (ანტონინე პიუსის სახელით მოჭრილი), რკინის შუბისპირი, მახვილი და დანა.

სამკაულები საერთოდ არ დადასტურებულა), რომ ძალზე ძნელია აქ სოციალური სტრატიფიკაციის სურათის დანახვა. თითქმის ანალოგიური ვითარებაა ძევრის სამაროვანზე. ამ სამარხთა ინვენტარიც ერთფეროვანია და ასორტიმენტიც თითქმის თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი. ძევრის სამარხებში რომაული იმპორტი თითქმის არ გვხვდება. მეურნე მოსახლეობაში ჯერ კიდევ არ არის შეღწეული რომაული კულტურის ელემენტები, რაც აღნიშნული პუნქტების ზღვისპირა ცენტრებიდან დიდი მანძილის დაშორების მოტივით უნდა აიხსნას.

რომაული კულტურის გავლენის მასშტაბები მკაფიოდ არის წარმოდგენილი მოდინახეს ახ.წ. IV ს-ის სამაროვანზე, რომელსაც დიდებულთა წრის საშუალო შეძლების ფენას უკავშირებენ. მოდინახეში არქეოლოგიურად შესწავლილია ორმოცამდე სამარხი. ამ სამარხთაგან ინვენტარის სიუხვითა და რომაული იმპორტის სიმრავლით გამოირჩევა №9 და 36 ორმოსამარხები. №9 სამარხეულ კომპლექსში წარმოდგენილი იყო შემდეგი ნივთები: ვერცხლის თასი, ოქროს გემიანი ბეჭედი, ოქროსავე წყვილი საყურე, ბრინჯაოს თეფში, თიხის ჩაფი და დოქი, ბრინჯაოს წინწილები, გიშრის, მინის, პასტის და სარდიონის მძივები. ამ სამარხის ფონზე კიდევ უფრო მდიდრული ჩანს №36 სამარხი, რომელთა ინვენტარის შემადგენლობაში შედიოდა ოქროს წყვილი ბალთა, ვერცხლის სურა, ოქროს ბეჭედი, რკინის სატევარი ოქროს მოსართავებით, ოქროს სოლიდები. გაცილებით მოკრძალებულად გამოიყურება №1, 2, 5, 8, 17 სამარხები, რომელთა ინვენტარის ასორტიმენტი მხოლოდ ადგილობრივი ნაწარმისაგან შედგება.

შიდა კოლხეთში რომაული კულტურის იმპულსების შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, ასევე, კლდეეთის სამაროვანი. კლდეეთის სამარხები ცენტრალური კოლხეთის მოსახლეობის დიდებულთა ფენებს ეკუთვნოდა. მიუხედავად ამისა, სამარხეული ინვენტარის ასორტიმენტის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლების მიხედვით, სამარხთა შორის სხვაობა მაინც შეინიშნება. ამის მკაფიო ილუსტრაციაა №1, 2 სამარხების ინვენტარი. თუ პირველ

სამარხში წარმოდგენილი იყო თიხისა და მინის ჭურჭელი, ბრინჯაოს საკიდები, სარდიონის, პასტისა და ქარვის მძივები, მეორე სამარხის ინვენტარში კი შედიოდა ოქროსა და ვერცხლის მონეტები, ოქროს საკიდები, ოქროსავე ბალთა, გემიანი ბეჭედი, ბრინჯაოს ბაგისაფარი და სხვ. ეს უკანასკნელი სამარხი უფლებრივადაც პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელს უნდა უკავშირდებოდეს, ვინაიდან მასში დავანებული ბაგისაფარი მხოლოდ აღნიშნული კატეგორიის პირთა სამარხების ატრიბუტი იყო.

ანალოგიური სურათია დადასტურებული კლდეეთის დანარჩენი სამარხების ინვენტარშიც. კერძოდ, №3 სამარხის ინვენტარში წარმოდგენილია რკინის მახვილი ვერცხლის გემიანი ბალთითურთ, ბრინჯაოს ოინოხოია, ვერცხლის აზარფეშა, ოქროსა და ვერცხლის აბზინდები და სხვ., ხოლო №4 სამარხში რკინის შუბისპირები და ისრისპირები, ბრინჯაოს აბზინდები, ვერცხლის თავსამკაული, ელექტრონის სამაჯური, ვერცხლის პინაკი, ოქროსა და ვერცხლის მონეტები და სხვ., მაშინ როცა №6 სამარხში არ დასტურდება ოქროსა და ვერცხლის ნივთები. მის ინვენტარს მხოლოდ ბრინჯაოს სამკაულები შეადგენს. აღსანიშნავია, რომ №2, 3, 4 სამარხებში რომაული იმპორტი მრავალფეროვანი სახითაა წარმოდგენილი.

რომაული კულტურის „რადიაციის" პროცესი შიდა კოლხეთში უფრო ძლიერი ჩანს (ზღვისპირეთში თუ იბერიის მოსაზღვრე პუნქტებში), ხოლო გაცილებით ნაკლებია სხვა რეგიონებში (ჩხოროწყუ, ძევრი). რომაული კულტურის გავლენა უფრო ძლიერია ზღვისპირეთში, ხოლო შედარებით ნაკლები ქვეყნის შიდა და მთიან მხარეში. რაც შეეხება ჩრდილო-დასავლეთსა და ცენტრალური კოლხეთის რეგიონების მკვიდრი მოსახლეობის განვითარების საერთო დონეს, ამ მხრივაც მათ შორის გარკვეული განსხვავებაა. კერძოდ, პირველ რიგში, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის კერამიკისაგან განსხვავებით, ცენტრალური რეგიონის სხვადასხვა კუთხიდან მომდინარე თიხის ჭურჭელი ტიპოლოგიურად უნიფიცირებულია, რაც მიუთითებს კერამიკის სასაქონლო წარმოებაზე.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის სამარხებისაგან განსხვავე-

ბით, აქ როგორც მდიდრულ, ასევე საშუალო და მცირე შეძლების სამარხებშიც გვხვდება მონეტები, რაც ჩამოყალიბებული, განვითარებული საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის სამაროვნებისაგან განსხვავებით, ცენტრალური რეგიონის სამარხეული კომპლექსები შედარებით უფრო მდიდრულია და სოციალური სტრატიფიკაციის სურათიც მკაფიოდ ჩანს.

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის შიდა რეგიონებში მთელი რომაული ხანის მანძილზე ადგილობრივი საქალაქო ცენტრები არ აღმოცენებულა, მაშინ როცა IV ს-ში ცენტრალურ ნაწილში ნინაურდება ნოქალაქევის, შორაპნისა და ვარდციხის ციხე-ქალაქები. კოლხეთის ზღვისპირა საქალაქო დასახლება – ფასისი უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე ჩრდილო-დასავლეთი რეგიონის მკვეთრად გამოხატული სამხედრო დანიშნულების მქონე ციხე-ქალაქები – სებასტოპოლისი და პიტიუნტი. რომაული კულტურის გავლენის მასშტაბებიც შედარებით უფრო ძლიერია ცენტრალურ კოლხეთში, ვიდრე ჩრდილო-დასავლეთ რეგიონის შიდა თუ მთიან ზოლში.

ასე რომ, კულტურული და ასევე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხრივაც შიდა კოლხეთის საზოგადოება უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, ვიდრე ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის მოსახლეობა. საერთოდ, ახ.წ. I-IV სს-ში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არ ფიქსირდება ისეთი ნიშნები, როგორიცაა მკვიდრი მოსახლეობის რომანიზაცია, „კომპლექსური კულტურის“ წარმოქმნა, რომაულ სამყაროში დამზადებული ხელოსნური ნაწარმის მასობრივად გავრცელება, რაც ასე დამახასიათებელია რომის იმპერიის დასავლეთი პროვინციების ქვეყნებისათვის (გერმანია, ბრიტანეთი, გალია). რომაული კულტურის გავლენა აქ, ისევე როგორც იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, საკმაოდ ზედაპირული იყო და მას ქვეყნის სიღრმეში ინტენსიურად არ შეუღწევია.

# III. კოლხეთი ბიზანტიური სამყაროს სისტემაში (V-VI სს.)

კოლხეთი (resp. ეგრისი) ბიზანტიური სამყაროს სისტემაში ჯერ კიდევ ახ.წ. IV ს-ის დასასრულს ჩაერთო. V ს-ის დასაწყისიდან კი ეს პროცესი ინტენსიური ხდება. სწორედ ამ დროიდან ვარაუდობს ზოგიერთი მკვლევარი კოლხეთის ზღვისპირა პუნქტებში – ფასისში, აფსაროსში, პეტრაში, სებასტოპოლისსა და პიტიუნტში ბიზანტიური გარნიზონების ჩადგომას. მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა ამგვარ მოსაზრებას არ ეთანხმება და VI საუკუნემდე აღნიშნულ პუნქტებში ბიზანტიური სამხედრო შენაერთების დისლოცირებას უარყოფს.

მართალია, V ს-ში ფასისსა და აფსაროსში გარნიზონები არ იდგა, მაგრამ იმავეს თქმა სებასტოპოლისისა და პიტიუნტის მიმართ ძალზე გვიმძიმს. მასობრივი არქეოლოგიური მასალების შესწავლამ გვიჩვენა, რომ V ს-ის სოხუმსა და ბიჭვინტაში არცთუ ისე მცირე რაოდენობით შემოდის ხმელთაშუაზღვისპირეთის სახელოსნოების V ს-ის ვერტიკალურპირიანი წითელლაკიანი ჯამების ფრაგმენტები, შემკული ცხოველების (დელფინი, თევზი, ტახი, შველი) რელიეფური გამოსახულებით.

ბიჭვინტასა და სოხუმში V ს-ის საკმაოდ მკვეთრად ორიენტირებული კულტურული ფენის არსებობის ილუსტრაციაა კასტელუმების ტერიტორიაზე დაფიქსირებული სამოსური ამფორების ფრაგმენტები, მცირეაზიური ღია ფერის მარყუჟისებრყურიანი ჭრაქები; V საუკუნით დათარიღებული პრიალაზედაპირიანი დოქების სახესხვაობები, ბადისებრორნამენტიანი მინის ჭურჭელი. რაც შეეხება მონეტებს, V ს-ში მათი ცირკულაცია თითქმის სრულიად გამქრალია, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ, იმპერიის სხვა პროვინციების

(მაგალითად, პანონიის) მსგავსად, აქაც IV ს-ის მონეტები V ს-ში ყოფილიყო მიმოქცევაში. მით უმეტეს, როცა IV ს-ის დასასრულიდან აღმოსავლეთ რომის იმპერიაში მიმდინარეობდა მონეტების დევალვაციისა და ინფლაციის პროცესი, რის გამოც ახ.წ. IV-V სს-ში ჯარისკაცებს ფულადი ანაზღაურება შეუწყდათ.

აღნიშნულ დროს პიტიუნტში ბიზანტიური გარნიზონის არსებობის სასარგებლოდ მეტყველებს ასევე V ს-ის ბიზანტიელი ავტორის თეოდორიტე კვირელის (393-457წწ.) ცნობა იოანე ოქროპირის პიტიუნტში გადასახლებასთან დაკავშირებით. „პიტიუნტი არის უკიდურესი საზღვარი პონტოსა და რომაელთა სამფლობელოსი, უველურესი ბარბაროსების მეზობლად" (გეორგიკა, 1961, გვ. 224), რასაც დღემდე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება და მას გარკვეული ანგარიში უნდა გაეწიოს, მით უმეტეს, როცა თეოდორიტე ანტიოქიელია. ანტიოქიას კი მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა პიტიუნტთან და, ამდენად, მისი მოქალაქე, თანაც უმაღლესი სასულიერო პირი, კვირის ეპისკოპოსი თეოდორიტე კარგად უნდა ყოფილიყო ბიჭვინტის სასულიერო საქმეებში გათვითცნობიერებული. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ V ს-ში პიტიუნტსა და სებასტოპოლისში ბიზანტიელთა მცირერიცხოვანი გარნიზონი მაინც იდგა. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: V ს-ში პონტო-კავკასიის სასაზღვრო--თავდაცვითი სისტემა თითქმის მთლიანად მოშლილი ჩანს. მისი სრული ძალით ამოქმედება მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, როცა VI ს-ის 20-იანი წლებიდან ბიზანტიელებმა თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს ფასისში, აფსაროსში, ხოლო პიტიუნტსა და სებასტოპოლისში დამატებითი სამხედრო შენაერთები დაბანაკდნენ.

აღნიშნული სისტემის ხასიათი და ამოცანები ამ დროსაც იგივე რჩებოდა, რაც I-IV სს-ში. მას ევალებოდა კავკასიის რეგიონის გაკონტროლება და ვაჭრობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა შავი ზღვის სანაპიროზე. მაგრამ რომაულ ხანასთან შედარებით პონტო--კავკასიის თავდაცვითი სისტემის არეალი VI საუკუნიდან გარკვეულწილად გაფართოვდა. ამიერიდან დასავლეთ კავკასიის საუღელტეხილო გზების გასწვრივ იგება ციხესიმაგრეთა მთელი ქსელი (გვარდა, კამანა, შუბარა, ახიპსა და სხვ.), რომელიც პონტო-კავკა-

სიის თავდაცვითი სისტემის სახმელეთო ხაზის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი ხდება.

ამავე დროს მკვეთრად იცვლება პონტო-კავკასიის თავდაცვით სისტემაში შემავალი ზოგიერთი ზღვისპირა ცენტრების როლი და სტატუსიც. მაგალითად, პიტიუნტი ახ.წ. III–IV სს-თან შედარებით, IV ს-ის პირველ ნახევარში არცთუ ისე მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული პუნქტია, რაც კასტელუმის კედლის სისქის შემცირებაშიც გამოიხატა. თუ რომაული ხანის გალავნის კედლის სისქე 3 მ-ს აღწევდა, VI ს-ის პირველ ნახევარში 1.70-1.80 მ-ს არ აღემატება და თანაც ნაკლებად მონუმენტურობითაც ხასიათდება.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას სებასტოპოლისის თავდაცვით ნაგებობაზე, რომლის ფართობი ახ.წ. III–IV სს-თან შედარებით ძალზე შემცირებულია და 0.6-0.8 ჰა-ს არ აღემატება. მიუხედავად ამისა, სებასტოპოლისი და პიტიუნტი VI ს-ის პირველ ნახევარშიც კვლავ ინარჩუნებდნენ სამხედრო-სტრატეგიულ ფუნქციას. თანაც ისინი, III-IV სს-ის ციხე-ქალაქების მდგომარეობისაგან განსხვავებით, 535 წ. შედგენილი იუსტინიანე კეისრის ნოველის მიხედვით „უფრო ციხესიმაგრეებშია ჩასათვლელი, ვიდრე ქალაქებში“ (გეორგიკა, 1965, გვ. 33), მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ხსენებული ცენტრები მხოლოდ ციხესიმაგრეებს წარმოადგენდა.

ამგვარი დასკვნა აღნიშნული ნოველის კონტექსტიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს. აქ მხოლოდ ის ჩანს აშკარად, რომ პიტიუნტი და სებასტოპოლისი უპირატესად სამხედრო პუნქტებია, ვიდრე სავაჭრო-სახელოსნო და კულტურული ცენტრები, რაც კარგად დასტურდება ბიჭვინტის გათხრების მონაცემებით. მაგალითად, სამოქალაქო დასახლების გალავან-კოშკებით დაცული სივრცე, რომელიც VI ს-ის პირველ ნახევარში უნდა იყოს აღდგენილი, საკმაოდ მცირეა. გარდა ამისა, თვით სამოსახლოს ზღუდე ნაკლებად მონუმენტურია. VI ს-ის პირველ ნახევარში ნაგები ცალნავიანი, კამარით გადახურული ტაძარიც წინარე ხანის ეკლესიასთან შედარებით მცირე ზომისაა.

მიუხედავად ამისა, პიტიუნტი ამ დროსაც ინარჩუნებდა საეკლესიო ცენტრის მნიშვნელობას, რასაც ადასტურებს პიტიუნტის სა-

ქალაქო თემის ფარგლებში არსებული VI ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული განთიადისა და ალაჰაძის ტაძრები. ამასვე მეტყველებს აგრეთვე ციხე-ქალაქის კედლის გარეთ, მისგან 400-500 მ-ის დაშორებით აღმოჩენილი VI ს-ის ორაბსიდიანი ეკლესია. VI ს-ის პირველ ნახევარში, პიტიუნტი საწარმოო ცენტრის ფუნქციასაც ასრულებს. ამას ადასტურებს ნაქალაქარის ტერიტორიაზე დადასტურებული მინის სახელოსნოსა და კირის გამოსაწვავი ქურის ნაშთები.

VI ს-ის პირველი ნახევრისა და საერთოდ მთელი ამ საუკუნის ფენა სუსტადაა გამოხატული სებასტოპოლისშიც. ნაქალაქარის ზოგიერთ უბანზე კი ის საერთოდ არ დაფიქსირებულა. როგორც ჩანს, პიტიუნტისა და სებასტოპოლისის გათხრებისას მოპოვებული მასალები ზუსტად შეესაბამება იუსტინიანეს ნოველაში მოცემულ განსაზღვრას, რომ VI ს-ის პირველ ნახევარში ისინი უფრო ციხესიმაგრეებია, ვიდრე ქალაქები. შესაბამისად პიტიუნტი და სებასტოპოლისი ამ დროსაც სასაზღვრო ტიპის ციხე-ქალაქებია, მაგრამ III-IV სს. შედარებით, მცირე სიდიდის ციხე-ქალაქთა კატეგორიას უნდა განეკუთვნოს.

ამგვარი კატეგორიის ცენტრი უნდა ყოფილიყო VI ს-ის შუა ხანებში აფსაროსი, რომელიც პროკოპი კესარიელის ცნობით, მისი დროისათვის „სხვა არაფერი იყო დარჩენილი, გარდა ნაშენობათა საძირკვლისა“ (გეორგიკა, 1965, გვ. 124). როგორც ჩანს, აფსაროსს უკვე დაკარგული აქვს უწინდელი მნიშვნელობა, მაგრამ ამ ხანაშიც იგი კვლავ მოქმედი ციხე-ქალაქია, რასაც მოწმობს არქეოლოგიური მონაცემებიც: ციხესიმაგრის შიდა ფართობზე დაფიქსირებულია VI ს-ის სუსტად გამოკვეთილი კულტურული ფენა, რაც გარკვეულწილად ადასტურებს VI ს-ის აფსაროსის სტატუსის ჩვენეულ განსაზღვრას.

წერილობითი წყაროების თანახმად, აფსაროსთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანი ცენტრი იყო VI ს-ის პირველ ნახევარში პეტრა-ციხისძირი. პროკოპის ცნობით, პეტრას ციხე მტკიცე და საკმაოდ დიდი ზომისა ყოფილა, ხოლო მისი გარნიზონი მრავალრიცხოვანი და სამხედრო მანქანებით იყო აღჭურვილი. პროკოპისავე მოწმობით, პეტრა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დისლოცირებული ბიზანტიური გარნიზონების მთავარსარდლობის შტაბბინა, სტრატეგოსის რეზიდენციაც ხდება (გეორგიკა, 1965, გვ. 74).

როგორც ჩანს, VI ს-ის პირველ ნახევარში პონტო-კავკასიის თავდაცვითი სისტემის ფორპოსტის ფუნქცია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში აფსაროსიდან პეტრაში გადმონაცვლებულა. ამავე დროს, პეტრა-ციხისძირი, როგორც ეს პროკოპისა და იუსტინიანეს ნოველიდან ირკვევა, ნამდვილ ქალაქადაც გამოიყურება. თუმცა ამის დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალები ციხისძირიდან ჯერჯერობით არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ციხისძირში გამოვლენილი VI ს-ით დათარიღებული ბაზილიკა, დარბაზული ეკლესია, აბანო და საფორტიფიკაციო ნაგებობები აშკარად მოწმობენ, რომ ამ საუკუნის პირველ ნახევარში პეტრა საქართველოს შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამხედრო-ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა.

ასეთივე მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა ყოფილიყო ამ დროს ფასისიც. პროკოპისა და აგათიას ცნობებით, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დისლოცირებული ბიზანტიელთა 12-ათასიანი სამხედრო შენაერთებიდან 9 ათასი ჯარისკაცი მდ. ფასისის შესართავთან იყო დაბანაკებული. ამასთანავე, ფასისის გარნიზონი ლოდსატყორცნი მანქანებით ყოფილა შეიარაღებული. ფასისი ამ ხანებშიც ინარჩუნებდა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციასაც.

ამრიგად, VI ს-ის პირველ ნახევარში მთელი რიგი ციხე-ქალაქები, მართალია, კვლავ რჩებოდა სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის ცენტრებად, მაგრამ III-IV სს-თან შედარებით, იქ შესამჩნევად შემცირებულია მშენებლობის ტემპი, ნივთიერი მასალაც საკმაოდ მცირეა.

VI ს-ის შუა ხანებიდან კი საქართველოს შავიზღვისპირა ციხე-ქალაქების მდგომარეობა ძალზე გართულდა. პროკოპის მოწმობით, 542 წ. ბიზანტიელებს, სპარსელების შიშით, პიტიუნტისა და სებასტოპოლისის სიმაგრენი დაუნგრევიათ. ეს ფაქტი განსაკუთრებით კარგადაა ასახული იმ ხანის ბიჭვინტის კულტურულ ფენებში. მაგალითად, №18 კოშკის ზედაპირიდან 2.80მ სიღრმეზე დაფიქსირდა 10 სმ სისქის VI ს-ის ნახანძრალი შრე, რომელიც თიხატკეპნილ ნიადაგზე იდო. თიხატკეპნილ მოყვითალო ფერის იატაკს ზოგან ეტყობოდა ძლიერი ხანძრის კვალი. ამავე შრეში დაფიქსირდა ასევე ხის ძელ-

ბის დანახშირებული ნაშთები.

ნგრევის კვალი ნაქალაქარის სხვა უბნებშიც შეიმჩნევა. VI ს-ის შუა ხანებში უნდა იყოს დანგრეული №3 ბაზილიკაც და მისგან ჩრდილო-დასავლეთით, ჭაობის პირზე მდებარე 15.40X5.40 მ ოთხკუთხა ფორმის ორგანყოფილებიანი ნაგებობა. სამოსახლოს აღმოსავლეთ გალავნის კედელზე მიდგმული 300 კვმ ფართობის მქონე სათავსი, სადაც აღმოჩნდა 0.5 მ-ის სისქის ხორბლის დანახშირებული ფენა.

აღნიშნულ ხანებში ხანძრისა და ნგრევის კვალი დადასტურდა სოხუმის ციხის ტერიტორიაზე. პროკოპის ცნობით, 551 წ. ბიზანტიელებს პეტრაც დაუნგრევიათ. 553-554 წლებს შორის უნდა იყოს დანგრეული, ასევე, აფსაროსი.

ნგრევის შემდეგ, აღნიშნულ ცენტრთაგან, აგათიას ნაშრომში პიტიუნტი არ ფიგურირებს, ხოლო VI ს-ის მეორე ნახევრის სხვა ბიზანტიელი ისტორიკოსები – მენანდრე, თეოფილაქტე სიმოკატა, თეოფანე ბიზანტიელი, იოანე მალალა, ევაგრი სქოლასტიკოსი და სხვა, არათუ პიტიუნტს, არამედ პეტრასა და აფსაროსსაც აღარ იხსენიებენ.

როგორც ჩანს, VI ს-ის დასასრულისათვის ამ პუნქტებს უკვე დაკარგული აქვთ სამხედრო-სტრატეგიული, სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა და რიგითი დასახლებების რანგამდე არიან ჩამოქვეითებული, რასაც არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალებიც მხარს უბამს. მაგალითად, ციხისძირში VI ს-ის მეორე ნახევრის ორი მონეტაა აღმოჩენილი. აქედან ერთი იუსტინე II-ისაა (565-578 წწ.), მეორე – მავრიკის (582-602 წწ.), ხოლო აფსაროსში VI-VII სს-ის ნივთიერი მასალა ძალზე მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. აღნიშნული ფაქტი ყველაზე უკეთ ბიჭვინტის ნაქალაქარზეა დაფიქსირებული. ნაქალაქარის მთელ რიგ უბნებზე და №18, 21 კოშკებზეც დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ VI ს-ის ნახანძრალი ფენები საგანგებოდ არის გადაფარული სტერილური ფენით.

ნუმიზმატიკური მასალა კი ბიჭვინტაში VI ს-ის მეორე ნახევრის რვა მონეტითაა მხოლოდ წარმოდგენილი: ოთხი იუსტინე II-ის და ოთხი მავრიკიისა. როგორც ვხედავთ, ნგრევის შემდეგ პიტიუნტში, ისევე როგორც პეტრაში, ასევე აფსაროსში VI ს-ის მეორე ნახევარსა და VII ს-ის დასაწყისშიც საქალაქო ცხოვრება აღარ განახლებულა.

რაც შეეხება სებასტოპოლისს, ბიზანტიელების მიერ მისი განადგურების შემდეგ, პროკოპის სიტყვებით, „იუსტინიანე მეფემ მთელი ეს სებასტოპოლისი განაახლა ზღუდის და სასიმაგრო შენობათა წყალობით უძლეველი გახადა ის და გაამშვენიერა გზებითა და სხვა ნაგებობებით" (გეორგიკა, 1965, გვ. 222).

სამწუხაროდ, ამგვარი ქალაქის დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალები დღეისათვის სოხუმიდან არ მოგვეპოვება, მაგრამ სებასტოპოლისის „რადიაციის" ზონაში შემავალი დრანდის, წებელდის VI ს-ის მეორე ნახევრის ეკლესიები, მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მასობრივი არქეოლოგიური მასალები გარკვეულწილად მაინც მოწმობს პროკოპის ცნობის სისწორეს, შესაბამისად კი მის ქალაქობასაც. მაგრამ მისი გაქალაქება, ისევე როგორც პეტრასი და პიტიუნტ-აფსაროსის აღდგენა-განახლებაც, განპირობებული იყო არა მათი ადგილობრივი ეკონომიკური ბაზის სიმძლავრით, არამედ სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულებით.

თავდაპირველად ბიზანტიური სიმაგრეებიდან აღდგენილი ეს ცენტრები, რომელთაც კონკრეტული სტრატეგიული ამოცანების გადაჭრა ევალებოდათ, ბიზანტიელთა მიერ გატარებული სამხედრო-პოლიტიკური ღონისძიებების შედეგად, საქალაქო ცენტრებიც ხდება, მაგრამ შინაარსობრივი თვალსაზრისით, ისინი, რომაული ხანის კოლხეთის ზღვისპირა პუნქტების მსგავსად, სასაზღვრო ტიპის, მილიტარისტული ხასიათის ციხე-ქალაქებად რჩებოდნენ, ვინაიდან ამ ცენტრების მეურნეობა სამხედრო-სტრატეგიულ ინტერესებს უფრო ექვემდებარეობოდა, ვიდრე სამოქალაქოს. ე.ი. ხსენებული ცენტრები სამხედრო ინტერესებით განპირობებული სპეციფიკური ეკონომიკურ-პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობდა.

აღსანიშნავია, რომ აღდგენილ-განახლებული ციხე-ქალაქების პარალელურად, პროკოპი კესარიელის ცნობით, იუსტინიანეს ზღვისპირეთში ახალი ციხესიმაგრე ლოსორიონი აუგია. იუსტინიანესეული ლოსორიონი ლოკალიზდება „ბათუმის" ანუ „თამარის ციხესთან", რომელიც თავისი გეგმით ტიპურია ბიზანტიისათვის. ის კვადრატული ფორმისაა (21X23მ) და მაღალ გორაკზეა შედგმული. მისი ორი კუთხე სწორკუთხა და შვერილია. მესამე კუთხეში, ისევ

შეერილად, სწორკუთხა კოშკია დატანილი.

ბიზანტიელთა სამხედრო-სტრატეგიული ფორპოსტის ფუნქციას შიდა კოლხეთში ნოქალაქევის, შორაპნისა და ვარდციხის ციხე-ქალაქები ასრულებდა. ასეთივე ფუნქცია უნდა დაკისრებოდა ვაშნარსაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვაშნარი ბიზანტიურ წერილობით წყაროებში არ იხსენიება, მაგრამ მისი მეორე სასიმაგრო სისტემის კონსტრუქცია ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს. ვაშნარის მეორე სასიმაგრო სისტემა გარეთა გალავნისა და შიდა ციხისაგან შედგება. გალავნის ხასიათის შესახებ მსჯელობა ერთობ რთულია, ვინაიდან ჩვენამდე ის ძალზე დაზიანებული სახითაა შემორჩენილი. დიუბუა დე მონპერეს მიხედვით, გალავანი წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის უნდა ყოფილიყო. კედლის კონსტრუქციაში გამოყენებულია ე.წ. იზოდომური წესი, რაც მის გვიანდელობაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ ასეთივე წესითაა ნაგები შიდა ციხეც, რომელიც შედარებით უკეთაა ჩვენამდე მოღწეული. ზოგადად ეს ციხეც იმეორებს აღწერილი პირველი ციხის დაგეგმარებას. ისიც წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისაა.

როგორც ჩანს, ის რომაული სამშენებლო ტექნიკის პრინციპებს ინარჩუნებს. შესაძლოა ის პირველი ციხის პრინციპების გათვალისწინებით ყოფილიყო ნაგები. მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან ზომითა და კედლების კონსტრუქციის ხასიათით განსხვავდებიან. შიდაციხის ფართობი შედარებით მცირეა: სიგრძე – 200, სიგანე – !20 ნაბიჯი; გალავნის სიგანე – 1 მ-ია, რაც მის შედარებით უფრო ნაკლებ ეფექტურობასა და სიმტკიცეზე მეტყველებს. შესაძლოა, ეს იმითაც ყოფილიყო განპირობებული, რომ მას დამატებით ძირითადი გალავანი იცავდა და მშენებლებმა, ალბათ, ეს მომენტიც გაითვალისწინეს. გარდა ამისა, შიდაციხე, ფლანგური ფაქტორების გათვალისწინებით, ნაგები კოშკებითაა გამაგრებული. დღეისათვის მხოლოდ ოთხიოდე ასეთი კოშკია მოღწეული. ოთხივე მათგანი ერთნაირი ფორმისაა – კვადრატული და გალავანზე შიდა მხრიდანაა მიშენებული. ისინი ნაგებია რიყის ქვითა და ბაზალტის კვადრებით კირხსნარზე. სამ კოშკს (1, 2, 3) ორი კარი ჰქონდა, ხოლო მეოთხეს – სამი. კარების კუთხეები ბრტყელი აგურითაა გამართული.

გალავანზე შიდა მხრიდან კოშკების მიშენების წესი წმინდა საფორტიფიკაციო ხასიათის ძეგლებისათვის იშვიათია. სამაგიეროდ, ის ადრეშუასაუკუნეების პერიოდის სამონასტრო სასიმაგრო სისტემისთვისაა დამახასიათებელი.

კოშკები, ზომებიდან გამომდინარე, ორ-სამიარუსიანი უნდა ყოფილიყო და მრავალფუნქციური ჩანს. აღსანიშნავია, რომ შიდაციხისა და გარეთა გალავნის კედლების კონსტრუქციაში რამდენიმე წყობა დასტურდება, რასაც მათ დათარიღებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ითქვა, გალავნის, ასევე შიდაციხის კედლების კონსტრუქციაში დაფიქსირებულია ე.წ. opus reticularum (რეგულარული) ანუ იზოდომური წყობა. წყობის ამგვარი ხერხი გვხვდება ქუთაისში, ვარდციხეში, შორაპანში, ნოქალაქევში, ასევე გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. ხსენებულ პუნქტებში იზოდომური წყობა ძირითადად V-VI სს-ით არის დათარიღებული. მსგავსი წყობის მქონე კედლები ფართოდაა გავრცელებული ევროპისა (კიოლნი, ტრიერი) და წინა აზიის (კონსტანტინოპოლი, ანტიოქია) ადრებიზანტიური ხანის ძეგლებზე.

იზოდომური წყობის გარდა, ვაშნარის შიდაციხისა და გარეთა გალავნის კონსტრუქციის დამახასიათებელ ელემენტს ე.წ. opus incertum (არარეგულარული) წყობა წარმოადგენს. ამგვარი წყობები გავრცელებულია როგორც ჩვენში (ნოქალაქევი, ქუთაისი, ვარდციხე, შორაპანი და სხვ.), სადაც ის ადრებიზანტიური ხანის ადრეული ეტაპითაა დათარიღებული, ასევე ევროპაშიც (აბრიტუსი, ავზაროვი, ანტერახტი და სხვ.) ძირითადად ადრებიზანტიური ხანის ძეგლებზე. ვაშნარში ამგვარი წყობის თარიღად IV-V სს-ის მიჯნა მიგვაჩნია.

დაბოლოს, მეორე სამშენებლო ჰორიზონტის საფორტიფიკაციო სისტემის კედლების კონსტრუქციაში გამოიყოფა აგურისსარტყლიანი წყობა. ამგვარი წყობა დადასტურებულია როგორც ეგრისის ზღვისპირა (პეტრა), ასევე მის შიდა რეგიონებში (ვარდციხე, ნოქალაქევი, სკანდა და სხვ.).

აღნიშნული კონსტრუქციული ხერხის გავრცელება ვაშნარში და, საერთოდ, ეგრისში კონსტანტინეპოლის არქიტექტურული გავ-

ლენით უნდა აიხსნას. კონსტანტინეპოლში აგურისსარტყლიანი წყობა ფართოდ ვრცელდება V ს-ის 30-იანი წლებიდან, ეგრისის შიდა რეგიონებში კი V ს-ის მიწურულიდან.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს იძლევა, ვაშნარის შიდაციხისა და გარე გალავნის მშენებლობის თარიღი V-VI სს-ით განისაზღვროს.

რაც შეეხება ამ საფორტიფიკაციო სისტემის სტატუსს, მასზეც იგივე თეზა უნდა გავრცელდეს, რაც პირველი ციხის მიმართ აღინიშნა: ვაშნარი ეგრისში ამჯერად ბიზანტიელების სამხედრო--სტრატეგიული დასაყრდენი უნდა გამხდარიყო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მის სიახლოვეს მდებარე პეტრა ეგრისში ბიზანტიელთა მნიშვნელოვან ფორპოსტს წარმოადგენდა, ასეთ მოსაზრებას რეალური საფუძველი უჩნდება. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: ბიზანტიელთა მონაწილეობა ვაშნარის საფორტიფიკაციო სისტემის მშენებლობაში აშკარაა. აღსანიშნავია, რომ მთლიანობაში ვაშნარის V-VI სს-ის კომპლექსი ბიზანტიური არქიტექტურული პრინციპების გათვალისწინებითაა ნაგები. ვფიქრობთ, ეს იმპულსები აქ ბიზანტიური სამყაროს ცენტრიდან – კონსტანტინოპოლიდან ვრცელდებოდა.

დადგენა იმისა, თუ რა როლი შეასრულა ვაშნარმა ეგრის-ბიზანტიის ურთიერთობათა პროცესებში და, საერთოდ, ეგრისის ისტორიაში, ანდა ვაშნარის, როგორც საქალაქო ცენტრის ზოგადი სურათის რეკონსტრუქციის აღდგენა ამ ეტაპისთვის, არქეოლოგიურად მისი არასათანადოდ შესწავლის გამო, შეუძლებელია.

ბიზანტიური სამყაროს სისტემაში კოლხეთის აქტიურად ჩართვის პროცესი აქ იმპორტული ნაწარმის გავრცელებაშიც ვლინდება. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შემოტანილ იმპორტულ ნაწარმთა შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ამფორებს ეკავა.

საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენს მონითალო-მოყვითალო ფერის კონუსურძირიანი ამფორები, რომლებიც სამოსურ პროდუქციას განეკუთვნება. სამოსური ამფორის ფრაგმენტები დიდი რაოდენობითაა დადასტურებული ბიჭვინტასა და სოხუმში. გვხვდება აგრეთვე გუდავაში, ვარდციხესა და ნოქალაქევში.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მრავლადაა წარმოდგენილი ასევე მოვარდისფრო-ყავისფერი ფერის სფერულტანიანი, ტანდაღარული ამფორები. ამ ტიპის ამფორები აღმოჩენილია ბიჭვინტასა და სოხუმში; გვხვდება ვარდციხეში, ფოთში. მათი საწარმოო ცენტრი ჯერჯერობით არ არის დადგენილი. ბიჭვინტასა და ნებელდაში დადასტურებულია ღია წითელი ფერის ღრმად ტანდაღარული ამფორების ფრაგმენტები. აღნიშნული ამფორების საწარმოო ცენტრები ბიზანტიის იმპერიის ცენტრალურ რეგიონებში ლოკალიზდება და VI საუკუნით განისაზღვრება.

ახ.წ. VI საუკუნეში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში საკმაოდ მრავლად შემოდიოდა წითელლაკიანი კერამიკა. ყველაზე მრავალრიცხოვანია წითელლაკიანი ჯამები შვეული, კალთებზე გამოკვეთილი ორნამენტირებული პირის კიდეებით, რომლებიც ვრცელდება V საუკუნის მეორე ნახევრიდან და წამყვანი ფორმა ხდება VI საუკუნეში. ამგვარი ტიპის ჯამები აღმოჩენილია ბიჭვინტაში, სოხუმსა და ნებელდაში. განსაკუთრებული ადგილი უკავია მოთეთრო ფერის პირაკეცილ ჯამებს, რომლებიც მოწითალო-მონარინჯისფრო ლაკით არის დაფარული. ასეთი ჯამების საწარმოო ცენტრად სპეციალისტები ანტიოქიას მიიჩნევენ და მათ V-VI საუკუნეებით ათარიღებენ. ბიჭვინტასა და სოხუმში მრავლადაა ნაპოვნი, ასევე, ცხოველთა – (დელფინი, ტახი, შველი) და ჯვრისგამოსახულებიანი წითელლაკიანი ჯამები, რომლებიც V საუკუნის დასასრულითა და VI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. საფიქრებელია, რომ ამ ჯგუფის საწარმოო ცენტრი მცირე აზიაშია საძიებელი. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან მომდინარე იმპორტულ პროდუქციათა შორის საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი მინის ნაწარმიც. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფეხიანი სასმისები და წვეთისებური მოყვანილობის სანათურები, რომლებიც, შესაბამისად, ახ.წ. IV-V საუკუნეებში ვრცელდება და VI საუკუნეში გაბატონებული ტიპი ხდება მთელ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

ზემოთ აღწერილი იმპორტული პროდუქციის აბსოლუტური უმრავლესობა ბიზანტიური გარნიზონების მომარაგებისთვის იყო გათვალისწინებული, ვინაიდან მათი ძირითადი ნაწილი პიტიუნტის,

სებასტოპოლისისა და პეტრა-ციხისძირის ციხესიმაგრეების ტერიტორიაზეა დადასტურებული. ბიზანტიური გარნიზონებისათვის ორიენტირებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციათა შორის (ნაქალაქარებზე აღმოჩენილ ამფორათა რაოდენობის მიხედვით) ღვინო, ზეთი და მარცვლეული დომინირებდა.

სავაჭრო-ეკონომიკური ოპერაციების გზით შემოსულ პროდუქციათა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს პიტიუნტის სამოქალაქო დასახლებისა და სებასტოპოლისის სავარაუდო სამოსახლოს ტერიტორიაზე დადასტურებული მრავალფეროვანი კერამიკა. იმპორტული პროდუქციის შემოტანის ამავე მექანიზმს უკავშირდება ასევე ვარდციხესა და ნოქალაქევში აღმოჩენილი კერამიკული თუ მინის ნაწარმი. აღსანიშნავია, რომ როგორც ბიზანტიური გარნიზონებისთვის გათვალისწინებული პროდუქცია, ასევე სავაჭრო გზით შემოტანილი იმპორტული ნაწარმის აბსოლუტური უმრავლესობა მცირეაზიური საწარმოო ცენტრებიდან მომდინარეობს.

უნდა ითქვას, რომ VI ს-ში, განსაკუთრებით კი იუსტინიანეს ეპოქაში, გარე სამყაროსთან კოლხეთის სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები, რომაულ ხანასთან შედარებით, შემცირებული ჩანს. ეს ფაქტი იუსტინიანეს მიერ ეგრისში სავაჭრო მონოპოლიის დაწესებით უნდა აიხსნას. აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ პროკოპი კესარიელი: „ლაზიკის მიწა-წყალზე, იმ ადგილას, სადაც ადამიანებს არასოდეს უცხოვრიათ, იუსტინიანე მეფემ ჩემს დროს ქალაქი პეტრა გააშენა. აქ იოანე, ეგრეთ წოდებული ციბე იჯდა, ვითარცა აკროპოლისში და ძარცვავდა ლაზთა ქონებას. ვაჭრებს ხომ უკვე ნება აღარ ჰქონდათ კოლხიდაში შეეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისთვის აუცილებლად საჭიროა, არც აქედან შეეძლოთ რაიმე ეყიდინებინათ, არამედ მან შემოიღო ეგრეთწოდებული მონოპოლია" (გეორგიკა, 1965, გვ. 21-22). ცხადია, ამგვარ სანქციებს ბიზანტიურ სამყაროსთან კოლხეთის სავაჭრო ურთიერთობების შეფერხება უნდა მოჰყოლოდა, რაც არქეოლოგიურ და ნუმიზმატიკურ მონაცემებში მკაფიოდაა კიდეც ასახული.

VI საუკუნეში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფართოდ ვრცელდება ასევე ბიზანტიური კულტურის ელემენტები. ეს პროცე-

